# კვირის პალიტრა

№ 10 (422) ◆ 10 – 16 მარტი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

ნაკლებსავარაუდოა, რკინიგზის აღდგენა-გაგრძელებაზე თბილისი ვაშინგტონთან კონსულტაციების გარეშე დათანხმებულიყო.

შევარდნაძე-პუტინის შეთანხმებაში რკინიგზის თბილისამდე გაგრძელების თაობაზე ვაშინგტონის ხელწერა ჩანს. ერევანი-თბილისი-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედებით სომხეთი საქართველოზე იქნება დამოკიდებული. ამის შემდეგ კი ყველაფერს მოვლენათა მსვლელობა გადაწყვეტს. ვაშინგტონისა და მოსკოვის პოლიტიკურ თამაშში ამ გადაწყვეტილებით საქართველოს „ფასი“ კიდევ უფრო იზრდება. გვ.3



## „შავი ორშაბათი“?



**ხელისუფლება კონტრაბანდასთან ბრძოლას უკვე მერამდენეჯერ ორშაბათიდან იწყებს(?!)**

სხვადასხვა თავმჯდომარის დროს სხვადასხვა ტარიფია, მათ მადაზეა დამოკიდებული — საშუალოდ 5 ათასი დოლარიდან ზემოთ, ათეულ და ასეულ ათას დოლარამდე. გააჩნია, რა თანამდებობაზე მიდიხარ, რომელ საბაჟოში... გვ.6,11

ერთი აპარატის უფროსი საბაჟო დეპარტამენტმა შვებულების დროს გაათავისუფლა — კაცი სამსახურში რომ დაბრუნდა, ადგილი გაყიდული დახვდა. მან სასამართლოს ძალით თავი აღიდგინა. ახლა ორი აპარატის უფროსია(?!).

## „საზიზღარ კრიმინოგენულ ქაოსში ვართ“



— ვინ იყო გოგიტა ბაბუნაშვილი და რატომ ჰყავდა გადაკიდებული ქუთაისის პოლიციის უფროსი?

„ჩემზე უთხრა, ის „წაკლა“, რიჟა-მურთხი ადვოკატი მოიშორეთ, თორემ ტელევიზიით გამოვალ და საზოგადოებას დავარწმუნებ, რომ გიორგი ბაბუნაშვილს გაუპატიურებული ჰყავს 13 წლის ბიჭიო.“

**„მოდი და დამნაშავეს დაუმტკიცე დანაშაული, იყავი პროფესიონალი და ნუ აწამებ“**

რა ბედი ეწია დიდი ხნის წინ სააკაშვილის დაპირებულ ამერიკულ ლაბორატორიას? გვ.5

## თუ ხაბურძანია „გვენიძლავება“, მაგის პრობლემაა...

**თამაზ ნადარეიშვილის ახალი ბრალდებები...**



ჯემალ გამახარია 1992 წლის 5 ნოემბერს, გაგრის აღებიდან ერთი თვის შემდეგ, ჩნდება გაგრაში, ჩემი მშობლების სახლთან, ჩეჩნებთან ერთად და აფხაზებს ეკითხება, სად არის თამაზ ნადარეიშვილის სახლიო. ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ ჩემი მშობლების სახლი დაწვეს. მეტსაც გეტყვით, 1992 წლის 10 ოქტომბერს ის ქალაქის აღების შემდეგ შეხვდა იქაურ დარჩენილ ქართველებს და განუცხადა — ჩვენ, აფხაზები და ჩეჩნები ძმები ვართ და ჩვენი მტრები მიწასთან უნდა გავასწოროთო. გვ.13

## ქვანიას ხელწერილი დავადებინეთ

გვ.7

ხელწერილი იმიტომ დავადებინეთ, რომ არ ვენდობოდით.

კობა ნარჩემაშვილს თარგამაძე და სააკაშვილი ერთდროულად უტევენ და ეს შემთხვევითი არ არის. ეს იმ სცენარის ერთ-ერთი დეტალია, რომელზეც უკვე მოგახსენეთ.

**სანდრო ბრეგაძე**

თუ ასლან აბაშიძეს, ჯემალ გოგიტიძესა და მათ პარტიას იმის იმედი აქვთ, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონის საკითხში ქვანია მხარს დაუჭერს, მაშინ პოლიტიკაში ვერაფერი უსწავლიათ. ეს „გაერთიანებული დემოკრატების“ საპირველაპრილო ხუმრობა იყო.

გაერთიანებული ოპოზიციის სათავეში ნინო ბურჯანაძე მოექცევა.

**დავით ბერძენიშვილი**

## „უთხარით, რომ მიყვარს“





**გაუხარდება, თორემ განა რამეს ვთხოვ?..**

„დამცინის ხოლმე, როცა გავბრაზდები — წადი და მღებრიშვილთან მიჩივლეო. გვ.12

რას ამბობთ! ხომ სირცხვილით დავიწვები, რომ გაიგოს ვინცა ვარ.“

## რომელი ქართველი პოლიტიკოსის ცემა გსურთ ყველაზე მეტად?

*მკითხველის ოლიმპიადა*

1. ვახტანგ რჩეულიშვილი
2. ვიტალი ხაზარაძე
3. ედუარდ შევარდნაძე
4. ლევან მამალაძე გვ.35
5. მიხეილ სააკაშვილი



## გამარჯობა, მამა!



თემურ ჭკუასელი

გვ.17

ბატონო მკითხველო! ვაგრძელებთ შეხვედრას მის უდიდებულესობა — ქართული სიმღერის სათავესთან. გახსოვთ, ალბათ, წინა ნომერში ავტორი კორსიკელი მასპინძლის ჩანაწერების კითხვაში რომ მივატოვეთ... ვილიამ კიისერი კიდევ ბევრ რამეს იტყვის საოცარს ქართველებზე. წინ კიდევ უფრო მეტად გელით დიდი გაქართველება (რედ.).

## სპორტი: ლომაია „არსენალში“ — ილუზია თუ რეალობა?

გვ.34



„ამ ტრანსფერზე ბალაკისა და კლოზეს მენეჯერი მუშაობს და ჩემი მონაცემები პირადად გადასცა ვენგერს.“



## ვინ არის წლის ადამიანი სამეგრელოდან?

გვ.11

## სხვის მაგივრად დამარხული...

ვერსია

გვ.10

ოცი წელი მიუსაჯეს. მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია, მაგრამ ქურდია მამაძაღლი და ასე მოუხდებაო. არა, უნდა გაიქცეს, თანაც გზიდან, თორემ იქ, ციმბირში, რამდენიც გინდა გაიქეცი, ირბენ, ირბენ ტაიგაში და ან მგლები შეგჭამენ, ან დათვები. დიახ, მანამ უნდა გაიქცეს, სანამ მატარებელი ურალს გასცდება, მაგრამ როგორ?

## რას წერენ ჩვენზე:

**„კვირის პალიტრის“** გამოკითხვა-რეიტინგებით საზღვარგარეთაც ინტერესდებიან გვ.14

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

## ნადარეიშვილი თავისას არ იშლის...

სოჭში გამართული საქართველო-რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა იმით დასრულდა, რომ სოჭი-სოხუმის რკინიგზა ერევნამდე გაგრძელდება... შევარდნაძემ ამის სანაცვლოდ პუტინს აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნების პირობა „დასტყუა", თუმცა უკვე მერამდენედ, უცნობია, რადგან მიმომხილველებს სათვალავი აერიათ. პარალელურად, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება რკინიგზის აფეთქების მუქარას ძალაში ტოვებს და ჰააგის სასამართლოში აფხაზეთში ქართველთა გენოციდის ფაქტზე სარჩელის შეტანას აპირებს. პროცედურული საკითხების მოსაგვარებლად ჰოლანდიაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი პაატა დავითაია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანამშრომელი ლევან ბოძაშვილი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველი მურმან ომანიძე გაემგზავრებიან. დავითაიას განცხადებით, დელეგაციის წევრები ჰააგის სასამართლოს კანცელარიაში შეხვედრებს გამართავენ და სარჩელის შედგენის ფორმას დააზუსტებენ.

## პრეზიდენტი უკმაყოფილოა...

ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან გასულ კვირას საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ძირითადად, პრეზიდენტისთვის ნერვების მოშლით იყო დაკავებული. შევარდნაძის უკმაყოფილება თავდაპირველად პარლამენტის გადაწყვეტილებამ გამოიწვია, რომელმაც ამერიკის მთავრობასთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების რატიფიცირება გადადო. პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ საკანონმდებლო ორგანო აღნიშნულ საკითხს უახლოეს მომავალში დაუბრუნდება და დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს. მანამდე კი უნდა ვიმედოვნოთ, რომ დეპუტატების „ცელქობისთვის" ბუში შევარდნაძეს ძალიან მკაცრად არ დასჯის... დეპუტატებს განცხადებით მიმართა და კეთილგონიერებისკენ მოუწოდა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმაც. ირაკლი წერეთელი აღშფოთებულია ქართულ-ამერიკული შეთანხმების რატიფიცირების ჩაგდებით, რომლის თანახმადაც ოკეანისგაღმელ სამხედრო ინსტრუქტორებს საქართველოში საქმიანობაზე შეღავათები უნდა დაუწესდეთ.

მორიგი „ცელქობა" ქართველი პარლამენტარების მხრიდან სახელფასო მინიმუმის 115 ლარამდე გაზრდის საკითხი იყო. პრეზიდენტის განცხადებით, ხელფასების სწრაფი ზრდა ქვეყანაში ინფლაციას გამოიწვევს, რასაც უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი მოჰყვება. ედუარდ შევარდნაძის თქმით, ამ გადაწყვეტილებას როგორც ეკონომისტები და მეცნიერები, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

## ენერგოკომპანიები არ ნებდებიან...

სახელმწიფო ელექტროსისტემა და ენგურჰესი კვლავაც აპროტესტებენ სემეკის დადგენილებას, რომლის მიხედვითაც ელექტროენერგიის ტარიფში მათი წილი საგრძნობლად შემცირდა. გასულ კვირას საოლქო სასამართლომ მათი სარჩელის განხილვაზე უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, დაზარალებული ენერგოკომპანიები დანებებას არ აპირებენ და სარჩელი უზენაეს სასამართლოში შეაქვთ. თუ ენერგეტიკოსებს აქაც არ გაუმართლებთ, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ. მოსარჩელეების პოზიციას იზიარებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრიც. მისი განცხადებით, ტარიფის შემცირებამ ენერგოკომპანიები საფუძვლიანად დააზარალა. ამ საკითხზე იურისტებთან კონსულტაციებს კვლავ განაგრძობს „ეი-ი-ეს თელასი", რომელსაც, მწარე გამოცდილებით, ქართული სამართლის იმედი გადაწურული აქვს და სარჩელის შეტანას ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში აპირებს.

## სააკაშვილმა გამოსავალი იპოვა...

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ დედაქალაქის ტერიტორიაზე მიზერულ ფასებად გაყიდული 300-ზე მეტი მიწის ნაკვეთის დაბრუნების გეგმა გამოაქვეყნა. მის მიხედვით, საკრებულო ახალი მფლობელებისგან მიწების გამოსყიდვას იმ ფასად აპირებს, რომლითაც ოფიციალურადაა დაფიქსირებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ პრესტიჟულ რაიონებში 100-120 ლარად ღირებული მიწის კვადრატული მეტრი 3-4 ლარად არის გაფორმებული, ეს პროცედურა არცთუ იოლად განსახორციელებელი იქნება. სააკაშვილის თქმით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიწის ახალ მფლობელებს იმ თანამდებობის პირთა დასახელება მოუწევთ, რომლებსაც ქრთამი გადაუხადეს. საკრებულო აცხადებს, რომ დედაქალაქის ვიცე-პრემიერი იურიდიული უფლებით სარგებლობს და უკანონოდ პრივატიზებულ მიწებზე მშენებლობების დაწყების უფლებას არ გასცემს.

## მკვლელობის მორიგი მსხვერპლი...

უშიშროების სამსახურის თანამშრომელმა ოთარ წვერიანაშვილმა შელაპარაკების ნიადაგზე 23 წლის დავით საბანაძე მოკლა. მკვლელობა ვარკეთილის დასახლების მეოთხე მიკრორაიონში გვიან ღამით მოხდა. საბანაძე მეგობართან ერთად ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსთან იდგა. მას შელაპარაკება მოუვიდა ძმებ წვერიანაშვილებთან. ინციდენტის დროს ერთ-ერთმა ძმამ საბანაძეს დანა ჯერ გულში, შემდეგ კი თავში ჩაარტყა. საბანაძე ადგილზევე გარდაიცვალა. ორივე ძმა დაკავებულია. ეჭვმიტანილები ისანი-სამგორის რაიონის პოლიციაში იმყოფებიან. მათ წინააღმდეგ საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

## გერმანელები დაგვეხმარებიან

თბილისში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი ოტო შილი. მან საქართველოს მთავრობას საზღვრის დაცვის შესახებ გერმანიის შესაბამისი უწყების მიერ მომზადებული შეფასებითი მოხსენება წარუდგინა. ოტო შილი თბილისში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მოწვევით ჩამოვიდა. ქართველ მესაზღვრეებთან ერთად გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალურმა მინისტრმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხილა. კრწანისში, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შემდეგ, მხარეებმა შინაგან საქმეთა სამინისტროში ითათბირეს. თუ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საბჭო გერმანელთა რეკომენდაციებს მოიწონებს, უახლოეს მომავალში საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ძირეული რეფორმები განხორციელდება (იხ. გვ.8).

## ყაჩაღურმა თავდასხმამ ბავშვის სიცოცხლე შეიწირა

წყალტუბოს რაიონის სოფელ ჯიმასტაროში ჩაკვეტაძეების ოჯახზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმა ტრაგიკულად დასრულდა. მას შემდეგ, რაც ოჯახის უფროსმა მომხდურებს წინააღმდეგობა გაუწია, ერთ-ერთმა მათგანმა ხელყუმბარა გახსნა. აფეთქებამ იქვე მდგომი 12 წლის მეზობლის გოგონას სიცოცხლე იმსხვერპლა. ამავე დროს დაშავდა 15 წლის ბიჭი, რომელსაც მოგვიანებით საავადმყოფოში წვივის ამპუტაცია ჩაუტარდა. დაიჭრა ერთ-ერთი თავდამსხმელიც, თუმცა მათ მიმალვა მოახერხეს. როგორც გაირკვა, ყაჩაღები ჩაკვეტაძეების ოჯახს იმ დღეებში გაყიდული ხარის ფულს სთხოვდნენ.

ადგილობრივი მოსახლეობა ბოლო დროს წყალტუბოს რაიონის სოფლებში თავდასხმების გახშირებას უჩივის. ბოლოს მომხდარი ფაქტის გამო კი მათ რაჭა-ლეჩხუმის გზა გადაკეტეს. აქციის მონაწილენი დაშლას არ აპირებენ, სანამ სამხარეო ადმინისტრაცია პოლიციასთან ერთად კრიმინოგენული ვითარების გასაუმჯობესებლად ქმედით ზომებს არ მიიღებს და ამ კონკრეტულ დანაშაულს არ გახსნის. სამართალდამცველები რაიონში და მიმდებარე ტერიტორიაზე საავადმყოფოებსა და კლინიკებს ამოწმებენ, სადაც შესაძლოა, დაჭრილი თავდამსხმელი მკურნალობდეს.

## რჩეულიშვილმა თავისი ადგილი იპოვა

„ახალი საქართველოსთვის" — ასეთია მოქალაქეთა კავშირისა და სოციალისტების ერთიანი საარჩევნო ბლოკის სახელწოდება. სწორედ ასე ერქვა პრეზიდენტ შევარდნაძის 2002 წლის საანგარიშო გამოსვლას პარლამენტში, რომლის გამოც ოპოზიციამ დემარში მოაწყო. სოციალისტთა ლიდერის ვახტანგ რჩეულიშვილის განცხადებით, უახლოეს პერიოდში საარჩევნო შტაბი შეიქმნება, სადაც საარჩევნო სიების კვოტები დაზუსტდება. საარჩევნო კამპანიას სოციალისტები და მოქალაქეები გაერთიანებულ დემოკრატებთან დაპირისპირების ფონზე წარმართავენ. ბოლო 10 წლის მანძილზე ქვეყანაში განვითარებულ ეკონომიკურ პროცესებზე და არჩევნების გაყალბებებზე სრულ პასუხისმგებლობას ზურაბ ჟვანიას გუნდს აკისრებენ. სოციალისტები ჟვანიას თანამოაზრეთა მოღვაწეობის პოლიტიკურ შეფასებას და მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვენ.

## ტყვედყოფილი მეზღვაურები შინ დაბრუნდნენ

თითქმის 9-თვიანი ტყვეობის შემდეგ საქართველოს ექვსი მოქალაქე შინ დაბრუნდა. საქართველოდან წასული ფოთელი მეზღვაურები ბერძნულ გემ „ჯენილინზე" კონტრაქტით მუშაობდნენ. ისინი კენიელმა მეკობრეებმა დაატყვევეს. ბერძენი გემთმფლობელის მიერ გამოსასყიდის, 100 ათასი დოლარის გადახდის მიუხედავად, მეზღვაურები კვლავ ტყვეობაში რჩებოდნენ. მათი გაქცევა შემთხვევის წყალობით მოხერხდა. ამის შემდეგაც სახლში დაბრუნება მეზღვაურებმა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მოახერხეს.

## გაქცევის მცდელობა

ქსნის კოლონიის ადმინისტრაციამ პატიმართა გაქცევის მორიგი მცდელობა აღკვეთა. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი ძმები დრობიშევები გაქცევას 18-მეტრიანი გვირაბის საშუალებით გეგმავდნენ. გვირაბის დასასრულებლად 7 მეტრი იყო დარჩენილი, როცა ციხის ადმინისტრაციამ ეს ფაქტი ინფორმატორის მეშვეობით შეიტყო. დრობიშევებს ციხეში 2 წელი ჰქონდათ გატარებული, მთლიანობაში ერთმა ძმამ 15, მეორემ კი 20 წელი უნდა მოიხადოს, რასაც გაქცევის მცდელობისთვის სასჯელიც დაემატება.

## „ბორჯღალოსნებმა" რუსი „დათვები" დაამარცხეს

მორიგი მატჩი გამართა საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა და კვლავ გაიმარჯვა. „ბორჯღალოსნებმა" გამარჯვებებით კი გაგვანებივრეს, მაგრამ რუსების ძლევას, თანაც მათსავე მოედანზე, სხვა ფასი აქვს. შაბათს, კლოდ სორელის გუნდმა კრასნოდარში 23:17 მოუგო „რუს დათვებს" და უმნიშვნელოვანესი ქულები მოიპოვა. ქართულმა „ბორჯღალმა" რუსეთის „ორთავიანი არწივი" „შუაზე გაჭრა", — ამბობს ბიძინა გეგიძე, რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თამაშის ბოლო ოცი წუთი ქართველთა უპირატესობით წარიმართა და მატჩის ბედიც მაშინ გადაწყდა. დასანანია, რომ პირველი ტაიმის 25-ე წუთზე დაშავდა გია ლაბაძე და მოედანი დატოვა. „ბორჯღალოსნებს" ყველა ქულა პალიკო ჯიმშელაძემ შესძინა და მატჩის გმირადაც იქცა.

მორიგ შეხვედრას „ბორჯღალოსნები" 22 მარტს პრაღაში, ჩეხეთის ნაკრებთან გამართავენ, 29 მარტს კი თბილისში რუმინელებს უმასპინძლებენ.

## სამართალდამცველებს ულტიმატუმი წაუყენეს

დედაქალაქში გამწვავებულ კრიმინალურ ვითარებაზე რეაგირებას საკრებულო „ცხელი ხაზის" გახსნით ცდილობს. ნებისმიერი ინციდენტის შემთხვევაში მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება, საკრებულოს მიაწოდოს ინფორმაცია შემდეგ ტელეფონებზე: 93-34-18 ან 98-82-54.

საკრებულოს თავმჯდომარემ სამართალდამცველებს ულტიმატუმი წაუყენა და მდგომარეობის გამოსასწორებლად ერთი თვის ვადა მისცა. თუ ამ ხნის განმავლობაში არ მოხდება რეაგირება მომხდარ დანაშაულებზე და ვითარება მეტ-ნაკლებად არ გამოსწორდება, ზუსტად 5 აპრილს საკრებულო საგანგებო სხდომის მოწვევას გეგმავს. კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დასმის მოთხოვნით ისინი ცენტრალურ ხელისუფლებასაც მიმართავენ. თუ ეს უკანასკნელი თავს შეიკავებს, სააკაშვილი მასობრივი საპროტესტო გამოსვლებით იმუქრება.

## ქაღალდზე გაიაფდა, სინამდვილეში კი...

„ეი-ი-ეს თელასის" აბონენტთა მომსახურების დიდუბის რაიონულ ცენტრში მისული ლეიბორისტული პარტიის წევრები და პროკურატურის წარმომადგენლები თითქმის მთელი დღე იმის გარკვევას ცდილობდნენ, თუ რატომ ახდევინებს ამერიკული ენერგოგამანაწილებელი კომპანია მოსახლეობას დენის საფასურს ისევ ძველი ტარიფით. როგორც ცნობილია, პირველ მარტს ძალაში შევიდა ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება, რომლის თანახმადაც ექვსი იანვრიდან ერთი კილოვატსაათის ღირებულება 13,7 თეთრის ნაცვლად 12,18 თეთრი უნდა გამხდარიყო. ლეიბორისტები „თელასის" ამ ქმედებას კრიმინალურს უწოდებენ და სამართალდამცველებისგან ამერიკული კომპანიის ხელმძღვანელთა დასჯას მოითხოვენ. პროკურატურამ საქმის შესასწავლად 20 დღე მოითხოვა.

## სტალინს პანაშვიდი გადაუხადეს

საბჭოეთის დიდი ბელადის, იოსებ სტალინის გარდაცვალების 50 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში „დედაენის" ძეგლთან 200-მდე კაცი შეიკრიბა. მიტინგის ორგანიზატორები ერთიანი კომუნისტური პარტია და სტალინის საზოგადოება იყვნენ.

იოსებ სტალინი 1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა. სამი წლის შემდეგ კი მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგის მონაწილეები 9 მარტს თბილისში საბჭოთა ჯარმა დახვრიტა. სტალინელები დიდი ბელადის ძეგლის აღდგენასაც ითხოვენ, რომელიც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა ლიდერმა, ნიკიტა ხრუშჩოვმა დაანგრევინა. ძეგლის აღდგენის თხოვნით, ქართველმა სტალინელებმა დედაქალაქის მერიას უკვე მიმართეს. ბელადის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი ორიგინალურად დაიწყეს ქუთაისელმა კომუნისტებმა — მათი თხოვნით, ადგილობრივმა სამღვდელოებამ მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. კომუნისტები სტალინის სახელზე ეკლესიის აშენებასაც აპირებენ(?!).

## ჯაშუშებს არ სძინავთ...

აღორძინების კავშირის დიდუბის რაიონული ორგანიზაციის ოფისზე ვერაგული თავდასხმა მოხდა. პარტიის წარმომადგენელთა ცნობით, წაღებულია კომპიუტერი, სადაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინახებოდა. სავარაუდოდ, ღამით ოთახში შესულმა ჯაშუშებმა ხელს საოფისე ინვენტარიც გააყოლეს, თუმცა, როგორც ჩანს, გზაში დაფიქრდნენ, რომ ჯაშუშები იყვნენ და მხოლოდ კომპიუტერში მოთავსებული საიდუმლო ინფორმაცია აინტერესებდათ. ამიტომ, საგამოძიებო ჯგუფმა აღნიშნული ინვენტარი შემთხვევის ადგილიდან მოშორებით, ეზოში იპოვნა დალაგებული. აღორძინების კავშირის დიდუბის რაიონული ორგანიზაციის ოფისის კომპიუტერში მოთავსებული ინფორმაციის მნიშვნელობაზე დივერსანტების ვერაგობაც მეტყველებს: მათ ოფისის ფასადიდან დემოკრატიული აღორძინების კავშირის და საქართველოს დროშები ჩამოხსნეს. მიუხედავად იმისა, რომ ოფისს არც დაცვა ჰყავდა და არც სიგნალიზაცია იყო დამონტაჟებული, აღორძინების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ოფისის კომპიუტერში უაღრესად კონფიდენციალური ინფორმაცია ინახებოდა. საქმეს დიდუბის რაიონის პოლიცია იძიებს.

## დაზვერვის დეპარტამენტის ცნობით...

საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის პრესსამსახურის ცნობით, აფხაზეთში კონტრაბანდული საქონლის ტვირთბრუნვა კატასტროფულ მასშტაბებს აღწევს. ამ გზით მიღებული შემოსავლები სეპარატისტული ხელისუფლების ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ რეალურ წყაროდ ითვლება. კონტრაბანდული ტვირთები აფხაზეთიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნაწილდება და უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. აფხაზეთში კონტრაბანდული საქონელი, ძირითადად, რუსულ და თურქულ კრიმინალურ დაჯგუფებებს შემოაქვთ. საამისოდ, ძირითადად, საზღვაო ტრანსპორტს იყენებენ. საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის ინფორმაციით, სოხუმის პორტში ერთი კვირა იდგა ქართული ჯართით და ხეტყით დატვირთული თურქული გემი „თოფალოღლუ". სარწმუნო ინფორმაციით, გემზე ჩრდილოკავკასიელი ბოევიკებიც იყვნენ.

## სუხიას ტურნირზე

სულხან სულხანიშვილის სახელობის სათხილამურო ტურნირის საპრიზო ფონდმა წელს 4.000 ლარი შეადგინა. რიგით მეთერთმეტე ტურნირზე ერთმანეთს მინისტრები, დეპუტატები და სტუდენტები ეჯიბრებოდნენ. ვაჟთა შორის პირველობა მიხეილ გულესიანს ხვდა, მეორე ადგილი — ავთო ჯანგობეგოვს, მესამე კი — პეტრე ცისკარიშვილს. ქალთა შორის პირველობა სოფიკო გოგუაძემ მოიპოვა, მეორე — მარიამ კოპაძემ, მესამე ადგილი კი სოფო დუმბაძემ დაისაკუთრა. მეწინავეს — ფულადი პრემია, ფინიშზე ყველაზე ბოლოს მისულს კი ტრადიციული ჩაიდანი გადასცეს.




## მეზობლებმა მოილაპარაკეს?

ყატარში ექვსი არაბული სახელმწიფოს ლიდერის შეხვედრა დასრულდა. ეს ქვეყნები ერაყის უახლოესი მეზობლები და სპარსეთის ყურის სახელმწიფოთა გაერთიანებული საბჭოს წევრები არიან. ყატარის, საუდის არაბეთის, ომანის, ქუვეითისა და ბაჰრეინის ხელმძღვანელებმა ერაყის ლიდერს სადამ ჰუსეინს თანამდებობიდან გადადგომისა და ქვეყნიდან წასვლისკენ მოუწოდეს. შესაბამისი დოკუმენტის მიღების ინიციატივით არაბთა გაერთიანებული საამიროები გამოვიდა. ექვსივე ქვეყანა შეერთებული შტატების მოკავშირეა. მათ ტერიტორიაზე ამერიკული ბაზების ძირითადი ნაწილია განლაგებული.

## ჩრდილოეთ კორეისა და ამერიკის ურთიერთობა იძაბება

ახალი დიპლომატიური სკანდალის მიზეზი იაპონიის ზღვაში მომხდარი საჰაერო ბრძოლა გახდა. ხუთმა კორეულმა მოიერიშემ საერთაშორისო წყლების თავზე ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავის ჩამოგდება სცადა. ვაშინგტონის განცხადებით, მოიერიშეები ამერიკელებს 22 წუთის განმავლობაში დევნიდნენ. ამ დროისთვის სადაზვერვო თვითმფრინავები ყოველგვარი დაზიანების გარეშე იაპონიის ბაზაზე დაბრუნდნენ. ასეთი დონის დაპირისპირება ამერიკა-კორეას შორის უკვე 30 წელია არ ყოფილა. ექსპერტები ამ ინციდენტის მიზეზად შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის ერთობლივ სამხედრო წვრთნებს ასახელებენ.

## ავიაკატასტროფა ალჟირში

ალჟირში მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად ბორტზე მყოფი 103 ადამიანიდან მხოლოდ ერთი გადარჩა.

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია. ავარია ქალაქ ტამარ-ნასეტას თავზე მოხდა. „ბოინგ 737" აფრენიდან რამდენიმე წუთში ჩამოვარდა. თვითმფრინავი კომპანია „ეარ ალჟირს" ეკუთვნოდა. კატასტროფის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. სავარაუდოდ, ბოინგი ტექნიკურად გაუმართავი იყო და აფრენისას ერთ-ერთ ძრავას ცეცხლი მოეკიდა.

## ქოჩარიანმა მაინც მოიგო

სომხეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 5 მარტს გამართული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინასწარი შედეგები დაამტკიცა.

ცესკოს წინასწარი მონაცემებით, სულ კენჭისყრაში მონაწილეობა მილიონ 596 ათასმა ამომრჩეველმა მიიღო. მოქმედმა პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა ხმების 67,5%, სახალხო პარტიის ლიდერმა სტეფან დემირჩიანმა კი 32,5% მოაგროვა. სახალხო პარტიის წევრები არჩევნების გაყალბებაზე უკვე ხმამაღლა ალაპარაკდნენ. პირველი ტურის გაკრიტიკების მიუხედავად, ეუთოს დამკვირვებლებმა მეორე ტურის ჩატარების დონე დამაკმაყოფილებლად შეაფასეს.

# საქართველოს „ფასი“ კიდევ უფრო იზრდება

სპარსეთის ყურეში ვითარების ესკალაციის პარალელურად, თანდათან უფრო „საინტერესო“ ხდება პოლიტიკური ურთიერთობები კავკასიაში და მის მახლობელ რეგიონებში. „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთ ნომერში, ჯერ კიდევ ერაყ-ამერიკის კონფლიქტის გარიჟრაჟზე, მოვლენათა შესაძლო განვითარების შესახებ ვწერდით. მაშინ ჰუსეინის წინააღმდეგ ომის რეალურ მიზეზზეც ვისაუბრეთ, ევროპისა და რუსეთის მოსალოდნელ რეაქციაზეც და საქართველოს პერსპექტივებზეც. გასულ კვირაში მომხდარმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ქართველ პოლიტოლოგთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები თანდათან რეალურ კონტურებს იძენს. შევარდნაძე-პუტინის შეხვედრა, ერთი შეხედვით, გაუგებარი შედეგით დასრულდა — თუ აქამდე საქართველოში დიდი და პატარა რუსეთ-აფხაზეთის სარკინიგზო მიმოსვლის სასტიკი წინააღმდეგი იყო, სოჭიდან დაბრუნებულმა პრეზიდენტმა და მისმა მრჩევლებმა ლამის სიხარულით გვამცნეს, რომ რკინიგზა არათუ შეწყდება, არამედ თბილისამდე, მოგვიანებით ერევნამდეც გაგრძელდება(?), სამაგიეროდ კი, რუსეთმა აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნება აღგვითქვა. რაც თავისთავად, სიახლე ნამდვილად არ არის — აღნიშნული საკითხი კონფლიქტის მოსაგვარებლად გამართულ უკლებლივ ყველა საერთაშორისო შეხვედრის ოქმშია დაფიქსირებული. ამგვარივე სულისკვეთებაა გაეროს ყოველ რეზოლუციაში, რომელიც კი აფხაზეთთან დაკავშირებით დაწერილა. რასაკვირველია, ამ საკითხში გადამწყვეტი ხმა ყოველთვის რუსეთს ჰქონდა. უმაღლეს დონეზე მიღწეული შეთანხმების პარალელურად, თბილისში მყოფი ლეგიტიმური მთავრობა კვლავაც ძველ პოზიციაზეა და სოხუმიდან წამოსული ნებისმიერი მატარებლის აფეთქებით იმუქრება. ნადარეიშვილს გენოციდის ბრალდებით სარჩელი ჰააგის სასამართლოში შეაქვს და ამჟამინდელი სტატუს-კვოს გათვალისწინებით, ლტოლვილთა დაბრუნებაზე სიტყვის გაგონებაც არ სურს.

ფარა რომ შემობრუნდება, კოჭლი ცხვარი თავში მოექცევაო, ნათქვამია. თუ თურქეთის პარლამენტის დადგენილებას გავითვალისწინებთ, „ფარა“ მართლაც შემობრუნდა და ამერიკის უმთავრესი დასაყრდენი პუნქტი, ევროპა-აზიის გზაშესაყარზე, თურქეთის სახით, შეიძლება ითქვას, აღარ არსებობს. ასეთ შემთხვევაში საქართველო მართლაც მეწინავე პოზიციებს იკავებს. თუმცა, მთელ მსოფლიოში აგორებული ანტიამერიკული და ანტისაომარი მოძრაობაც გასათვალისწინებელია და ბუშის ადმინისტრაციის მარცხის შემთხვევაში, შესაძლებელია, ყველაზე მეტად სწორედ „ფარის“ თავში მოქცეული საქართველო დაზარალდეს...

რუსეთ-საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრის პარალელურად, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული რუსეთის არმიის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე ცხინვალის ადმინისტრაციასთან კონფიდენციალურ შეხვედრას მართავს. როგორც ჩანს, ერაყის კონფლიქტის გამწვავებასთან ერთად, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ახალი ეტაპი იწყება. რამდენად მტკივნეული იქნება საქართველოსთვის ეს პროცესები? დაგვაშორებს თუ დაგვაახლოებს იგი კრემლს? რა როლს ითამაშებს შექმნილ ვითარებაში ვაშინგტონი, რომელსაც ბოლო ხანს მზარდი პრობლემები აქვს? ამ საკითხებზე ვესაუბრებით პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძეს.**

> **რასაკვირველია, პოზიციათა ასეთი განლაგება აღნიშნულ ქვეყნებსაც ესმით, ისინი მიზანმიმართულად ზრდიან ნავთობზე ფასებს და ევროპა-ამერიკას, თუნდაც იმავე ნავთობის საბადოებში, მილიარდობით დოლარის დაბანდებას აიძულებენ. იმავდროულად კი, ამერიკასთან მომავალი დაპირისპირებისთვის ემზადებიან. ამას ემატება 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენებიც და ბუშის ადმინისტრაცია იღებს გადაწყვეტილებას, „მოჯადოებული წრე“ გაარღვიოს.**

— თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთთან ურთიერთობას აფხაზეთთან მიმართებაში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოსთვის კარგი არაფერი მოუტანია, იოლი გასაგები ხდება — ეს პრობლემა მხოლოდ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობით არ გადაწყდება. რუსეთი კვლავაც აგრძელებს დიდი და მძიმე ქვეყნის პოლიტიკის გატარებას და მის ამოძრავებას ბევრად უფრო სერიოზული და მყარი ბერკეტი სჭირდება, ვიდრე თბილისის ან მისი მეგობარი ქვეყნების საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობილი არგუმენტები შეიძლება იყოს. ეს ფუნქცია მხოლოდ ამერიკამ შეიძლება შეასრულოს, რასაკვირველია, თბილისის მხრიდან გარკვეული მხარდაჭერის საფასურად. უნდა გითხრათ, რომ თბილისმა ამაში ყველას აჯობა — შევარდნაძის მსგავსი განცხადება, ამერიკის მხარდაჭერის შესახებ, ჯერჯერობით, არც ერთი ქვეყნის მეთაურს არ გაუკეთებია. რამდენადაც ვიცი, ანალოგიური პოზიცია საქართველოს პრეზიდენტმა პუტინთან, სოჭში შეხვედრის დროსაც დააფიქსირა. აქედან გამომდინარე, ნაკლებსავარაუდოა, რკინიგზის აღდგენა-გაგრძელებას თბილისი ვაშინგტონთან კონსულტაციების გარეშე დასთანხმებოდა.

ალბათ ყველას გვახსოვს თეთრი სახლის რეაქცია საქართველოს ხელისუფლების განცხადებაზე — აფხაზეთში რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის შეჩერებასთან დაკავშირებით. ჯორჯ ბუში შევარდნაძეს ყოველგვარი პოლიტიკური ქარაგმების გარეშე სწერდა, — ოღონდ ახლა ნუ შემიშლით ხელს კავკასიაში ახალი პრობლემების გაჩენით და ერაყის გაკონტროლებისთანავე აფხაზეთს ერთად მივხედავთო. ეს ნათქვამი არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა იმას, რომ ვაშინგტონი ჯერ ჰუსეინს დაამარცხებდა, შემდეგ კი აფხაზეთის დასაბრუნებლად რუსეთთან ბრძოლას დაიწყებდა — გნებავთ, პოლიტიკური, გნებავთ, სამხედრო ბერკეტების გამოყენებით. საქმე ბევრად უფრო მარტივად არის — ერაყის პრობლემის გადაჭრა იმდენად გლობალური მნიშვნელობისაა, რომ თავისთავად, ავტომატურად ნიშნავს მოსკოვთან ურთიერთობის მოგვარებას ყველა ასპექტში და მათ შორის კავკასიაშიც, ბუშის ადმინისტრაციის სასარგებლოდ, და არა მხოლოდ მოსკოვთან ურთიერთობის მოგვარებას. სხვათა შორის, ამის შესახებ პროგნოზებს თვითონ რუსეთის სტრატეგიულ-კვლევითი ცენტრები აკეთებენ. მე ხელთ მაქვს ერთ-ერთი ასეთი ცენტრის მიერ შიდამოხმარებისთვის გამოცემული გამოკვლევა. საკამათო არ უნდა იყოს, რომ მსოფლიო ურთიერთობებში პარტნიორთა უფლებებს ამა თუ იმ ქვეყნის კულტურა და ისტორია კი არა, ეკონომიკა განსაზღვრავს. თავის მხრივ, გლობალურ ეკონომიკას ნავთობი აკონტროლებს. ნახსენებ გამოკვლევაში ჩვენთვის საკმაოდ საგულისხმო ციფრებია მოყვანილი. მის მიხედვით, ოპეკის ქვეყნებს („ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები“. — დ.გ.) დღეისთვის მსოფლიოში ნავთობის მოპოვების 26% აქვთ ათვისებული. 2010 წლისთვის ეს მაჩვენებელი 47%-ს მიაღწევს, ხოლო 2020 წელს კი 55% გახდება. ამავე ანალიტიკურ მასალაში მოყვანილია დიაგრამა, თუ როგორ ზრდის ოპეკი ნავთობზე ფასებს და ამ შემთხვევაში ევროპაც და ამერიკაც უძლურია. აქ უკვე რუსეთის, როგორც ნავთობმომპოვებელი ქვეყნის, მნიშვნელობა იზრდება. თუ ამ ყველაფერს პოლიტიკურ ჭრილში გადავიტანთ, ნათელი ხდება, რომ ოპეკი და რუსეთი ამერიკისთვის უახლოეს მომავალში მზარდ პრობლემად იქცევა, რომლის გაკონტროლებაც თანდათან შეუძლებელი გახდება. რასაკვირველია, პოზიციათა ასეთი განლაგება აღნიშნულ ქვეყნებსაც ესმით, ისინი მიზანმიმართულად ზრდიან ნავთობზე ფასებს და ევროპა-ამერიკას, თუნდაც იმავე ნავთობის საბადოებში, მილიარდობით დოლარის დაბანდებას აიძულებენ. იმავდროულად კი, ამერიკასთან მომავალი დაპირისპირებისთვის ემზადებიან. ამას ემატება 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენებიც და ბუშის ადმინისტრაცია იღებს გადაწყვეტილებას, „მოჯადოებული წრე“ გაარღვიოს. გარღვევა ორი მიმართულებით იგეგმება — ეს არის კასპიის ახალი ნავთობის შემოშვება, ამერიკული კონტროლით, მსოფლიო ბაზარზე, რომლის ყველაზე სანდო მარშრუტს კავკასია და საქართველო წარმოადგენს, იმავე თურქეთთან შედარებითაც კი, სადაც ამერიკა მილიარდებს ხარჯავდა და სტრატეგიული ინტერესების გამო, ბევრ რამეზეც ხუჭავდა თვალს; გეგმის მეორე ნაწილი ერაყის გაკონტროლებაა, რომელიც მსოფლიოში ნავთობის მოპოვებით მეორე ადგილზეა. ემბარგოს საშუალებით, დღემდე ვაშინგტონი მისი პოტენციის 18%-ზე დაკონსერვებას ახერხებდა. ამ სტრატეგიული გეგმის განხორციელებით ამერიკა შეძლებს არა მხოლოდ მუსლიმანური სამყაროს მზარდი გავლენის შეჩერებას, არამედ რუსეთის და ევროპის გაკონტროლებასაც კი.

**— ასეთ შემთხვევაში ნათლად ჩანს, რომ განვითარებულ ქვეყნებში აგორებულ ანტისაომარ კამპანიას თავისი, ბევრად უფრო პრაგმატული მიზნები და მიზეზები აქვს, ვიდრე უბრალოდ, მშვიდობის სიყვარულს და პაციფისტურ მოძრაობას შეიძლება ჰქონდეს... დამოუკიდებელი ევროპის ფლაგმანთა, საფრანგეთისა და გერმანიის, ამერიკისადმი მედგარი წინააღმდეგობაც გასაგებია — ომის დაწყების შემთხვევაში საფრთხე დაემუქრება ახალბედა ვალუტას — ევროს და შესაბამისად, ძლივს შეკოწიწებული ევროგაერთიანებაც ტიპურ, უსუსურ საერთაშორისო ორგანიზაციად იქცევა, რომლის გავლენის გასაზრდელად იმავე შრედერმა და შირაკმა ლომის წილი გაიღეს არა მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური დივიდენდების, არამედ საფრანგეთის და გერმანიის ეკონომიკის ხარჯზე... და აქ უკვე შირაკის განცხადებაც გასაგები ხდება — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს თუ კიდევ უნდათ ევროკავშირში შესვლა, თავის განცხადებებს დაუფიქრდნენო...**

— აბსოლუტურად გეთანხმებით. არ ვისურვებდი, ევროპაში აგორებული ანტისაომარი კამპანიის შემყურეთ გულუბრყვილობა გამოგვეჩინა და საკუთარ პოზიციებზე არ გვეფიქრა. მაგრამ ევროპასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია მედლის მეორე მხარეც, რომლის მიხედვითაც, შექმნილ ვითარებაში ბუშის ადმინისტრაციის დამარცხება და ერაყის ნებაზე მიშვება, ხეირს არც ევროპას დააყრის. ამერიკა დღეს მიდის ომზე იმიტომ, რომ ხვალ ბევრად უფრო მასშტაბური და დამანგრეველი შედეგების ომები აიცილოს თავიდან — მუსლიმანური და სლავური ომები. იგი დღეს შედის ერაყში იმიტომ, რომ ხვალ ბაღდადის მიერ ქუვეითის ინტერვენცია არ მოხდეს, რომ არ მოხდეს ესკალაციის გაფართოება იმავე ჩეჩნეთში, სადაც მიმდინარე ბრძოლები დღეს რუსული სამხედრო მანქანის თვითრეალიზების ერთადერთი საშუალებაა და თუ ხვალ ამ მანქანას სათანადო ძალები ექნება, უარს არ იტყვის, კიდევ ერთი ასეთი საშუალება საქართველოშიც წარმოქმნას. ასე რომ, თუ პრაგმატულად ვიმსჯელებთ, დღევანდელი მიზანმიმართული და ლოკალური ომის წარმატებით დასრულება სპარსეთის ყურეში, ხვალინდელ დაქსაქსულ ომებს აგვაცილებს თავიდან. საქართველოსთვის კი ეს პროცესები განსაკუთრებით საყურადღებო უნდა იყოს, მან ხომ რუსული პოლიტიკა გაზეთში წაკითხული სტატიებით კი არა, საკუთარი შვილების სისხლის ხარჯზე ისწავლა...

> **დღევანდელი მიზანმიმართული და ლოკალური ომის წარმატებით დასრულება სპარსეთის ყურეში, ხვალინდელ დაქსაქსულ ომებს აგვაცილებს თავიდან. საქართველოსთვის კი ეს პროცესები განსაკუთრებით საყურადღებო უნდა იყოს, მან ხომ რუსული პოლიტიკა გაზეთში წაკითხული სტატიებით კი არა, საკუთარი შვილების სისხლის ხარჯზე ისწავლა...**

**— 90-იანი წლების დასაწყისში საკმაოდ არგუმენტირებული იყო მსჯელობა იმის თაობაზე, რომ შევარდნაძემ აფხაზეთის ომი უფროსი ბუშის იმედად წამოიწყო. მოხდა ისე, რომ საგარეო პოლიტიკაზე ორიენტირებული რესპუბლიკელები შიდაპროცესებზე გადართულმა დემოკრატებმა შეცვალეს და კლინტონის ადმინისტრაციამ შევარდნაძის აქტიური მხარდაჭერა აღარ ისურვა. შედეგად რაც მივიღეთ, ცნობილია. თუნდაც, ძალიან შორს გათვლილი თეთრი სახლის ავანტიურა სპარსეთის ყურეში 100%-იან წარმატებას არ გულისხმობს. ამერიკის სახელმწიფო სტრუქტურიდან გამომდინარე, თუ ვინმე ოფიციალური ვაშინგტონის მარცხით დაზარალდება, ისევ პირადად ჯორჯ ბუში და მისი გარემოცვა, თორემ ამერიკის სახელმწიფოებრიობას საეჭვოა, საფრთხე დაემუქროს — საქართველოსგან განსხვავებით, რომელმაც ამ ავანტიურაზე ლამის უკანასკნელი ფსონიც კი დადო...**

— სპარსეთის ყურეში დღეს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური ინტერესებია თავმოყრილი და ამის გათვალისწინებით, ბუში მართლაც დანის პირზე დადის. ყველა იმ ოდიოზური სიტუაციების მიღმა, რასაც მის შესახებ ჰყვებიან თუ ქმნიან, ჯორჯ ბუში უაღრესად გაბედული პოლიტიკური ფიგურაა. იმდენად გაბედული, რომ ამაზე მსჯელობა პოლიტიკური შეფასების ჩარჩოებსაც შეიძლება გასცდეს. თუმცა, რეიგანს თუ გავიხსენებთ, ეს რესპუბლიკელების დამახასიათებელი თვისებაა. ზემოთ აღნიშნული, ერაყთან და კავკასიასთან დაკავშირებული გეგმის მოგების შემთხვევაში, ბუშის ადმინისტრაცია და მთლიანად, ამერიკა მსოფლიო პოლიტიკაში კარტ-ბლანშის მფლობელი ხდება. წარმოიდგინეთ, რა შეეძლება 300 მილიონი დოლარის პროფიციტის მქონე ქვეყანას, თუ იგი მსოფლიო ნავთობის გაკონტროლებას შეძლებს. ეს — მოგების შემთხვევაში. მაგრამ გეთანხმებით, რომ წაგებით — მხოლოდ პირადად ბუში წააგებს და არა ამერიკა. ბუშს შეეძლო, უბრალოდ, ეტირა და გამოეგლოვა 11 სექტემბერს დაღუპული საკუთარი 4000 მოქალაქე. სხვათა შორის, დემოკრატები სწორედ ასე მოიქცეოდნენ. კარიერის თვალსაზრისით, ეს უფრო წინდახედული ნაბიჯი იქნებოდა. მაგრამ არათუ სტრატეგიული კვლევის ცენტრები, საჟურნალო დონეზეც კი, პოლიტოლოგები საკამათოდ არ მიიჩნევენ იმას, რომ ნავთობითა და ნარკოტიკებით მომძლავრებული ისლამური ფუნდამენტალიზმი 11 სექტემბერზე არ გაჩერდებოდა. ის უფრო და უფრო მრავლის მომცველი და ძლიერი ხდება. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ისტორიული ქიშპობიდან გამომდინარე, ასეთი რევანში ბევრი მუსლიმანური ქვეყნისთვის და გავლენიანი პოლიტიკური ძალისთვის მაცდუნებელი აღმოჩნდა. ამერიკას კი იმდენად ჰქონდა შეტოპილი ამ ურთიერთობებში, რომ ან უნდა ჩაძირულიყო, ან გადამწყვეტ ბრძოლაზე წასულიყო, რადგან მსოფლიო აჯანყება აუცილებლად მოხდებოდა. გავიხსენოთ „რევოლუციების სპეციალისტის“, ლენინის ფორმულა: 1. დღევანდელ მსოფლიოში რომ „მასების“, ანუ ჩვენს შემთხვევაში, „მესამე სამყაროს“ აქტივობა გაზრდილია, საკამათო არ უნდა იყოს; 2. ქვედა ფენებს, ანუ არაბულ სამყაროს რომ ძველებურად ცხოვრება აღარ სურთ, ესეც ფაქტია. მათი იდეოლოგები დიდი ხანია მიხვდნენ, რომ დასავლეთი მათივე სიმდიდრით — ნავთობითა და სხვა წიაღისეულით — გამდიდრდა, თვითონ კი საუკუნეების მანძილზე, სულისშემძვრელ სიღარიბეში და ისევ დასავლეთის მიერ ინსპირირებულ შინაომებში ცხოვრობენ. რჩება მესამე ფაქტორის ამოქმედება — როდესაც „ზედა ფენებს“, ანუ დასავლეთს, აღარ ძალუძს ძველებურად მართვა. ამ სენტენციის წინააღმდეგ იბრძვის ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია და ეს ბრძოლა გადამწყვეტია... რაც შეეხება საქართველოს — შეიძლება ითქვას, რომ სიტუაცია, ფიგურალურად, აქაც ამერიკის ანალოგიურია — ბუშის პოლიტიკის მარცხის შემთხვევაში თუ ვინმე რამეს დაკარგავს, მხოლოდ შევარდნაძე და მისი გარემოცვა (ეს უკანასკნელი კი მეტადრე...), თორემ საქართველოს დასაკარგი რაღა დარჩა — ტერიტორიები? ეკონომიკა? პოლიტიკური სტაბილურობა? ერთადერთი — ორიენტაცია. უბრალოდ, ჭაობი, სახელად საქართველო, ოფიციალურად გაფორმდება რუსეთის სახელზე და ეგ იქნება. მაშინ რატომ არ უნდა გავრისკოთ? დღეს ზოგიერთი პოლიტიკოსი ამტკიცებს — რა განსხვავებაა რუსულ და ამერიკულ ჩექმას შორის, თუ ჩექმაა, ისევ რუსული იყოს, მიჩვეულები მაინც ვართო. ამერიკული გავლენა რუსულისაგან რომ არსებითად განსხვავდება, ეს გერმანიის და თურქეთის პოზიციამაც დაადასტურა. თურქეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გერმანია, მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, ამერიკის პლაცდარმად ითვლებოდა. დღეს ეს ქვეყნები პოლიტიკურად ამერიკას ეურჩებიან... ანალოგიურ შემთხვევაში პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, ან გნებავთ, იგივე საქართველო, რუსეთმა სისხლში ჩაახრჩო...

**— ერაყის პარალელურად, ამერიკის სტრატეგიული ავიაცია საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარსაც აკონტროლებს. სომხეთის არჩევნებზე განვითარებული მოვლენებიც ვაშინგტონის გავლენის გაზრდის აშკარა მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს. „გეგმიდან“ მხოლოდ თურქეთი ამოვარდა. უახლეს ისტორიაში ცნობილია, რომ ისლამური რევოლუცია ირანში, ამ ქვეყანაში ამერიკის გავლენის პიკს დაემთხვა და შედეგად, ვაშინგტონს იქ დაბანდებული მილიონობით დოლარის დაკარგვასთან შეგუება მოუხდა. თუ დღეს თურქეთში არსებულ ვითარებას და ანკარის პოლიტიკურ წრეებში ულტრა-რადიკალური ისლამისტების მზარდ გავლენას გავითვალისწინებთ, გამორიცხული არ არის, იქ ამერიკულ კაპიტალს ირანის ბედი ეწიოს. ასეთ შემთხვევაში, ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტსაც ხომ აზრი ეკარგება...**

— სომხეთს რაც შეეხება, ვაშინგტონმა აქ ჯერჯერობით მხოლოდ თავისი ძალის დემონსტრირება მოახდინა და დემირჭიანის აქტივობის რესურსი ბოლომდე ამოწურული არ არის. ქოჩარიანის და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ ერევანში გამართულმა მრავალათასიანმა დემონსტრაციებმა ცხადყო, რომ სომეხი ხალხისთვის რუსული ორიენტაცია პანაცეას სულაც არ წარმოადგენს. სხვათა შორის, ამ მხრივაც გადამწყვეტი მისია ისევ საქართველოს ეკისრება.

საუბარი აფხაზეთის რკინიგზით დავიწყეთ. როგორც აღვნიშნე, შევარდნაძე-პუტინის შეთანხმებაში რკინიგზის თბილისამდე გაგრძელების თაობაზე ვაშინგტონის ხელწერა ჩანს. ერევანი-თბილისი-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედებით სომხეთი საქართველოზე იქნება დამოკიდებული. ამის შემდეგ კი ყველაფერს მოვლენათა მსვლელობა გადაწყვეტს. ვაშინგტონისა და მოსკოვის პოლიტიკურ თამაშში ამ გადაწყვეტილებით საქართველოს „ფასი“ კიდევ უფრო იზრდება. თურქეთთან მიმართებაში კი, როგორც ჩანს, ვაშინგტონი სერიოზულად გადახედავს თავის პოლიტიკას. ის ფაქტი, რომ თურქეთში თეთრი სახლისთვის მოვლენათა არასასურველი განვითარების გამო ბაქო-ჯეიჰანის პროექტმა შესაძლოა აზრი დაკარგოს, საქართველოს წისქვილზე ასხამს წყალს. ასეთ შემთხვევაში, ამერიკა-საქართველოს ურთიერთობიდან მესამე ქვეყანა — თურქეთი — ამოვარდება და მთავარი დატვირთვა სუფსის ტერმინალზე გადავა.

*დაჩი გრძელიშვილი*



# 8 მარტს გამოვიდა პირველი ქართული გაზეთი!

ქართველების მაქსიმალიზმს საზღვარი არ აქვთ. გაზაფხულის დადგომასთან ერთად პირველივე კვირას ორჯერ ვიდღესასწაულეთ ქალთა დღე — ორივე უქმად გამოვაცხადეთ და კმაყოფილები ვართ... მაგრამ მხოლოდ ეს არ არის...

8 მარტი პრესის მუშაკთათვისაც განსაკუთრებული დღეა, რაც საერთაშორისო დღესასწაულს სულაც არ უკავშირდება. 1819 წლის სწორედ 8 მარტს, მაშინ, როცა ფემინისტი კლარა ცეტკინი ჯერ კიდევ არ მოვლინებოდა ამ ქვეყანას, საქართველოში გამოვიდა პირველი გაზეთი, რომელსაც ჯერ „საქართველოს გაზეთი“ უწოდეს, ხოლო შემდეგ კი „ქართული გაზეთი“ დაარქვეს.

ეს იყო ყოველკვირეული ორგანო, გამოდიოდა პარასკეობით. გამოცემის ინიციატორები, კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის ოფიცრები, ვარაუდობდნენ, რომ ხელმომწერთა რაოდენობა ხუთასს მიაღწევდა. წლიური ხელმოწერის ფასი ორი მანეთი გახლდათ...

ბევრი მცდელობის მიუხედავად, ხელმომწერთა რაოდენობამ 250-ს ძლივს გადააჭარბა, შემდეგ წელს კი გაცილებით დაიკლო, რის გამოც, „ქართული გაზეთის“ გამოცემა 1822 წელს შეწყდა კიდეც და ეს გასაგებიც არის. გაზეთში, ძირითადად, იბეჭდებოდა ინფორმაცია ხელისუფალთა საქმიანობის შესახებ, რაც, თქვენ წარმოიდგინეთ, საზოგადოებას მაშინ სულაც არ აინტერესებდა. აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა გაზეთის გვერდებზე მოთხრობა, ძირითადად, არაქართული და საშინლად ნათარგმნი. მოკლედ, ბევრს ეცადნენ თუ ცოტას, „ქართული გაზეთის“ თანამშრომლებმა მკითხველი ვერ დააინტერესეს...

1828 წლამდე საქართველოში ისევ ჩაკვდა საგაზეთო საქმე, ანუ მანამდე, სანამ დღის შუქი არ იხილა სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით გამოსულმა გაზეთმა „ტფილისის უწყებანი“... მაგრამ ასეა თუ ისე, პირველი ქართული გაზეთის გამოცემის თარიღად მაინც 1819 წლის 8 მარტი ითვლება.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...

რა და როგორ შეიცვალა, ეს ჩვენი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი... თითქმის ორმა საუკუნემ განვლო. სოკოებივით მომრავლებული საგაზეთო ჯიხურების თაროებზე უამრავი დასახელების გაზეთი აწყვია...

— დიდი ხანია აქ მუშაობთ? — ვეკითხები გაზეთის გამყიდველ ქალბატონს...

— კი, შვილო, თითქმის ოცდახუთი წელია...

— რამდენი დასახელების გაზეთს იღებთ?

— ორას სამოცდაათზე მეტს...

— ხშირად გამოდის ახალი დასახელების გაზეთი?

— ყოველ კვირას ემატება, შვილო...

— მერე რამდენ ხანს არსებობენ?

— გააჩნია... ზოგი წელი, ზოგი ორამდეც „ქაჩავს“, ზოგი რამდენიმე თვეს... სულ რამდენიმე, თითზე ჩამოსათვლელი დასახელების გაზეთია, რომლებმაც წლებს გაუძლო...

— იყიდება?

— ისე რა...

— კომუნისტების დროს მეტი გაზეთი იყიდებოდა თუ ახლა?

— მაშინ სულ რამდენიმე დასახელების გაზეთი გამოდიოდა დიდი ტირაჟით და თითქმის იმ დღესვე საღდებოდა. დღეს პურის ფული არა აქვს ხალხს და გაზეთს ვინღა დაეძებს? მეცოდება, ვისაც ნამდვილად უყვარს კითხვა, და ვათხოვებ ხოლმე გაზეთს. ერთი ქალია, ფული არა აქვს და ყველაფერს კითხულობს. როგორ დავუკავებ, მეცოდება, ყოველდღე ორ-ორ — სამ-სამ ჟურნალ-გაზეთს ვატან, ისიც ბედნიერია და მეც, ადამიანის გახარება რომ შევძელი...

საგაზეთო ჯიხურს ვცილდები და ვფიქრობ, ამდენი ჟურნალია, ამდენი გაზეთი, ჩვენ კი მაინც ვცდილობთ რაღაც ახალი, გულში ჩამწვდომი შევთავაზოთ მკითხველს... და გავახაროთ — მუდამ თქვენ გვერდით იგულეთ თქვენი (ჩვენი) გაზეთი, ჩვენო გემოვნებიანო მკითხველო...

პრესის ყველა მუშაკს ვულოცავთ ამ დღეს და ვთავაზობთ ნაწყვეტს ილია ჭავჭავაძის 1863 წელს დაარსებული ჟურნალიდან „საქართველოს მოამბე“ (№1), სადაც დაბეჭდილია ნ. დობროლიუბოვის „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგებანი“.

ალექსანდრე გავაცი, იტალიელი ბერი, დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხთა მასებში. იგი იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი რიგითი მონაწილე და ჯუზეპე გარიბალდის მხურვალე თანამგრძნობი იყო. ალბათ გასაგებია, რუსეთის ცარიზმის უღელქვეშ მოქცეული საქართველოს შვილის — ილიას დაინტერესება ამ „ქადაგებებით“ („მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგებანი“ ხელმოუწერლად იყო ნათარგმნი. ბოლო დროს კი დამტკიცდა, რომ თარგმანი ილიას ეკუთვნის). მით უმეტეს, რომ ალექსანდრე გავაცის ბევრი შეგონება დღესაც თანამედროვედ ჟღერს და ერთი მათგანი ჩვენც, ჟურნალისტებსაც გვეხება...

„ჟურნალისტობამ უნდა გამოიყენოს მშვენიერი დონე მამულის სასარგებლოდ. მეჟურნალენო! თქვენი დანიშნულება დიდია, პატიოსნური და მაღალი... აღასრულეთ იგი, როგორც ხალხის სალოცავი! მოიშორეთ თავიდამ ყვედრება, ცილისწამება, ერთმანეთის მტრობა, რომლითაც ყოველ დღეს ეგრე ამცირებენ თავის თავსა უცხო ქვეყნის ჟურნალები... გაბედეთ ერთხელ და სამუდამოდ, — და მიეცით თავი ხალხის აღზრდასა, ჩაგონებასა, ხალხის განათლებასა“...

*ეკა მახარაშვილი*



*ისიდორე კვიცარიძის ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“. XIX საუკუნე*

**„მეჟურნალენო! თქვენი დანიშნულება დიდია, პატიოსნური და მაღალი...“**

# სკოლა პოლიტიკური დაპირისპირების ასპარეზად იქცევა?

მას შემდეგ, რაც საკრებულო გამოვიდა ინიციატივით, თბილისის სკოლებში არჩევნების გზით შექმნილ სამეურვეო საბჭოს აერჩია სკოლის დირექტორი, განათლების სამინისტროსა და დედაქალაქის საკრებულოს შორის ომი დაიწყო. საზოგადოების საქმეში ჩახედულ ნაწილს მიაჩნია, რომ საკრებულოში „ველოსიპედის გამოგონების“ იდეით არიან შეპყრობილნი. გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს განათლების მინისტრთან **ალექსანდრე კარტოზიასთან**.

— 29 იანვარს საკრებულომ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება, თბილისში მუნიციპალური საჯარო სამართლის იურიდიული პირის — სკოლის (მუნიციპალური სკოლის) — დაფუძნების შესახებ. ამ საკითხის მოგვარება ქალაქის მთავრობას დაევალა. არსებული კანონის თანახმად, არც ერთ მათგანს ამის უფლება არა აქვს, მით უფრო, რომ იუსტიციის სამინისტრომაც დაადასტურა, რომ ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონს. ახლა იუსტიციის სამინისტროს უფლება აქვს სასამართლოში იჩივლოს მისი მითითების უგულებელყოფის გამო. სასამართლოში ჩივილს განათლების სამინისტროც აპირებს. საკრებულოს და ქალაქის მთავრობის გადაწყვეტილების თანმხლებ დებულებაში მითითებულია, რომ სკოლაში შეიქმნება სამეურვეო საბჭო, რომელიც აირჩევს დირექტორს, რასაც ჩვენ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით. მსოფლიოში არსად არ ხდება ასეთი რამ. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში სცადეს სკოლის დირექტორის არჩევა, მაგრამ ცხადი გახდა, რომ ეს წამგებიანი სვლა იყო. ჩვეულებრივ, მშობლები და მასწავლებლები დირექტორად ირჩევენ ლოიალურ, რბილი პოლიტიკის გამტარებელ ადამიანს, რომელიც ნაკლებადაა ორიენტირებული განათლების ხარისხზე, ანუ რომელიც მეტად „აწყობთ“. საკრებულოს, როგორც იქნა, გავაგებინეთ ეს. მაგრამ ნახეთ, როგორი „უკანდახევა“ მოხდა — ნუ ავირჩევთ, დავნიშნოთ დირექტორი, ოღონდ მას პრემიერი დანიშნავსო.

— **ეს შესაკრებთა გადანაცვლებას ხომ არ ჰგავს, პრემიერს მეურვეთა საბჭოს მიერ შერჩევის გარეშე შეეძლება დირექტორის დანიშვნა?**

— რა თქმა უნდა, არა. სააკაშვილი კარზე მომდგარი საპარლამენტო არჩევნების ფონზე დაინტერესებულია, თბილისში არსებულ სკოლებს საკრებულოს მმართველი პარტია დაეპატრონოს.

— **თქვენ წინააღმდეგი ხართ, რომ ბიუჯეტისთვის გამოყოფილი თანხები სამეურვეო საბჭოს ხელში მოხვდეს, არადა იდეის ინიციატორები მიიჩნევენ, რომ ეს კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა.**

— ეგ იმისთვისაა მოგონილი, საზოგადოება რომ დაარწმუნონ, თითქოს სკოლებში ფინანსური მენეჯმენტის გაუმჯობესებას აუცილებლად სჭირდება ჩაფიქრებული პროექტის განხორციელება. სააკაშვილი ამბობს — სარევიზიო კომისიის კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ დედაქალაქის განათლების სისტემისთვის გამოყოფილი 38 მლნ ლარიდან ნახევარზე მეტი დანიშნულების ადგილამდე არ მისულა. ამიტომ სკოლას ვპირდები, თქვენთვის გამოყოფილ ფულს მერიის ჩინოვნიკებს კი არ განვაკარგვინებ, პირდაპირ თქვენ მოგცემთ. დირექტორებზე უკეთ არავინ იცის, რა სჭირდება სკოლას და ვერავინ დაგიწესებთ ფულის ხარჯვაზე კონტროლსო. მას ჰგონია, რომ დირექტორები სატყუარას წამოეგებიან და დაიჯერებენ, რომ ფულის ხარჯვაში მაკონტროლებელი მართლა აღარ ეყოლებათ. როგორ შეიძლება საბიუჯეტო სახსრები უკონტროლოდ დაახარჯვინო ვინმეს?! თუ საკრებულოს სურს ფული პირდაპირ სკოლის ანგარიშზე დაჯდეს, ეს ახლაცაა შესაძლებელი, სკოლას ახლაც გააჩნია პირადი ანგარიში.

— **საკრებულოს გადაწყვეტილებას მომხრეები ჰყავს პარლამენტში, რაც ცხადი გახდა საკითხის საკომიტეტო მოსმენისას.**

— როგორც კი ცნობილი გახდა, რომ ამ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას შეჩერება უწერია, „ნაციონალისტების“ მეგობრებმა, „გაერთიანებულმა დემოკრატებმა“ განიზრახეს სააკაშვილის უკანონო გადაწყვეტილების ლეგალიზება. საკომიტეტო განხილვაზე დაისვა შეკითხვა — თუ არა განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, მაშ რისთვის არის ამგვარი ცვლილებები საჭირო, რა არის მიზანიო, იცით, ვასილ მაღლაფერიძემ რა პასუხი გასცა ირონიულად და ქილიკით? — დესტაბილიზაცია და ქაოსიო, — ვითომ ხუმრობით იყო ნათქვამი. სკოლაღა დარჩათ ასარევი... ვფიქრობ, პარლამენტში სალად მოაზროვნე ადამიანები ჭარბობენ და დანგრევისაკენ მიმართული კანონპროექტი ვერ გავა.

— **სააკაშვილიც და „დემოკრატებიც“ ხშირად ახსენებენ პრეზიდენტის 2000 წლის 17 აპრილის დადგენილებას ანტიკორუფციული ღონისძიების შესახებ, სადაც ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, განათლების სისტემაში უნდა მოხდეს გარდაქმნები, საჭიროა სკოლის დირექტორის არჩევა და სხვ.**

— ეს არის ანტიკორუფციული საბჭოს მიერ მომზადებული რეკომენდაცია, რომელიც ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. არ შეიძლება სამეურვეო საბჭოს დღესვე მივცეთ დირექტორის არჩევის უფლება, ხანგრძლივი გზაა გასავლელი იმისათვის, რომ არ მოხდეს დემოკრატიზაციის იდეის დისკრედიტაცია, როგორც ამას ცდილობენ საკრებულოში. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში თავს იკავებენ, მიანიჭონ სამეურვეო საბჭოს დირექტორის არჩევის უფლება.

განათლების მინისტრთან საუბრის შემდეგ კომენტარისათვის უცნაური ხუმრობის ავტორს **ვასილ მაღლაფერიძეს** მივმართეთ კითხვით, რას ისახავს მიზნად განათლების შესახებ კანონში ცვლილების მცდელობა და რას ნიშნავდა მისი ხუმრობა?

— კანონპროექტი განათლების სისტემის დემოკრატიზაციას ისახავს მიზნად. არა რაღაც არნახულს, არამედ იმას, რაც მთელ მსოფლიოში ხდება, ანუ სკოლისთვის გამოყოფილი თანხები პირდაპირ სკოლაში უნდა მიდიოდეს. სამინისტრო კი, სკოლებში სტანდარტების დამდგენი და მისი შემმოწმებელი უნდა იყოს, ხოლო დირექტორებს უნდა ნიშნავდეს ადგილობრივი თვითმმართველობს ორგანო. თქვენ გგონიათ სკოლა საჯარო სამართლის იურიდიული პირია? არ დაიჯეროთ. სამწუხაროდ, სკოლას სტატუსი არც აქამდე ჰქონია და არც აქვს. სკოლას არც თავისი ანგარიში აქვს ბანკში. საკომიტეტო მოსმენაზე 3 საათი განვმარტავდი ჩვენი კანონპროექტის არსს და განათლების მინისტრის მოადგილემ მკითხა, რა მიზანს ისახავს ეს კანონპროექტიო — ვუპასუხე, დესტაბილიზაციას და ქაოსს-მეთქი და ეს იმიტომ ვთქვი, რომ სწორედ ამის გაგონება სურდათ მათ. კომიტეტის მოსმენაზე, სამწუხაროდ, რამდენიმე ექსპერტის გარდა, კანონპროექტს არავინ იცნობდა — არც კომიტეტის წევრები, არც სამინისტრო. ამიტომაც გაისმოდა მოსმენის დროს გზას აცდენილი შეკითხვები, იყო არაკვალიფიციური მსჯელობა და ლაი-ლაი. კანონპროექტის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ფული პირდაპირ წავიდეს სკოლაში, არ მოიპარონ ჩინოსნებმა და ვინც დააფინანსებს სკოლას, იმან დანიშნოს დირექტორიც.

*ეკა ლომიძე*

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „მდინარის ზედაპირზე ულამაზესი ქალი ტივტივებდა“ — 105 ხმა
2. **თემურ ჭკუასელი** — „გამარჯობა, მამა!“ — 93
3. **დიანა ჭანკოტაძე** — „რითი დაიწყო ყველაფერი?!“ — 83
4. **დაჩი გრძელიშვილი** — „როგორი ტომიც ვართ, ზუსტად ისეთი ბელადი გვყავს...“ — 59
5. **მარინა ბაბუნაშვილი** — „შვილო, მთელი ცხოვრება გეძებ...“ — 28
6. **ლელა ჯიყაშვილი** — „ზოზო — კეთილი გოლიათი, ანუ მსოფლიოს მერვე საოცრება“ — 27
7. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „სენსაციური ინტერვიუ ქართველ კონტრაბანდისტთან, რომელსაც საზღვარზე „ცოცხალი საქონელიც“ გადაჰყავს“ — 21
8. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 15

9-10. **ინგა ჯაყელი** — „კაცი ძაღლის ხუხულაში“ — 14

9-10. **დაჩი გრძელიშვილი** — „მცხეთა — წმინდა ქალაქი, ბიზნესცენტრი თუ ორივე ერთად...“ — 14



თქვენი პრემია — 50 ლარი კვლავ **ვაჟა გავაშელმა** დაიმსახურა.

„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 507-მა რესპონდენტმა გამოავლინა.



# „საზიზღარ კრიმინოგენულ ჭაობში ვართ“

## „მიხარია რომ გამოუშვეს, მაგრამ ხომ ვგრძნობ, რომ დამნაშავე იყო...“

გასულ კვირას ქუთაისის შავი სამყაროს ავტორიტეტი, გიორგი ბაბუნაშვილი შსს-ს იზოლატორში ჯინსის შარვალზე ჩამოხრჩობილი ნახეს. პოლიციის ვერსიით, 27 წლის გიორგიმ თავი მოიკლა. თუმცა, იუსტიციის სამინისტროს ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა გარდაცვლილს ექსპერტიზა ჩაუტარა, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ ბაბუნაშვილს თავი არ მოუკლავს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ნაცემია, ნიკოლეიშვილი აცხადებს, რომ აღნიშნული დაზიანებები სასიკვდილო არ იყო. მაშინ საინტერესოა, რა ვითარებაში გარდაიცვალა ბაბუნაშვილი? ამაზე ცოტა მოგვიანებით, მაია ნიკოლეიშვილთან ინტერვიუში ვისაუბრებთ. მანამდე კი საინტერესოა, ვინ იყო გიორგი, იგივე გოგიტა ბაბუნაშვილი და რა ვითარებაში დააკავეს?

გოგიტა ბაბუნაშვილი თავის დროზე ყაჩაღობის ბრალდებით იყო ნასამართლევი. ამჯერად, პოლიციას ჰქონდა ეჭვი, რომ იგი ქუთაისელ გამტაცებელთა იმ ჯგუფში იყო, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ ზესტაფონელი 13 წლის გიორგი სარდალაძე გაიტაცა. როგორც ჩანს, მტკიცებულების არარსებობის გამო იგი შსს-ს დროებით იზოლატორში ნარკოტიკების მოხმარებისთვის აღმოჩნდა. სავარაუდოდ, პოლიციამ ნაცად ხერხს მიმართა და გოგიტა ბაბუნაშვილს ფიზიკური ზემოქმედებით დაუწყეს გამოტეხვა. ოფიციალურად არც ჩვენებებით და არც ახსნა-განმარტებებით არ ჩანს, ათქმევინეს თუ არა რამე ბაბუნაშვილს. მაგრამ აქ თავს იჩენს ერთი ვითარება. ერთ-ერთი ინფორმაციით, ბაბუნაშვილი ცოტა ხანში „კანონიერი ქურდი“ უნდა გამხდარიყო. არ არის გამორიცხული, რომ პოლიციამ მისი „გაფუჭება“ შეძლო და ბუნებრივია, ასეთ სიტუაციაში იგი თავს აღარ იცოცხლებდა. მეორე მხრივ, თუ მაია ნიკოლეიშვილი დაადასტურებს, რომ გიორგი ბაბუნაშვილი ჯინსის შარვლით ჩამოხრჩობილი არ არის და ეს იყო ინსცენირება, მაშინ მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება — ის ცემა-ტყეპის დროს აირწინაღით „შემოეგუდათ“ ან მოწამლეს, რამაც ასფიქსია გამოიწვია. ვესაუბრებით გიორგი ბაბუნაშვილის ნათესავს, ვის ბინაშიც დააკავეს დაღუპული.


გოგიტა ბაბუნაშვილი

**იზა** (ნათესავი): 26 თებერვალს, დაახლოებით 12 სთ-ზე, დილით ვიღაცამ ეზოში დაიძახა. გოგიტაც ჩვენთან იყო. ის ჩემი რძლის ძმა იყო. როდესაც გავიხედე — ვინ გნებავთ-მეთქი, მოულოდნელად სამნი შემოვარდნენ. ამ დროს გოგიტა ტელეფონზე საუბრობდა. პოლიციას წინააღმდეგობა გავუწიეთ, სახლში არ ვუშვებდით, გვკრეს ხელი და ლანძღვა-გინებით შემოცვივდნენ. გოგიტამ უთხრა: იარაღი არ იხმაროთ, მოგყვებით, რა ხდებაო. ერთი მივიდა, თავში დაარტყა. ვეკითხები: რისთვის აკავებთ, ის მაინც გვითხარით-მეთქი. ზესტაფონში 13 წლის ბავშვის გატაცებაშია ეჭვმიტანილიო. კიბეზე რომ ჩაჰყავდათ, გოგიტა მეძახდა: იზა, ტყუილს გეუბნებიან, არ დაუჯეროო. ძალით შეტენეს მანქანაში და წაიყვანეს. ორი დღე ვეძებდით. მერე ადვოკატს დავურეკეთ და ძლივს ვიპოვეთ. შემთხვევით აღმოვაჩინეთ ნარკოლოგიურ განყოფილებაში... გამორიცხულია, რომ თავი მოეკლა. ვფიქრობ, შემოაკვდათ. პარასკევს, ადვოკატებმა რომ ნახეს, თქვეს, ძალიან მაგარი ნაცემია, ისე, რომ პასუხიც ვერაფერზე გაგვცაო. გაბრუებული ჰყავდათ თუ რა სჭირდა, არ ვიცი.

— **რა ინტერესი ჰქონდათ, რომ მოეკლათ?**

— ამბობენ, რომ ქუთაისის პოლიციის უფროსი თემურ ნოზაძე ჰყავდა გადაკიდებული და რატომ, არ ვიცი. აბრალებდა მობილური ტელეფონების ყაჩაღობაში მონაწილეობას, დაუკავებია, თუმცა ვერ დაუმტკიცა ბრალდება და მაშინ დამუქრებია: „მაინც მოგსპობ, მაინც გაგანადგურებო!“

**ირაკლი მახათაძე** (ადვოკატი): „5 თებერვალს, ქუთაისის პოლიციის მე-2 განყოფილების მუშაკებმა, თემურ ნოზაძის დავალებით დააკავეს ბაბუნაშვილი, ქოჩიაშვილი და ლოსაბარიძე. თითქოს მათ ერთ-ერთი ოჯახი დააყაჩაღეს და იქიდან მობილური ტელეფონები წამოიღეს. როცა დადგინდა, რომ დაკავებულებს ეს ტელეფონები ნაყიდი ჰქონდათ, იძულებულნი გახდნენ გაეშვათ. თუმცა კორიდორში მესმოდა ნოზაძის ხმა, სამივეს ან „გავაპეტუხებ“, ან მოვკლავ, ან ქალაქს დავატოვებინებო. ამას მოჰყვა დაკავება 25-ში.


მაია ნიკოლეიშვილი

— **ნოზაძეს მობილური ტელეფონის გარდა, სხვა ბრალდება თუ ჰქონდა ბაბუნაშვილის მიმართ?**

— ბაბუნაშვილი ნასამართლევი იყო, ნოზაძე ირწმუნება, რომ ის იყო შავი სამყაროს წარმომადგენელი... ახლა აცხადებს, ალბათ იმიტომ მოიკლა თავი, მიხვდა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაული რომ გაიხსნებოდაო. პირადად მე ნოზაძემ შავი სამყაროს წარმომადგენლები მომიგზავნა და დამემუქრა — გაგაქრობო. სრულიად არ მეშინია. თავიდან ბაბუნაშვილების ოჯახს დაუკავშირდა და ჩემზე უთხრა, ის „წაკლა“, რიჟა-მურთხი ადვოკატი მოიშორეთ, თორემ ტელევიზიით გამოვალ და საზოგადოებას დავარწმუნებ, რომ გიორგი ბაბუნაშვილს გაუპატიურებული ჰყავს 13 წლის ბიჭიო.

— **როგორც თქვით, ნოზაძემ შავი სამყაროს წარმომადგენლები მოგიგზავნათ. თავად ეს პირები რა ურთიერთობაში იყვნენ ბაბუნაშვილთან, უპირისპირდებოდნენ თუ არა ისინი ერთმანეთს?**

— ერთმანეთთან არავითარი შეხება არ ჰქონიათ. ისინი მოვიდნენ და მითხრეს: „შენ რომ ნოზაძეს ამხელ, ამით ჩვენ „პალაჟენიე“ გვიფუჭდება. თავი დაანებე პოლიციის შეფს, მაგ კაცის მოსვლაში ჩვენი „ობშიაკის“ ფულიც არის ჩადებული, თორემ „აგიშვებთ ჰაერშიო“. ფიზიკურად მათი ამოცნობა შემიძლია.

— **თქვენ იზოლატორში ბაბუნაშვილს შეხვდით, რაზე ისაუბრეთ?**

— მას საუბრის თავი არ ჰქონდა. დაკონკრეტება ვერ მოასწრო, მხოლოდ ის გვითხრა, ძალიან მძიმე დანაშაულში მედავებიან, სიკვდილითაც მემუქრებიან და არ მიმატოვოთო.

— **რა ჩვენება მისცა ბაბუნაშვილმა შსს-ს იზოლატორში?**

— არავითარი ჩვენება ბაბუნაშვილს ოფიციალურად არ მიუცია.

— **ხომ არ ფიქრობთ, რომ ბაბუნაშვილს რაღაც ათქმევინეს, რის გამოც, მას შავ სამყაროსთან შეიძლება, პრობლემები შეჰქმნოდა?**

— გამოვრიცხავ, უფრო მგონია, რომ ცემაში შემოაკვდათ და შემდეგ „ჩამოახრჩვეს“.

ამჟამად სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურაში. გამომძიებელმა სოსო გორგაძემ „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას განაცხადა, რომ ბაბუნაშვილის გვამის ლაბორატორიულმა გამოკვლევამ დაადასტურა ოპიუმის მიღება. ხოლო რაც შეეხება ზესტაფონელი ბავშვის გატაცებას, ამის შესახებ არაფერი იცის.

ახლა კი გთავაზობთ დაპირებულ ინტერვიუს **მაია ნიკოლეიშვილთან.**

— **ქალბატონო მაია, რა შეგიძლიათ თქვათ ბაბუნაშვილთან დაკავშირებით, შემოაკვდათ თუ მართლა თვითმკვლელობა იყო?**

— ყველაფერი შეფარდებითია. ბაბუნაშვილს ექსპერტიზის ჩატარებისას ჰქონდა მძიმე დაზიანებები, მაგრამ უარესი შემიძლია გაჩვენოთ ფოტოებზე (გვაჩვენებს სხვადასხვა ფოტოს. — მ.მ.). ბაბუნაშვილს ჰქონდა სისხლნაჟღენთები გულმკერდის, ზურგის მიდამოებში. არის სხვადასხვა ხანდაზმულობის — ერთი კვირის და სიკვდილამდე, ცოტა ხნით ადრე მიყენებული. ჰქონდა ასევე ჭრილობები. მარჯვენა ხელის მიდამოში მიყენებული აქვს 3 სმ სიღრმის ჭრილობა. გარდა ამისა, მარჯვენა ხელზე კიდევ აქვს ორი ჭრილობა, შედარებით მსუბუქი. ჰქონდა ასევე წერტილოვანი ნაჭდევები ზურგისა და ხელის მიდამოებში. რაც შეეხება ასფიქსიას, ჩამოხრჩობის კვალი ვერ ვნახეთ. მესმის, რომ ასეთ კვალს მკვრივი მასალა ტოვებს, მაგრამ ამ შემთხვევაში სანახავია ჯინსი. როგორი ფაქტურისაა, დატოვა თუ არა ანაბეჭდი. ფაქტია, რომ კისერზე გვამური ლაქის მეტი არაფერი ყოფილა. ამ საქმეში დაგვეხმარებიან ჩვენი ამერიკელი კოლეგებიც, რომლებიც ამჟამად აქ იმყოფებიან და ტრენინგებს გვიტარებენ.

— **რატომ გაძნელდა ასფიქსიის დადგენა?**

— ჩვეულებრივი მავთული ან თოკი ტოვებს დამახასიათებელ კვალს. ამ შემთხვევაში კი გვეუბნებიან, რომ თავი ჯინსის შარვალზე ჩამოიხრჩო და ამიტომ კვალი არ არის. სანამ ჯინსის შარვალს არ გამოვიკვლევთ, ვერ ვიტყვით ჩამოხრჩობილია თუ არა. გარდა ამისა, გარდაცვლილს მარჯვენა ხელი შეხვეული ჰქონდა. გასარკვევია, შეეძლო თუ არა მას ჯინსის შარვლით მარყუჟის გაკეთება. ეს არ არის უბრალო შემთხვევა. წარმოიდგინეთ, კი არის ნაცემი, მაგრამ როგორც გითხარით, სასიკვდილოდ არა. თითქოს ჯინსის შარვლითაა ჩამოხრჩობილი, მაგრამ ჩამოხრჩობის კვალი არ ჩანს. მთელი რიგი კრიმინალისტური კვლევების ჩართვაა საჭირო. გამოსაკვლევია სისხლში ნარკოტიკული და მომწამვლელი ნივთიერებები.

— **ანუ ფიქრობთ, რომ შესაძლოა მოეწამლათ?**

> — ჩემზე უთხრა, ის „წაკლა“, რიჟა-მურთხი ადვოკატი მოიშორეთ, თორემ ტელევიზიით გამოვალ და საზოგადოებას დავარწმუნებ, რომ გიორგი ბაბუნაშვილს გაუპატიურებული ჰყავს 13 წლის ბიჭიო.

— ფაქტია, რომ სიკვდილი ასფიქსიური ხასიათისაა. ეს კი შეიძლება სხვადასხვა მიზეზმა გამოიწვიოს. დასკვნისკენ მივდივართ გამორიცხვის მეთოდით.

— **რამდენად იძლევა არსებული ლაბორატორია კვალიფიციური დასკვნის მიღების საშუალებას? და მაინტერესებს, ბოლოს და ბოლოს, ამერიკიდან ჩამოგივიდათ თუ არა სააკაშვილის დიდი ხნის წინ დანაპირები ლაბორატორია?**

— რა თქმა უნდა, ამერიკაში ნანახ ლაბორატორიებთან შედარებით ძალიან მწირია ჩვენი ბაზა. ეს არის საბჭოური პერიოდის აპარატურა, რომელიც ჯერ კიდევ სუნთქავს. ამ აპარატურითაც შეიძლება ბევრ რამეზე პასუხის გაცემა. ისე, თუ იმ ლაბორატორიას მოვესწარი, ჩვენს აპარატურას სამუზეუმო ექსპონატად შევინახავ, იმიტომ, რომ 40-50-იანი წლების დროინდელია.

2001 წლის ივნისში, როდესაც მე დავინიშნე, დაიდო ხელშეკრულება, რომელშიც წერია, რომ ეს არის საქართველოში კრიმინალისტური ლაბორატორიის განვითარების მხარდაჭერის პროექტი. ოქტომბერში ჩამოვიდა სამი საზღვაო კონტეინერი. ეს არის ლაბორატორიის მეხუთედი. ოქტომბრიდან იგი განბაჟებული დევს ამერიკის საელჩოს ტერიტორიაზე.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ ამ ტექნიკის ასამუშავებლად საჭიროა ტემპერატურული რეჟიმი. არ არის ეს ის ჯართი, რომელსაც მიჩვეულები ვიყავით და ზოგჯერ გაუხსნელი ლპებოდა. არც მე და არც ამერიკელები ამას არ დავუშვებთ, დიდ ფულს ქუჩაში არავინ გადაყრის.

ამისთვის ამერიკელები ითხოვენ ერთადერთს, — რომ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრს გადმოეცეს ბალანსზე შენობა მთლიანად. სანამ ეს შენობა მთლიანად ჩვენი არ გახდება, რემონტი არ დაიწყება.

— **რა გიშლით ხელს?**

— რომ გითხრათ, სასაცილო იქნება, მაგრამ დღეს თქვენც გახდით ამ საუბრების მოწმე. გუშინ კობა ნარჩემაშვილისგან მივიღე თანხმობა, რომ ის პრეზიდენტის განკარგულებას წინ არ აღუდგება და ყველანაირად ხელს შეგვიწყობს; მაგრამ წარმოიდგინეთ ამას ვერ მივაღწიეთ ოქტომბრიდან დღემდე. სხვადასხვა უწყებას ძალიან ჩუმად, ძალიან კულუარულად უნდოდა ამ ლაბორატორიის ხელში ჩაგდება. არადა, იმ დალოცვილ ხელშეკრულებაში წერია, რომ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრის ბაზაზე უნდა შეიქმნას უწყებათაშორისი (ანუ ყველასი) ლაბორატორია, რომელსაც მხოლოდ ერთ უწყებას გადასცემენ. ისინი არ დაანაწევრებენ მას. საქმეში უკვე ამერიკის ელჩიც ჩაერია. მან ბატონ გელა ჩარკვიანს უთხრა, რომ თუ ეს საკითხი 60 დღეში არ გადაწყდება, ლაბორატორიას საქართველო აღარ მიიღებს. 8 თებერვლიდან დაიწყო ათვლა და თუ ეს 60 დღე ისე გავა, რომ საკითხი არ გადაწყდება, საუკეთესო შემთხვევაში ლაბორატორია წავა ან სომხეთში, ან აზერბაიჯანში. ეს ლაბორატორია ჩვენს ქვეყანას სჭირდება. იცით ეს რა მნიშვნელობის საქმეა? ელემენტარულად აღარ მოხდება მტკიცებულების გაყალბება, წარმოგიდგენიათ?! პროფესიული უსუსურობის გამო ცემა-წამებით რომ სურთ მტკიცებულების ამოქაჩვა, ეს აღარ მოხდება. ამ ცემა-წამებების წყალობით უნებურად მიწევს დამნაშავის დაცვა, რომლის მიმართაც სიმპათია არასოდეს მექნება. არ მსურს დამნაშავე დადიოდეს იმ საზოგადოებაში, სადაც ჩემი შვილები დადიან. დააშავა, წავიდეს, იმას თავისი ადგილი აქვს. ნაწამებს რომ ვნახულობ და შემდეგ მას სასამართლოდან ათავისუფლებენ, რადგან დასაბუთდა, რომ აღიარებითი ჩვენება წამებით იქნა მოპოვებული, გგონიათ, არ ვიცი, რომ ის დამნაშავე იყო? მიხარია, რომ გამოუშვეს, მაგრამ ხომ ვგრძნობ, რომ დამნაშავეა?! ანუ ხელი შევუწყვეთ დამნაშავის გამოშვებას. მოდი და დამნაშავეს დაუმტკიცე დანაშაული, იყავი პროფესიონალი და ნუ აწამებ.

— **რამდენად ხშირია წამების ფაქტები?**

— ძალიან ხშირია. რა თქმა უნდა, აწამებენ პოლიციაში. ციხიდან არ მომსვლია არც ერთი სიგნალი. მე გიჩვენებთ ფოტოს, რომელზეც აღბეჭდილია ნაწამები პიროვნება, რომელსაც ყაჩაღობის აღიარებას სთხოვდნენ, პიროვნება ამბობს — არაფერ შუაში ვარო. გამოუშვეს, ოღონდ დაემუქრნენ, თუ იტყვი, რომ გცემეთ, მოგკლავთო. ამიტომ გვარს ვერ დაგისახელებთ. აბსოლუტურად დათრგუნვილი მოვიდა. ველოდები, როდის დამრთავს ნებას, ვთქვა მისი გვარი ხმამაღლა...

საზიზღარ კრიმინოგენულ ჭაობში ვართ, როდესაც ქურდი თაობის იდეალი ხდება. აღარ მინდა გავაგრძელო... ეს არ იქნება, ყველა რომ ფეხზე დავდგეთ და ჩვენი საქმე პროფესიონალურად და კეთილსინდისიერად ვაკეთოთ.

***მარინა მამისაშვილი***

# „ეგღა მაკლია, ვიღაცამ უნდობლობა გამომიცხადოს!“

## „მოშიმშილე პატიმრებმა ვიღაცის დაკვეთა შეასრულეს და შესაძლოა, ფულიც აიღეს!“

*რამდენიმე დღის წინ კულუარებში ითქვა — ექსთავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი „მოქალაქეთა კავშირში“ გადადისო. ამ, თითქოს დაუჯერებელ ჭორს არსებობის საფუძველი ნამდვილად ჰქონია (ზოგიერთებისთვის) — „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე, სახელმწიფო მინისტრი ავთო ჯორბენაძე ყარყარაშვილის ნათესავი ყოფილა (ბატონი ავთოს სიმამრი და ბატონი გია ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან). თურმე ექსთავდაცვის მინისტრი კარგად არის განწყობილი „მოქალაქე“ ნათესავის მიმართ და სხვა პარტიულობის გამო მასთან შუღლის ჩამოგდებას ნამდვილად არ აპირებს. ეტყობა, სწორედ ამის გამო გაუჩნდა ეჭვი მავანს და ჭორიც აქედან გავრცელდა... ყველაფერი უმტკივნეულოდ ჩაივლიდა, ყარყარაშვილის შესაძლო „გამოქალაქეების“ ამბავს, სხვა ამბავი რომ არ მოჰყოლოდა — გეგუთის კოლონიაში ხუთმა პატიმარმა ყარყარაშვილს უნდობლობა გამოუცხადა და შიმშილობა დაიწყო, — ექსთავდაცვის მინისტრმა წინასაარჩევნოდ გამოგვიყენა და ახლა უპატრონოდ მიგვყარაო.* ***გია ყარყარაშვილი*** *ამ აჟიოტაჟს პოლიტიკურ სარჩულს უძებნის და ამბობს, პატიმრები ვიღაცამ გააბრიყვაო:*

— შარშან საკუთარი ინიციატივით დავიწყე მსჯავრდადებული მეომრების საქმეების შესწავლა. მინდოდა მათთვის სიკეთე გამეკეთებინა. არ უნდათ და არ გავეკარები ამ საქმეს. პარლამენტში შეწყალების კომისია არ არსებობს, იგი შექმნა პრეზიდენტმა. მე მისი წევრი არ ვარ და როცა მოვითხოვე, კომისიის სხდომას არ დამასწრეს — მეტიც, საერთოდ არ შემიშვეს.

პრეზიდენტის შეწყალების კომისიას 250-კაციანი სია გადავეცი. განიხილეს და ვიღაც შეიწყალეს, ვიღაც — არა. ამ პროცესზე ზემოქმედების შესაძლებლობა არ მქონდა. ამიტომაც მიცხადებენ უნდობლობას. ეგღა მაკლია, ვიღაცამ უნდობლობა ან ნდობა გამომიცხადოს.

— **მხოლოდ ის ხუთი პატიმარი გაგინაწყენდათ?**

— ხუთნი შიმშილობენ... შარშან, როცა ამ საქმეს მოვკიდე ხელი, სად იყო არჩევნები?! წლევანდელ არჩევნებში კი საერთოდ არ ვაპირებ მონაწილეობას. ვის რაში სჭირდება იმ ხუთი კაცის მხარდაჭერა ან საყვედური?! მათი განცხადებების მიღმა დიდი სიბინძურე იმალება. ხუთივე ვიღაცამ გააბრიყვა და ალაპარაკებენ, ამისათვის ისინი საკადრის პასუხს მიიღებენ. სანამ ბოდიშს არ მოიხდიან და არ მთხოვენ ამ საქმეში ჩართვას, მანამ არ მივუბრუნდები პატიმრების შეწყალების საქმეს. ახლა ელოდონ, როდის გამოვლენ ციხიდან და ვინ აღმოჩნდება ის კეთილი ბაბუა, რომელიც მათთვის ისევე იწვალებს, როგორც — მე.

— **ბოლო დროს ხმა გავრცელდა, რომ „მოქალაქეთა კავშირის“ სიით აპირებთ პარლამენტში მოსვლას და ყოფილი მეომრების მხარდაჭერაც სახელისუფლებო პარტიის სასარგებლოდ გინდათ... მართლა შემოგთავაზეს „მოქალაქეთა კავშირში“ გაერთიანება?**

— დიახ, იყო ასეთი წინადადება. გარდა ამისა, ბოლო ერთი კვირის მანძილზე თითქმის ყველა პარტიამ მთხოვა, მათთან გაწევრება.

— **მერე რას ფიქრობთ?**

— არაფერს, ყველას უარს ვეუბნები.

***(გაგრძელება იხ. გვ. 8)***

# „შავი ორშაბათი"?



## ხელისუფლება კონტრაბანდასთან ბრძოლას უკვე მერამდენეჯერ ორშაბათიდან იწყებს

ჩვევად მაქვს და ამას ჟურნალისტური ეთიკაც მკარნახობს, როცა კრიტიკული სტატიის მომზადებას დავიწყებ, მხოლოდ დაზარალებულის ან ინფორმატორის განცხადებებს არ ვჯერდები და თუ ამის მცირეოდენი შესაძლებლობაც მაქვს, ყოველივე ის, რაც დაზარალებულ რესპონდენტს თავს გადახდა, ვცდილობ, საკუთარ თავზე გამოვცადო. ამიტომაც სახელმწიფო ჩინოვნიკებს, რომლებიც კორუფციის ჭაობში არიან ჩაფლულები, ხან კონტრაბანდისტად ვევლინები, ხან — ფალსიფიკატორი ვარ, ხან კი ბრაკონიერის ტყავსაც ვირგებ და კიდევ რა ვიცი, რა ჯურისა და პროფესიის კაცად არ გამისაღებია თავი. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ არსებობს მარტივი ჭეშმარიტება — სხვის მოყოლილ ამბავს ერთხელ საკუთარი თვალით ნანახი და ყურით მოსმენილი სჯობს. თანაც ამ საქმეს კიდევ ორი დადებითი მხარე აქვს: პირველი — რესპონდენტის ინფორმაციას ამოწმებ და მეორე — ტყუილუბრალოდ, დაუსაბუთებლად, საქვეყნოდ არავის გათათხავ. რა თქმა უნდა, ჟურნალისტი თავს ბევრჯერ ხიფათში იგდებს, მაგრამ რა ვქნათ, როგორც ამბობენ — აქ ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს. ზოგჯერ ნეგატიური ინფორმაცია ისეთი კომპეტენტური წყაროებიდანაც მოდის, როგორიც სახელმწიფო კანცელარია და პარლამენტია.

გასულ კვირას, საკომიტეტო მოსმენაზე, რომელსაც დეპუტატები და მასმედია ესწრებოდნენ, საქართველოს პარლამენტის საგადასახადო შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარემ **დავით სალარიძემ** დამსწრეთ საბაჟო დეპარტამენტში ჩატარებული შემოწმების მასალები გააცნო და განაცხადა: „საქართველო რომ კონტრაბანდამ წალეკა და მის წინააღმდეგ საბრძოლველად რეალურად არაფერი გაკეთებულა, იმის ბრალიცაა, რომ საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად ძალოვანი სტრუქტურების ჩინოვნიკებიც სცოდავენ. ესენი არიან: შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, საგანგებო ლეგიონის, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის და თვით საბაჟოს მუშაკები. ყველანი „შეთანხმებულად" მუშაობენ და სახელმწიფოში კონტრაბანდის შემოდინებას უწყობენ ხელს. საიდუმლო არავისთვის არის, რომ მაგალითად ე. წ. ერგნეთის ბაზრობიდან აღურიცხავი საქონელი შემოდის. წამოვიღოთ იქიდან ყოველგვარი საბუთის გარეშე ერთი მანქანა ფქვილი და თვითონ ნახავთ, რა მოხდება. მანქანა შემოვლითი გზებით კი არა, პირდაპირ მთავარი გზით წამოვა და თუ შეთანხმებული ხარ ძალოვან სტრუქტურებთან, უსაბუთოდ საქონელს განუბაჟებლად მიიტან დანიშნულების ადგილზე".



დავით სალარიძე: საბაჟო თავის მოვალეობას ვერ ასრულებს...

კომიტეტის თავმჯდომარის ეს განცხადება ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მეორე დღეს, დილით, ერთ-ერთ რეგიონულ საბაჟოს ვეწვიეთ და ერგნეთის ბაზრობიდან კონტრაბანდული საქონლის, კერძოდ კი, 1200 ცალი მობილური ტელეფონის შემოტანის მსურველად გავასაღეთ თავი. 11 საათის შესრულებას წუთებიღა აკლდა, მაგრამ საბაჟოს არასამუშაო დაცვამ მოცდა გვირჩია, იმ მიზეზით, რომ ჯერ „საქმის" გამკეთებელი მებაჟეები არ იყვნენ მოსულები. სხვათა შორის, დაცვის პოლიციელებს ჩვენი თხოვნა არ გაჰკვირვებიათ, მეტიც — დახმარებაც კი შემოგვთავაზეს და მსჯელობა დაიწყეს, რომელი მებაჟისთვის მიგვემართა რეკომენდაციით.

დაახლოებით 12 საათზე თანამშრომლებმა იწყეს მოსვლა. დაცვის ერთ-ერთმა პოლიციელმა ვიღაც ახალგაზრდა მებაჟე შეაჩერა, ჩვენზე მოუთითა და სანამ მოგვიახლოვდებოდნენ, ჩვენი „გასაჭირის" მოყოლაც მოასწრო. ჩვენ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— დაწვრილებით მითხარი, რა ტვირთი მოგაქვს, რა რაოდენობის, საიდან, რა მანქანით, სად უნდა მიიტანო და რა გაქვს გადახდილი საქონელში.

— **1200 ცალი მობილური ტელეფონი მომაქვს კრასნოდარიდან თბილისში. „გაზ"-ის მარკის მცირე ტონიანი ავტომანქანით. საქონელში სულ 120 ათასი დოლარი გადავიხადე.**

— იაფად გიშოვია. განუბაჟებლად გინდა გაყიდო?

— **რა თქმა უნდა, თორემ თქვენთან კი არ მოვიდოდი.**

— ცოტა ხანს დამელოდე, საბაჟოში შევალ, საჭირო ხალხთან გადავილაპარაკებ და ზუსტ პასუხს გეტყვი.

ახალგაზრდა მებაჟე სწრაფი ნაბიჯით გაემართა რეგიონული საბაჟოს ადმინისტრაციული შენობისკენ. ჩვენ კი დაცვის პოლიციის ოთახში დავრჩით. ერთ-ერთმა პოლიციელმა დრო იხელთა და როცა მისი ამხანაგი გარეთ გავიდა, გვითხრა: „ბიჭებო სხვასთან დაიჭირეთ საქმე, უფრო იაფადაც გამოგივათ და უკეთესადაც გაგიკეთებთ". უარი არ გვითქვამს და მისგან მებაჟის ტელეფონის ნომერიც გამოვართვით.

ათიოდ წუთში საბაჟოს შენობიდან მომღიმარი ახალგაზრდა მებაჟე გამოვიდა და გვითხრა: „ნახევარი საათი მოგიწევთ მოცდა. უკვე დაუკავშირდით უშიშროების ბიჭებს — უკან ვულაპარაკებ და ... როგორც თქვენ გაგაჩერებენ. მთავარია, ფასზე შევთანხმდეთ".

— **უშიშროების ხალხს რა უნდა, ჩვენ საქმეს თქვენთან ვიჭერთ.**

— პირველად ხომ არ ხართ ასეთ ამბავში? არ იცით, რომ 'უშიშროების' გარეშე ეს საქმე არ მოყომარდება? თქვენთვისაც უკეთესია, გზაში არავინ გაგაჩერებთ, გრიალით ჩახვალთ ტვირთიანად თბილისში.

საბაჟოს ეზოში ხალხმა იმატა. აქა-იქ ნაცნობ სახეებსაც მოვკარი თვალი, ამიტომ არ გავრისკეთ და უშიშროების ხალხს, რომლებსაც კონტრაბანდული მობილურები უნდა გადმოეტანათ ჩვენთან ერთად, აღარ დაველოდეთ, საბაჟოს ტერიტორიიდან წამოვედით, თუმცა თბილისში ჩამოსულებმა გულნაკლული არც დაცვის მეორე პოლიციელისგან რეკომენდებული მებაჟე დავტოვეთ და მასაც შევეხმიანეთ:

— ყველა მობილურს კონტრაბანდად ვერ გაგატანთ, — გვითხრა, როცა „საქმის არსს" გაეცნო.

— **მაინც რამდენი შეიძლება, რომ არ განვაბაჟოთ და ისე გავუკეთოთ რეალიზაცია?**

— არ ვიცი, უფროსთან შევალ და იგი გადაწყვეტს. ერთ საათში დამირეკეთ და პასუხს გეტყვით... თუმცა სჯობს აქ მოხვიდეთ, ასეთი საქმეები ტელეფონით არ კეთდება, გენაცვალე...

რა თქმა უნდა, რეგიონულ საბაჟოში მისვლა არც გვიფიქრია (შეგნებულად არ ვასახელებთ იმ მებაჟეებს და დაცვის პოლიციელებს, რომლებიც დახმარებას დაგვპირდნენ. მათი დასახელების შემთხვევაში ხომ მხოლოდ ისინი განთავისუფლდებიან თანამდებობიდან და არაფერი შეიცვლება. — ზ.ჩ.).

ახლა კი პარლამენტს დავუბრუნდეთ, სადაც საგადასახადო შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე დავით სალარიძე იმ ნაკლოვანებებზე საუბრობს, რომლებიც მისმა კომიტეტმა საბაჟო დეპარტამენტის შემოწმებისას გამოავლინა.

**დავით სალარიძე:** „როგორც ვატყობ, მხოლოდ ლაპარაკით ვებრძვით კონტრაბანდას და დღემდე საქმე ადგილიდან არ იძვრის. დავიწყოთ იქიდან, რომ უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბებულმა არასწორმა პოლიტიკამ როგორც ბიუჯეტის შესრულების, ასევე ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, სერიოზული პრობლემები შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია კონტრაბანდული საქონლით, რომელიც არათანაბარ კონკურენტულ მდგომარეობაში აყენებს როგორც ადგილობრივი პროდუქციის მწარმოებელს, ასევე ლეგალური იმპორტით დაკავებულ ბიზნესმენებს. ეს კი ართულებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას. საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები სარგებლობენ იმით, რომ საბაჟო სისტემაში არ არსებობს განბაჟების პროცესის უზრუნველსაყოფი აუცილებელ მონაცემთა ერთიანი ბაზა, განბაჟების პროცესისადმი ერთიანი მიდგომა და შეგნებულად ამცირებენ განსაბაჟებელი საქონლის საბაჟო ღირებულებას.

საგანგაშოა, რომ გასული წლის მონაცემებით საბაჟო დეპარტამენტმა განაბაჟა საქართველოში იმპორტირებული ნავთობისა და თამბაქოს ნაწარმის მხოლოდ 40%, დანარჩენი კონტრაბანდა გახლდათ. ასევე განბაჟდა იმპორტირებული ფქვილის საერთო რაოდენობის მხოლოდ 30%. ერთი სიტყვით, საბაჟო ვერ ართმევს თავს დაკისრებული ამოცანების შესრულებას. იგი ქმნის ილუზიას, რომ თითქოს გეგმები სრულდება, სინამდვილეში, საბაჟო დეპარტამენტი გეგმის შესრულების არასწორ პრაქტიკას მისდევს, რაც კანონის უხეში დარღვევაა. ყოველი თვის ბოლოს, ძირითადად, ნავთობის შემომტან ორგანიზაციებს ავალდებულებენ თანხების წინასწარ გადახდას. შემოწმების პროცესში გამოვლინდა რამდენიმე ფირმა, რომლებსაც 2002 წლის მეორე ნახევრიდან საბაჟოს ანგარიშზე ყოველთვიურად მილიონობით ლარი აქვთ გადარიცხული ისე, რომ ერთი თეთრიც კი არ აქვთ გამოყენებული დანიშნულებით, ანუ საქონლის იმპორტი არ განუხორციელებიათ. ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ხშირად ბიუჯეტში თანხების ჩასარიცხად იყენებენ საბანკო კრედიტს. საქართველოს ფინანსურ ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთის მაღალი დონე, აგრეთვე კომერციულ ბანკებში დაწესებული მკაცრი საგარანტიო მოთხოვნები იმის საბაბს იძლევა, რომ ვიფიქროთ — აღებული კრედიტების უკან საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირების მხოლოდ სიტყვიერი გარანტიები არ უნდა იდგეს (ამის შესახებ „კვირის პალიტრა" ჯერ კიდევ დაახლოებით ერთი წლის წინ წერდა. — ზ. ჩ.). წინასწარ გადახდილი თანხები, ანუ ხელოვნურად შექმნილი აქტივები მომდევნო თვეში სხვადასხვა ფირმაზე გადანაწილდება...

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მათ შორის სპეცსახსრებიდან საბაჟო დეპარტამენტი სოლიდურ თანხ-

> სხვადასხვა თავმჯდომარის დროს სხვადასხვა ტარიფია, მათ მადაზეა დამოკიდებული — საშუალოდ 5 ათასი დოლარიდან ზემოთ, ათეულ და ასეულ ათას დოლარამდე. გააჩნია, რა თანამდებობაზე მიდიხარ, რომელ საბაჟოში...

ებს იღებს, რაც როგორც წესი, საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელთა პრესტიჟული ავტომანქანების სისტემატურ, დაუსაბუთებელ ცვლას, დეპარტამენტის შენობის რემონტებს და მობილური ტელეფონებით საუბრებს ხმარდება.

საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ალეკო ასლანიკაშვილმა კანონმდებლობის სრული იგნორირებით გაათავისუფლა ათეულობით თანამშრომელი. საბაჟოში მუშაობს 1000 კაცზე მეტი და ისმის კითხვა: არიან თუ არა ისინი კომპეტენტურები? პასუხი ერთმნიშვნელოვანია, — სამწუხაროდ, არა. პროფესიონალ, გამოცდილ მებაჟეთა ნაცვლად საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელი სამსახურში შემთხვევით პირებს იღებს. საბაჟო დეპარტამენტში განხორციელებულმა საკადრო რეფორმამ აბსოლუტური კრახი განიცადა. კანონდარღვევით სამსახურებიდან გათავისუფლებულმა თანამშრომლებმა სასამართლოს ძალით თანამდებობებზე აღიდგინეს თავი. ახლა კურიოზული სიტუაციაა, — ერთ ადგილზე ორი კაცი, ზოგჯერ კი სამიც მუშაობს. საბაჟო სისტემაში ტესტირება ამ კვირის ბოლოს არის ნავარაუდევი, მაგრამ იგი აბსოლუტურად მოუმზადებელია — ყველაზე დიდი დარღვევა ის გახლავთ, რომ ბრძანებულების მიხედვით, „ტესტირებაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომლებსაც შეუსრულდათ 30 წელი." რატომღაც საბაჟო დეპარტამენტმა ჩაამატა ფრაზა, რომ „ტესტირებაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ საბაჟოს თანამშრომლებს". რა უფლებით არ მისცეს ჩვეულებრივ მოქალაქეებს ტესტირებაში მონაწილეობის უფლება მაშინ, როცა საბაჟო სისტემიდან ნახევარი თანამშრომლებისა გასაყრელია".



ალეკო ასლანიკაშვილი და მირიან გოგიაშვილი

ტესტირებასთან დაკავშირებით, ორიოდ კვირის წინ რედაქციაში ორმოციოდე წლის მამაკაცი გვეწვია, რომელიც ამირან კალანდაძედ გაგვეცნო.

**ამირან კალანდაძე:** „პროფესიით ეკონომისტი გახლავართ. რამდენიმე წლის მანძილზე საგადასახადო დეპარტამენტის სისტემაში ვმუშაობდი, მაგრამ შემდეგ ბიზნესში დაბრუნება ვარჩიე. ყველაფერი კარგად მიდიოდა — ფულიც ვიშოვე, მაგრამ შემდეგ საქმე აგვერია და უმუშევარი დავრჩი. რამდენიმე ხნის წინ საბაჟოში მოსალოდნელი ტესტირების შესახებ შევიტყვე. ვიცი, მხოლოდ ცოდნის იმედად არ უნდა ვყოფილიყავი, ამიტომ საბუთებში დოლარების დასტა გავახვიე და საბაჟო დეპარტამენტში ერთ ძველ ნაცნობთან მივიტანე საქმის ჩასაწყობად. ნაცნობი საქმის გაკეთებას დამპირდა, მაგრამ ამ ორიოდე დღის წინ დამირეკა და მომიბოდიშა: ვერაფერს გავაკეთებ, საბაჟო სისტემის ხალხმა დიდი ფული შეაგროვა და უფროსობას მიართვეს. ხელმძღვანელობამ ამის შემდეგ გადაწყვიტა, ტესტირებაზე სხვები არ დაეშვათო".

სტატიის დასაწყისში ჩვენ დავრწმუნდით, რომ უშიშროების თანამშრომლებს კონტრაბანდასთან უშუალო შეხება აქვთ, სამწუხაროდ, იმაშიც დავრწმუნდით, რომ არც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ამბობენ უარს კონტრაბანდისტებთან მჭიდრო თანამშრომლობაზე. ამის თქმის უფლებას არა მარტო დავით სალარიძის, ონის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, მთიანი რეგიონებისა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, **რევაზ ნოდარიშვილის** განცხადებაც გვაძლევს. მისი თქმით: „საქართველოში კონტრაბანდა ყოველი მხრიდან შემოდის. გამონაკლისი არც რაჭა გახლავთ. სამაჩაბლოს, კერძოდ კი, ჯავის და ონის რაიონს შორის ზამთრობით გზა დაკეტილია, მაგრამ თებერვლის ბოლოს ონის პოლიციამ სამი დღე გზის გასაწმენდად შეუსვენებლივ ამუშავა ხალხიც და ტრაქტორებიც. პოლიციამ ეს იმიტომ გააკეთა, რომ კონტრაბანდით დატვირთული მანქანები გამოეტარებინათ. ჩემთვის ცნობილია ერთი ფაქტი: კონტრაბანდული მინით დატვირთული „კამაზის" მარკის ავტომობილი 28 თებერვალს, ღამით, ერწოს უღელტეხილის გავლით ონში შემოვიდა. როგორც გაირკვა, რაიონის პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლისთვის, ზაზა კახეთელიძისთვის ეს ცნობილი იყო, მაგრამ მას არაფერი გაუკეთებია მანქანის დასაკავებლად. როცა ჩემი მითითებით საქმეში რაიონის მებაჟე ჩაერია, მანქანა უკვე ქუთაისს უახლოვდებოდა. მებაჟემ დარეკა ქუთაისის საბაჟოში, კონტრაბანდული ტვირთით სავსე მანქანა დააკავეს და ქუთაისის საბაჟო ტერმინალში მიიყვანეს. საქმეში შემდეგ რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარის პოლიციის კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი კირვალიძე ჩაერია და იმავე დღეს მანქანა ტვირთიანად, განბაჟების გარეშე, გაუშვეს ტერმინალიდან. ამის შესახებ რაიონში ვიმსჯელეთ, სადაც რაიონის პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, მანქანა იმიტომ არ დავაკავეთ, რომ კირვალიძემ მითითება მომცა, უპრობლემოდ გაატარეო. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ ზაზა კახეთელიძე ნარკობიზნესში იქნა მხილებული. მას კობა ნარჩემაშვილი პოლიციის უფროსად დანიშვნას უპირებდა. მას შემდეგ, რაც მინისტრი საქმის კურსში ჩავაყენე კახეთელიძის „მოღვაწეობის" შესახებ, მან იგი რაიონის პოლიციის უფროსად არ დაამტკიცა, თუმცა მოვალეობას მაინც ასრულებს. ვერ გაწირა მინისტრმა კახეთელიძე, რადგან მისი ძმის ახლობელია".

პარლამენტის დეპუტატმა, ლეიბორისტმა **ფრიდონ ინჯიამ** ერთი მეტად საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა: „მაქვს ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ხუთი წლის მანძილზე რა რაოდენობის ნავთია შემოტანილი და განბაჟებული საქართველოში. 1998 წელს საქართველოში 130 ათასი ტონა ნავთი შემოიტანეს. მომდევნო წელს თურმე ნავთი საერთოდ არ შემოსულა და თუ ოფიციალურ დოკუმენტებს დავუჯერებთ, არც განბაჟებულა. მხოლოდ შარშან შემოიტანეს და განაბაჟეს ნავთი, ისიც 300 ტონა".

საქართველოს საბაჟოს აკადემიის რექტორი ვიქტორ ლორთქიფანიძე აღშფოთებულია საბაჟო დეპარტამენტში განხორციელებული საკადრო პოლიტიკით.

**ვიქტორ ლორთქიფანიძე:** „საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას კადრები ქუჩიდან მოჰყავს მაშინ, როცა აკადემია მაღალკვალიფიციურ მებაჟეებს ამზადებს, მაგრამ ჩვენი დიპლომი საბაჟოში არ ჭრის. აზერბაიჯანელები კი გვეხვეწებიან, კადრები მოგვიმზადეთო".

მკითხველისათვის საინტერესო იქნება ის ინფორმაცია, რომელიც საბაჟო დეპარტამენტის ყოფილმა თანამშრომელმა გვამხილა(?) გამანდო:

— გახსოვთ ალბათ შარშან საბაჟო დეპარტამენტის სისტემის თანამშრომლებისთვის ნარკოლოგიური შემოწმება მოეწყო. ნარკომანი მებაჟეების გამოსავლენად ძვირად ღირებული ტესტები შემოიტანეს საზღვარგარეთიდან.

მიღებული შედეგი შემაშფოთებელი იყო, მაგრამ ყველაფერი მიჩუმათდა. უეჭველია, დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ სხვა უწყებასთან ერთად ნარკოტესტირებით დიდი ფული იშოვა. შარშან დეპარტამენტმა, თითქოს რეორგანიზაციის მიზნით, ოთხი: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი მიმართულებების რეგიონული საბაჟო შექმნა. რეგიონული საბაჟოს უფროსად დანიშვნა ასეულათასობით დოლარით იზომებოდა. ვინც რეგიონულ საბაჟოში თანამდებობაზე დამსახურებებით ან მხოლოდ პროტექციით დაინიშნა, მათ წინააღმდეგ საგანგებო ლეგიონს საქმეების შეთხზვა დაავალეს. მაგალითად, „დასავლეთის" უკვე ყოფილი უფროსის წინააღმდეგ ლეგიონმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

# „ჟვანიას ხელწერილი დავადებინეთ“

*მაშინ, როცა „აღორძინებამ“ ზურაბ ჟვანიას ტერორისტობა დაივიწყა, „დემოკრატებმა“ კი — აბაშიძის დიქტატორობა, „ნაციონალები“ დაბეჯითებით ირწმუნებიან — „აღორძინების“ ზურაბ ჟვანიასთვის მხარდაჭერა მხოლოდ და მხოლოდ საპირველაპრილო ხუმრობა იყოო. თავის მხრივ, ვალში არც აბაშიძის ბანაკი რჩება და „ნაციონალებისკენ“ ისვრის კენჭებს (ჯერჯერობით, ქვებამდე არ მისულა საქმე) — სააკაშვილი აბაშიძის დისკრედიტაციის მიზნით, საკუთარ თანაპარტიელებზე აპირებს ანგარიშსწორებასო. როგორც ჩანს,* ***სანდრო ბრეგაძემ*** *ეს ინფორმაცია სანდო წყაროსგან მოიპოვა:*

— „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელებს ტერაქტზე ლაპარაკი წინასაარჩევნოდ და იმისთვის სჭირდებათ, რათა „აღორძინებას“ დააბრალონ, თითქოს მათ თანამებრძოლებს ვდევნიდეთ და ანგარიშს ვუსწორებდეთ. ვის სჭირდება დათო ბერძენიშვილი? პირიქით, დიდხანს უნდა იცოცხლოს, თავისი პოლიტიკური გუნდის სახე რომ წარმოაჩინოს.

**— რამდენად სანდოა წყარო, რომელმაც მის შესაძლო ლიკვიდაციაზე ინფორმაცია მოგაწოდათ?**

— ეს მითხრა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა, რომელიც ჩემი ძველი თანამებრძოლია, — ზვიად გამსახურდიას დროს ერთად ვიყავით. ვინაობას ვერ დავასახელებ. „ნაციონალების“ პროვოკაცია რომ აგვეცილებინა თავიდან (თითქოს „აღორძინება“ იყო ამაში გარეული), იძულებული გავხდი ინფორმაცია გამეხმაურებინა.



**— რატომ აირჩიეს სამიზნედ მაინცდამაინც ბერძენიშვილი?**

შევარდნაძემ უკვე გასცა ბრძანება, რომლის თანახმად მომავალ პარლამენტში არ უნდა მოხვდეს ლეიბორისტული პარტია, „აღორძინება“ და კიდევ ერთი-ორი ოპოზიციური პოლიტიკური ძალა.

— არ ვიცი. შესაძლოა, მან თავისი უზრდელობით ვინმეს აწყენინა... იმას ვამბობ, რაც „ნაციონალებისგან“ შევიტყვე. იმ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტმა ორჯერ აიფეთქა თავი და, ფაქტობრივად, საკუთარ თავს მოუწყო ტერორისტული აქტი, რატომ უნდა გაგვიკვირდეს „ნაციონალებისგან“ ასეთი საქციელი?!

**— გჯერათ თქვენი თანამებრძოლის, ანზორ აბრალავას ნათქვამი, თითქოს ასლან აბაშიძეზე დაპატიმრების სანქცია იყოს გაცემული და მას თბილისში ჩამოსვლისთანავე დაიჭერენ?**

— არა მგონია, ვინმემ ასლან აბაშიძე დააპატიმროს. იმ შემთხვევაში, თუ ბატონი ასლანი თბილისში ჩამოვა, არსებული ხელისუფლება რამდენიმე სცენარის განხორციელებას შეეცდება, რომელთა მიზანი მისი ფიზიკური ლიკვიდაცია იქნება. იმ შემთხვევაში, თუ ბერძენიშვილს მოუწყობენ რამეს, ეს „აღორძინების“ წინააღმდეგ განხორციელებული დივერსიული აქტი იქნება. ზოგიერთ პოლიტიკოსს არაფრად უღირს საკუთარი თანამებრძოლების სიცოცხლე. მათი ერთადერთი მიზანია, რაც შეიძლება მაღალ სავარძელს წაეპოტინონ და ამით მოიხსნან არასრულფასოვნების კომპლექსი. მათ არ გაუმართლათ ეზოში, ჩაგრავდნენ სკოლაში, ყველაფერში ოროსნები იყვნენ და როცა ადამიანი თანატოლებში პოპულარობით ვერ სარგებლობს, ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ახდენს თავისი იდეების რეალიზებას. ზოგიერთი ასეთი პოლიტიკოსის კლასელები მეხუმრებიან — ჩვენი „მეგობარი“ ხელისუფლებაში რომ მოვიდეს, პირველებს ჩვენ დაგვიჭერენ იმიტომ, რომ ბავშვობისას თავში ვუტყაპუნებდითო.

**— როგორც ამბობთ, თქვენ „ნაციონალების“ დაფინანსების წყაროსაც მიაგენით და იმ ჯგუფებსაც, რომლებიც მათთვის მუშაობენ.**

— „ნაციონალების“ სასარგებლო პიარკამპანიას შევარდნაძე ხელმძღვანელობს. თავის დროზე, კერძოდ, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, შევარდნაძემ დაინახა, რომ მისი პოლიტიკური ძალა — „მოქალაქეთა კავშირი“ რეიტინგს კატასტროფულად კარგავდა. ამ პროცესის შესაჩერებლად შემუშავდა გეგმა, რომლის თანახმადაც უნდა განადგურებულიყო რეალური ოპოზიცია და მისი ადგილი ფსევდოოპოზიციას — პრეზიდენტის გამოჩეკილ, დაფრთიანებულ და თავის დროზე კომპრომეტირებულ პოლიტიკურ ძალებს დაეკავებინა (შევარდნაძეს ყველა თავის მინისტრსა და თანამებრძოლზე აქვს კომპრომატი. იცის, ვის როდის და რამდენი აქვს მოპარული და საჭირო მომენტში ამით კარგად მანიპულირებს). ამის გამო დაიშალა „მოქალაქეთა კავშირი“ რამდენიმე პარტიად და დღეს რუსეთის სპეცსამსახურებთან დაკავშირებული ჯგუფები მათთან თანამშრომლობენ. ამ პიარჯგუფების რეკომენდაციით, ხდება ზოგიერთი ტერმინის დამკვიდრება. საამისოდ უკვე გადაუხადეს პიარტექნოლოგებს 750 ათასი დოლარი.

**— ვინ იხდის ამ ფულს?**

— შევარდნაძის ყოფილი გარემოცვა, ის ძალები, რომლებიც პრეზიდენტის დავალებით ცდილობენ ოპოზიციური სივრცის დაკავებას. ეს პოლიტიკოსები უცხოეთიდანაც ფინანსდებიან საეჭვო წარმოშობის თანხებით. კერძოდ, 7 მლნ უკვე გადმორიცხა ამერიკის სომხურმა ლობბმა ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშზე. როგორც ვიცი, კიდევ 7 მლნ-ს ელოდებიან. ზემოხსენებულმა რუსულმა პიარჯგუფმა თავის დროზე წარმატებით იმუშავა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. მისი ინიციატივით დამკვიდრდა არცთუ დადებითი დატვირთვის მატარებელი ტერმინი — „ზვიადისტი“. ეს პიარჯგუფი საკმაოდ რეაქციულ პოლიტიკურ ძალებთან არის დაკავშირებული და არ მოიაზრება პუტინის ბანაკში...

რუსული პიარჯგუფის მითითებით, დამკვიდრდა ტერმინი „დემარშისტები“, შემდგომში კი „გაერთიანებული ოპოზიცია“. მალე ახსენებენ ტერმინს „დემოკრატიული ოპოზიცია“ და ზოგიერთები ამ სახელით მოვლენ არჩევნებზე. შევარდნაძის მმართველობა უკვე მთავრდება. ამიტომ ხელისუფლებასა და მის ძველ (და ახალ) მოკავშირეებს არ სურთ ხელისუფლებაში ის ძალა დამკვიდრდეს, რომელიც მათ პასუხს აგებინებს.

შევარდნაძემ უკვე გასცა ბრძანება, რომლის თანახმად მომავალ პარლამენტში არ უნდა მოხვდეს ლეიბორისტული პარტია, „აღორძინება“ და კიდევ ერთი-ორი ოპოზიციური პოლიტიკური ძალა. იმავდროულად, წინასწარ არის განსაზღვრული, რამდენი ადგილი უნდა დაიკავონ „ნაციონალებმა“ და „დემოკრატებმა“. ხელისუფლების გათვლით, აჭარას ეყოლება მცირეოდენი წარმომადგენლობა მაჟორიტარი დეპუტატების სახით, რათა დემოკრატიულობის საფარველი შენარჩუნებულ იქნეს. საამისოდ „აღორძინებაში“ იგეგმება იმ აგენტურის შემოგზავნა, რომელიც იმუშავებს ჩვენი პარტიის დისკრედიტაციისთვის. იმ პოლიტიკური ჯგუფის წინააღმდეგ ბრძოლა კი, რომელსაც 14 მლნ დოლარი და ძალოვანი სტრუქტურების მხარდაჭერა აქვს, დამერწმუნებით, ძნელი იქნება.

**— სააკაშვილი რამდენიმე დღის წინ მწვავედ დაუპირისპირდა შინაგან საქმეთა მინისტრს, თქვენ კი აცხადებთ, მას ძალოვნები ემხრობიანო.**

— ამას წინათ პრეზიდენტმა დაიბარა კახა თარგამაძე და არჩევნების პროცესის გაკონტროლება მოსთხოვა. ექსშინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილის მოხსნა მოითხოვა. ამ შეხვედრიდან დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, მიშა სააკაშვილმა ულტიმატუმი წაუყენა ხელისუფლებას, — თუ კრიმინოგენული ვითარება არ გამოსწორდება, შინაგან საქმეთა მინისტრის გადაყენებას მოვითხოვო. დააკვირდით: კობა ნარჩემაშვილს თარგამაძე და სააკაშვილი ერთდროულად უტევენ და ეს შემთხვევითი არ არის. ეს იმ სცენარის ერთ-ერთი დეტალია, რომელზეც უკვე მოგახსენეთ. ამ სცენარს კი მდიდარი სპონსორი, კარგი რეჟისორი და მშვენიერი შემსრულებლები ჰყავს.

**— ზოგიერთი პოლიტიკოსი ეჭვით უყურებს „აღორძინებისა“ და ჟვანიას თანამშრომლობას. კეთდება პროგნოზი, რომ „დემოკრატები“ მხარს არ დაუჭერენ თავისუფალი ეკონომიკური ზონის შემოღებას.**

— იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც ამ პროგნოზს აკეთებენ, კარგად იციან, რა გარიგება მოხდა „აღორძინებასა“ და „გაერთიანებულ დემოკრატებს“ შორის. დათო ბერძენიშვილს ეტყობა ძალზე ცუდი წარმოდგენა ჰქონია ზურაბ ჟვანიაზე, როცა ფიქრობს, რომ ის ჩვენს „გადაგდებას“ შეეცდება და სიტყვას გატეხს.

**— ითქვა, რომ თქვენ ჟვანიას ხელწერილი დაადებინეთ, ანუ წერილობით მიიღეთ მისგან დასტური, რომ მხარს დაგიჭერდათ.**

— ხელწერილი იმიტომ დავადებინეთ, რომ არ ვენდობოდით. დანარჩენი — შავი და თეთრი იქ გამოჩნდება, სადაც საჭიროა. ხელწერილი ზოგიერთი პოლიტიკოსის ლუსტრირებისთვის გვჭირდებოდა.

# „გაერთიანებული ოპოზიციის სიის სათავეში ნინო ბურჯანაძე მოექცევა“

*სანამ ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი უცხოეთს სტუმრობდნენ, „გაერთიანებულ დემოკრატებს“ პარლამენტში ისევ მოუწიათ სახელფასო მინიმუმის გამო სახელისუფლებო პარტიებთან შეხლა-შემოხლა. მშვიდად არც სააკაშვილის ფლანგი ყოფილა. „ნაციონალების“ ბანაკში დავით ბერძენიშვილზე მოსალოდნელ ტერაქტზე ლაპარაკობდნენ...*

*„აღორძინების“ მიერ გავრცელებული ამ საგანგაშო ინფორმაციის შემდეგ გვეგონა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი თანათავმჯდომარე შეშფოთებული თუ არა, შეფიქრიანებული მაინც იქნებოდა, მაგრამ ბერძენიშვილი სანდრო ბრეგაძის „კეთილშობილურ“ ჟესტში აბაშიძის ბანაკში დაგეგმილ პროვოკაციას ხედავს...*

**დავით ბერძენიშვილი:**

— ლაპარაკი, თითქოს „ნაციონალური მოძრაობა“ ბათუმში ჩასულ დათო ბერძენიშვილს ისე მოკლავს, რომ მკვლელები გაუჩინარდებიან და მკვლელობას ასლან აბაშიძეს დააბრალებენო, სულელური პროვოკაციაა. გაუგებარია, რატომ უნდა უნდოდეს „ნაციონალურ მოძრაობას“ ჩემი მოკვლა. ამ ჭორის გავრცელება იმაზე არც არის გათვლილი, რომ ვინმემ დაიჯეროს. ეს იმიტომ ითქვა, იქნებ „ნაციონალებს“ ბათუმში საარჩევნო პოლიტიკური აქტივობა გადავაფიქრებინოთო. ეს არის აშკარა მუქარა — „აღორძინებას“ უნდა გვაფიქრებინოს, ჩოლოქს იქით ბრძოლას აზრი არ აქვსო. მეორე მხრივ კი იმ ბათუმელების დაშინება უნდათ, რომლებიც ჩემთან ერთად აპირებენ ბრძოლას აბაშიძის რეჟიმის წინააღმდეგ. სწორედ ამ მიზნით თქვა სანდრო ბრეგაძემ, —



შესაძლოა ამ თავდასხმას დათო ბერძენიშვილი არ ემსხვერპლოს, მაგრამ შედეგები ძალზე მძიმე იქნებაო.

აბაშიძემ იცის, რომ მისი მოუშორებელი ჭირი ვარ. მას ახსოვს აჭარის უზენაესი საბჭოს სესიაზე ჩვენი სიტყვიერი პაექრობა, როცა მითხრა, — თქვენ მოწინააღმდეგე არ გყოლიათ არც ცხოვრებაში, არც პოლიტიკაშიო. ეს იყო მინიშნება, — გაჩვენებ, რას ნიშნავს მოწინააღმდეგეო. მაშინ ვუთხარი, — მოწინააღმდეგედ არ გამომადგებით არც წონით, არც ასაკობრივ კატეგორიაში-მეთქი...

ძალიან მეამაყება, რომ დღეს შევარდნაძისა და აბაშიძის ოპოზიცია გაერთიანების გზაზეა.

**— მაგრამ ბოლო დროს „აღორძინება“ კონსტრუქციულობას ავლენს და ოპოზიციასთან თანამშრომლობს. ამის დასტური „გაერთიანებული დემოკრატებისთვის“ მათი მხარდაჭერაა.**

— თუ ასლან აბაშიძეს, ჯემალ გოგიტიძესა და მათ პარტიას იმის იმედი აქვთ, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონის საკითხში ჟვანია მხარს დაუჭერს, მაშინ პოლიტიკაში ვერაფერი უსწავლიათ. ვფიქრობ, აპრილის დასაწყისში გაცხადდება, რომ ეს „გაერთიანებული დემოკრატების“ საპირველაპრილო ხუმრობა იყო. არა მგონია, ჟვანიას პოლიტიკური ინტელექტი ისე ჩამოულაბორანტდეს, სპეციალური ეკონომიკური ზონის შემოღებას მიემხროს.

**— მაგრამ ჟვანიამ პირობა დადო და ხელწერილიც მისცა „აღორძინებას“.**

— ამას „აღორძინება“ ამბობს... გვიჩვენონ, რა წერია იმ ხელწერილში. კანონპროექტის 33-ე მუხლში წერია, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონის ტერიტორიაზე პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა და საქმიანობა აკრძალულია. შეუძლებელია, ასეთი მუხლის შემცველ დოკუმენტს ჟვანიამ ხმა მისცეს.

აბაშიძე მშიშარა კაცია. შიშის გამო ალაპარაკებს თავის ვეზირებსაც, — დათო ბერძენიშვილმა ბათუმში ფეხი არ ჩამოდგას, თორემ სიკვდილი ელისო.

დღეს ასლან აბაშიძეს არც ინტელიგენცია და არც პოლიტიკური ელიტა აღარ უჭერენ მხარს. ის მიატოვა თარგამაძემ, გელბახიანმა — იმ ხალხმა, რომელიც დემოკრატიულ და კვალიფიციურ ფასადს უქმნიდა აბაშიძის ბანაკს. ძნელია ჯონდი ბაღათურიასა და ცოტნე ბაკურიას ამარა მიმზიდველი პოლიტიკური ძალის იმიჯი შეიქმნა თბილისელ ამომრჩეველთან.

გავაკეთებ პროგნოზს იმაზე, თუ რომელი პოლიტიკური სუბიექტები გაიმარჯვებენ არჩევნებში: ქართული პოლიტიკური თამაშის მთავარი სუბიექტები „ნაციონალური მოძრაობა“ (და მასთან ასოცირებული ძალები) და არსებული ხელისუფლება იქნებიან. ამ პოლიტიკური თამაშის ფრაგმენტულ, მეორად სუბიექტებად მოგვევლინებიან ლეიბორისტული პარტია, „ახალი მემარჯვენეები“ და „აღორძინება“. არც ერთ სხვა პოლიტიკურ სუბიექტს, რომელიც ამ ხუთეულში არ მოხვდება, არ ექნება 7%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი.

**— უკვე ისმის ბრალდებები „ნაციონალების“ მიმართ. ითქვა, თითქოს საზღვარგარეთიდან საეჭვო წარმოშობის თანხებით ფინანსდებიანო.**

— ჯერ დიდი დროა პირველ აპრილამდე, ასე უშნოდ რომ ხუმრობს სანდრო ბრეგაძე. აბაშიძის ვეზირობისთვის ბრძოლაში ბაკურიამ აშკარად დაჯაბნა იგი. ალბათ, ამიტომ იფიქრა, აბაშიძის კარზე ავტორიტეტი მელახებაო. მის ნათქვამზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ადამიანს აქვს უფლება, ჩერჩეტი იყოს და ამის გამო მას არავინ დასჯის, მაგრამ ვფიქრობ სანდრო ბრეგაძე ვერ იქნება ისეთი ჩერჩეტი, თავისი სიტყვების ნატამალი მაინც სჯეროდეს. ის არის მედროვეობის ეტალონი და ამიტომ დასჭირდა აბაშიძის კარზე თავისი შელახული პოზიციების ამგვარი აბსურდული ბრალდებებით აღდგენა.

თუ ასლან აბაშიძეს, ჯემალ გოგიტიძესა და მათ პარტიას იმის იმედი აქვთ, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონის საკითხში ჟვანია მხარს დაუჭერს, მაშინ პოლიტიკაში ვერაფერი უსწავლიათ.

**— ბოლო დროს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერს „მიშა მნგრეველი“ უწოდეს. ისიც ითქვა, სააკაშვილისგან დანგრეული ნაგებობები ისევ შენდებაო.**

— მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარე გახდა, უკვე დინჯი პოლიტიკოსის სახით ევლინება ოპონენტებს. სააკაშვილს დიდი ხანია აღარ ჩაუტარებია ქუჩაში აქციები. მან ტელეეთერში აიტანა შალვა ნათელაშვილის ბრალდებების კორიანტელი (და ამის შემდეგ ხელი გაუწოდა)... ანუ სახეზე გვაქვს მისი ფსიქოლოგიური მდგრადობა. მან მოახერხა, რომ საკრებულოში გუგულებივით სხედან 9 ფრაქციის წარმომადგენლები. სააკაშვილმა შეძლო კაბინეტში მუშაობა და შესაფერისი გამოდგა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობისათვის. ამიტომ ოპონენტებმა მის წინააღმდეგ სხვა ხერხებს მიმართეს, — სააკაშვილი თავს კი იკავებს, მაგრამ მაინც დამანგრეველიაო. ეს ეპითეტი სტერეოტიპად ვერ იქცევა, რადგან საზოგადოებაში უკვე არის შექმნილი სტერეოტიპი, რომ სააკაშვილი შევარდნაძის ალტერნატივაა.

**— ბრძანეთ სააკაშვილი შევარდნაძის ალტერნატივააო, ამ ტიტულზე და პრეზიდენტობაზე პრეტენზია ზურაბ ჟვანიასაც აქვს. რაღაც ეტაპზე ეს ფაქტორი არ წარმოქმნის მათ შორის დაპირისპირებას?**

— სააკაშვილს შევარდნაძის ალტერნატივად ამომრჩეველი აღიქვამს. ჯერ ნაადრევია ლაპარაკი, ვინ იქნება ოპოზიციიდან პრეზიდენტობის კანდიდატი. როცა ამას ეკითხებიან, მიშა გულწრფელად პასუხობს, — ოპოზიციის კანდიდატი ის გახდება, რომელსაც იმ დროისთვის ყველაზე მეტი შანსი ექნებაო. დღეს რომ რაღაც მოხდეს და საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდეს, სააკაშვილის კანდიდატურას დავასახელებთ იმიტომ, რომ მას დღეს ყველაზე მაღალი რეიტინგი და გამარჯვების მეტი შანსი აქვს... და ალბათ, ჟვანიაც დაეთანხმებოდა ამ აზრს. გააჩნია, რა ვითარება იქნება 2005 წლისთვის. სხვა არის, როცა პარლამენტი აკეთებს არჩევანს და სხვაა, როცა ხალხი ირჩევს პრეზიდენტს.

შესაძლოა პარლამენტისა და ამომრჩევლის აზრი ერთმანეთს დაემთხვეს. რაკი სიტყვამ მოიტანა, გეტყვით, რომ თუ დიდი ბლოკი შეიქმნა, ბევრი პარამეტრის მიხედვით, გაერთიანებული ოპოზიციის სიის სათავეში ნინო ბურჯანაძე მოექცევა. თუმცა იგი არ არის ყველაზე მაღალი რეიტინგის პოლიტიკოსი, მაგრამ პარლამენტისთვის შესაძლოა უფრო მისაღები აღმოჩნდეს. მომწონს მისი ვიზიტები რუსეთსა და უცხოეთში. იგი ისე იქცევა, როგორც საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტი.

**— ბოლო დროს სააკაშვილი განსაკუთრებით კრიტიკულია პოლიციის მიმართ. ითქვა, — მისი მწვავე განცხადებების მიზეზი ის არის, რომ ოჯახის წევრები დაუყაჩაღესო.**

— პოლიციის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება მანამდეც გვქონდა, მაგრამ ბოლო დროს იმატა ქურდობებმა და ყაჩაღობამ.

ჩვენ შეგვიძლია მუნიციპალური პოლიციის დაფინანსება, მზად ვართ პოლიციასთან თანამშრომლობისთვის.

**— და ეს წინასაარჩევნოდ პოლიციას თქვენზე დამოკიდებულს გახდის.**

— სამწუხაროდ, იმდენ ფულს ვერ მივცემთ, რომ პოლიციამ ჩათვალოს, მათ წინაშე ვართ ანგარიშვალდებულნიო. ყველაზე უკეთესი ის იქნება, თუ პოლიცია არჩევნებზე ცენტრალური და თბილისის ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი იქნება. იმედი მაქვს, პოლიცია წელს ველარ ჩაატარებს არჩევნებს.

***გვერდი მოამზადა იზო რიკაძემ***

**რამდენი კაცი დამუნჯდებოდა ქვეყანაზე, აკრძალული რომ იყოს თავის ქება და სხვისი ძაგება...** *ბუასტი*

# მუდმივი სკანდალები ქართულ არმიაში

## აპირებდნენ თუ არა ეროვნული გვარდიის სარდლის მოქრთამვას?



**„ხევსურეთის" რაზმმა ჯერ რიგიანად ჩამოყალიბებაც ვერ მოასწრო, რომ უკვე არასასურველ სიტუაციაში აღმოჩნდა**

10 მარტს ბარისახოს თავდაცვის სამინისტროს საგანგებო კომისია ეწვევა. კომისიის წევრებმა ათ დღეში უნდა გაარკვიონ, რა ხდება იმ რაზმში, რომლის შექმნის ცერემონიალი სამი კვირის წინ დიდი ზარ-ზეიმით გაიმართა.

იმ დღეს, 12 თებერვალს, „კვირის პალიტრაც" ესწრებოდა ახალი რაზმის შექმნის ცერემონიალს და ისევე უხაროდა ეს ფაქტი, როგორც ყველა პატრიოტს — ხევსურეთში ადგილობრივი მოსახლეობისგან ჩამოყალიბდა ახალი რაზმი (იგი მოგვიანებით ბატალიონის საშტატო რაოდენობამდე გაიზრდებოდა), რომელიც უნდა გამხდარიყო ჩრდილოეთ საზღვრის მეორე ზღუდე, ანუ მესაზღვრეთა ზურგი.

ჩანაფიქრი საუკეთესო გახლდათ, რადგან ხევსურეთზე გადის ათეულობით ბილიკი თუ გზა, რომლებითაც, თოვლის დადნობის შემდეგ, უცხო ტომის შეიარაღებულ ჯგუფებს შეუძლიათ კვლავინდებურად მიაღწიონ პანკისის ხეობას.

მაგრამ თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის სამთო-მსროლელი რაზმის, „ხევსურეთის", პირადმა შემადგენლობამ (რომელის რაოდენობა 100 კაციც კი არ არის) ვერც მოასწრო საბრძოლო დროშის მიღება, რომ ამასთან დაკავშირებით ვითარება დაიძაბა.

„კვირის პალიტრისთვის" ცნობილი გახდა, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა „ხევსურეთის" მეთაურობა და ეროვნული გვარდიის სარდლობა. როგორც ამბობენ, კონფლიქტის მიზეზი გახდა ეროვნული გვარდიის სარდლისთვის რაზმის მეთაურისგან ქრთამად 1000 ლარის შეთავაზების მცდელობა. ეს ამბავი მოხსენდა თავდაცვის მინისტრს, რომელმაც „ხევსურეთის" მეთაური დროებით გადააყენა თანამდებობიდან, ხოლო ბარისახოში საგანგებო კომისია გაგზავნა საქმის მოსაკვლევად. რაზმის მეთაური კატეგორიულად უარყოფს ქრთამის შეთავაზების მცდელობას.

დაველოდებით თავდაცვის სამინისტროს საგანგებო კომისიის დასკვნებს „ხევსურეთის" შესახებ; თუმცა ერთს კი ვიტყვით: სწორედ ასეთი დაპირისპირებების (პირადული, თანამდებობრივი თუ უწყებრივი) გამო საქართველოს სამხედრო ძალების რეალური ბრძოლისუნარიანობა არასოდეს იქნება მაღალი.

უღელტეხილების საბოლოო გახსნამდე ალბათ ერთი თვეღა დარჩა, ხოლო ის რაზმი, რომელმაც მესაზღვრეებს ზურგი უნდა გაუმაგროს, საბრძოლო მომზადების ნაცვლად, სულ სხვა საქმითაა დაკავებული.

# „ეგღა მაკლია, ვიღაცამ უნდობლობა გამომიცხადოს!"

## „მოშიმშილე პატიმრებმა ვიღაცის დაკვეთა შეასრულეს და შესაძლოა, ფულიც აიღეს!"

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

**— ანუ „ახლებთან" აღარ ხართ?**

— ვარ, მაგრამ ჩემთვის მეგობრობა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ფრაქციის წევრობა.

**— ბოლო დროს ყოფილ მეომრებს ხშირად ვხედავთ ამა თუ იმ გასამხედროებულ ფორმირებებში (და ისინი არაერთი სკანდალის მონაწილეებიც გახდნენ). ალბათ ვერ უარყოფთ, რომ პოლიტიკოსები ცდილობენ თავიანთი მიზნებისთვის გამოიყენონ საბრძოლო გამოცდილების მქონე ხალხი.**



— ხომ ხედავთ, ჩემი გახვევაც მოინდომეს სკანდალში... მთელი ზაფხული თბილისში გავატარე, რათა მეომარი ბიჭების შეწყალების საქმე წინ წაწეულიყო. ამ დროს კი ის პარტიები, რომლებმაც ქარაფშუტა პატიმრებს ტვინი აურიეს, დასასვენებლად იყვნენ საზღვარგარეთ. ჩემთან რა უნდათ, მე გავასამართლე ის ხალხი, მე მქონდა შეწყალების უფლება თუ რა? ეს ხელისუფლებას უნდა გაეკეთებინა. რაღა გეგუთის კოლონიის პატიმრებს უსმენენ ზოგიერთები, რატომ ხონის, რუსთავისა და ავჭალის კოლონიებს არ ჰკითხეს არაფერი?!

**— ბოლო დროს ყოფილ მეომრებს ბოროტმოქმედებთან აიგივებენ...**

— როცა ყველა მეომარი გავერთიანდებით, ველარ გამოგვიყენებენ. ყველა გათახსირებულსა და კორუმპირებულს პასუხს მოვთხოვთ. მოვთხოვთ იმისთვის, რომ ჩვენი სისხლით მორწყული ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანეს.

**— ხომ არ აპირებთ არჩევნების დროს ნეიტრალური პოზიციის დაკავებას?**

— არჩევნებამდე დიდი დროა და მანამდე ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. საზოგადოების ზნეობრივმა ნაწილმა თავისი აზრი უნდა გამოხატოს და ჩვენ ამისთვის ვიბრძოლებთ. მექრთამეობას, კორუფციას, ადამიანების უფლებათა შეურაცხყოფას დავუპირისპირდებით.

**— რამდენიმე დღის წინ ავღანეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე ნუგზარ კახნიაური საგანგებო ლეგიონის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა, ეს ფაქტი არაერთგვაროვნად იქნა აღქმული, ზოგმა თქვა — ავღანელები ხელისუფლებამ მოისყიდაო.**

— ყველაზე ნაკლებკორუმპირებული ის ხალხია, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოდნენ. როგორ შეიძლებოდა კახნიაურის შედარება ვინმე ჩინოვნიკთან? მას ვერავინ მოისყიდის. სწორედ მისნაირები უნდა მივიდნენ ასეთ თანამდებობებზე. ჯერ კიდევ ომის დროს ვებრძოდით მაროდიორობას, ყაჩაღობას და მანქანების ძარცვას. ახლა კი უიარაღო ყაჩაღები არიან ყველგან — ე. წ. პოზიციაშიც და ოპოზიციაშიც. ის ხალხი კი, რომლებსაც დღეს ფული აქვთ, მაშინ გამდიდრდნენ, როცა 20 წლის ბიჭები იბრძოდნენ. ამიტომ არავის აქვს მათი შეურაცხყოფის უფლება.

**— მაგრამ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე კახნიაურმა პოლიტიკური განცხადება გააკეთა — „მოქალაქეთა კავშირის" მხარდამჭერი ვარო.**

— მეომრისათვის უცხოა სიცრუე, ფარისევლობა და ორპირობა. როცა ჰკითხეს, ვის ემხრობიო, მან გულწრფელად თქვა, რასაც ფიქრობდა. ზოგიერთი არაფერს იტყოდა და მალულად მიეხმარებოდა ვიღაცას არჩევნებზე, მაგრამ კახნიაური პატიოსანი კაცია — ორი ომი გამოიარა, ბატალიონის მეთაური იყო...

**— და მაინც არ მითხარით, რა გახდა გეგუთელი პატიმრების ახმაურების მიზეზი?**

— ვიღაცამ ჩემი საწინააღმდეგო პიარი წამოიწყო, — თითქოს ყოფილი მეომრები მიპირისპირდებიან. ერთი კვირის წინ ვეტერანთა ყველა ორგანიზაცია გაერთიანდა. 20 ათასი წევრი გვყავს უკვე ორგანიზაციაში. ამ დღეებში აფხაზეთის მეომართა ორგანიზაციებიც შემოგვიერთდებიან და 40 ათასი გავხდებით. ჩვენ პოლიტიკოსებისთვის საარჩევნო მასალა ვართ — ყველამ მომისინჯა კბილი, სცადეს მოლაპარაკება ჩემს მეგობრებთანაც, რაკი ვერაფერი გამოუვიდათ, ის ხუთი კაცი ააყვირეს. რომელი მეომარი მოიფიქრებდა იმ ტექსტს, რომელიც მასმედიის საშუალებებში მათი სახელით გავრცელდა.

**— თქვენ მუშაობდით რუსთავის კოლონიაში მყოფი ერთი მეომრის საქმეზე, რომელსაც ერთი და იმავე ქმედებისთვის თავდაპირველად გორგასლის ორდენი მისცეს, მერე კი დაიჭირეს.**

— ის მეომარი ისევ ციხეშია. პარლამენტშიც გამოვედი, ინტერვიუც მოგეცით, მაგრამ არავინ მომისმინა. იმანაც უნდობლობა უნდა გამომიცხადოს ამის გამო? ვიცი, გეგუთის კოლონიის მოშიმშილე პატიმრებს სხვა კოლონიებიდან დაურეკეს და საკადრისი პასუხიც გასცეს, მაგრამ იმ ხალხმა დაკვეთა შეასრულა ან შესაძლოა, ფულიც აიღო...

***მარი ზანდუკელი***

# ფოტორეპორტაჟი პანკისიდან

პანკისის ხეობა კვლავ ჩაკეტილია ჟურნალისტებისთვის, თუმცა ეშმაკობით ხანდახან მაინც მოახერხებთ შეღწევას.

ამ დაგვიანებულ ფოტორეპორტაჟში შინაგანი ჯარების ის საგუშაგოებია აღბეჭდილი, რომლებმაც ხეობაში „ფესვები" მყარად გაიდგეს. მკვიდრად ნაშენი ხის ყაზარმები ბევრად სჯობს საველე კარვებსა თუ ნახევრად დანგრეული სკოლის შენობებში თავის შეფარებას.



**ტყიბულის სპეცდანიშნულების ბრიგადის საგუშაგო სოფ. ომალოსთან ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილია**

ტყიბულის სპეცდანიშნულების ბრიგადის კეთილმოწყობილი საგუშაგო სოფ. ომალოს ბოლოსაა განთავსებული და შეიძლება დედაქალაქის ცენტრში მდგარ ბევრ იმ ყაზარმასაც სჯობდეს, რომლებითაც ზოგიერთი გენერალი თავს იწონებს. ყაზარმაში საკუთარი სასადილო, დასასვენებელი ოთახი და საუნაც კი აქვთ. ყაზარმის ცენტრში ნახავთ მოზრდილი დათვის ტყავს. ეს დათვი პანკისის ხეობაში შინაგანი ჯარების შესვლის პირველსავე დღეებში შეეწირა სნაიპერის ტყვიას.



**პოსტზე მდგარ გუშაგს მოულოდნელი თავდასხმისგან ქვიშით სავსე ტომრები იცავს**

მძიმე ტექნიკა ერთგვარ სარეზერვო ჯგუფს ქმნის, რომელიც განგაშისთანავე (როგორც ეს სოფ. ჯოყოლოში ერთი კვირის წინ, პატრულზე თავდასხმისას მოხდა) ოპერატიულად გაემართება შემთხვევის ადგილისკენ. ზაფხულში ამ საგუშაგოებს შეიძლება ცხელი დღე დაადგეთ, თუკი უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებები კვლავ ეცდებიან გადმოლახონ საქართველოს საზღვარი და პანკისის ხეობაში შემოაღწიონ.

მაგრამ, რაც მთავარია, ქართული დროშა დაბრუნდა პანკისის ხეობაში. იმედია, იქ ქართული სახელმწიფოს სრული იურისდიქციაც მალე საბოლოოდ აღდგება.

***პანკისის ხეობა — თბილისი***

**საბრძოლო ტექნიკა მზადყოფნაშია**



# მესაზღვრეების პოლიციური „მიდრეკილებები" ძალოვნებს გულზე მაინცდამაინც არ ეხატებათ

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ოტო შილის თბილისში რამდენიმესაათიანმა სტუმრობამ გარკვეული იმედი ჩაუსახა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს, რადგან გერმანელი მინისტრი საუბრებში მთავარ აქცენტს (მათ შორის ოფიციალური სადილის დროსაც, რესტორან „ძველ მეტეხში") უფრო პირველ ქართველ მესაზღვრეზე აკეთებდა, ვიდრე პირველ ქართველ პოლიციელზე.

ალბათ ეს არც არის გასაკვირი — მესაზღვრეები, პოლიციელთაგან განსხვავებით, უფრო აქტიურად მოღვაწეობენ საგარეო „ფრონტზე" და საერთაშორისო თანამშრომლობის დროსაც ფხას იჩენენ.

მესაზღვრეების დამსახურებაც იყო გერმანელი მინისტრის სტუმრობა. ოფიციალური საუბრები უმთავრესად საქართველოს სასაზღვრო სამსახურის სამხედროდან სასაზღვრო-პოლიციურ რელსებზე გადაყვანას შეეხო.

გერმანელმა კონსულტანტებმა ჯერ კიდევ შარშან შეიმუშავეს ის ძირითადი 18 რეკომენდაცია, რომელიც ჩვენს მესაზღვრეებს უნდა დაეხმაროს ისეთი სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურის შექმნაში, რომელიც 2002 წელს მოამზადა ევროკავშირმა მისი წევრი ქვეყნებისთვის.




როგორც სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი **სოსო მარგიშვილი** აცხადებს, ევროკავშირში საქართველოს შესვლა გამორიცხულია მანამ, სანამ ქართველი მესაზღვრეები სამხედრო სტრუქტურაში იქნებიან გაერთიანებულნი.

გერმანელთა რეკომენდაციებიდან: ზოგიერთი რეკომენდაცია მართლაც იწვევს ზოგიერთი ქართული ძალოვანი სტრუქტურის გაღიზიანებას. ეს განსაკუთრებით ეხება იმ რეკომენდაციებს, რომლებიც ითვალისწინებს სასაზღვრო დეპარტამენტის გარდაქმნას სახელმწიფო პოლიციის განსაკუთრებული ამოცანითა და დანიშნულებით და ისიც, რომ ახალი სასაზღვრო-პოლიციური სტრუქტურა უშუალოდ პრეზიდენტს დაემორჩილება.

მორიგი გერმანული რეკომენდაცია ნამდვილად არ მოუვა თვალში თავდაცვის სამინისტროსა და განსაკუთრებით მის საზღვაო თავდაცვის ძალებს. გერმანელთა რჩევით, ახალ სასაზღვრო-პოლიციურ სტრუქტურას დაევალება როგორც ჰიდროგრაფიული საქმიანობის კონტროლი (ანუ გემების მიმოსვლისთვის თვალყურის დევნება ქართულ ტერიტორიულ წყლებში), ასევე, საზღვრის კანონებიდან გამომდინარე, ქართული პორტების დაცვა.

მესამე ქართული ორგანო, რომელმაც შეიძლება ირიბად შეხედოს გერმანელთა რეკომენდაციებს, ალბათ პროკურატურა იქნება. სასაზღვრო პოლიციას ურჩევენ, საქმეები ბოლომდე, დამოუკიდებლად გამოიძიონ და მიიყვანონ სასამართლომდე.

ასევე საინტერესოა სხვა გერმანული რეკომენდაციებიც — სასაზღვრო პოლიციად გარდაქმნილი სასაზღვრო ჯარი უფლებამოსილია, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევს სასაზღვრო ზოლის მიღმა, ქვეყნის სიღრმეშიც სდიოს. ამასთან, სასაზღვრო ზოლი დღევანდელი 5 კმ-იდან 30 კმ-მდე უნდა გაიზარდოს, თანაც სახელმწიფო საზღვრის სამხედრო დაცვა არ უნდა იყოს სასაზღვრო პოლიციის ამოცანა — იგი შეიარაღებულ ძალებს დაევალება და, რაც მთავარია, სასაზღვრო პოლიცია მსურველების, ანუ მასთან კონტრაქტის დამდებლების ხარჯზე შეივსება.

ძნელი სათქმელია, 2007 წლამდე რამდენად მოხერხდება საბჭოთა ტრადიციების გამგრძელებელ ქართველ მესაზღვრეთა ტრანსფორმირება სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურაში, მაგრამ ერთი ნათელია — ჩვენი სასაზღვრო სამსახური, ისევე, როგორც შინაგანი ჯარები, აუცილებლად მოითხოვს სტრუქტურულ და, რაც მთავარია, იდეურ ცვლილებას, ურომლისოდაც ძალიან გაჭირდება საქართველოს სამხედრო ძალების დაახლოება თანამედროვე სტანდარტებთან.

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### ამერიკის სენატი პუტინის „მოთაფვლას“ ცდილობს

აშშ-ის 95-მა სენატორმა გასულ კვირას ხმა მისცა შარშან, მოსკოვის სამიტზე, მიღებული შეთანხმების რატიფიცირებას. ეს შეთანხმება ითვალისწინებს ბირთვული ბალისტიკური რაკეტების მკვეთრ შემცირებას, რომლის შემდეგ პენტაგონს სტრატეგიული დანიშნულების 6 ათასამდე ბირთვული ქობინი დარჩება, ხოლო რუსეთს — 5.500. საგულისხმოა, რომ ამ არსენალიდან რაკეტებზე, თითოეულ მხარეს, 2.200 ქობინი ექნება დაყენებული, დანარჩენს კი საცავებში შეინახავენ. ამერიკელი სენატორების მიერ ამ ხელშეკრულების რატიფიცირება ერთგვარი „რევერანსია“ რუსეთისადმი, რათა იგი როგორმე დაიყოლიოს — არ დაადოს ვეტო გაეროს გადაწყვეტილებას ერაყზე შეტევის დაწყების შესახებ.

### რუსეთს ჩეჩნეთიდან ჯარი გაჰყავს... ცოტა, მაგრამ მაინც

კრემლის ბრძანებით, ჩეჩნეთიდან ზედმეტი რუსული სამხედრო შენაერთები გაჰყავთ. საერთოდ, სხვადასხვა მონაცემით, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე თითქმის 80 ათასი რუსი სამხედროა, შემცირების შემდეგ უნდა დარჩეს 35 ათასი. ამ კვირაში ჩეჩნეთიდან ციმბირის სამხედრო ოლქში 74-ე მოტომსროლელ ბრიგადას დააბრუნებენ. ჩეჩნეთში კი მუდმივად დისლოცირებული იქნება რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 42-ე მოტომსროლელი დივიზია და შინაგანი ჯარების 46-ე ოპერატიული დანიშნულების ბრიგადა, აგრეთვე, საქართველოს საზღვართან დადგება რუსი მესაზღვრეების ძლიერი დაჯგუფება.

გაზაფხულისთვის ტყეები შეიფოთლება და ჩასასაფრებლად მეტი ხელსაყრელი ადგილი გამოჩნდება. ამიტომ რუსი სამხედროების ჩეჩნეთიდან გაყვანას ბევრი რუსი სამხედრო ექსპერტი შიშით უყურებს, რადგან არ გამორიცხავენ 1996 წლის აგვისტოს განმეორებას, როდესაც ჩეჩნებმა მოულოდნელი იერიშით აიღეს გროზნო.

## განათება ამერიკულად...



„სინათლის ოაზისი“ კოსმოსიდანაც კი მოჩანს

უკუნეთში ჩანთქმულ საქართველოში ეს რამდენიმე თვეა, სინათლის ერთი „კუნძული“ კიაფობს. ოღონდ უშუქობით შეწუხებული მკითხველი ზეთომქმულში მაინცდამაინც საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციას ნუ იგულისხმებს.

სინათლის იმ „კუნძულზე“ უმძლავრესი ლამპიონები მარტო ღამით როდი ანთია, დღისითაც, მზის ამინდშიც ისე ბრდღვიალებენ, რომ კოსმოსიდან, მზვერავი თანამგზავრიდანაც მშვენივრად ჩანან.

სინათლის „კუნძული“ დედაქალაქიდან არც ისე შორს, ვაზიანში, სამხედრო ბაზის ტერიტორიაზეა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქართულ არმიას ერთბაშად და სამუდამოდ მოეხსნა უშუქობის პრობლემა და ახლა იმდენი ელექტროენერგია მიეწოდება, რომ დღისითაც კი გაუშუქებელი აქვს ტერიტორია.

უბრალოდ, ეს სარაცი „სინათლის ოაზისი“ მართალია, ქართული არმიის ბაზის ტერიტორიაზეა განთავსებული, მაგრამ იგი ერთ ყველაზე საიდუმლო ობიექტს წარმოადგენს და იქ ბევრ ქართველ გენერალსაც კი არ აქვს შესვლის უფლება, რადგან ამ მიდამოების განმკარგულებლები... ამერიკელი სამხედროები არიან.

ძნელი სათქმელია, ბოლომდე ენდობიან თუ არა ქართველ კოლეგებს ამერიკელი სამხედროები, მაგრამ ფაქტია, რომ ერთობლივი „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით ჩვენთან ჩამოტანილი სამხედრო ამუნიციისა და სავარაუდოდ, იარაღის დიდი ნაწილი შეიძლება სწორედ ამ „სინათლის კუნძულზე“ ინახებოდეს.

მავთულხლართით შემოზღუდული მიწის მოგრძო ნაკვეთის პერიმეტრის შიგნით, რამდენიმე ათეულ რკინის მაღალ ბოძზე ძალიან მძლავრი ლამპიონებია დამონტაჟებული და ისინი დღე-ღამის განმავლობაში იპყრობენ ყურადღებას. საკითხავია, რად სჭირდებათ ამერიკელებს დასაცავი ობიექტის განათება დღისით, მზისით? ეს ალბათ ობიექტების დაცვის ამერიკული სტანდარტია და თანაც, როგორც ამბობენ, ლამპიონების დღისით გამორთვა და მხოლოდ ღამით ჩართვა უფრო ძვირი ჯდება, რადგან მათ ჩართვას უფრო მეტი ელექტროენერგია სჭირდება. როდესაც ელექტროენერგიის მიწოდება უწყდებათ, მაშინ ავტომატურად ირთვება დიზელის გენერატორი.

ამერიკელები ჩვენ საკმაოდ დიდ დახმარებას გვიწევენ „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის სახით და მათი გადასაწყვეტია, დღეც გაანათებენ დასაცავ ობიექტს თუ არა, მაგრამ თუ არ ვცდებით, ეს განათების თანხაც ამ 64 მლნ დოლარიდან უნდა მიდიოდეს, რომელიც თავდაპირველად გამოიყო „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის დასაფინანსებლად.

და ერთიც — „სინათლის ოაზისიდან“ სულ ორასიოდე მეტრში, ხშირად ჩაბნელებულ, ცივ ყაზარმაში შეყუჟული ქართველი ჯარისკაცები ხანდახან სევდიანი თვალებით გახედავენ ხოლმე XXI საუკუნის საქართველოსთვის მერვე საოცრებას — დღედაღამ განათებულ ნათურას.

## მკითხველის სვეტი

*„გთხოვთ დაწვრილებითი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ამერიკულ ტანკ M1A2 „აბრამსის“ შესახებ. გამოიყენებენ თუ არა მას ერაყის ომში? პატივისცემით — დ. იოსავა*

### გაუმჯობესებული „აბრამსი“ პირველობაზე აცხადებს პრეტენზიას

საგულისხმოა, რომ ჩვენი მკითხველი „აბრამსის“ სწორედ M1A2 მოდიფიკაციით დაინტერესდა. იგი ამერიკული ტანკების ფაქტობრივად უკანასკნელი მოდელია და პენტაგონს მისი დიდი იმედი აქვს.

გაუმჯობესებული „აბრამსი“ — M1A2 პოლიგონზე გამოსაცდელად 1992 წელს გამოჩნდა და ცხადია, მონაწილეობას ვერ მიიღებდა 1991 წლის „უდაბნოს ქარიშხლის“ ოპერაციაში. მის კონსტრუქციაში ბოლო საინჟინრო მიღწევებია გამოყენებული. წინამორბედ M1A1 ტიპის ტანკთან (და მით უმეტეს, M1 „აბრამსთან“) შედარებით მისი მოწყობილობები გაუმჯობესებულია — მეთაურის სითბოვიზური სამიზნე ორ დისფლეის მოიცავს და ტანკის მეთაურს საშუალებას აძლევს, უკუნ სიბნელეშიც კი, შეებრძოლოს მტერს. ახალ ტანკზე დაყენებულია თანამედროვე ლაზერული მანძილმზომი, რომელიც წამის მეასედში უზუსტესად საზღვრავს მიზნამდე მანძილს და მონაცემებს აწვდის საბორტე კომპიუტერს, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ტანკის ქვემეხიდან ჭურვის სროლის დიდ სიზუსტეს. ტანკზე დამაგრებულია თანამედროვე სანავიგაციო სისტემა. ის კოსმოსიდან, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების მეშვეობით, იღებს იმ რეალურ კოორდინატებს, სადაც იმ მომენტში თავად იმყოფება.



M1A2 „აბრამსი“

ახალი „აბრამსი“ აღჭურვილია გაუმჯობესებული ჯავშნით, რომელიც შეიცავს გალარიბებულ ურანს; ტანკის სახურავის ჯავშანი უფრო სქელია, რამაც უთუოდ უნდა შეამციროს ის საშიშროება, რაც თანამედროვე ტანკსაწინააღმდეგო მართვადი კუმულატიური რაკეტებით ემუქრება ნებისმიერ ტანკს.

ამ მოდერნიზებამ თანამედროვე ამერიკული M1A2 „აბრამსი“ მსოფლიოში ყველაზე მრისხანე ტანკად აქცია. მისი ჯავშნის გარღვევა რუსულ T-72, T-80 თუ T-90 ტიპის ტანკებს ძალიან გაუჭირდებათ, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მას გალარიბებული ურანის შემცველი ჯავშანი აქვს და ასევე გალარიბებული ურანით დამზადებულ ჯავშანგამტან ჭურვებს ისვრის, ამიტომ მას ერაყული (იგულისხმება რუსული) ტანკების ჯავშნის გარღვევა, თუნდაც წინა მხრიდან, ნამდვილად არ გაუძნელდება.

**ჩვენი დოსიე:** M1A2 „აბრამსი“ 62,5 ტ-ს იწონის. ეკიპაჟი — 4-კაციანია. მისი სიგრძე 10 მ-მდეა, სიგანე — 3,6 მ, ხოლო სიმაღლე — 2,4 მ. „აბრამსი“ შეიარაღებულია 120 მმ კალიბრის ქვემეხით, ორი 7,62 და ერთი 12,7 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევით. 1.500 ცხ.ძ-ის სიმძლავრის აირტურბინიანი ძრავა „აბრამსს“ საშუალებას აძლევს მოასფალტებულ გზაზე 67 კმ/სთ სიჩქარით იაროს.

პენტაგონი, თავისი ახალი ტანკების რეალური ბრძოლისუნარიანობის შესაფასებლად, ეცდება, გაუმჯობესებული „აბრამსები“ გამოიყენოს ერაყთან დაგეგმილ ომში. სხვათა შორის, ამერიკის არმიამ შეიარაღებაში თავდაპირველად, 1992-93 წლებში, მხოლოდ 82 ცალი M1A2 „აბრამსი“ მიიღო. 2003 წლის ბოლომდე დაგეგმილია 1.079 M1A1-ის მოდერნიზება M1A2-ის დონემდე. 1994 წლისთვის საუდის არაბეთმა 315 გაუმჯობესებული „აბრამსი“ შეუკვეთა ამერიკულ ფირმა „ჯენერალ დაინემიქსს“, ხოლო ქუვეითმა — 218.

თუმცა გაუმჯობესებული „აბრამსი“ მსოფლიოში საუკეთესო ტანკად ითვლება, მასაც აქვს წუნი — ტანკის აირტურბინიანი ძრავა ერაყის უდაბნოს ქვიშნარში ხშირად ფუჭდება. თანაც, გაზაფხულის ძალაში შესვლასთან ერთად, ერაყის უდაბნოში ტემპერატურა 35-40°C-ს მიაღწევს, რასაც ამერიკული მძიმე საბრძოლო ტექნიკა „ძნელად“ იტანს.

## არსენალი

# მობილური და საშიში

**ამერიკელი „რეინჯერები“ ერაყის უდაბნოში უკვე დაქრიან საბრძოლო მანქანებით, ქართველებმა კი „დეგები“ პანკისის ტყეებში გამოსცადეს**



სამხრეთაფრიკული „ელ მახო“

მსოფლიო დაძაბული ელოდება ერაყის საზღვრის გადალახვას ამერიკული „აბრამსებითა“ თუ „აპაჩებით“. ამერიკელი და ინგლისელი სპეცრაზმელები კი, თურმე მეორე თვეა, ერაყის უდაბნოში მარულას აწყობენ.

მაგრამ არა მძიმეწონიანი „აბრამსებითა“ და „ჩელენჯერებით“ ან სატრანსპორტო „ჩინუკებით“, ოპერატიული სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად თუ დივერსიული ამოცანის შესასრულებლად დიდი ხანია იყენებენ ელვის უსწრაფეს, არც მთლად ჩვეულებრივ „ჯიპებს“. მაღალი გამავლობის მანქანები განსაკუთრებით ხელსაყრელი გახდა ბოლო წლების შეიარაღებულ კონფლიქტებში.

სპეციალური დანიშნულების ძალების მსუბუქი საბრძოლო მანქანები სამ კატეგორიად იყოფა:

პირველ კატეგორიაში შედის 750-2.800 კგ წონის, ძირითადად „ბაგის“ ბაზაზე აწყობილი მცირე მანქანები. თითოეულში ორი მებრძოლი ზის, ერთი მათგანი მძღოლია. მანქანა აღჭურვილია 1-2 ტყვიამფრქვევით.

3.300-4.500 კგ-იან საბრძოლო მანქანებში 3-4-კაციანი ეკიპაჟია. მასზე უფრო მძიმე იარაღია დამონტაჟებული.

ბოლო, მესამე კატეგორიაში გაერთიანებულია 5.500-6.000 კგ წონის დიდი საბრძოლო მანქანები. ისინი „ლენდ როვერის“ ან „ჰამერის“ ტიპის ჯიპების ბაზაზეა შექმნილი, აღჭურვილია მართვადი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსებითა და საზენიტო-სარაკეტო დანადგარებით.

დიდი ბრიტანეთის სპეცდანიშნულების რაზმი SAS-ი უმთავრესად „სეიკერის“ ტიპის მსუბუქ საბრძოლო მანქანას იყენებს. მას „ფოლკსვაგენის“ 55 ცხ.ძ.-ის შიდაწვის ძრავა უყენია, რაც საშუალებას აძლევს 135 კმ/სთ სიჩქარე განავითაროს. მძღოლის გვერდით ზის ტყვიამფრქვევით შეიარაღებული ეკიპაჟის მეთაური, ხოლო ეკიპაჟის მესამე წევრი ფეხზე მდგომი ისვრის მანქანის უსაფრთხოების რკალზე დამონტაჟებულ მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევს.

ინგლისელი სპეცრაზმელების განკარგულებაშია ანალოგიური დანიშნულების სხვა საბრძოლო მანქანებიც — მსუბუქი „კობრა“, საშუალო — „ლენდ როვერ დეფენდერი“ და „შედოუ“. მათზე, გარდა ტყვიამფრქვევებისა, მონტაჟდება დაზგის ყუმბარსატყორცნები, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები და მსუბუქი ნაღმსატყორცნებიც კი.

ამერიკელებმა თავიანთი „ჰამერი“ პატარა ტანკად აქციეს, რომელსაც შეუძლია მოულოდნელად შევარდეს მტრის განლაგებაში და ყოველმხრივი სროლით თავგზა აუბნიოს მას.

ამერიკულ საბრძოლო მანქანებს ტოლს არ უდებს სამხრეთაფრიკელთა ორიგინალური კონსტრუქციით გამორჩეული „ელ მახო“.

შეიარაღებული ყველგანმავალი მანქანები თითქმის ყველა ქვეყნის სწრაფი რეაგირების თუ სპეცდანიშნულების რაზმებს ჰყავთ.

რუსეთის არმიამ ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსი თავის „უაზზე“ დაამონტაჟა.

თუმცა ყველაზე შორს მაინც ჩვენ, ქართველები, წავედით — შევქმენით შეიარაღებული ავტომობილის ორი სახეობა. ქართული „დეგა-1“-ისა და „დეგა-2“-ის შესახებ „კვირის პალიტრას“ არაერთხელ დაუწერია. ამიტომ ამჯერად მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ „ნივის“ ბაზაზე შექმნილი „დეგა-1“, ისევე როგორც ГАЗ-66-ზე აწყობილი „დეგა-2“, კონსტრუქციით შეიძლება ბევრად არც ჩამოუვარდებოდეს უცხოურ ანალოგებს (ქართულ საბრძოლო მანქანებში ეკიპაჟის დაცვის ჯავშანელემენტი უფრო მეტია, ვიდრე ბევრ უცხოურში), მაგრამ მათი საბჭოთა შიდაწვის ძრავები დიდი ეფექტიანობით ნამდვილად არ გამოირჩევიან.



ინგლისური „სეიკერი“

საერთოდ, საბრძოლო მანქანები აუცილებელი ატრიბუტია იმ მცირერიცხოვანი მობილური ძალების გადასაადგილებლად, რომლებიც ძალიან პოპულარული გახდნენ ახალ საუკუნეში. მათი გადასროლა საბრძოლო მოქმედებების რაიონში სატრანსპორტო თვითმფრინავებით და შვეულმფრენებითაც კი ადვილია. სამაგიეროდ, 2-3-კაციან ეკიპაჟს შეუძლია განახორციელოს ელვისებური სადაზვერვო თუ დივერსიული რეიდი მტრის ზურგში.

დღეს ამერიკელი და ბრიტანელი სპეცრაზმელები, თავიანთი „რკინის რაშებით“, ერაყის უდაბნოში მუხლჩაუხრელად ეძებენ ჰუსეინის მობილურ სარაკეტო დანადგარებს. თუმცა ეს უკვე ახალი სტატიის თემაა.



ქართული „დეგა-2“ არც ფიჩხოვანის ტალახს შეუშინდა

რუბრიკა მოამზადა
... ალადოშვილმა

## ასე დაიწყო

პატიმრების გადასაყვანად სატვირთო ვაგონი გადაეკეთებინათ. გისოსები იმდენად მტკიცე ფოლადისგან შეეკრათ, არც ქლიბი ეკარებოდა, არც რკინის საჭრელი ლენტი. სცადა ეს რამდენიმემ. იმედი ჰქონდათ, მატარებლის რახრახში ვერავინ ვერაფერს შეიტყობსო და მართლებიც იყვნენ — თუნდაც ურო გეცემა გრდემლზე, იმ კაკოფონიაში ვინ რას გაიგებდა. მაგრამ მალევე აიღეს ხელი ამ უაზრო გარჯაზე და ბედს მინებდნენ. არადა უმეტესობა ოცდახუთი წლისა თუ იქნებოდა. ოცდახუთი წელი, ანუ თითქმის ერთი სიცოცხლე მავთულხლართების მიღმა უნდა გაეტარებინათ, თანაც იქ, ციმბირის ბანაკებში. ამას ისევ დახვრეტა სჯობდაო — ფიქრობდა თავისთვის ახალციხელი „რამკიანი“ ქურდი, მეტსახელად მემფისა და სიმწრისგან კბილებს აღრჭიალებდა. ის იყო, გაზეთებმა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გამოაქვეყნეს — დახვრეტის ნაცვლად ამიერიდან სასჯელის უმაღლესი ზომა ოცდახუთი წელი იქნებაო და მეორე დღეს აუშარდა ის ცხონებული ბრიგადირი, — გინდა თუ არა, კოლმეურნეობის ნაკვეთში სათოხნად გამოდიო. მემფისა კი არ იყო ის კაცი, თოხი აელო ხელში. ქურდი რომც არ ყოფილიყო, ამასთან „რამკიანი“, ამას როგორ იზამდა, თანაც იმ ცხვირმოუხოცავი ბიჭის კაპრიზისთვის. უბედურს კომკავშირის კრებაზე დაექადნა — ჩემს ბრიგადაში ამიერიდან არც ერთი წესრიგის დამრღვევი და უსაქმური არ იქნებაო და პირველს მემფისას არ დაადგა თვალი? როგორც ჩანს, თავისმა კუნთმაგრობამ აცდუნა — ალბათ იფიქრა, მემფისას წახდენას რა უნდა, სადაც მოვდებ, იქვე დავსვამ, ერთი გალეული ვილაცააო და შეცდა. თალარის ქვეშ, სკამლოგინზე წამოწოლილ მემფისას ზემოთ არც აუხედავს, წარბიც არ შეტოკებია, ისე განაგრძობდა წიგნის კითხვას. ბრიგადირმა ზეპირი აგიტაციით რომ ვერაფერი გააწყო, სახელოში დაქაჩა და ძალით წამოყენება დაუპირა დაუმორჩილებელ „კოლმეურნეს“. მემფისა ნელ-ნელა აჰყვა, წელში გაიმართა. მერე ისე, რომ ხმა არ ამოუღია, ერთბაშად ბურთივით შეიკუმშა, ზამბარასავით ასხლტა და ისეთი თავური აძგერა, ბრიგადირი ერთბაშად უკან გადაქანდა. თუმცა იმწამსვე გონს მოეგო და არავინ რომ არ მოელოდა, პერანგს ქვემოდან პატარა, საცალხელო ნაჯახი დააძრო, კიდევ წამიც და მემფისას თავზე დაუშვებდა უკვე მოქნეულ ნაჯახს, მაგრამ არც ის დაიბნა, გველივით გაიკლაკნა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს და ვიდრე ბრიგადირი საბოლოო დარტყმისთვის ემზადებოდა, რკინის პატარა ნაჭერს მისწვდა და მარცხენა ფერდში ატაკა მომხდურს. ჭიშკართან შეკრებილმა მოსეირეებმა ერთბაშად ამოიგმინეს. თუმცა ეს ტრაგედია ისე სწრაფად დატრიალდა, უმრავლესობამ ვერც კი შენიშნა, რა მოხდა სინამდვილეში. მოგვიანებით, სასამართლოზეც კი ბევრი მათგანი გულუბრყვილოდ ამტკიცებდა, ალბათ ბრიგადირი თვითონ დაეცა რკინის ნაჭერზე, თორემ მემფისას ხელში არაფერი სჭერიაო.

ასე იყო თუ ისე, ოცი წელი მიუსაჯეს. მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია, მაგრამ ქურდია მამაძაღლი და ასე მოუხდებაო. არა, უნდა გაიქცეს, თანაც გზიდან, თორემ იქ, ციმბირში, რამდენიც გინდა გაიქეცი, ირბენ, ირბენ ტაიგაში და ან მგლები შეგჭამენ, ან დათვები. დიახ, მანამ უნდა გაიქცეს, სანამ მატარებელი ურალს გასცდება, მაგრამ როგორ?

ოცი წელი მიუსაჯეს. მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია, მაგრამ ქურდია მამაძაღლი და ასე მოუხდებაო. არა, უნდა გაიქცეს, თანაც გზიდან, თორემ იქ, ციმბირში, რამდენიც გინდა გაიქეცი, ირბენ, ირბენ ტაიგაში და ან მგლები შეგჭამენ, ან დათვები. დიახ, მანამ უნდა გაიქცეს, სანამ მატარებელი ურალს გასცდება, მაგრამ როგორ?

## ცოცხალი მკვდრის სანაცვლოდ ან პირიქით

ვერაფერიც ვერ მოიფიქრა. გისოსების კარი საბოლოოდ ბაქოში დაიკეტა და მას შემდეგ აღარც გაღებულა. წყალსა და შავ პურს კარის გაუღებლადაც აწვდიდნენ. ვაგონი პატიმრებით იყო სავსე — ვიღაც ოხრავდა, ვიღაც იგინებოდა, სხვა იცინოდა, იმანჭებოდა, იგრიხებოდა.

— ე, ბიჭო, კვდება ეს უბედური, მეგონა, სიცილით იჭაჭება-მეთქი და ქე გალურჯებულა. არავინ იცნობთ ამ საცოდავს?

ერთი „მუჟიკი“ აღმოჩნდა იმდენ ხალხში, ვინც გაიხსენა — ეგ ბაქოში ჩემთან ერთად შემოაგდეს ამ ვაგონში და მარტო ის ვიცი, ბურიატი პეტრე პანკინია და ხუთი წელი აქვს მისჯილიო.

საცოდავმა იმავე ღამით დალია სული. გვამი ისეთივე ჩია, გამხდარი და გაბურძგნილი იყო, როგორიც ცოცხალი მემფისა და როცა დილით ზედამხედველებმა ჩვეულებისამებრ იკითხეს — წუხელ ღამით ხომ არავინ მომკვდარაო — მემფისამ ამდენი ხნის შემდეგ პირველად ამოთქვა თავისი ნამდვილი სახელი და გვარი (რომელსაც მისი ახლობლების თხოვნით ვერ დავასახელებთ — ვ. გ.) და ისეთი თვალით გადახედა დაბნეულ პატიმრებს, ყველამ ყველაფერი გაიგო. იმ დღეს „რამკიანი“ ქურდი მემფისა თავის პირად საქმესთან ერთად „დამარხეს“. სამაგიეროდ, საკანცელარიო საქმეებში ცხოვრებას აგრძელებდა „მუჟიკი“ პეტრე პანკინი, რომლის არსებობა სულაც არ დასტყობია კანონიერი ქურდებით სავსე ალჩინოს ბანაკს. ქართველები მემფისას როგორ გაამხელდნენ. თვითონ კი ზონაში ისე ცხოვრობდა, როგორც ზომიერ „მუჟიკს“ შეეფერებოდა და დროც ისე გადიოდა, არავის არაფერი შეუტყვია. ეგ იყო, ქართველი პატიმრები თუ გამოხატავდნენ ზოგჯერ გაკვირვებას, ისიც თავისთვის, უთქმელად. გაოცებულები იყვნენ მემფისას ფერისცვალებით და საბაბიც ჰქონდათ. ერთ დროს კრიმინალური სამყაროს ეს ნამდვილი ვეფხვი ახლა ისეთი მორჩილი და დამყოლი გამხდარიყო, რომ „ბატონოს“ და „შენი ჭირიმეს“ მეტს მისგან ვერაფერს გაიგებდი. მართალია, როგორც ქურდს „ეკადრება“, ზონაში არ მუშაობდა, მაგრამ ამას იმით ახერხებდა, რომ მუდმივად ან კუჭს ილიზიანებდა, ან ღვიძლს, ან ხელს ილრძობდა და სულ „ავად“ იყო. სხვა მხრივ ლაგერის წესდებას ემორჩილებოდა და რაკი ცუდად არ ხასიათდებოდა, ორი წლის შემდეგ კვლავ გისოსებიან ვაგონში უკრეს თავი და როგორც გაიგო, ქვეყნის რომელიღაც, უფრო ნორმალური კლიმატის მქონე რეგიონში გაგზავნეს. შეკითხვის უფლება არ ჰქონდა, ვაგონის კუთხეში მიიკუნჭა და ბედს მიენდო.

## მოგონებები „გარდაცვლილ“ ქურდზე

ლაგერებში კი ლეგენდები დადიოდა მემფისას საგმირო საქმეებზე. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის კრიმინალურ წარსულს, გამოვა, რომ ბევრი კარგიც უკეთებია. პირადად მე უპირველესად ის მიმაჩნია, რომ მემფისას არც ერთი ქურდი არ გაუზრდია და ახალგაზრდებს სულ იმას უკიჟინებდა, ისწავლეთ და იშრომეთ, თავს ნუ დაიღუპავთ, ისიც საკმარისია, მე რომ დავიღუპე და თქვენც იმავეს ნუ გაიმეორებთო. ამათთან ხომ მართალი იყო, სამაგიეროდ, ყოველდღე ატყუებდა პოლიციელებს.

— ჩემისთანები იმიტომ ვკრიმიტობთ, რომ ეგენი სუსტები არიან, თორემ რატომ არ არიან კანონიერი ქურდები ინგლისსა და ამერიკაში, ვითომ ჩემზე ნაკლები მადა აქვთ იქაურ პრესტუპნიკებს თუ რა? მიზეზი ისაა, რომ ამ ქვეყნებისაგან განსხვავებით ჩვენთან ხარისხზე არავინ ზრუნავს, რაოდენობით ცდილობენ თავიანთი უსუსურობის შენიღბვას. რად უნდა საქართველოსთანა ჯუჯა ქვეყანას 75 ათასი მილიციელი? არ ურჩევნიათ, ერთს ათის ხელფასი მისცენ და ერთი მაძღარი ერთგული ჰყავდეთ, ვიდრე ათი მშიერი, რომელთაც ყოველ წუთს ქრთამსა და ღალატზე უჭირავთ თვალი... მილიციელებს რა შემაყვარებს, მაგრამ მათ უცხოელ კოლეგებს რომ ვუყურებ, შურით ვკვდები. აბა, შეხედეთ ჩვენს ქუჩებში გამოფენილ პუჭურა, ბღინკიან წესრიგის დამცველებს, მილიციელი შიშსა და პატივისცემას უნდა იწვევდეს და დანაშაულიც ნაკლები იქნება. ამათ შემხედვარე პრესტუპნიკს ვისი რიდი უნდა ჰქონდეს, როცა ესენი თვითონ ყოველდღე სჩადიან დანაშაულს.

— მართალია, რომ ამბობენ, თუ ერთხელ მიეჩვიე ნარკოტიკს, ვეღარ გადაეჩვევიო.

— სიცრუეა. აბა, გაიხსენეთ ამ ბოლო დროს რამდენი შეეშვა ნარკოტიკს... სიკვდილის მიზეზით. ასე რომ, გამოსავალი აქაც არსებობს. საფლავში ისე ჩავალ, ნარკოტიკის გემოსაც არ გავსინჯავ. ცხოვრებისაგან ნემსის ჩხვლეტაზე უფრო დიდი სიამოვნების მიღება შეიძლება და ამისათვის არც კანონიერი ქურდობაა საჭირო, მაგრამ მე ცუდი მასწავლებლები მყავდნენ. ბიჭებო, გახსოვდეთ, ცხოვრებაში ყველაფერის გაფანტვა და დამღერება შეიძლება, მაგრამ დასანანი ერთადერთია, საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების დამღერება.

ასეთი გახლდათ მისი წარსულისათვის შეუფერებელი შეხედულებების მქონე, „მუჟიკის“ ნიღაბს ამოფარებული „რამკიანი“ ქურდი, რომელიც ახლა თვალუწვდენელი საბჭოთა კავშირის ერთ პატარა ლაგერში პეტრე პანკინის ხუთწლიან საპატიმრო ვადის ბოლო კვირებს ითვლიდა და ხარობდა, რომ მისჯილი ოცი წლიდან თხუთმეტს „გაახალტურებდა“. ამიტომ ყველაფერს იტანდა და ისიც გადაწყვეტილი ჰქონდა, საქართველოში ამ თხუთმეტი წლის მანძილზე არ გამოჩენილიყო, რადგან მაშინვე ციხეში უკრავდნენ თავს. მისნაირებს ხომ ასე იოლად არ ივიწყებენ. ამიტომ რუსულის კარგად მცოდნე ქართულის გაგონებაზე წარბს არ შეიხრიდა და თუ თავდაპირველად რამდენიმე კაცმა მაინც იცოდა, ვინ იყო სინამდვილეში ეს წვერმოშვებული საფრთხობელა, სამაგიეროდ, დანარჩენები მას ვეღარ ცნობდნენ და მხოლოდ იმით იმშვიდებდნენ თავს, მემფისა ცოცხალიაო.

## გათიშე და იბატონე

როსტოვის ოლქის ამ მიყრუებულ ლაგერშიც ახსოვდათ მემფისა. აქაურობის ბინადარნი თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ იმ „ავტორიტეტების“ სახელებს, ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც გაუთევია ღამე ბანაკის ტერიტორიაზე. მემფისას კი აქ ბოლო ნასამართლობის ხუთი თუ ექვსი წელი ჰქონდა გატარებული და აბა, როგორ დაივიწყებდნენ, მით უმეტეს, პატიმართა შორის ისეთებიც იყვნენ, იმ დროიდან რომ იხდიდნენ სასჯელს. სხვა რა შეეძლოთ და ლაგერის ქურდებმა მემფისას ნაწოლი ტახტი დიდსულოვნად დაუთმეს მათთან მოგვიანებით მოხვედრილ ქართველ ქურდს, მეტსახელად აკიმას და ისიც დიდად ამაყობდა ამით. თუმცა საყოველთაო პატივისცემის მიუხედავად, ლაგერში მაინც იყო ერთი კაცი, ვინც სიცოცხლეს უმწარებდა აკიმას. ისიც ქართველი იყო, ფოთელი თუ სენაკელი ვინმე ამბერკა. ზედამხედველად მსახურობდა ლაგერში და სისხლისმწოველს ეძახდნენ პატიმრები. ასე რომ, ამბერკაწურბელა არც სხვებს უყვარდათ, — ეს კაცი რატომღაც განსაკუთრებით ქართველებს ავიწროებდა. ერთხელ აკიმამ როგორღაც მოახერხა, ამბერკა დაიმარტოხელა და მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხა:

# სხვის მაგივრად დამარხული...



— არ გიფიქრია, რომ ჩვენ, პატიმრები, ხანდახან გარეთაც გავდივართ და სადმე რომ გადაგეყაროთ, რისი იმედი გაქვს?

— კი გადიხართ, მაგრამ ისევ ბრუნდებით. მე კი სულ აქ ვარ. ჩათვალეთ, რომ მუდმივი პატიმრობა მაქვს მოსჯილი — ამიტომ მე კი არ მოვდივარ თქვენთან, პირიქით...

ერთი სიტყვით, არაფერი გამოვიდა — ამბერკა ამის მერეც არ აყრიდა ხეირს ქართველ პატიმრებს და ისინიც იძულებული იყვნენ, დასაშვებზე მეტი მოეთმინათ თავიანთი თვისტომისაგან. მით უმეტეს, რომ ლაგერის უფროსიც ქართველი იყო და ყველა ფიქრობდა, ალბათ ამბერკა მის მითითებებს ასრულებსო.

ლაგერში დრო ზლაზვნით მიედინებოდა. სიახლე და გამოცოცხლება მხოლოდ ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხარჯზე რეჟიმის შეცვლას მოჰყვებოდა ხოლმე და ახლაც რაღაცის მოლოდინში იყო დანაშაულებრივი სამყარო. აქ გამეფებულ ქურდების დიქტატურას ბოლო უნდა მოეღოსო, გადაეწყვიტათ იქ, ზემოთ, და რაკი იცოდნენ ამას სხვაგვარად არ ეშველებოდა, ისევ დამნაშავეების ხელით აპირებდნენ საქმის მოგვარებას. საამისოდ ზონაში ოცამდე „ბეზპრედელშჩიკი“, ანუ ყველაფრის მკისრებელი ხალხი შეყარეს, რომელთა შორის ზოგი ე.წ. „ჩარტყმული“ ქურდი იყო, ზოგი მკვლელი და ზოგიც — ბანდიტი. მათი მოსვლით საფუძვლიანად შეირყა არა მარტო ქურდების ავტორიტეტი, არამედ მათგან ზონაში დამყარებული „წესრიგიც“ და სიტუაცია ისე დაიძაბა, აშკარა იყო, დღეს თუ არა ხვალ, რაღაც უბედურება მოხდებოდა. „ბეზპრედელშჩიკებს“ ყოფილი „რამკიანი“ ქურდი, ორანგუტანგის მსგავსი გოლიათი, ვინმე პროხორი მეთაურობდა. იმდენად დაუნდობელი კაცი იყო, მისი სახელის გაგონებაზე ზონაში ყველა ცახცახებდა. ქურდებმა უკან დაიხიეს.

## უჩინმაჩინის ქუდქვეშ

„ბეზპრედელშჩიკებმა“ ისე უცერემონიოდ დაისაკუთრეს ქურდების უფლებები, ერთხელაც არ შეხმიანებიან „რამკიანებს“, არადა ზონაში თორმეტი ქურდი იჯდა და მათ შორის ოთხი „რამკიანი“.

— ცოტა უნდა ვაცალოთ. როგორც ჩანს, ზემოდან იმართებიან, პროვოკაციაზე არ უნდა წამოვეგოთ, — დაასკვნა მათ შორის პირველმა ფედკა ორიოლმა.

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ შენ ისა თქვი, მერე რა გზას დავადგეთ... — შეეპასუხა უფრო ახალგაზრდა სიომა ბელი.

„საკითხის განხილვაში“ თორმეტივე ქურდი მონაწილეობდა. აი, ის კი, გრძელწვერა საფრთხობელა, კუთხეში რომ მიკუნჭულიყო, ხმას არ იღებდა. ჩანდა, საამისოდ რანგი არ ჰყოფნიდა და ამიტომაც კბილს კბილზე აჭერდა. არავინ იცოდა, ვინ იყო, რა წარსულის, არც ის, რა უნდოდა ქურდების ბანაკში ამ ბანჯგვლიან „მუჟიკს“ და ამის გამო, ზოგიერთებმა პროტესტიც კი გამოთქვეს. ზონაში, მით უმეტეს, საცხოვრებელ ბარაკში უცნობის შენახვა არ იყო მიღებული, მაგრამ ფედკამ მოითხოვა, „მუჟიკზე“ არაფერი მკითხოთო. ჰოდა, ფედკას ვინ აწყენინებდა და აგერ სამი წელი გავიდა მას შემდეგ. ზის ასე მუნჯივით თავისთვის, არც არავინ აწუხებს და არც თვითონ იკლავს თავს ვინმესთან დაახლოებისთვის. არავის ახსოვს, თუნდაც ფედკასთან მოსაუბრე ენახოთ. ის კი არა, როდესაც სხვები კამათობდნენ, თავი ისე ეჭირა, თითქოს საერთოდ არაფერი ესმოდა. მხოლოდ ერთხელ ასწია თავი, ეს მაშინ იყო, როცა „ბეზპრედელშჩიკებისგან“ გაბეზრებულმა სიომამ ფედკას უსაყვედურა: რამე მოიფიქრე, თორემ სადაცაა ჩაგვყლაპავენ ეს ოხრები. მემფისა რომ გვყოლოდა, ამას ვერ გაგვიბედავდნენო. ქურდებიდან ბევრი იცნობდა მემფისას, დანარჩენები ისე სცემდნენ პატივს, მისი წარსულის გამო. მაგრამ სად იყო მემფისა? კი ამბობდნენ, ცოცხალიაო, თუმცა ცოცხალი კაცი ამდენ ხანს თავს ისე როგორ შეინახავდა, ხმა არ მიეწვდინა თავისიანებისათვის. მემფისა კი დუმდა და ეს დუმილი, ზოგიერთებისთვის იმას ნიშნავდა, რომ იგი მკვდარი იყო. მატარებლის ამბავი კი, თითქოს მის ნაცვლად სხვა დამარხეს, ლამაზ ლეგენდად მიაჩნდათ.

ბარაკში შეშლილივით შემოიჭრა ჟენია კასოი.

— გუშინწინ აიდილა გვიცემეს, გუშინ მიტია, დღეს კი ისე მიუსაკლავებიათ „არიფების“ პერედაჩის ასაღებად შენგან გაგზავნილი ნაგორნი, რომ სადაცაა სული გასძვრება. რაღაც უნდა გადაწყვიტო, ფედკა, ასე აღარ შეიძლება, ან თავი დავიცვათ, ან ყველაფერზე ხელი ავიღოთ და „მუჟიკების“ ბარაკში გადავსახლდეთ.

— მერე ვინ დაგიშალა „მუჟიკებთან“ გადასახლება. თავს იმიტომ ვიკავებ, რომ დამარცხების მეშინია, ისინი ოცნი არიან, ჩვენ — თორმეტნი. უფრო სწორად, თერთმეტნი დავრჩით, ნაგორნი ხომ ნაცემია. ვერაფერს გავხდებით.

ყველასათვის მოულოდნელად, კუთხეში მიყუჟული გრძელწვერა წამოდგა, მერე ყელზე გრძელი შარფი ისე შემოიხვია, წვერი შიგ ჩამალა, ლეიბის ქვემოდან ალმასივით მჭრელი ნაჯახი დააძრო და ბარაკის შუაგულში დადგა.

— ყველაფრისთვის მადლობელი ვარ, ფედკა. იცის ღმერთმა, შენს წყენინებას არ ვაპირებ. უბრალოდ, არ მინდა ქურდების „გამუჟიკების“ მოწმე გავხდე. როგორც გინდა, ისე განსაჯე, ჩემი ჭკუით ძალადობას ძალადობით უნდა უპასუხო. ბოლოს და ბოლოს, ერთხელ გავჩნდით და ერთხელ დავიხოცებით. ქურდების ცემას კი არავის ვაპატიებ. შენი საქმისა კი შენ იცი.

ამის თქმა და მისი გარეთ გავარდნა ერთი იყო. დაყოვნება ქურდების ამ მოსარჩლის დაღუპვას უდრიდა და ფედკამაც ნაჯახი დააძრო. ქურდებმა შავი დღისთვის გადანახული წვერწამახვილებული არმატურები, რკინის ძალაყინები და თვითნაკეთი ბებუთები იშიშვლეს და წვეროსანს მიჰყვნენ.

„ბეზპრედელშჩიკები“ კარგად მომზადებულიყვნენ თავდასხმის მოსაგერიებლად, ბანაკის ტერიტორიაზე რაც ქვა და ღორღი იყო, ერთიანად ბარაკში შეეზიდათ. ისეთი ქვის წვიმა წამოვიდა, თვალის გახელა ჭირდა. წვეროსანმა ლეიბი აიფარა და რადგან კარი ისე ჰქონდა მოწინააღმდეგეს გამაგრებული, შეტევაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, ბარაკის ფანჯარას მიასკდა და წამში ჩარჩოიანად ჩამოიღო ნაჯახით. მას სხვა ქურდებმაც მიჰბაძეს და ახლა ბრძოლა უშუალოდ ბარაკში მიმდინარეობდა.

სისხლი უკვე კოჭამდე სწვდებოდათ, მაგრამ ომი მანამ არ დამთავრდებოდა, ვიდრე „ბეზპრედელშჩიკების“ თავკაცს, პროხორს არ მოკლავდნენ. ბოლოს და ბოლოს, მასაც მიაგნეს — პატარა ოთახში შეკეტილიყო და იქიდან ბაქიბუქობდა ორმეტრიანი გოლიათი. ოთახის კარს თუნუქი ჰქონდა აკრული და ისე იყო ჩაკეტილი, ვერც ნაჯახით, ვერც ძალაყინით ვერაფერს გახდნენ. ვიდრე რამდენიმე კაცი კართან ჩალიჩობდა, უეცრად მათ ფეხებთან ცეცხლმა იფეთქა და ერთიანად შეტრუსა მომხდურები. ეს პროხორის ოინი იყო. ამასობაში, შუაგულ ბარაკში ომი გრძელდებოდა. პროხორის ოთახს ახლა კედლიდან შეუტიეს და სადაც იყო, გაანგრევდნენ კიდეც, რომ საქმეში ადმინისტრაცია ჩაერთო და პროხორი გადაარჩინეს.

რვა კაცი მოკვდა იმ დღეს. მათ შორის სამი ქურდი, დაჭრილებიც მრავლად იყვნენ, მაგრამ ახლა ჭრილობას ვინღა დაგიდევდათ. მთავარი იყო, რომ ქურდებმა გაიმარჯვეს. თუმცა გამარჯვებას ის აუფერულებდა, რომ მისი მედროშე „მუჟიკი“ იყო. ორი დღის შემდეგ, როცა „ბეზპრედელშჩიკების“ მხარემ აღიარა, თავდამსხმელებს შორის წვერიანი კაცი არ შეგვინიშნავსო, წვეროსანი კარცერიდან გამოუშვეს და კოლონიიდან განთავისუფლების ბარათიც მისცეს ხელთ. მისი პატიმრობის ვადა ამ დილით ამოწურულიყო. ბარაკში არც შესულა, არ რა დარჩენოდა იქ, კარცერიდან პირდაპირ გასასვლელისაკენ გაემართა. თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა. ის იყო, საკონტროლო-გამშვები პუნქტი უნდა გაევლო, რომ უცებ...

— მოიცა, მოიცა, ბიჭო, შენ მემფისა არა ხარ, — ტყვიასავით დაადევნა ვიღაცამ სიტყვები.

— პრასტიტე, ია ნიჩეგო ნე პონიალ. ვი ნავერნოე ოშიბლის, — სუფთა რუსულით გაეპასუხა ამბერკა ზედამხედველს.

— აჰა, ქართულიც დაგავიწყდა? აბა, ეს პერანგი გაიხსენი, — და ამბერკამ ხელის ერთი მოძრაობით ჭიპამდე ჩაუხსნა პერანგი წვეროსანს. მკერდზე დახატულმა ვეებერთელა შევარდენმა გამოანათა მისი მკერდიდან.

— მემფისაა, მემფისა, ეს შობელძაღლი! ხომ ვამბობდი, სხვას დაამარხვინებდა-მეთქი. აქედან ასე იოლად ვეღარ წახვალ, ჯიგარო, კიდევ თხუთმეტი წელი გაქვს მოსახდელი, — სიხარულს ვერ მალავდა ამბერკა.

P.S. ლაგერის ქურდების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ გაიგეს მათი მედროშე „მუჟიკი“ კი არა, — მემფისა ყოფილა. თუმცა თვითონ ამ სიხარულს არ იზიარებდა, რადგან ერჩივნა თხუთმეტი წლით ადრე დაეღწია თავი ამ ჯოჯოხეთიდან.

ვაჟა გავაშელი

# „შავი ორშაბათი“?

## ხელისუფლება კონტრაბანდასთან ბრძოლას უკვე მერამდენეჯერ ორშაბათიდან იწყებს

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

გამოძიება არც დაწყებულა, რომ საბაჟო დეპარტამენტმა სამსახურიდან დაითხოვა რეგიონული საბაჟოს უფროსი. უფრო სწორად, თავისივე განცხადებით გაათავისუფლა. სინამდვილეში კი მებაჟეს განცხადება არ დაუწერია. განცხადება მას ისევე, როგორც ყველა მებაჟეს (წესია ასეთი), წინასწარ, დანიშვნამდე ჰქონდა დაწერილი. განცხადებებს თარიღი არა აქვს, საჭიროებისამებრ დააწერენ. გენერალურმა პროკურატურამ საქმე დანაშაულის არარსებობის გამო შეწყვიტა, მაგრამ მებაჟის ადგილი დეპარტამენტმა უკვე გაყიდა და ახლა რეგიონულ საბაჟოს ორი უფროსი ეყოლება. ასევე ორი უფროსია საბაჟო დეპარტამენტის აპარატის უფროსის თანამდებობაზე. ერთი აპარატის უფროსი საბაჟო დეპარტამენტმა შვებულების დროს გაათავისუფლა — კაცი სამსახურში რომ დაბრუნდა, ადგილი გაყიდული დახვდა. მან სასამართლოს ძალით თავი აღიდგინა. ახლა ორი აპარატის უფროსია: ერთი — დე იურე და მეორე — დე ფაქტო.

„1998 წელს საქართველოში 130 ათასი ტონა ნავთი შემოიტანეს. მომდევნო წელს თურმე ნავთი საერთოდ არ შემოსულა და თუ ოფიციალურ დოკუმენტებს დავუჯერებთ, არც განბაჟებულა. მხოლოდ შარშან შემოიტანეს და განაბაჟეს ნავთი, ისიც 300 ტონა“.

**— მაინც რა ღირს მებაჟის ადგილი?**

— სხვადასხვა თავმჯდომარის დროს სხვადასხვა ტარიფია, მათ მადაზეა დამოკიდებული — საშუალოდ 5 ათასი დოლარიდან ზემოთ, ათეულ და ასეულ ათას დოლარამდე. გააჩნია, რა თანამდებობაზე მიდიხარ, რომელ საბაჟოში.

**— რამდენია უბრალო მებაჟის შემოსავალი?**

— თუ საზღვაო პორტის მებაჟეა, მისი შემოსავალი დღეებით კი არა, საათობით იზომება. შეიძლება ერთ საათში გააკეთოს 10.000 დოლარი. სარფიანი ადგილია რუსეთი-საქართველოს სასაზღვრო მონაკვეთი, წითელი ხიდი და სხვ. არვარგა მთიანი და ცუდგზიანი რაიონები...

სხვათა შორის, ზოგიერთი რამ, რაც ყოფილმა მებაჟემ გაგვანდო, საქართველოს პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის დასკვნაშიც ამოვიკითხეთ; ხოლო რეგიონული საბაჟოს, „დასავლეთის“ ყოფილმა ხელმძღვანელმა, აგრეთვე დეპარტამენტის აპარატის უფროსმა ნიკა ჩხარტიშვილმა მათ წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება დაადასტურეს.

კომიტეტის სხდომაზე ორიოდ სიტყვა სააქციზო მარკების მონიტორინგის სამსახურის შესახებაც ითქვა. „ვიდრე სააქციზო მარკების მონიტორინგის ბიურო შეიქმნებოდა, ბიუჯეტში გაცილებით მეტი გადასახადი შედიოდა, რად გვინდა ასეთი სამსახური? — იკითხა დავით სალარიძემ და სიტყვა ფინანსთა მინისტრს, **მირიან გოგიაშვილს** დაუთმო: „საბაჟო დეპარტამენტში ჩატარებულმა შარშანდელმა რეფორმამ შედეგი მოგვცა — შემოსავლები წინა წლებთან შედარებით გაიზარდა. ძირითადი პრობლემა კონტრაბანდული დიზელის საწვავისა და სიგარეტის პერიმეტრებშია, თორემ სხვა პრობლემას ფინანსთა სამინისტრო შემოსავლების მობილიზების კუთხით ვერ ხედავს. რაც შეეხება ტესტებს, გადავწყვიტეთ პირველ ეტაპზე ტესტირება მხოლოდ საბაჟოს თანამშრომლებს ჩავუტაროთ. მეორე ეტაპზე შეიძლება სხვა მოქალაქეებიც ჩავრთოთ ტესტირებაში. ორშაბათიდან კი წითელი ხიდის, უდაბნოს და ერგნეთის მიმართულებით სერიოზული ღონისძიებების გატარებას ვიწყებთ.“ მინისტრის სიტყვა საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ **ალეკო ასლანიკაშვილმა** გააგრძელა: „წინასწარი გადახდები დასაშვებია კანონით და ჩვენც ამას ვაკეთებთ. ქუჩიდან არავინ მოგვიყვანია. თქვენ ხელის ერთი მოსმით გინდათ იდეალური საბაჟო სისტემის ჩამოყალიბება. ეს შეუძლებელია. მე არ უარვყოფ, რომ კონტრაბანდა არსებობს, მაგრამ ვაპირებთ სერიოზულ ბრძოლას მის წინააღმდეგ“.

ერთი სიტყვით, აღმასრულებელი ხელისუფლება უკვე მერამდენედ იწყებს კონტრაბანდასთან „სერიოზულ“ ბრძოლას. ბრძოლის დაწყების დღეც ვიცით — ორშაბათი. ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ ფინანსთა მინისტრის სიტყვას ვენდოთ და ვიმედოვნებთ, რომ კონტრაბანდისტებს მართლაც „შავი ორშაბათი“ გაუთენდებათ. საკითხავი ის არის, რამდენ ხანს გაგრძელდება აქცია? თუ ორიოდე კვირაში დასრულდა კონტრაბანდასთან ბრძოლა, „შავი ორშაბათი“ სახელმწიფო ბიუჯეტს გაუთენდება.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# ბიჭი რომ მყოლოდა, ჯაბას დავარქმევდი

## — ავთო იოსელიანი



შაბათს, 8 მარტს თბილისმა უკანასკნელ გზაზე გააცილა ჯაბა იოსელიანი. მისი ხსენებისას თითქოს განგებ ან უნებლიეთ არ ასახელებდნენ მის ტიტულებს. როგორც ჯაბას მეგობრები დღეს ამბობენ — ის უბრალოდ ჯაბა იყო და მისი სახელის ხსენებას ზედმეტი დანამატები არ სჭირდებოდა. მეგობრებმა ისიც თქვეს, რომ „მხედრიონის“ ხსენებისას ყოველთვის იგულისხმებოდა ჯაბაც, რადგან „მხედრიონი“ ჯაბას „შვილი“ იყო და მამაშვილის გაყოფა შეუძლებელია. დღეს „მხედრიონიც“ ისევე დაობლდა, როგორც ჯაბა იოსელიანის ერთადერთი მემკვიდრე. ვუერთდებით თანამგრძნობთა უზარმაზარ არმიას და



ოჯახის წევრებსა და მეგობრებს თანავუგრძნობთ ამ დიდ მწუხარებაში.

შაბათს, სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. გადავწყვიტეთ, რამდენიმე მათგანს გავსაუბრებოდით. მხოლოდ ერთი კითხვით მივმართეთ მათ — ვინ იყო ჯაბა იოსელიანი?

**თენგიზ კიტოვანი:** — ჩემი თანამებრძოლი იყო ჯაბა, სამაჩაბლოდან დაწყებული, მერე აფხაზეთში და საერთოდ. მისთვის უკანასკნელი პატივის მისაგებად სპეციალურად ჩამოვედი რუსეთიდან. მე და ჯაბას ერთი ინტერესი გვქონდა. გვინდოდა საქართველო საპარლამენტო ქვეყანა ყოფილიყო და არა საპრეზიდენტო. ეს გვაერთიანებდა ყოველთვის.

**თენგიზ სუხიშვილი:** — ჯაბას დიდი ხნიდან ვიცნობდი. დიდებული პიროვნება იყო, შემოქმედი. ძალიან კარგი ნაწარმოებები დაგვიტოვა. შესანიშნავი თეატრმცოდნე გახლდათ. ქვეყნისთვის, ეროვნული მოძრაობისთვისაც ძალიან ბევრი გააკეთა.

**გოგი დოლიძე** — გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჯაბა ჩვეულებრივი მოკვდავი არ იყო. მას ხელეწიფებოდა ყველაფერი. ერთადერთი კაცი იყო, ვისაც შეიძლება მიესადაგოს „დიდოსტატის მარჯვენის“ გმირის — გიორგი -ის ნათქვამი — ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია. ისიც ვიყავი, ესეც, ავაზაკიც, ბრძენიც, ქალების მოყვარულიც, მაგრამ სამშობლოსთვის არ მიღალატიაო. ასეთი იყო ჯაბა იოსელიანი ჩემთვის... ძვირფასი მეგობარი. ახლახან ჩემი წიგნი გამოვიდა და ორი კვირის წინ გავუგზავნე წარწერით. მისი დაბადების 75-ე წლისთავზე მეორე თამადა გახლდით. 80 წლისთავზე პირველი თამადა თუ არ ვიქნები, ვიღაცას მომაკვლევინებ, იცოდე, წინასწარ, შეეგუე ამ აზრს-მეთქი, — ვეუბნებოდი.

**ავთანდილ იოსელიანი** — ვაჟკაცი და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული იყო ჯაბა. მოწმე ვარ მისი გმირობისა აფხაზეთის ომში. მოწმე ვარ, რა პატივს სცემდნენ მას პოლიტიკურ შეხვედრებზე, გნებავთ, რუსეთში, გნებავთ, აფხაზეთში. ყველგან აფასებდნენ, როგორც პიროვნებას. მე რომ ბიჭი მყოლოდა, ჯაბას დავარქმევდი მის პატივსაცემად...

8 მარტს ჯაბა იოსელიანი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

***ეკა ლომიძე***



# ვინ არის წლის ადამიანი სამეგრელოდან?

## *ქალაქ სენაკის გამგებელმა თანაქალაქელთა ნდობა გაამართლა*



... ფრთხილად ვაბიჯებ. 133 წლის ისტორიის მქონე სამეგრელოს ერთ-ერთი ლამაზი ქალაქის, სენაკის მიწა ისეთი ძველია და დაღლილი, რომ მეშინია — ნაბიჯებით რამე ვატკინო...

... სენაკს გამოუზრდია გმირიც და გუთნისდედაც, ლექსისა და საჭრეთლის ოსტატიც...

კოლხი კაცის ხასიათი „ოდოიასავით“ რთულია, მაგრამ „ჩელასავით“ ინტიმური და „თუთარჩელასავით“ ნათელი.

როგორი სიტყვა გვაქვს? — დიდოსტატური! როგორი ერთგულება ვიცით? — ცოტნემ რომ იცოდა...

დღეს, სწორედ რომ დიდი და საპატიო ტვირთია სენაკელობა. ის ხომ მამულიშვილობაა, ჩვენი წინაპრების წინაშე მოკრძალებაა, სიკეთე და მადლია ღვთისაგან ბოძებული.

დღეს სწორედ ღირსეულ სენაკელზე, ქალაქის თავკაცზე, გაჭირვებულთა გამკითხველსა და ქომაგზე, ბატონ კახა რუსიაზე მსურს მოგითხროთ.

კახა რუსიამ ცხოვრების რთული — წინააღმდეგობებით და წარმატებებით, დაბრკოლებებითა და სიმართლით აღსავსე გზა განვლო.

2002 წლის 2 ივნისს დასრულდა პირადი ამბიციებით დატვირთულ თანამდებობებისათვის მებრძოლთა ბორგვა. რწმენადაკარგული ხალხი ღირსეულს ენდო და პატარა კოლხური ქალაქი კახა რუსიას მიაბარა.

ბატონ კახა რუსიას ქალაქ სენაკის მერიაში შევხვდი. მის მოსაცდელში უამრავ მთხოვნელს წავაწყდი — სხვადასხვა სოციალური ფენის, სხვადასხვა ფიზიკურ და მორალურ მდგომარეობაში მყოფთ. ერთი სიტყვით, მთელი ქალაქის ჭირვარამს აქ მოეყარა თავი. ბატონი კახას კაბინეტისკენ ავიღე გეზი. მათ შორის მდგომი, მათი უნებური მოწმე, ერთ მათგანს შევეკითხე:

— როგორი კაცია? პრაქტიკულად გიწყვეტთ პრობლემებს, თუ...?

— კარგი ადამიანია, გაჭირვებულთა გამკითხველი, ასეთი კაცი ამ დროში საძებნია...

***კაბინეტში, ანუ ფიქრებში განსჯისათვის:***

კარზე აბრაა: ქალაქ სენაკის გამგებელი კახა რუსია. კარს იქით პატარა სამყაროა — სადა, ლამაზი დიზაინით მოწყობილი კაბინეტი, ფერთა ჰარმონია. მაგიდასთან სიმპათიური ჯენტლმენი დახვეწილი მანერებით. თვალის წამიერი შევლება საკმარისია პიროვნებისა და გარემოს სრულ შესატყვისობაში დასარწმუნებლად.

ვრწმუნდები, რომ კახა რუსია არის კაცი, რომელიც თითოეულმა ადამიანმა, მიუხედავად თავისი სოციალური და ფიზიკური მდგომარეობისა, ჭეშმარიტ გაჭირვებაში შეიძლება შემწედ იგულოს. კაცი, რომელიც არ გიღალატებს.

მოგეხსენებათ, დღევანდელ გაუსაძლის პირობებში, ქალაქის მთელი მოსახლეობის და მით უმეტეს, სოციალურად დაუცველი ფენის პირისპირ დგომა და მისი პრობლემების მოგვარება, პიროვნებისაგან დიდ მორალურ და მატერიალურ ბაზას მოითხოვს. მორალური ბაზა: კახა რუსიას თითქმის განგებამ უბოძა სულის სინათლე, სიწრფელე, სიქველე. ხოლო მატერიალური ბაზა თავად შექმნა, თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტმა გამჭრიახი გონების წყალობით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სენაკელები და არა მარტო ისინი, სიამოვნებითა და მოკრძალებით იხსენებენ კახა რუსიას მამის — ბატონ რომან რუსიას მოღვაწეობის წლებს და თან დასძენენ, რომ სწორედ მათზეა ნათქვამი: „ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასაო“.

როგორც ჟურნალისტს, ბატონი კახას თანაქალაქელს, სიხარულს მანიჭებს საოცრად ლამაზი მოვლენა: მიმდინარე წლის 18 იანვარს გამომცემლობა „რაეოს“ ინიციატივით გამართულ საღამოზე გაზეთ „მახარიას“ მიერ სამეგრელოდან წლის ადამიანად 36 წლის კოლხელი კახა რუსიას დასახელება.

ვთვლი, რომ მეოთხე ხელისუფლებამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რამეთუ ბატონ კახასთან შეხვედრისას დავრწმუნდი, რომ ჩემ წინ იყო კაცი, რომელმაც სიტყვის ფასიც იცის და საქმის ფასიც... მისი სიტყვის განზომილება ყოველთვის საქმეა.

როგორც იტყვიან, „ყველა ხე თავისი ნაყოფით იცნობაო“ და ბატონი კახა, წინაპართა კვალდაკვალ კვლავაც გააგრძელებს სასიკეთო საქმეთა კეთებას. მისი დევიზია: „იზრუნე იმისთვის, რომ ის, რასაც დღეს აკეთებ, აკეთო ჭეშმარიტი სიდინჯითა და სიდარბაისლით, კაცთა მიმართ სიყვარულით, სრული თავისუფლებითა და სიმართლით“.

***თეა გრიგოლია, სენაკი*** R

სასწავლო ცენტრი CAC



# „გემუდარებით, უთხარით რომ მიყვარს!..“

***მართალი გითხრათ, არც ასეთი რესპონდენტი შემხვედრია აქამდე და არც ასეთი უცნაური თხოვნით მოუმართავთ ჩემთვის. არც კი ვიცი, ეს ამბავი კურიოზულ შემთხვევათა რიგს მივაკუთვნო, თუ სერიოზულად მივიღო და გამიხარდეს, რომ იმ ქვეყანაში მცხოვრებთ, რომელთათვისაც ყოველი დღის გათენება პრობლემათა გრძელი ჯაჭვია და ლუკმაპურზე ფიქრმა სიხარული ჩაუქრო თვალში, ასეთი დიდი და თბილი გრძნობების გამჟღავნება შეუძლიათ...***

***რადგან მე დავიბენი, ისევ მკითხველს მივანდობ დასკვნის გაკეთებას, ოღონდ, ძალიან გთხოვთ, მკაცრად ნუ განსჯით ამ ქალბატონის სითამამეს...***



გაუხარდება, თორემ განა რაიმეს ვთხოვ?..

**Ქალბატონი მაია 44 წლისაა. პედაგოგად მუშაობს ერთ-ერთ მუსიკალურ სკოლაში და სიმღერებსაც წერს, თუმცა კი კომპოზიტორობაზე პრეტენზია არა აქვს.**

**ამბობს, — ეს ისე, ჩემთვის, ჩემი მეგობრებისთვის ვთხზავ. მუსიკა საოცრებაა, ცრემლსაც შეგიცვლის, სიხარულსაც... ლაპარაკი რომ გინდა და მომსმენი არ გყავს, მაშინაც შეუცვლელი მეგობარია. თავისუფლდები სიმძიმის შეგრძნებისგან და უფრო ადვილად უმკლავდები ცხოვრებისეულ სიძნელეებსო.**

— ადრე გავთხოვდი, პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. ჩემი ქმარი ჩემზე ხუთი წლითაა უფროსი. სიყვარული რომ ამიხსნა, მე 14-ის ვიყავი, თვითონ 19-ისა. ოთხი წელი სიყვარულის ფრთებით მაფარფატა, არც გათხოვების შემდეგ დამკლებია მისგან სიყვარული და დაფასება. ქალ-ვაჟი გაგვიჩნდა. ახლა დაოჯახებულები არიან, ცალ-ცალკე ვუყიდეთ ბინები. შაბათ-კვირას თუ გვესტუმრებიან... მეუღლე ბიზნესმენია და თითქმის სულ წასულია სახლიდან, ვართ მარტო შინ — მე და... მუსიკა!..

**— ეს ყველაფერი კარგი, ქალბატონო მაია, მაგრამ გაზეთის ფურცლებზე მხოლოდ ასეთი ბიოგრაფიით ვერ მოხვდებით...**

— გეტყვით... აუცილებლად გეტყვით, ოღონდ, თუ ძალიან სულელურად გამოვიყურები, მითხარით და დაგიჯერებთ. ეს ამბავი მხოლოდ ერთმა ჩემმა მეგობარმა იცოდა აქამდე. გაკვირვებული იყო, მაგრამ ვერც მიშლიდა გრძნობის აყოლას, რადგან შეურაცხმყოფელი

**— ჩემმა ქმარმა მშვენივრად იცის ჩემი სიყვარულის შესახებ და მართლა რომ უთხრან, — ცოლმა თემურ მღებრიშვილში გაგვცვალაო, — მშვიდად უპასუხებს, — როგორც იქნაო. რა თქმა უნდა, ირონიულად. მეც დამცინის ხოლმე, როცა გავბრაზდები — წადი და მღებრიშვილთან მიჩივლეო!..**

არავისთვის არ არის რამე ჩემს სიყვარულში, სულ არავისთვის. ქმარი მიყვარს და ძალიანაც, მას არც ვინმეში გავცვლი და არც რამეს ისეთს ჩავიდენ, რაც შეარცხვენს და გულს ატკენს (ღმერთმა დამიფაროს). არადა... თავს ვერაფერს ვუხერხებ, სპეცდანიშნულების რაზმის უფროსი, პოლიციელი თემურ მღებრიშვილი მიყვარს... საკმარისია სადმე თვალი მოვკრა და ესეც სიხარულს მანიჭებს. მთელი კოლექცია მაქვს შეგროვებული ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი სურათებისა და მასზე გამოქვეყნებული სტატიებისა. ტელევიზორში როცა გამოჩნდება, თუ მოვასწარი და მოვახერხე, ვიდეოკასეტაზე ვიწერ მის გამოსვლებს... ყველაზე დიდი დღესასწაული კი ის დღე იყო, როცა ახლობლის ოჯახში გამართულ წვეულებაზე შევხვდი. ნამდვილად არ ვიცოდი, თუ ბატონი თემური იმ ოჯახის ახლობელი და ნათესავი იყო. უბრალოდ, მივესალმე, თორემ ხმის ამოღებას როგორ გავბედავდი, მით უმეტეს, რაიმეს ხომ არ ვაგრძნობინებდი. ვიჯექი, ვუცქერდი, ვუსმენდი და მიხაროდა, რომ ტელეეკრანიდან და ჟურნალ-გაზეთებიდან მიღებული შთაბეჭდილებები სულაც არ გამიფერმკრთალდა — საოცრად კეთილი, თბილი, მხიარული აღმოჩნდა ცხოვრებაშიც... ან რა იუმორის პატრონია...

მასზე ათასი სისაძაგლე გამიგია... რას არ ამბობდნენ... რა ექნა, თუკი სამსახური ავალებდა ქალების დაშოშმინებას, მიტინგების დაშლას?! თემური არ იქნებოდა, სხვა იქნებოდა... მე თუ მკითხავთ, იმ ქალებს გაუმართლათ კიდეც, რომ ასეთი კაცი იყო ამ თანამდებობაზე — კეთილი და ლმობიერი. ზოგი ისე მიბეგვავდა იმ საწყალებს, გარეთ გამოსვლის სურვილს ნაღდად დაუკარგავდა!..

ჟურნალისტების დიდი დამსახურებაცაა, ათას ინტერვიუში საკუთარი თავისა და ხასიათის გამომჟღავნების საშუალება რომ მისცეს ბატონ თემურს, თორემ ადრე მეც მეშინოდა მისი...

ახლა კი მჯერა, ის ცუდის გამკეთებელი არაა. ვერ შეძლებს მისნაირი მხიარული და კეთილი გულის პატრონი ვინმეს გამწარებას...

დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ვუსურვებ თავის ოჯახთან ერთად!

**— არ გეშინიათ, რომ მისმა მეუღლემ იეჭვიანოს?!**

— რა აქვს საეჭვიანო ან სანერვიულო, განა რამეში ვეცილები, ან ოჯახს ვურევ, არც მე ვაპირებ ოჯახის დანგრევას... სიყვარულში რომ ვუტყდები, სიხარული მინდა მივანიჭო თემურ მღებრიშვილს, თორემ განა რაიმეს ვთხოვ სანაცვლოდ?!. ერთია, როცა ვინმეს უყვარხარ და მხოლოდ ორმა იცით ამის შესახებ, მე კი საქვეყნოდ ვუტყდები და ძალიან მინდა ბევრს „შეშურდეს“ მისი, სხვებსაც მოუნდეთ სიყვარულის დამსახურება და... ცოტა უკეთესები გახდნენ ეს გაბღენძილი პოლიტიკოსები...

არა, კი ვიცი, მაგათ ქალების სიყვარული არ აკლიათ, მილიონებს აფრიალებენ აქეთ-იქით, მაგრამ ჩემი გრძნობა სხვანაირია — სუფთა და უანგარო, განა სანაცვლოდ რამეს ვითხოვ!..

**— არც იმის გეშინიათ, რომ ქმარი გიცნობთ და ეწყინება?!.**

— ჩემმა ქმარმა მშვენივრად იცის ჩემი სიყვარულის შესახებ და მართლა რომ უთხრან, — ცოლმა თემურ მღებრიშვილში გაგცვალაო, — მშვიდად უპასუხებს, — როგორც იქნაო. რა თქმა უნდა, ირონიულად. მეც დამცინის ხოლმე, როცა გავუბრაზდები — წადი და მღებრიშვილთან მიჩივლეო!..

რამდენი ვილაპარაკე... თემურზე დაუსრულებლად შემიძლია ლაპარაკი!

**— ამ წერილის წაკითხვის შემდეგ თქვენთან შეხვედრა რომ მოინდომოს?**

— არა, რას ამბობთ!... მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ნამდვილად არაფერია ჩემს გრძნობაში, ხომ სირცხვილით დავიწვები, რომ გაიგოს, ვინცა ვარ. ჩვეულებრივი, ქართულად, ტრადიციულად აღზრდილი ქალი ვარ, ქალს არ შეშვენის, კაცს პირველი გამოუტყდეს სიყვარულში და იაქტიუროს... გაზეთი სხვა რამეა... „კვირის პალიტრის“ ფურცლებზე ათასგვარი სასიყვარულო ამბავი წამიკითხავს — ვის აღარ უხსნიან სიყვარულს. რატომ არ შეიძლებოდა მეც მეთქვა ჩემი, მართლაც უცნაური გრძნობის შესახებ?!. ბატონი თემურისთვის სჯობს, თუ არ ეცოდინება მასზე შეყვარებული ქალის არც ვინაობა, არც გარეგნობა. იაროს ამაყად თავისი საყვარელი ქალაქის ქუჩებში და იცოდეს, რომ სადღაც, შორიახლოს, დადის ქალი, რომელიც... ბედნიერია მისი ხილვით...

ბოდიშს ვიხდი, თუ ვინმე გავაღიზიანე ჩემი უცნაური გამოხდომით. ბოლოს და ბოლოს, თქვენი გადასაწყვეტია, დაბეჭდავთ თუ არა ჩემს აღსარებას გაზეთში...

**...აი, ასეთი გახლავთ ეს უცნაური სიყვარული, მკითხველო!..**

**არ ვიცი, თემურ მღებრიშვილი გააკეთებს თუ არა კომენტარს ყოველივეზე და იქნებ არც იყოს საჭირო ზედმეტი ლაპარაკი, უბრალოდ, გაუხარდეს და ბედნიერმა იაროს!..**

***ინგა ჯაყელი***

**„ნუ ტრაბახობ ცხენი მყავსო,**
**მაქვსო ბევრი მიწა-წყალი,**
**მამაკაცად აქცევს კაცსა**
**მხოლოდ ცოლი, მხოლოდ ქალი.“**

*დაღესტნური აფორიზმი*





# რას გვეტყვი, მამაო?

**— რა დროს არის მიღებული ეკლესიის ზარების რეკვა?**

— მართლმადიდებელ ეკლესიაში ზარებს რეკენ: 1. ღვთისმსახურების წინ, მორწმუნეთათვის საღმრთო მსახურების დაწყების შესატყობინებლად;

2. ღვთისმსახურების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მომენტების დადგომისას;

3. ტაძარში ეპისკოპოსის, ან სხვა მაღალი სასულიერო პირის მობრძანების ან წაბრძანების დროს;

4. ახალი წინამძღვრის მობრძანების დროს;

5. ერის ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენების ჟამს;

6. ჯვრის დიდების სიარულის დროს, რათა მას მიეცეს განსაკუთრებულად სადღესასწაულო ელფერი;

7. ეკლესიის გარდაცვლილი წევრების დაკრძალვისას.

**— რამდენად გამართლებულია მართლმადიდებლის საფლავის შემოღობვა, გადახურვა, შუქის გაყვანა, ტელევიზორის დადგმა და სხვ.**

— ასეთი საქციელი ქრისტიანულ აზროვნებას არ ადასტურებს. საფლავი ისეთივე სადა უნდა იყოს, როგორიც ქრისტიანის ცხოვრების წესი. როცა ადამიანს სწორი რწმენა აქვს, ამ საკითხს სხვაგვარად განსჯის — გადავხედოთ, რა უბრალოა ჩვენი მეფეთა საფლავები... რა თანხაც უნდა დაიხარჯოს საფლავზე აკლდამის მოწყობაში ან ტელევიზორის შეძენაში, ეს თანხა ქვრივს და ობოლს რომ მივცეთ, ასჯერ და ათასჯერ მეტად წაადგება მიცვალებულის სულსაც და ჭირისუფალსაც. საფლავზე უნდა იდოს მხოლოდ ქვა და ჯვარი, რომელიც ქრისტიანის რწმენის მდუმარე აღიარებაა.

**— ჩემს ბავშვობაში აუცილებელი იყო მიცვალებულის განბანვა. ახლა აღარაფერი გამიგია ამ ფაქტის შესახებ. თუ მაშინ აუცილებელი იყო, ახლა რა ხდება?**

— ახლაც აუცილებელია. „მოკვდა მატათა და განბანეს“ — პირდაპირ ასე წერია ბიბლიაში. ასე რომ, მიცვალებულის განბანვა ძველი ბიბლიური წესია და ქრისტიანობამაც მიიღო. განბანვა სიმბოლურად უფალთან სუფთად წარდგომას უკავშირდება. ძველ აღქმაში ეს რიტუალი ძალიან ნათლად არის აღწერილი.

**— უნებლიეთ შეურაცხვყავი ლეონარდო და ვინჩის „მადონა“. ძალიან განვიცდი ამ ამბავს. ითვლება თუ არა მხატვრის ეს შედევრი ხატად და უნდა მოვინანიო თუ არა ჩემი საქციელი?**

— ლეონარდო და ვინჩის მადონა ხელოვნების ნიმუშია და არა ხატი. თუმც, არც ხელოვნების შედევრის შეურაცხყოფა ითვლება საქებარ საქმედ. ჩანს, ამას თქვენც გრძნობთ, რაკი ამ ამბავს განიცდით. თქვით აღსარებაში, მოინანიეთ და შეგენდობათ, განცდისაგანაც განთავისუფლდებით.

**— შეგნებულად ავარიდე თავი იმ ბავშვის ნათლობას, რომლის მამიდაც მიყვარს და დაქორწინებას ვაპირებ, თუმცა ნათლობის საიდუმლოს აღსრულებისას მაინც მომიხსენიეს, როგორ მოვიქცე?**

— თუ ნათლობაზე თავიდანვე გქონდათ უარი ნათქვამი და ნათლობის საიდუმლოს აღსრულების დროს თქვენი სურვილის წინააღმდეგ მოგიხსენიეს, ნათლიად არ ითვლებით. აქვე მოგახსენებთ იმასაც, რომ ასეთი ჯვრისწერა, საერთო მართლმადიდებლური საეკლესიო კანონიკით, არ იკრძალება. ნათლობით ნათესაობა მხოლოდ ნათლიისა და ნათლულის პირდაპირ შტოზე გადადის.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***


ევროპაში წამყვანი მწარმოებლის
UAB „Biljardai“ ექსკლუზიური
წარმომადგენელი
ბილიარდის
მაგიდები
აქსესუარები
1000 მეტრ დაახლოებით
Zeus
Biljardai
1234
Master
საუკეთესო წინადადებები
ახალი საბილიარდო კლუბების გახსნისას
ტ: 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №2 (ყოფ. კამო)

„ალუპლასტი“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

განსაკუთრებული ჟურნალი


# თუ ხაბურძანია „გვენიძლავება“, მაგის პრობლემაა...

## ნურვის ჰგონია ჩვენს სპეცრაზმებს თბილისში აქვთ რამე ინტერესი

*აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის და ფრაქცია „21-ე საუკუნის“ დეპუტატის, ჯემალ გამახარიას სასამართლო „მარათონი“ პიკს უახლოვდება. უახლოეს დღეებში ნადარეიშვილი შეეცდება, დაამტკიცოს, რომ გამახარიას ბრალი მიუძღვის აფხაზეთის დაცემის გამო ზეიმის მოწყობასა და ქართველთა შორის შუღლის ჩამოგდებაში. გარდა ამისა,* ***თამაზ ნადარეიშვილი*** *სხვა ბრალდებებსაც წაუყენებს გამახარიას. ერთი სიტყვით, დაპირისპირება ალბათ უფრო გამძაფრდება. ბატონ თამაზს თურმე ტელეფონით აფრთხილებენ მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ. მასზე თავდასხმის მოლოდინში „იმელის“ შენობაში შემსვლელთ უხდებათ აიტანონ შეურაცხმყოფელი ჩხრეკა, რომელიც ფოიეში იწყება და ნადარეიშვილის კაბინეტთან მთავრდება.*

**— ბატონო თამაზ, მალე სასამართლოს წინაშე წარდგებით. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ თქვენი ბრალდებების დამტკიცებას?**

— ამისთვის მზად ვარ. უამრავი მოწმე მყავს. დაახლოებით 50 კაცია გამახარიას ანტისახელმწიფოებრივი ქმედების მოწმე. აფხაზეთის დაცემის დროს ზუგდიდში ტარდებოდა მიტინგები, სადაც გამახარია შემდეგ განცხადებებს აკეთებდა: „ჩვენ ახლა უნდა ავიღოთ ფოთი, ქუთაისი, თბილისი“. ის ლაპარაკობდა ზვიადისტების სახელით, არ ვიცი, რამდენად ჰქონდა მას ამის უფლება. მისი ძმა, ასევე „ზვიადისტი“, ჩვენთან ერთად იბრძოდა აფხაზების წინააღმდეგ. თავად ჯემალ გამახარია კი, ბარიკადის მეორე მხარეს ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ აფხაზეთი დაცემულიყო.

**— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დღეს, ვისაც რა უნდა, იმ ბრალდებას წამოაყენებს, თუმცა, როცა საქმე საქმეზე მიდგება, არგუმენტების უქონლობის გამო ბრალდება ცილისწამებად იქცევა. ერთ-ერთ ინტერვიუში საუბრობთ რაღაც ვიდეოკასეტაზე, რომელიც გამახარიას საკომპრომეტაციოდ მეტყველებს. კასეტა დღემდე არ ჩანს.**

— კასეტის შესახებ მე არაფერი მითქვამს, საიდან გავრცელდა ეს ჭორი, არ ვიცი. თურმე ამბობენ, რომ 50 ათას დოლარს ვიხდი ამ კასეტის მოსაძებნად. ეს სიცრუეა. გამახარიას სასამართლო პროცესთან დაკავშირებით მუშაობენ ჩემი ადვოკატები. მე არაფერში ვერევი. სწორედ ადვოკატებმა მკითხეს, რაიმე ვიდეოკასეტა ხომ არა გაქვთო? ვუპასუხე, რომ არაფერი მაქვს, მაგრამ არ არის გამორიცხული, კასეტა ინახებოდეს ტელევიზიის არქივში ან სადღაც. მოკლედ, ჩემგან კასეტის ყიდვის მცდელობა ისეთივე სიცრუეა, როგორიც ის, რომ თითქოს მოწმეებს 500-500 დოლარს ვუხდი თითოეული გამოსვლისათვის. მათ არც კი ვიცნობ. მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობს სასამართლოში და კასეტა იქნება თუ არა, მაგას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს, რადგან, რაც გამახარიას საწინააღმდეგოდ ვთქვი, სასამართლოს მიერ დაკითხულმა მოწმეებმაც დაადასტურეს.

**— როგორ მოიქცევით, თუ სასამართლო მოწმეების ჩვენებას არასაკმარისად მიიჩნევს თუნდაც იმ მოტივით, რომ შეიძლება ისინი მოსყიდული გყავდეთ...**

— მაშინ ათას, ათი ათას, ოცი ათას მოწმეს მოვიყვანთ. გამახარიას „ვაჟკაცობის“ თვითმხილველი მთელი საქართველოა. გამახარიაზე საერთოდ ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ვცდილობდი სააშკარაოზე არ გამომეტანა, მას ყოველთვის ვეუბნებოდი: ბატონო ჯემალ, თქვენ ძალიან ბევრი ცუდი გაქვთ გაკეთებული, რაზეც არ ვსაუბრობმეთქი, მაგრამ, როგორც კი შეეცადა, აბაშიძის საამებლად ქულები ჩაეწერა და ჩვენ ცილი დაგვწამა კონტრაბანდისტობასა და დევნილთა დახმარებების მითვისებაში, იძულებული გავხდი, გამომეაშკარავებინა მისი ნამდვილი სახე. სამშაბათს სასამართლოში მივალ და ბევრ სხვა ფაქტსაც ვიტყვი, რაც გამახარიას პიროვნებას ნათელს მოჰფენს.



**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ჯემალ გამახარია 1992 წლის 5 ნოემბერს, გაგრის აღებიდან ერთი თვის შემდეგ, ჩნდება გაგრაში, ჩემი მშობლების სახლთან, ჩეჩნებთან ერთად და აფხაზებს ეკითხება, სად არის თამაზ ნადარეიშვილის სახლიო. ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ ჩემი მშობლების სახლი დაწვეს. შემდეგ იმ ხალხის სახლები დაწვეს, ვისაც გამახარიასგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება ჰქონდა. მაქვს ინფორმაცია, გამახარიამ ისარგებლა შემთხვევით, როცა დამარცხდა აფხაზეთი. ხარობდა თავისი ვიწრო პარტიული მოსაზრებით, რომ აფხაზეთში დამარცხდა შევარდნაძე, ხუნტა.

**— კი, მაგრამ ეს ყველაფერი გაგრაში თქვენი თვალით ხომ არ გინახავთ. იქნებ ვინმე ბოროტად იყენებს თქვენს დაპირისპირებას?**

— ამის უამრავი თვითმხილველია. უფრო მეტსაც გეტყვით, 1992 წლის 10 ოქტომბერს ჯემალ გამახარია ქალაქის აღების შემდეგ შეხვდა იქაურ დარჩენილ ქართველებს და განუცხადა — ჩვენ, აფხაზები და ჩეჩნები ძმები ვართ და ჩვენი მტრები მიწასთან უნდა გავასწოროთ, ჩვენ გავიმარჯვებთო. თვითმხილველები მზად არიან, სასამართლოში გამოცხადდნენ მოწმეებად.

**— ე.ი. აფხაზეთში იმ საშინელი მარცხის მთავარი მიზეზი კვლავ სამწუხარო მამაპაპური ტრადიცია ყოფილა — ერთმანეთის გაუტანლობა და ღალატი.**

— სამწუხაროდ ასეა. როცა სოხუმი ეცემოდა, ოჩამჩირეში იდგა 4.000 კბილებამდე შეიარაღებული ქართველი, რომლებმაც ხელი არ გაანძრიეს იმ მოტივით, რომ სოხუმში იბრძოდნენ არა ქართველები, არამედ მათი მტრები, რომლებიც უნდა ჩახოცილიყვნენ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიბრუნებდა ეს გონებაამღვრეული ხალხი აფხაზეთს.

**— იქნებ არც ღირდა საქმის გამწვავება დღეს, ისედაც მძიმე ვითარებაში. რატომ ვერ მოახერხეთ საერთო ენის გამონახვა ოპონენტებთან?**

— რა გითხრათ? თავის დროზე, სანამ აფხაზეთს დავკარგავდით, ვიღაცებს რომ არ მოვწონდი, 1993 წლის 15 ივლისს პოსტიდან გადავდექი, მაგრამ იმის მერე რაც მოხდა, კარგად იცით. ახლაც, როცა გაეროში სერიოზულ წინსვლას მივაღწიეთ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, არ მპატიობენ ამ წარმატებას და ყველაფერს აკეთებენ, რომ საქმე ჩამივარდეს, მოხდეს ჩემი დისკრედიტაცია, უცხოეთშიც რეკავენ და მლანძღავენ.

**— ვინ აკეთებს ამას? თუ მართლა ასეა, გამოდის, რომ თქვენი კი არა, საქართველოს ინტერესი აქვთ.**

— ის, ვინც ყვირის, რომ ნადარეიშვილმა უკანონო შეიარაღებული ფორმირებები შექმნა. რაში მჭირდება მე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, რომელსაც გააჩნია თავისი ძალოვანი სტრუქტურები და 4.000 კბილებამდე შეიარაღებული ჯარი, ქუჩიდან ბიჭების აყვანა და მათი გაწვრთნა?

**— რომელ კბილებამდე შეიარაღებულ ჯარზე ლაპარაკობთ, ბატონო თამაზ, სად დგას ეგ ხალხი?**

— საქართველოს ტერიტორიაზე. მაგალითად აფხაზეთის უშიშროების სამინისტროში ჩვენ გვყავს ორი სპეცდანიშნულების ქვედანაყოფი, ერთი სამეგრელოში — თორსაში, მეორე — გარდაბანში. გვყავს შსს-ს შინაგანი ჯარი, რომელიც დღეს ტყიბულში დგას. აფხაზეთის შსს-ში 1.700 თანამშრომელია. სპეციალური დაცვის სამსახურში 500-მდე კაცია.

**ჯემალ გამახარია 1992 წლის 5 ნოემბერს, გაგრის აღებიდან ერთი თვის შემდეგ, ჩნდება გაგრაში, ჩემი მშობლების სახლთან, ჩეჩნებთან ერთად და აფხაზებს ეკითხება, სად არის თამაზ ნადარეიშვილის სახლიო. ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ ჩემი მშობლების სახლი დაწვეს.**

**— როცა ქვეყანას გამათხოვრებული, მშიერ-ტიტველი და უიარაღო ჯარი ჰყავს, თქვენი ნათქვამი ღიმილის მომგვრელია.**

— ეს ჯარი სახელმწიფოს, ქვეყნის კმაყოფაზეა. ამ ჯარშიც არის პრობლემები, მაგრამ ისინი საბრძოლველად სრულ მზადყოფნაში არიან.

**— ბატონო თამაზ, თქვენ თანამდებობიდან გაათავისუფლეთ აფხაზეთის უშიშროების მინისტრი, რასაც მხარი არ დაუჭირა ვალერი ხაბურძანიამ. რა ბედი ელის კორძახიას?**

— მიღებულ გადაწყვეტილებას არ შევცვლი. ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ, არ დავუპირისპირდე ქვეყნის ხელისუფლებას სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. ამიტომაც გადაწყვეტილების მიღებამდე ყოველთვის ველოდები დასტურს ცენტრალური ხელისუფლებისგან, რასაც არ აკეთებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. არავის ეკითხება აბაშიძე, ვინ სად დანიშნოს და რა გადაწყვიტოს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საყოველთაოდ მიღებულ კონსტიტუციაში გარკვევით წერია: „აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს აქვს უფლება, შექმნას ან გააუქმოს მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოები, აგრეთვე დანიშნოს ან გადააყენოს პირები ანგარიშვალდებულ თანამდებობაზე“. ეს არის კონსტიტუცია, და მის შესაბამისად სესია იღებს გადაწყვეტილებას და არა თამაზ ნადარეიშვილი. კორძახიას შესახებაც ასე იქნა მიღებული გადაწყვეტილება. ამიტომ ახლა როგორ იმოქმედებს ხაბურძანია, არ ვიცი, მე კი ზრდილობის გამო მივწერე წერილი და ვთხოვე, ჩვენი გადაწყვეტილების თანახმად მოამზადეთ ბრძანება და მოვრჩეთ ამაზე საუბარსმეთქი. ახლა, თუ ხაბურძანია არ აკეთებს ამას და „გვენიძლავება“, ეს მისი პრობლემაა. ჩვენ კორძახია გავათავისუფლეთ და სამსახურში არ დაბრუნდება.

**— ე. ი. უპირისპირდებით უშიშროების სამინისტროს?**

— თუ უშიშროების სამსახურზე ვსაუბრობთ, როგორ შეიძლება დოკუმენტები გრიფით „საიდუმლო“ ვიღაცების ხელში ხვდებოდეს. რამდენი ასეთი დოკუმენტი გადის უცხო ქვეყნებშიც და ამ დროს აქ მუდმივად იქმნება დამნაშავეთა დაუსჯელობის პრეცედენტი. ის რა ქვეყანაა, რომლის სახელმწიფო უშიშროების სამსახურში ასეთი მდგომარეობაა შექმნილი. რაც კორძახიამ ხაბურძანიას მისწერა, სიცრუეა და ამას შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყვეს.

**— რას გულისხმობთ?**

— ამ წერილში ბრალდებული კირცხალია მოვიდა და მითხრა, მთელი ცხოვრება პატიოსნად ვიცავდი სამშობლოს. ახლა ოჯახი მყავს და შვილი მეკითხება — „მამა, შენ მოღალატე ხარ?“ პარლამენტში წაკითხულ წერილში კირცხალიას აფხაზებთან ჯაშუშობაში სდებენ ბრალს. ახლა ეს კაცი ამბობს, თავი უნდა მოვიკლაო. შეიძლება კორძახია თანამდებობაზე დარჩეს? ცილისწამებით ტრაგედია შექმნა ოჯახში. გარდა ამისა, ბრალს გვდებს, „იმელის“ შენობა ლამის ზარბაზნებითაა შეიარაღებულიო. კორძახიამ ამით თავისი „ოჯახი“ გალანძღა, გავზარდეთ, გზაზე დავაყენეთ და ასე გვიპასუხა.

**— „იმელის“ შენობაში შემოსვლისთანავე იგრძნობა, რომ აქ რაღაც ცუდის მოლოდინში არიან. გულდასმით ჩხრეკენ ყველას, თქვენ მიმართ მუქარას ხომ არ ჰქონია ადგილი?**

— არ მიყვარს იმ ხალხის მოსმენაც კი, ვინც ამბობს, ტერაქტის მოწყობას მიპირებენო და ა.შ. მაგრამ, რადგან ამ საკითხს შეეხეთ, გიპასუხებთ, რომ მუქარის ზარები მართლაც არის. ისეთი პირებიც არიან დაკავებულები, ტერორის მოწყობას რომ აპირებდნენ. გარდა ამისა, თბილისში იმყოფება კიდევ ორი ჯგუფი, რომლებსაც ნადარეიშვილის ფიზიკური განადგურება აქვს დავალებული. ერთი პიროვნება უკვე დაკავებულია, იგი თბილისში აფხაზეთის უშიშროების იზოლატორში იმყოფება. ყველა დაკავებული იძლევა ჩვენებას დამკვეთის შესახებ, თუმცა ამის აფიშირებას არ ვახდენ. ამგვარი ცხოვრება თავად ავირჩიე და ვიცი, რომ ყოველდღე საფრთხე მელოდება.

**— თქვენთან შემოსვლის მსურველებმა შეურაცხყოფილად რომ არ ვიგრძნოთ თავი, იქნებ სჯობდა შემოსასვლელში ისეთივე საკონტროლო აპარატები დაგედგათ, როგორიც კანცელარიასა და პარლამენტში დგას?**

— ამის ფინანსური საშუალება არა გვაქვს. ახლა ერთი დაცვის მანქანა დამინიშნეს კიდევ და პირადი მცველების რაოდენობა სამიდან ექვს კაცამდე გაიზარდა. ნურავის ჰგონია, რომ ჩვენს სპეცრაზმებს და ჯარს თბილისში აქვს რაიმე ინტერესი. მხოლოდ სოხუმისკენ გვიჭირავს თვალი...

***ეკა ლომიძე***

# ვადაგასული კონსერვები მოსახლეობას წამლავს

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ნახევარზე მეტი საკვები პროდუქტი და კონსერვი საკვებად უვარგისია ან შესაბამისი ნორმების დარღვევით იყიდება. არასამთავრობო ორგანიზაცია „21-ე საუკუნის“ ექსპერტთა შეფასებით: „შეიძლება ხვალ ერი გენეტიკური გადაშენების წინაშე აღმოჩნდეს, ვინაიდან იწამლება ქართული საზოგადოება და დღეს, თუ ამის შედეგს ვერ ვხედავთ, ხვალ შეიძლება გვიან იყოს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად კი სახელმწიფო თითქმის არაფერს არ აკეთებს“ — აცხადებს ასოციაციის პრეზიდენტი პაატა გაჩეჩილაძე.

სახელმწიფოსგან განსხვავებით აქტიურად მოქმედებენ არასამთავრობო ორგანიზაციები. საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციამ ჩაატარა პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების დამოუკიდებელი ექსპერტიზა. ამ ექსპერტიზის ჩატარების საშუალებას იძლევა კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“. ასოციაციის ექსპერტმა მადონა კოიძემ განახორციელა კვების პროდუქტების საკონტროლო შესყიდვები თბილისის ბაზრებსა და სუპერმარკეტებში. თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ იმ კონსერვებზე, რომლებზეც ყველაზე მეტი მოთხოვნით სარგებლობს მოსახლეობაში.



შემოწმდა გერმანული წარმოების ტომატის კეტჩუპი "Shashlik sause" (შაშლიკ სოუსი). თუ ყურადღებით დააკვირდებით ამ კონსერვის ეტიკეტს და რა თქმა უნდა, თუ გერმანული ენა კარგად იცით, აღმოაჩენთ, რომ კონსერვში გამოყენებულია ნივთიერება E330, ეს ნივთიერება მოხსენებულია კვების კოდექსში ემულგატორებთან ერთად ანტიმჟანგველთა კატეგორიაში. მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის მიერ მოყვანილი ცხრილის მიხედვით E330 შედის იმ ნივთიერებათა სიაში, რომელსაც შეუძლია სიმსივნის გამოწვევა. ექსპერტთა შეფასებით ემულგატორები და საღებავის ტიპის სინთეტიკური შემავსებლები ჩვეულებრივი ფხვნილის სახით ფართოდ გამოიყენება იმპორტული კონსერვების წარმოებაში. დღეისათვის კი საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე არსებული იმპორტული კონსერვები ძირითადად შემოდის თურქეთიდან, ირანიდან, რუსეთიდან და სხვა ევროპული ქვეყნებიდან.

ემულგატორების და სხვადასხვა ტიპის შემავსებლების გამოყენებით მარტივად ხდება მაგალითად 1 კგ ტომატის ნედლეულიდან 2-ჯერ და 3-ჯერ მეტი წონის მქონე პროდუქციის შექმნა. ამით, რა თქმა უნდა, მომხმარებლის ჯანმრთელობა ზარალდება, მაგრამ დიდ მოგებაზე გამოდევნებულ იმპორტიორებს ეს აღარ აღელვებთ. ამ ტიპის კონსერვები კი, იმის გამო, რომ ქვეყანაში კონტრაბანდის მაღალი დონე კვლავ შენარჩუნებულია, ძირითადად ჩვენს სამომხმარებლო ბაზარზე შემოედინება.

თბილისში მდებარე სუპერმარკეტ „კაიზერის“ დირექტორის მარიამ გიგინეიშვილის ცნობით, მას თითქმის ყოველდღე 10-მდე პიროვნება აკითხავს და სთავაზობს კონსერვებს იაფ ფასებში. „ეს პროდუქცია ძირითადად ერგნეთიდან შემოაქვთ მსუბუქი მანქანებით. საკვები კონსერვები ხშირ შემთხვევაში მანქანის საბარგულში ან ზოგჯერ სალონშიც არის პირდაპირ ჩაყრილი, ყოველგვარი პირობის გარეშე. ძალზე ხშირად მოაქვთ ვადაგასული ტომატ-პასტები და ხილ-ბოსტნეულის კონსერვები. ამის გამო სუპერმარკეტის ექსპერტს დიდი ჯაფა ადგას რათა უხარისხო პროდუქცია სავაჭრო ქსელში არ გაიპაროს. მინდა აღვნიშნო, რომ ვადაგასული და იაფი პროდუქციის ისეთი მომძლავრება, როგორიც დღეს არის არასდროს არ ყოფილა და ალბათ ბევრი ვერც უძლებს ცდუნებას“ — აცხადებს მარიამ გიგინეიშვილი. სუპერმარკეტის გამყიდველის ცნობით, მომხმარებლები ისე არიან უხარისხო იმპორტული კონსერვებით თავმობეზრებულები, რომ უკვე ქართული წარმოებით ინტერესდებიან, თუმცა სავაჭრო ქსელში ჩვენი პროდუქცია ჯერჯერობით არ ჩანს.

ამასობაში კი უხარისხო, კონტრაბანდული იმპორტი უკვე იწყებს მოქმედებას ჩვენს ჯანმრთელობაზე. წლის დასაწყისშივე თბილისში მოწამვლის 9 შემთხვევა გამოვლინდა, რასაც ინფექციონისტები ზამთრის სეზონზე კონსერვების გამოყენების გაზრდით ხსნიან. ერთ-ერთ შემთხვევაში 9 წლის გოგონა პომიდვრის კონსერვით მოიწამლა. ამჟამად ავადმყოფი მკურნალობს ინფექციური პათოლოგიის ცენტრში. დაკონსერვებული ბოსტნეულის კონსერვით თბილისის ერთ-ერთ ოჯახში გამართულ სარიტუალო სუფრასთან, რომელსაც 20-მდე ადამიანი ესწრებოდა, სუფრაზე მყოფი სამი ადამიანი მოიწამლა. ავადმყოფები თბილისის ინფექციური პათოლოგიების ცენტრში არიან მოთავსებულები. „ვადაგასულ კონსერვებში, როგორც წესი ხშირია ნაწლავის ინფექციური ჩხირები და სტაფილოკოკები“ — განაცხადა ჩვენთან საუბარში ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს ექიმმა, თეა გადაბაძემ. თავის მხრივ კი დასახელებული ბაქტერიები, როდესაც ბავშვის ორგანიზმში ხვდება, იწვევს სერიოზულ მოწამვლას და მწვავე ტოქსიკოინფექციებს.

ვინაიდან ასე მომძლავრდა უხარისხო, ფალსიფიცირებული და კონტრაბანდული კვების პროდუქტები ალბათ პირველ რიგში საჭიროა ექიმის რჩევების გათვალისწინება და ყველა საეჭვო შემთხვევაში სწრაფად უნდა მივმართოთ სპეციალიზებულ კლინიკებს, ვიდრე სრულფასოვანი პროდუქტი ბაზარზე სანთლით საძებარი იქნება.

***შალვა ხიდაშელი***

R

**„კვირის პალიტრის“** გამოკითხვა-რეიტინგით საზღვარგარეთაც ინტერესდებიან (რედ.)

# ამერიკელებო, GO HOME!

სოჭში, რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის წინ, ედუარდ შევარდნაძეს პარლამენტმა თვალნათლივ მიანიშნა, რომ არ ემხრობა მის პროამერიკულ კურსს. საქართველოს პარლამენტმა არ მოახდინა „თავდაცვის სფეროში საქართველოსა და აშშ-ის თანამშრომლობის“ უკვე ხელმოწერილი შეთანხმების რატიფიცირება. დეპუტატთა უმრავლესობის აზრით, ეს შეთანხმება ხელს უწყობს ახლო მომავალში ქვეყანაში ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგებას და მას „კაპიტულაციური“ და „კაბალური“ უწოდა. შევარდნაძემ რადიოინტერვიუში თქვა, გაუგებარია პარლამენტართა უმრავლესობის პოზიცია, რადგან აშშ ყოველთვის ეხმარებოდა საქართველოს, განსაკუთრებით შეიარაღებული ძალების ფორმირებაშიო და იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტი მაინც მიიღებს ამ დოკუმენტს, რადგანაც ის ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ემსახურება.

სოციოლოგიური გამოკითხვები ცხადყოფს, რომ ქართული საზოგადოებრიობა ერთმნიშვნელოვნად არ აღიქვამს ამერიკელების მიერ ახალი ომის გაჩაღების იდეას. კერძოდ, **პოპულარული ყოველკვირეული გაზეთის „კვირის პალიტრის“** მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა 63% თვლის, რომ თუ ერაყზე შეტევისათვის ამერიკა ქართულ სამხედრო ბაზებს გამოიყენებს, ამან შეიძლება სავალალო შედეგი გამოიღოს საქართველოსთვის.

რესპონდენტთა მხოლოდ 18% თვლის, რომ საქართველო ვალდებულია დაეხმაროს აშშ-ს და წინააღმდეგი არ არის ქვეყანაში მისი სამხედროების ყოფნისა.

***ნეზავისიმაია №43***

# შეიარაღებული მხარდამჭერები



საქართველოს პარლამენტმა პოლიტიკურ პარტიებთან არსებული შეიარაღებული ფორმირებების საქმიანობის გარკვევა გადაწყვიტა. საბაბი კი პარლამენტში და მის გარეთ მომხდარი მოვლენებია: თებერვალში ოპოზიციურ „ახალ მემარჯვენეებს“ შეიარაღებული ყმაწვილები დაესხნენ თავს. ამას მოჰყვა გაწევ-გამოწევა პარლამენტში და სპიკერ ნინო ბურჯანაძის კატეგორიული მოთხოვნა — აეკრძალოთ დეპუტატებსა და მათ მცველებს შენობაში იარაღის ტარება.

აჭარის დეპუტაციის ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ საქართველოს კაგებეს საიდუმლო დოკუმენტი გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ თბილისში მყოფ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურაში ირიცხება შეიარაღებული ჯგუფი „იუპიტერი“. მის ზოგიერთ წევრს მართლმსაჯულება ალმაცერად უყურებს.

საქართველოში ყველას ესმის, მათ შორის პარლამენტარებსაც, რომ თუ ახლავე არ მოსპეს კანონიერი, ნახევრად კანონიერი და უკანონო შეიარაღებული რაზმები, ჯგუფები თუ სამსახურები, რომლებიც ჯერჯერობით „წინასაარჩევნო სანგრებში“ სხედან, მერე ისინი არა მარტო წინასაარჩევნო კამპანიაზე, არამედ არჩევნების შედეგებზეც იმოქმედებენ.

საქართველოში მდგომარეობა საგანგაშოა. პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თქვა, — ეს კრიმინალური მდგომარეობა საჭოჭმანოს ხდის სახელმწიფოს მომავალსო და მართლაც, სიტუაცია ამჟამად ასეთია: თუ მოინდომა, ყველა პოლიტიკურ პარტიას შეუძლია კრიმინალური სამყაროს მხარდაჭერა მოიპოვოს, შექმნას საკუთარი შეიარაღებული სტრუქტურა ან დაიქირაოს რომელიმე კრიმინალური დაჯგუფება. საქართველოს შსს-ს მონაცემებით, მარტო შარშან ლიკვიდირებულ იქნა 415 ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფი.

და რამდენი ასეთი ბანდა, საძმო და შენაერთი დასეირნობს დღესაც?

***ნეზავისიმაია რუ***

# სოჭში ქართულ-აფხაზური დიალოგი განახლდა



მოსკოვი თბილისისა და სოხუმის შერიგებას ლამობს. ხუთი საათი გრძელდებოდა სოჭში, „ბოჩაროვ რუჩეიში“, ვლადიმირ პუტინის მოლაპარაკება ედუარდ შევარდნაძესა და აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურთან გენადი გაგულიასთან.

„როგორ არის საქმე“, — ჰკითხა იმ დილას ვლადიმირ პუტინმა აფხაზეთის წარმომადგენელს. „ცუდად, მაგრამ იმედი მაქვს, რომ თქვენი წყალობით უკეთესად იქნება“, — უპასუხა გაგულიამ. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მოლაპარაკების მაგიდასთან ერთმანეთს ხვდებიან პუტინი, შევარდნაძე და აფხაზეთის რომელიმე ლიდერი.

კონკრეტულად რა ითქვა ამ შეხვედრაზე, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის. ერთი კია, რომ მოლაპარაკებიდან გამოსულმა რუსეთის და საქართველოს პრეზიდენტებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ მოლაპარაკებით კმაყოფილნი არიან.

*ვლ. პუტინი:* 10 წელია საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობა გაყინულია. საქართველოში 300 ათასი დევნილია, ისინი შინ ვერ ბრუნდებიან, აფხაზეთს უჭირს. ეს არანორმალური მდგომარეობაა. პრობლემის გადაწყვეტა ორივე ქვეყნისთვის მისაღები უნდა იყოს. ჩვენი პოზიცია კი ურყევია — არც საქართველოს მთლიანობა უნდა დაირღვეს და არც მრავალეროვანი აფხაზეთის ინტერესები შეილახოს.

შევარდნაძემაც აღნიშნა, რომ მოძებნილია კონფლიქტის მოგვარების ერთობლივი გზები. მოკლე ხანში აღდგება სოჭი-თბილისის სარკინიგზო ხაზი, მოგვარდება ლტოლვილების დაბრუნების საკითხი და დაიწყება ენგურჰესის მოდერნიზება. საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინის და ყაზახეთის ეკონომიკურ კავშირთან მიერთების შესაძლებლობაც დაუშვა: „ჩვენ სერიოზულად შევისწავლით ამ დოკუმენტს და არ გამოვრიცხავ, რომ „დიდ ოთხეულთან“ თანამშრომლობის ფორმას გამოვნახავთ“. საქართველოს ლიდერის მოულოდნელი განცხადება საკმარისია იმისათვის, რომ რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება წარმატებულად ჩაითვალოს.

აფხაზეთის პრობლემის მოგვარების ახალი ეტაპი რომ დაწყებულია, ამას გენადი გაგულიას ნათქვამიც ცხადყოფს: თუ თანამეგობრობის სახლის აშენება გვინდა, მისი მშენებლობა ნელ-ნელა, საძირკვლის ჩაყრით უნდა დავიწყოთო. ამ განცხადების პოლიტიკური ქვეტექსტი ასეთია: მოლაპარაკება უნდა დაიწყოს, მაგრამ მოვლენებს წინ არ უნდა გავუსწროთ და არც სამერმისოდ გადავდოთ.

რუსეთისთვის კი, თვით ფაქტი გაგულიას და შევარდნაძის შეხვედრისა, წინ გადადგმული ნაბიჯია, ხოლო პრეზიდენტების შეხვედრის შემაჯამებელ განცხადებაში დაფიქსირებული მუხლები ცხადყოფს, რომ მოსკოვი ნელ-ნელა აძლიერებს თავის პოლიტიკურ გავლენას ამიერკავკასიაში.

შეხვედრის დასასრულს, რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების ცდის განახლება მთელ კავკასიაში შეანელებს დაძაბულობას. მთავარი ის არის, რომ ამ შეხვედრას ზიანი არ მოუტანია რუსულ-ქართული ურთიერთობისთვის.

წინ მოლაპარაკების გრძელი გზაა, რომელშიც რუსეთს დიდი როლი აკისრია.

***უცხოური პრესის მიხედვით***

# საქართველო რუსეთს საკუთრების წართმევით ემუქრება

**საქართველოს ქონების მართვის სამინისტროში მზად არის აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეთა მიერ შეძენილი უძრავი ქონების სია. მფლობელთა შორის მაღალჩინოსნებიც არიან. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენისთანავე ეს გარიგებები უკანონოდ ჩაითვლება.**

სააგენტო „აფხაროსის“ საიტი მყიდველს სთავაზობს აუღიარებელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ნებისმიერ უძრავ ქონებას — ბინებს, სახლებს, მაღაზიებს, საწყობებს. ამ სარისკო ქონების შეძენის მსურველთ საქართველოს ქონების მართვის მინისტრის სოლომონ პავლიაშვილის გაფრთხილებაც ვერ აკავებთ. საკვირველი ის არის, რომ რუსი ჩინოსნები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასაც აღიარებენ და თან აფხაზეთში სახლებს ყიდულობენ — აფხაზეთის კურორტები ნელ-ნელა რუსეთის ოფიციალური და კერძო სტრუქტურების ხელში გადადის. მათ შორის არიან: რფ-ის თავდაცვის სამინისტრო, ატომის სამინისტრო, აღორძინების ფონდი, ავიაკომპანია „ჩერნომორსკაია“...

კომუნალური გადასახადების გადაუხდელობის გამო 300-500 დოლარად იყიდება ქართველების სახლები, — ამბობს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია. საქართველოს საგარეო სამინისტრო საპროტესტო ნოტას ნოტაზე უგზავნის რუს კოლეგებს. აფხაზეთის დევნილი მთავრობის თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი ამბობს, — ყიდვა-გაყიდვის ყველა გარიგებაზე კი გვაქვს ცნობები, მაგრამ კონკრეტულად ვინ ყიდულობს, არ ვიცით, რადგან სხვებზე აფორმებენ. საბჭოთა პერიოდში აშენებული საუწყებო სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და სხვა ობიექტები რუსეთის საკუთრებაა. როგორც კი აფხაზეთი საქართველოს იურისდიქციაში გადავა, ეს ობიექტები რუსეთს გადაეცემა, მხოლოდ მიწის იჯარას გადაიხდიან. დანარჩენი გაყიდული უძრავი ქონება მათ პატრონებს დაუბრუნდება.

ის, რასაც დელიკატურად მეპატრონე სუბიექტების კონფლიქტს უწოდებენ, შეიძლება მალე საერთაშორისო კონფლიქტად იქცეს. თუმცა ზოგიერთი ახალმეპატრონე მშვიდადაა — გარიგება რომ გაბათილდეს, ამისთვის საჭიროა ქართველები შევიდნენ აფხაზეთში. ეს კი როდის მოხდება, არავინ იცის...

***იზვესტია №39***

**კვირის ანტიგმირი**

# თედო ჯაფარიძე აფხაზეთთან საომრად მზად არის



საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მდივნის თედო ჯაფარიძის განცხადებიდან ჩანს, რომ საქართველო მზადაა, კვლავ ეომოს აფხაზეთს: თბილისს შეუძლია დაიწყოს კონსულტაციები გაეროს წესდების მე-7 თავის განსახორციელებლად, რომელიც ითვალისწინებს ძალის გამოყენებას კონფლიქტში მონაწილე იმ მხარის მიმართ, რომელსაც არ სურს გაეროს რეზოლუციის შესრულება, — თქვა მან და დასძინა, რომ ამ უკიდურეს ზომას საქართველო იმ შემთხვევაში მიმართავს, თუ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესი არ დაიძვრება.

მოკლედ, ყველაფერი ჩვეულებრივ შანტაჟს დაემსგავსა...

***ვერსია №8***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიყვებიან

***

შუქის თამაშმა **7 წლის თამთა თუჯიშვილი** ძალიან გააბრაზა და დაქადნებით გაემართა ტელეფონისკენ:
— ახლა ავდგები და შალვა ნათელაშვილს დავურეკავ!

***

**3 წლის თეკლა კუზლაშვილს** დედა სთხოვს:
— ნახე, ნუციკოს ხომ არ ღვიძავს?
თეკლა შედის საძინებელში, სარწეველაში ჩაძინებულ 8 თვის დაიკოს გულდაგულ ანჯღრევს და ჩასძახის:
— გღვიძავს, ნუცი?

***

ალიოშა ბაბუამ, სანამ ვაშლის ხეზე ავიდოდა, სიფრთხილე გამოიჩინა (სახლში მარტო იყო) და მეზობლის **3 წლის დათოს** სთხოვა, — ბაბუ, მე ხეზე ავალ. შენ აქვე ხის ძირში ჩამოჯექი, ამ სათამაშოებით ითამაშე და თუ ჩამოვვარდები, მეზობლებს შეატყობინეო...
მოხუცი ვაშლის კრეფით გაერთო, დაახლოებით ორი საათის შემდეგ ბავშვი ქვემოდან ეძახის:
— ალიოშა ბაბუა, შენ არ ვარდები ხიდან, მე რა ვქნა? შინ არ წავიდე?..

***

**2 წლის ვაკოს** აჩვენეს ბაბუის ბავშვობის სურათი და აუხსნეს, რომ ეს ბაბუაა პატარაობისას.
გახარებული ვაკო გარბის ბაბუასთან, აჩვენებს სურათს და ეუბნება:
— ბაბუ, იცი? ეს შენა ხალ ჩემსავით...

***

**3 წლის ირაკლი** ეკითხება მამას:
— მამიკო, თმა რატო არა გაქვს?
მამა პასუხობს, მოსკოვში, ასპირანტურაში სწავლის დროს გამცვივდაო...
— ახლაც მოსკოვში ყრია შენი თმა?
— დაინტერესდა ირაკლი.

## I



გამოიცანი, რამდენი თევზია ნახატზე და გააფერადე ისინი

## II ანა, გამოიცანი

**1. რომელ ქალაქშია ტრეტიაკოვის გალერეა?**
ა) ვარშავაში; ბ) მოსკოვში; გ) თელავში; დ) პეტერბურგში.

**2. რით არიან ცნობილი ძმები გრიმები?**
ა) მუსიკალური ნაწარმოებებით; ბ) ქანდაკებებით; გ) ზღაპრებით; დ) ფერწერული ტილოებით.

**3. რომელ ქალაქს ჰქვია ქალღმერთის სახელი?**
ა) ათენს; ბ) პეტერბურგს; გ) ამსტერდამს; დ) ჰააგას.

**4. რომელი სიტყვა არ არის დაკავშირებული პოეზიასთან?**
ა) სტრიქონი; ბ) ტაბულა; გ) სტროფი; დ) ტაეპი.

**5. რომელია ყველაზე დიდი უდაბნო?**
ა) კალაჰარი; ბ) გარეჯი; გ) საჰარა; დ) ტაკლა-მაკანი.

**6. რომელია ზედმეტი?**
ა) დუნედ; ბ) სხარტად; გ) მდორედ; დ) ზანტად.

**7. რომელია უდიდესი ფართობის ტბა საქართველოში?**
ა) ფარავანი; ბ) პალიასტომი; გ) ბაზალეთი; დ) ჯანდარა.

**8. რა არის „მონა ლიზა“?**
ა) ფერწერული ტილო; ბ) ბალეტი; გ) ოპერა; დ) წიგნი.

## III




თითოეულ სათამაშოს შეურჩიე შესაბამისი ნახატი

## IV რებუსი




შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „მეტად კოხტა ცხოველია, ფეხებწვრილი, წაბლისფერი, ტოტებგაშლილ რქებს ატარებს, ვერ გაძღები მისი ცქერით“.

## V











გამოიცანი, რომელი ნივთები სჭირდება მხატვარს




## ჭიავოჩლი

ზედა რიგი:
- ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში
- „ქებას ... სჯობიაო“ (ანდ.)
- ქალი, რომელიც საოჯახო საქმეებს უძღვება
- გამჭვირვალე, მყარი მასალა
- იგივეა, რაც აირი

ქვედა რიგი:
- უუფლებო ადამიანი
- ერთად შეკრული მწვანილი
- „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ...“
- ადამიანთა საცხოვრებელი
- საკრავზე გაბმული მავთული
- გარკვეული ჯიშის დიდი, ავი ძაღლი

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

## „დღესაც მიკვირს როგორ მაპატია...“



# დაუვიწყარი ხირხალა გოგრით ხელში

კინომსახიობებს ძალიან რთული დრო დაუდგათ ჩვენში. მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაშია ქართული კინო. გადასაღებ მოედანზე დგომა შეიძლება ბევრისთვის აუხდენელ ოცნებად დარჩეს კიდევ რამდენიმე წელი მაინც... თუმცა არიან ერთეულები, ვისაც უმართლებთ და ამ უმძიმეს დროშიც კი ფილმში გადასაღებად იწვევენ. მათ რიცხვშია ბატონი **ამირან ქადეიშვილი**. ბოლო როლი მან ნიკო წულაძის მხატვრულ ფილმში — „სათნოებათა კიბეში“ ითამაშა. ეს ფილმი სულ ცოტა ხნის წინ გადიოდა კინოთეატრ „ამირანში“. უფრო ადრე კი იყო უამრავი ქართული და რუსული ფილმი, თეატრის სცენაზე გატარებული ათეული წლები. უკეთ რომ გაგახსენოთ, ბატონი ამირანი, ხირხალაა ფილმიდან „სიყვარული ყველას უნდა“, თუმცა ბევრი უფრო მნიშვნელოვანი როლიც აქვს ნათამაშები.

— ახალგაზრდებს ჩემი კინოროლები შეიძლება აღარც ახსოვთ, თეატრში ნათამაშებ როლებს რაც შეეხება, 35 წლის ნამუშევარი წყალში მაქვს ჩაყრილი. მაშინ ტელევიზიით იშვიათად იღებდნენ სპექტაკლებს. ყველაზე დიდი, სურათს გადაიღებდნენ... ტელევიზიის ოქროს ფონდში ჩემი ათი სპექტაკლი იყო, ათივე წაშლილია იმიტომ, რომ ფირი სხვა რამისთვის გამოიყენეს. ეს დიდი დაუდევრობაა ტელევიზიის მხრიდან. 35 წელი ვიყავი წამყვანი მსახიობი ოზურგეთის თეატრში... 150 როლი განვასახიერე... პერიფერიის თეატრის სპეციფიკაა ასეთი, წელიწადში 7 სპექტაკლი მაინც უნდა დადგმულიყო. სულ წამყვანი როლები მქონდა...

— **დღეს ძნელად წარმოიდგენენ, რომ პერიფერიის თეატრი დიდი კულტურის კერა იყო...**

— ჩვენ ნამდვილი პროფესიონალები გვყავდა!.. ერთი თურმანიძის ქალი იყო, ვერიკო ანჯაფარიძის გვერდით აყენებდნენ... ევტროფი თალაკვაძე იყო, მსახიობი, უშანგი ჩხეიძეს ადარებდნენ. პროფესორი საშა მიქელაძე ეთაყვანებოდა ევტროფი თალაკვაძეს. ახლა ქალაქში თეატრი წინ წამოვიდა, პერიფერიებში კი, სამწუხაროდ, ჩაკვდა.

— **რაიმე ამბავს ხომ არ გაიხსენებთ პერიფერიის თეატრის ცხოვრებიდან?**

— მაშინ მხიარულ ამბავს გავიხსენებ. გიგოლა თალაკვაძე მუშაობდა ჩვენს თეატრში. თამაშობდა მთავარ როლს გუნიას „და-ძმა“-ში. ერთ სოფელში გავმართეთ წარმოდგენა. ჩაქრა შუქი. ლამპა შემოიტანეს სცენაზე და გავაგრძელეთ მუშაობა. ერთ სცენაში გიგოლას რეპლიკა ჰქონდა — „ეი, ვინ ხართ მანდაო?“ — კითხულობდა. უცებ სიბნელიდან გაისმა ხმა: კლუბის გამგე ვარ, ლამპას ვუწევ და ჩავალ ხელადო. თურმე სცენაზე ასულა ლამპის ასაწევად და ეგონა, მსახიობი მე მეკითხება, ვინ ხარო... დავიხოცეთ სიცილით.

— **პირველად კინოში როგორ მოხვდით?**

— სიკო დოლიძე „სემირამიდას ბაღებს“ იღებდა ოზურგეთში. თეატრის მსახიობები მასობრივ სცენებში დაგვაყენეს. ომის პერიოდს იღებდნენ... ამდენ ხალხში მე, ორმეტრიანი, კაცი, თვალშისაცემი ვიყავი. რეჟისორს უფიქრია: მეტყვიან, ასეთი ჯანმრთელი ახალგაზრდა ფრონტზე უნდა იყოსო და როლი შემითხზა — ვითომ ვარ ცალთვალა ნიკოია, სოფლის აშიკი... მერე „მთვარის მოტაცებაში“ დამაკავეს და ასე გაგრძელდა... წელიწადში ორ ფილმში მაინც მიღებდნენ. სხვათა შორის, ბოშაც ვითამაშე დოვჟენკოს კინოსტუდიაში. მაშინ გავიცანი ბოშები...

— **რთულია მათთან ურთიერთობა?**

— რთული არ არის. ისე, ცოტა გულჩათხრობილი ხალხია. თუ მიგიშვეს ახლოს, ძალიან საინტერესო სამყარო გადაგეშლებათ.

— **ახლა „სიყვარული ყველას უნდა“ ვახსენოთ. დამეთანხმებით, დასამახსოვრებელი გამოდგა ხირხალას სახე მაყურებლისთვის.**

— სავიზიტო ბარათად მექცა ხირხალა... არადა ბევრი უფრო საინტერესო როლი მქონია, იმათ არ ახსენებენ. ხირხალას კი დღესაც ცნობენ. ეს ფილმი 1978 წელს გადაიღეს და დღემდე არ დავიწყებიათ.

— **როგორ შეხვედით კახელის როლში გურული კაცი?**

— 1977 წელს „იტალიამდე არც ისე შორია“-ში კახელი მიტუა განვასახიერე. თელავში, გადაღებაზე რომ ჩავედი, ვკითხე გიორგი შენგელაიას: რა ვქნა, რა უნდა ვითამაშო-მეთქი. ერთი დაქლიავებული კახელიო... რამდენად „დაქლიავებულია“ ხირხალა, არ ვიცი, მაგრამ კახელები რომ არაჩვეულებრივი ხალხია, უდავოა. ჩვენ ვამბობთ, გურული იუმორი განსაკუთრებულიაო. მერწმუნეთ, კახეთია იუმორის სამშობლო.

— **რამე გვიამბეთ თელავური თავგადასავლებიდან.**

— ერთი დიდი ეპიზოდი გვქონდა გადასაღები. გიორგი შენგელაიამ დაიქირავა მთელი სოფლის გლეხები — 500 კაცს მოუყარა თავი. თითოეულისთვის 5 თუ 10 მანეთი უნდა გადაეხადა. წინა დღეს გიორგი შენგელაიას მეგობარი ჩამოვიდა ჩვენთან. დილით გამოვედი სასტუმროდან და შემხვდა ეს გიორგის მეგობარი თავისი შავი ვოლგით — მოდი, ჩაჯექი, მეც იქ მოვდივარო. მოკლედ, ჩავჯექი და სადღაც, რომელიღაც კოლმეურნეობის თავმჯდომარის ოჯახში ამოვყავით თავი. მაგრად გამომათვრეს. სასტუმროში 3 საათზე დავბრუნდი. გადაღება ჩაშლილი იყო უკვე. ელდისაგან გამოვფხიზლდი. მივედი თავჩაქინდრული გიორგისთან ბოდიშის მოსახდელად. მან მხარზე ხელი გადამხვია: არაფერია, დღეს ძალიან ცხელოდა და მეც მეზარებოდა მუშაობაო, — მითხრა. დღესაც რომ ვფიქრობ, მიკვირს, როგორ მაპატია...

— **იქაურთა სტუმართმოყვარეობა დიდ პრობლემებს გიქმნიდათ თურმე.**

— ვემალებოდით ხოლმე კახელებს. ერთი ხანობა კახი კავსაძესთან ერთად ვცხოვრობდი ოთახში, მერე გივი ბერიკაშვილთან. სავსე იყო ჩვენი ოთახი საზამთროებით, ნესვებით, ღვინის ბოცებით. ველარ ვუძლებდით ყოველ საღამოს ქეიფს. ბოლოს, ხეებს ვეფარებოდით — აგერ ბაქარა მოდის, დავიმალოთო, ან: ნახე, გიორგი მოდის, არ დაგვინახოსო.

— **ქეიფით გადაღლას ხელი არ შეუშლია, დაუვიწყარი კადრები შეგექმნათ, თუნდაც გოგრის უკან წაღების სცენა რად ღირს...**

— სხვათა შორის, გოგრის უკან წაღება არ იყო სცენარში. პავილიონში ერთი დუბლი გადავიღეთ, მეორე, მესამე... უცებ გიორგის ვუთხარი: ეს ხირხალა ისეთი ოხერია, არ დატოვებს ამ გოგრას, უკან წაიღებს-მეთქი. ასეც ვითამაშე. სიცილით დაიხოცნენ ყველანი...

— **თქვენ საოცრად კარგ მსახიობებს უწევდით პარტნიორობას ნანა მჭედლიძის „პირველ მერცხალში“.**

— მართლაც ასეა... ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ ისიც, რომ ფილმის კონსულტანტი ბორის პაიჭაძე იყო. მიშა მესხის ბაზაზე გვავარჯიშებდა მსახიობებს მთელი 15 დღე. ისე გვთხოვდა თამაშს, როგორც ფეხბურთელებს. დღეში 4 საათი უნდა გვერბინა და იმ რეჟიმით გვეცხოვრა, როგორითაც ფეხბურთელები ცხოვრობენ. ბედნიერება იყო დოდო აბაშიძის, იპოლიტე ხვიჩიას, გურამ ლორთქიფანიძის, ვასო ჩხეიძის გვერდით ყოფნა...

— **ბარემ ფოთში თავს გადახდენილი ამბავიც გვიამბეთ.**

— გიგლა ფირცხალავა იყო ჩვენთან ერთად. გურამ ფირცხალავას ოჯახში ვიყავით. გიგლა მექსიკიდან ახალი ჩამოსული იყო. ჯინსის შარვალი და ქურთუკი ეცვა. ეს მაშინ იცით, რას ნიშნავდა?! ჯინსი თუ გეცვა, პირველი კაცი იყავი! ცხონებულმა დოდო აბაშიძემ გიგლა ფირცხალავას ქურთუკის ჯიბე ისე ამოუჩიჩქნა რაღაცით, თაგვის გამოღრღნილი გეგონებოდათ. ნახა დილით გიგლამ. გაგიჟდა, ყვირილით გავარდა გარეთ: — გურამა, ვირთხები თუ გყავდა სახლში, ჩვენ რას გვეპატიჟებოდიო. გაიქცა მანქანისკენ. მანქანის საბურავებზე კი დისკები დახსნილი დახვდა — ლორთქიამ მოუხსნა ჩუმად. სულ გაგიჟდა კაცი.

ერთი ამბავიც გამახსენდა: რამაზ ჩხიკვაძე და ეროსი მანჯგალაძე ერთ კოტეჯში ცხოვრობდნენ ანაკლიაში. ერთი იქაური ინტელიგენტი კაცი მოვიდა. მოკრძალებით ითხოვა — ეროსი მანჯგალაძის და რამაზ ჩხიკვაძის გაცნობა მინდაო. წაიყვანეს მათთან. რამაზ ჩხიკვაძე თავზე იდგა — სისხლის მიმოქცევას იწესრიგებდა, ეროსი კი დარბოდა — ვარჯიშობდა, თან „დიმპი, დამპი დამპიო“, ღიღინებდა. სტუმარი შეცბა: კაი, დიდი მადლობა, ბატონოო და უკან ისე გაბრუნდა, არც გაუცნია თავისი რჩეულები. ეტყობა, განცვიფრებული დარჩა, სათაყვანო მსახიობები ასეთ ყოფაში რომ ნახა.

— **ქართული ხალხური სიმღერის კარგი შემსრულებელი ბრძანდებით.**

— სიმღერა ჩემი ოჯახის თანამგზავრია. ჩემი მეუღლე გახლავთ ანზორ ერქომაიშვილის და. მათი ბაბუა ჩვენი თეატრის ლოტბარი იყო, გამორჩეულად ვუყვარდი. თეატრს თავისი ანსამბლიც ჰყავდა — „სახიონი“, გამოვდიოდით კონცერტებზე, დავდიოდით გასტროლებზე.

— **ხშირად სიძეს კრიტიკული თვალით უყურებენ. ბატონ ანზორს როგორ მოსწონს თქვენი სიმღერა?**

— არ ჰქონია შემთხვევა, რომ მოესმინა ჩემი სიმღერა. ოჯახში ვმღერით ხოლმე. ჩემი მეუღლე, დედამისი, შესანიშნავი შემსრულებლები არიან. მათთან ერთად მეც ვღიღინებ, მაგრამ ანზორი თუ მოვიდა, ვჩუმდები. ვერ ვბედავ მასთან სიმღერას...

— **თქვენი შვილები თუ მღერიან?**

— ორი ქალიშვილი მყავს, არც ერთი არ მღერის. შვილიშვილების იმედი მაქვს, ისინი მაინც იმღერებენ.

*ლელა ჯიყაშვილი*

# როგორ დაიწყო ესტრადის ვარსკვლავმა მასწავლებლობა, ანუ „ნატოს ვატო უფრო უხდება...“



ხუთი წლიდან მღერის. სულ ერთი ციდა დადგებოდა ხოლმე ინსტრუმენტთან და ნაცნობ მელოდიებს აწყობდა. ჯერ რკინიგზელთა სახლის ვოკალურ წრეში მიიყვანეს, სადაც იმ დროის „ჰიტებს“ — ლენინზე სიმღერას და „გამარჯვების დღეს“ ასრულებდა, შემდეგ ლენინგრადული „მზიურის“ სოლისტი იყო. სწორედ ამ წლებიდან ახსოვს მსმენელს **ნატო მეტონიძის** მიერ შესრულებული შარლ აზნავურის სიმღერა. ერთ დღეს სთხოვეს, ფრანგი სტუმრისთვის ემღერა. გარისკა. მას შემდეგ ეს მელოდია ნატოს „სავიზიტო ბარათად“ იქცა. თუ დღეს ქართულ ესტრადაზე არის ვინმე თავმდაბალი, ნიჭიერი და დიდი შესაძლებლობების მქონე მომღერალი, ერთ-ერთი ნატო მეტონიძე გახლავთ — ამას მისი კოლეგებიც დამიდასტურებენ და მსმენელებიც...

— **ნატო, წლევანდელ წელს, თქვენი კოლეგების მსგავსად, რესპუბლიკის მოედანზე შეხვდით... „ბასტი-ბუბუს“ კონცერტებზეც იმღერეთ. ხომ არ გქონდათ განცდა, რომ ბავშვობაში დაბრუნდით?**

— ბავშვობაში დაბრუნება ყოველთვის შეიძლება. საოცრად ბედნიერი ვიყავი იმ კონცერტებზე... ძალიან მიყვარს „ბასტი-ბუბუს“ წევრები. ჩვენ ერთად გავდიოდით რეპეტიციებს, ბევრ მათგანს დავუმეგობრდი. ამ სიმღერის კლიპში მასწავლებელს ლიკა ქავჟარაძე განასახიერებს, მე მხოლოდ ვახმოვანებ მას. ბავშვებს ძალიან მოეწონათ ის ვარიანტი, რომელიც კონცერტში შეიტანეს.

— **სხვათა შორის, თქვენმა ხმამ ისე შეცვალა ლიკა, ბევრმა ვერც კი იცნო...**

— ცხოვრებაში პირველად გავახმოვანე სხვა. კლიპი ბასა ფოცხიშვილმა გადაიღო. როცა სიმღერას ვწერდი, ბასა იქ არ იყო. რომ მოუსმინა, მთხოვა, მეორედ ჩამეწერა — მან უკეთ იცოდა კლიპის შინაარსი, მასწავლებლის ხასიათი... სწორედ ის მეორე დაედო ფონად ლიკას სახეს... ეს სიმღერა ინვალიდ ბავშვთა დასახმარებელი პროექტისთვის შეიქმნა. ბავშვთან დაკავშირებით არც მინდა ეს სიტყვა ვიხმარო, იმდენად მტკივნეულია...

— **ბავშვების მიმართ თქვენი უსაზღვრო სიყვარული თქვენს პედაგოგიურ საქმიანობაშიც ვლინდება...**

— პროფესიით პედაგოგი ვარ, მაგრამ ეს საქმიანობა მიზნად არასდროს დამისახავს. ცხოვრებაში ბევრი რამის გაკეთება მიწევს. ადრე კერძო მოწაფეები მყავდა, ახლა ჩემი სტუდია მაქვს. ამდენ პატარასთან ერთად არასდროს მიმუშავია. ამაზე დიდი სიამოვნება, მგონი, არც არსებობს. მეგონა, ყველაზე საოცარი სცენაზე განცდილი წუთებია-მეთქი. ვერ შევადარებ, მაგრამ ბავშვებთან ურთიერთობაც არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი ყოფილა. ერთმანეთისგან ყველა სრულიად განსხვავებული, პატარა ინდივიდები არიან — ერთი მყავს ძალიან ეშმაკუნა — ვატო-ბიჭი, ახლახან გახდა ხუთი წლის. როცა დაიღლება, ფეხზე დგება. როცა ვამღერებ, ხანდახან ზურგს უკან ჩურჩული მესმის ხოლმე. ვიცი, რომ შენიშვნა უნდა მივცე, მაგრამ თან მომწონს მათი ასეთი სიხალისე... არ მინდა, გაკვეთილი დამთავრდეს, არ მინდა, დავიშალოთ. „ნატო მასწ“-ს მეძახიან... ეს ვატო მშობლებმა ვახოდ გამაცნეს — მეც, რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში, ასე მივმართავდი. ერთ დღეს დედამისმა მთხოვა, იქნებ ვატო დაუძახოთო. რატომ-მეთქი... შინ სულ იმეორებდა თურმე; „ნატო-ვატო, ნატო-ვატო“. ნატოს ვატო უფრო უხდება და იქნებ სთხოვო ნატო მასწავლებელს, ვატო დამიძახოსო... ძალიან ბედნიერი ვარ, როცა ვგრძნობ, რომ უხარიათ ჩემს გაკვეთილზე ყოფნა.

— **პედაგოგობა დროის ხომ არ გართმევთ, ხელს ხომ არ გიშლით საესტრადო კარიერაში?**

— პირიქით, მეხმარება. ბევრ რამეს ვსწავლობ ჩემი პატარა მეგობრებისგან.

— **თქვენ იყავით ტრიო „ნატალის“ წევრი. მას შემდეგ, რაც „არტ-იმედის“ კონტრაქტს მოაწერეთ ხელი, დააკლდა რამე ამ ტრიოს?**

— ეს ჩემთვის მტკივნეული თემაა. ძალიან განვიცდი, რომ ჩემ გამო ორი ადამიანი სიმღერის გარეშე დარჩა. „არტ-იმედის“ პირობების მიხედვით, პროფესიულ სცენაზე მათთან ერთად სიმღერის უფლება არ მაქვს, რადგან ამ კომპანიის წევრი სოლისტის სტატუსით ვარ. სცენის მიღმა ჩვენი ურთიერთობა ისევე გრძელდება, არაჩვეულებრივი ადამიანები არიან, ზედმიწევნით ობიექტურები. მირჩევდნენ ხოლმე — მარტო ტრიოში არ უნდა იყო, დამოუკიდებლადაც უნდა იმუშაოო. არაფერს ამბობენ, რომ გული არ მატკინონ, თუმცა, მაინც ვხვდები... იყო ლაპარაკი, ეპოვათ პირველი ხმა, მაგრამ ვერ წარმოუდგენიათ სხვასთან სიმღერა. ამ ბოლო დროს კი დამთანხმდნენ, მაგრამ ვგრძნობ, ფეხს ითრევენ.

— **როგორც ვიცი, უნდა გემუშავათ გია ყანჩელის კინოსა და თეატრის მუსიკაზე...**

— უკვე მერიდება კიდეც ამაზე ლაპარაკი. გაუგებარი მიზეზების გამო გაჭიანურდა-მეთქი, ვერ ვიტყვი... ალბათ გაკეთდება ნელ-ნელა — ჩემ გარდა ბევრი მომღერალია ამ პროექტში და ისინიც ძალიან მოწადინებულნი არიან. ამის გამო შემიძლია სხვა სიმღერებზე ვთქვა უარი.

— **რაიმეს შესრულებას თუ მოისურვებთ, ვიცი, რომ ეს „არტ-იმედს“ უნდა შეუთანხმოთ. ასეთი პირობები არ არის შემბოჭველი?**

— გააჩნია, ამას როგორ შეხედავთ. მე ასე ვთვლი. მართალია, ისინი ამბობენ საბოლოო პასუხს, ცოტა კომერციული თვალსაზრისითაც გათვლიან, მაგრამ ამის გამო უხერხულობას არ ვგრძნობ. გია ყანჩელის პროექტის გამო, ჯერ ახალს ვერაფერს ვაკეთებ. მხოლოდ ორი სიმღერის ჩაწერა მოვასწარი — ორივე ნინო ჩხიკვაძეს ეკუთვნის, ერთ-ერთი მათგანი მარინა ცვეტაევას ლექსზეა შექმნილი.

— **რამხელა მნიშვნელობა აქვს ნატოსთვის სიმღერის ტექსტს?**

— თითქმის მელოდიის ტოლფასი...

— **როგორი შესრულება უფრო გიადვილდებათ — ჩაწერილ მუსიკაზე თუ ინსტრუმენტის აკომპანემენტის თანხლებით?**

— როიალთან სიმღერა სულ სხვაა. რამდენ კონცერტმაისტერთანაც მიმუშავია, ყველას თავისი ხელწერა აქვს... თავიდან მე და ნუციკო ჯანელიძე ვთანამშრომლობდით, ტრიოს დროს მარიკა ოსიტაშვილთან ერთად ვმუშაობდი, მიმუშავია ქალბატონ ლია ხუგაშვილთან, თამუნა არჩვაძესთან... როიალთან სიმღერა უფრო რთულია, სამაგიეროდ, ენით აუწერელ სიამოვნებას ვიღებ.

— **ტანსაცმელსაც თვითონ არჩევთ კონცერტისთვის?**

— კონცერტისთვის სიამოვნებით ვარჩევ სიმღერებს, ზუსტად ვიცი, რომელ საღამოს რომელი მელოდია მოუხდება. რაც შეეხება ტანსაცმლის არჩევას, ეს საშინელებაა, არადა ვიზუალურ მხარეს სცენაზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს...

— **ვისთან ერთად იმღერებდით სიამოვნებით?**

— რა თქმა უნდა, უპირველესად გოგი დოლიძესთან. ძალიან მწყდება გული, რომ ეს ვერ მოვასწარი... რა მოთვლის კარგ მომღერლებს....

— **სუფრაზე თუ მღერით?**

— რატომღაც სუფრაზე მომღერლისგან ბევრს ელიან — არიან კიდეც შემსრულებლები, რომლებიც იქაც დიდი სიამოვნებით მღერიან. მე სუფრასთან არ ვმღერი — მინდა სხვას მოვუსმინო, რომლებიც ისე მოგალხენენ, რასაც მე ვერასოდეს შევძლებ. მხოლოდ შეიძლება ვინმეს ავყვე...

— **სოლო კონცერტზე თუ ფიქრობთ?**

— არა... ეს უზარმაზარი პასუხისმგებლობაა — ჯერ ერთი, არაჩვეულებრივ ფორმაში უნდა იყო, მეორეც, თვითონ უნდა მოგწონდეს საკუთარი ნამღერი, საკუთარი თავის მიმართ ძალიან კრიტიკული ვარ. რომ მიყვებიან, ისეთი ბუმბერაზი მომღერალი, როგორიც ქალბატონი ნანია, როგორ ღელავს საკუთარი კონცერტის წინ, ამაზე ველარც ვფიქრობ ხოლმე.

— **რაზე ოცნებობთ?**

— მინდა ყოველდღე საინტერესოდ ვიცხოვრო, ყველა კარგად მყავდეს, ჩემს ქვეყანას ხელი მოემართოს, რადგან ჩვენი ბედნიერება მასზეა დამოკიდებული...

*ეკა მახარაშვილი*

CMYK

**ძვირფასო მკითხველო! ვაგრძელებთ შეხვედრას მის უდიდებულესობა – ქართული სიმღერის სათავესთან. გახსოვთ, ალბათ, წინა ნომერში ავტორი კორსიკელი მასპინძლის ჩანაწერების კითხვაში რომ მივატოვეთ... ვილიამ კიისერი კიდევ ბევრ რამეს იტყვის საოცარს ქართველებზე. წინ კიდევ უფრო მეტად გულით დიდი გაქართველება (რედ.).**

თემურ ჭკუასელი

ფრაგმენტი წიგნიდან „წინ, წინაპრებისაკენ!“

# გამარჯობა, მამა!


უცხოელ „ქართველებთან“

**გოგიმაც თავი ოდნავ უკან გადასწია, თვალები მილულა და ღიღინით დაიწყო. ჯერ მე შევაპარე და მერე რობერტიც ასევე ღიღინით შემოგვიერთდა. გოგი ახვევს, მე ცოტა სადად ვემღერები, რობერტი კი ისე აგორავებს ბანს, ბგერის დაფიქსირებასაც ვერ ასწრებ. ჩავათავეთ ერთი მუხლი, შემოვატრიალეთ სიმღერა და აშკარად გავლაღდით, თანაც ცოტა ნასვამები ვართ, ჰამლეტის ხმაც ჯერ ისევ ყურში გვიჟღერს და გვამხნევებს. აღარც ტერასა გვახსოვს, აღარც ხალხი, აღარც ამერიკელები, აღარც ნაძლევი და თქვენ წარმოიდგინეთ, სალომეც კი დაგვავიწყდა, რადგან სიმღერის დემონმა მოგვიტაცა სამივე და სხვები ვერ ამჩნევდნენ, თორემ ჩვენ იმ ტერასაზე კარგა ხანია უკვე აღარ ვიყავით. ისიც კი დაგვავიწყდა, ზანგი რომ უნდა აგვყოლოდა და სიმღერის დროს დროს მისკენ თვალიც არ გაგვიპარებია.**

შემთხვევით მაყურებელს შეეძლო დაკვირვებოდა ჯგუფის თითოეული წევრის ქცევას და წარმოედგინა ისინი მოარშიყეებად, ან სასიყვარულო ქმედებისთვის მზადმყოფებად, მაგრამ ამით ისინი მხოლოდ დამოკიდებულების უშუალობას აფიქსირებენ, რადგან მეორე წამს, მათი გასაოცარი ფიქრიანი გამოხედვა, მოულოდნელი ხელის ჩამორთმევა, ან სულაც მხარზე ხელის გადასმა მიგახვედრებდა, რას წარმოადგენს მათთვის მთელი კორსიკა. ისინი არასოდეს, სულ ოდნავადაც კი არ გასცილებიან ზნეობის ჩარჩოებს და მათი ჯიშით თანდაყოლილი უზადო ქცევები ნებისმიერ ლონდონელ ჯენტლმენსაც კი შეშურდებოდა.

ერთ-ერთ მათგანს ლონდონიდან ჩემი სტუმრები გავაცანი, შუახნის ცოლ-ქმარი. თითქოს ზრდილობიანად ეკითხებიან ათას რამეს, ძირითადად საქართველოზე, მაგრამ ყველა კითხვა მოპასუხის მიმართ თავისთავად ნაგულისხმევი უპირატესობითაა გამსჭვალული, ინგლისელებს ყველგან, ყოველთვის და ყველას მიმართ რომ სჩვევიათ და სავსებით ბუნებრივად მიაჩნიათ. იმ ქართველმა მაშინვე იგრძნო ეს, მაგრამ არ შეიმჩნია. ისეთი გამაოგნებელი იუმორით და ერუდიციით პასუხობდა მისთვის ალბათ საკმაოდ გულუბრყვილო კითხვებს, რომ ჩემი სტუმრები მთლად ბავშვებად გადააქცია. გვიან მიხვდა ჩემი სტუმარი ქალბატონი ამას და აშკარად გაბრაზებულმა, მაგრამ ღიმილის გრიმასით ჯერ მადლობა გადაუხადა, მერე კი მოულოდნელად, ვითომ კეთილგანწყობისა და მოწონების ნიშნად, ყოჩაღ, გამოცდა კარგად ჩააბარეო, სინამდვილეში კი თავისი თვალდახელშუა დაკარგული უპირატესობის დასაბრუნებლად, მოწაფესავით თავზე ხელი გადაუსვა თმაშეთხელებულ კი არა, გვარიანად გამელოტებულ მოპასუხეს. ქართველს წამიერად სახე ისე შეეცვალა, მივხვდი, აღარავის დაინდობდა. შევწუხდი, ვერ ვასწრებდი სიტუაციის განმუხტვას, მაგრამ წამის შემდეგ მან ისევ დიდსულოვნად გაიღიმა და სავსებით მოულოდნელად ასეთი რამ თქვა — ბოდიშს გიხდით, ქალბატონო, რომ თავზე ქოჩორი ვერ დაგახვედრეთო...

იცით, ველარ გამოვიჩინე სტუმართმოყვარეობა და ჩემს სტუმრებს ვურჩიე მეორე დღისათვის უკან დასაბრუნებელი ბილეთები ეყიდათ.

ქართველთა ხმებმა და ქცევამ თითოეული ჩვენგანი გაჟღინთა. ჩვენ ხომ მდიდრები ვართ იდეებით, აზრებით. ვუყურებთ მათ სხეულებს მოწყვეტილ მხიარულებას და ჩვენც მოწყენილები ვხდებით. ჩვენც გვშია ღარიბული ცნობები მათი სახლებიდან და იმ ომებიდან, რომლებიც იქ მძვინვარებენ. ჩვენ კი ვერ ვახერხებთ მივცეთ მათ სულ მცირედი დამამშვიდებელი ინფორმაციაც კი. არავითარი ნუგეში არ არის, ისინი კი სიმღერას განაგრძობენ, ოღონდ მათი ნამღერი კიდევ უფრო ძლიერი და ყველაფრის წამლეკი ხდება.

ვინ ვის ებრძვის და რისთვის? ვისი მიწა ვისია და როდიდან? ჩვენ ცოტა ვიბნევით — რუსები, აფხაზები, გურულები, მეგრელები... ავირ-დავირიეთ, ვისი ხელისუფლებაა კანონიერი და ვისი არა. ვამჩნევთ განსხვავებას რუსულ და ქართულ ანბანს შორის, მაგრამ არც ერთის წაკითხვა არ შეგვიძლია. ველარაფერს ვხვდებით — სად მთავრდება ევროპა და სად იწყება აზია. ვერ ვხვდებით, ვინ ვის მხარესაა და ვის წყალობს ღმერთი, მაგრამ ეს ხომ არაფერს ნიშნავს — მთავარი ისაა, რომ ისინი ახლა აქ არიან, ისინი უკვე ჩვენში არიან. ამიტომ, ის, რაც ნამდვილად გვსურს ვიცოდეთ, ისაა, როგორ მოვახერხოთ, რომ ისინი ჩვენთან იყვნენ, როცა წავლენ, ვფიქრობ, ესეც ვიცით უკვე.

მათი მთავარი კონცერტი ახლოვდება. ოსტატი მათ ბოლო დარიგებებს აძლევს. პატარა ოთახში არიან. ეს სათავსი მათ თავიანთი ეროვნული ტანსაცმლის ჩასაცმელად სჭირდებათ. „რატომ კიდია აქ წმინდა გიორგის დროშა?“ — კითხულობს ერთი. „სადაა ჩემი უძიროები?“ — აინტერესებს მეორეს. „ნელა, ფეხზე ნუ მაბიჯებ“, — ამბობს მესამე. მე ეს ფრაზები ჩემით მოვისაზრე, რადგან არ მესმის მათი ენა.

კონცერტი კი ათის ნახევარზე დაიწყო. საათ-ნახევრის შემდეგ კი კათედრალში საოცარი სიჩუმე სუფევს. მეტისმეტი აღტაცებისაგან ხალხი ველარ ხმაურობს, ჩუმადაა. ეტყობა ერთი სურვილი გაუჩნდა ყველას, შევიდნენ სადმე და ბრენდით ამოივსონ მუცლები ამ უცნაური დღესასწაულის შემდეგ.

ქართველებმა იმღერეს! ვუსმენდი მათ და ხან ბუხარში მოთუხთუხე ქოთანი მელანდებოდა, ხან ზეცისკენ ისარივით გაჭრილი ტოროლა, ხან ოკეანის ძლიერი სუნთქვა და ხან გავარვარებული ფოლადი. ისინი ერთდროულად იყვნენ მამონტებიც, მლოცველებიც. თანდათან კათედრალის თაღებქვეშ აალებული კელაპტრებივით იღვენთებოდნენ და ნაღვენთის ეს მდუღარე ლავა, როგორც ყველაფრის წამლეკავი ნიაღვარი, დასავლეთის კარიდან უწყვეტად გამოდიოდა და ციტადელის საფეხურებით ზღვრამდე ჩაღწეული, იქ, ქვიშიან ნაპირზე გრილდებოდა.

ახლა ისინიც მშვიდად დგანან. გამოდის ჟან-კლოდი, დიდი მომღერალი, ქართველების მოწაფედ რომ თვლის თავს. მას ხმის ამოღება არ სჭირდება, ჩვენ ვიცით, რაც უნდა მოხდეს.

შვიდი კორსიკელი თეთრ პერანგებში, გულგაღეღილები, შავი შარვლებით, სახესავსე ღიმილით ცრემლებივით ჩაერივნენ ქართველებს. სიმღერა ენად იქცა და კორსიკელთა მელოდიებმა ადვილად იპოვეს გზა ძმების გულებში. ათი ხარი და შვიდი ფრთოსანი.

ქართველები — ამჯერად დამშვიდებული ხმებით, კორსიკელებმაც მიაგნეს თავისას. სოლისტები ამოცურდნენ და ნაიარევივით გაქრნენ. დგება მომენტი, როცა ველარავინ არკვევს, ვინ რას მღერის და ეს ყველაფერი საოცარ ჰარმონიაშია, რადგან აქ არის ვეებერთელა ძალა, ვეებერთელა ძალაუფლება, აქ არის უდიდესი წინათგრძნობა, რომელიც ერთ სხეულად აქცევს ყველას და ეს სხეული ბრწყინვალედ გრძნობს, რა უნდა გააკეთოს.

ქართველები კორსიკას არ დატოვებენ, კორსიკელები არასოდეს მიატოვებენ ქართველთა სიმღერის ბრძოლას.

თუ სამყაროს მშვიდობა სურს, აი, ამას ძალუძს იგი“.

რვეული დავხურე, ერთი წასტვენა მოვასწარი და ბიჭებმაც მომაძახეს — წავედით, ვაგვიანებთო.

მოედნისკენ მივიკვლევდით გზას ხალხის ნაკადში. მთელი მოედანი და გრანიტის კიბიანი ქუჩა-ჩანჩქერი ხალხით იყო გადაჭედილი. პირდაპირ ქვაფენილებზე და კიბეებზე ისხდნენ. დაგვინახეს თუ არა, ჯერ ერთმანეთს გადაულაპარაკეს — ქართველები მოდიანო, მერე იმ რიგმა, რომელსაც წინ ჩავუარეთ, ჯერ გაუბედავი ტაში დაგვიკრა, მერე ის ტაში წინა და უკანა რიგებმაც აიტაცა, ზემოთ „ჩანჩქერსაც“ გადაედო და სანამ მთელი მოედანი არ გადავჭერით და სანამ „მშობლიურ“ ტერასას არ შევაფარეთ თავი, აღარ გაჩერებულან.

საათს დავხედე. თერთმეტს ათი წუთი აკლდა. მიკროფონებს მოვერგეთ. ბიჭებს ვეკითხები — რა გადავწყვიტეთ, რას ვმღერით-მეთქი.

— რა მნიშვნელობა აქვს, რასაც დაიწყებენ, ავყვეთ, — ხუმრობს დათო გოგიაშვილი.

— გურამს რამეს გადაათქმევინებ?! ჯერ „ორირას“ ვიმღერებთ, მერე სვანურს, ჯოკიას ვარიანტს, — აზუსტებს რობერტი და მერე აგრძელებს, — ისე, არცა აქვს დიდი მნიშვნელობა დღევანდელ ნამღერს, ვისაც ჩვენი მოსმენა უნდოდა, მოგვისმინა უკვე. წელანდელი ტაშიც იმის გამოძახილი იყო. ასე ღია ცისქვეშ, ამდენ ხალხს, თანაც ორი სიმღერით, ჩვენ რომ გვინდა ისე, ქართული სიმღერის მადლს მაინც ვერ გავაგებინებთ...

მე აღარაფერი მითქვამს, ვილიამის ნაწერით ვიყავი დამძიმებული და რობერტს მხოლოდ გონებაში დავეთანხმე.

ამ დროს კაფეს კარები გაიღო და იქიდან სალომემ გამოანათა. ორივე ხელით ლანგარი მოჰქონდა, რომელზედაც პირთამდე სავსე პატარა ჭიქები ელაგა, გაფაციცებული დაჰყურებდა და ფრთხილი ნაბიჯით გვიახლოვდებოდა.

— აქაური არაყია, კორსიკული, ვიფიქრე, სიმღერის წინ ესიამოვნებათ-მეთქი, თქვენთვის შევუკვეთე, ხომ დალევთ? — მუდარას უფრო ჰგავდა სალომეს სიტყვები. ყველამ ვიგრძენით, ბედნიერი რომ იყო იგი ამ წუთებით და აბა, ამ ბედნიერებას როგორ წავართმევდით. ჩამოვირიგეთ ჭიქები, შენ და შენს ბებიას გადღეგრძელებთო, — ვუთხარით და გადავკარით. სალომემ ცარიელი ჭიქები კაფეში შეაბრუნა, მალე უკანვე გამოვიდა და ზუსტად ჩვენ ქვემოთ, ტერასის ქვედა კედელთან ჩავიდა, აქედან უკეთესად მოგისმენთო.

ამ დროს მთელ მოედანზე და ახლომახლო ქუჩებში სინათლე გამორთეს და ყველა სახლის აივანზე თუ ფანჯრის რაფების გაყოლებაზე უკვე ანთებული სანთლები ერთბაშად მთელი თავისი დიდებული იდუმალებით გამოიკვეთა. ეტყობა, ნიავმაც შეაფასა სიტუაციის მუხტი და ზღვიდან ციტადელისკენ ცელქად მომავალმა სადღაც გზაშივე არჩია გარინდება. შეუცნობლის მოლოდინით დამძიმდა გარემო. მოედანიც ისეთ სიჩუმეში ჩაიძირა, კაცი იფიქრებდა, ეს სამი ათასი კაცი ერთმანეთს ერთდროულად გაებუტაო.

და აი, ამ საყოველთაო მდუმარებაში მთელ ციტადელს რაღაც იდუმალი ფერადი ნისლივით ჩამოეფინა მამაკაცის ულამაზესი ტემბრის ხმა — არი არალი არალოოოო... წამით დაასწრო სისხლმა გონებას და უმალ მან იგრძნო მშობლიური, იგრძნო და უეცარი ბიძგით ყველა კუნთი დაგვიჭიმა. მერე კი გონებამაც დააფიქსირა, რომ ფესტივალის დამამთავრებელი ზეიმის დაწყება ჰამლეტ გონაშვილისეულმა „ოროველამ“ გვაუწყა. ბაგეები დაგვეწურა და ხორხები დაგვებერა. სიმღერა თითქოს ძალიან შორიდან, იქნებ სულაც საქართველოდან მოჰყვებოდა ზეციურ გუთანს და როცა მან თავისი ულამაზესი კვალი ციტადელზეც გაიტანა, ეჭვი აღარ გვეპარებოდა, რომ სამი ათასი კაცის ტაშის ხმა ექოსავით ნაღდად უკანვე, საქართველომდე ჩააღწევდა.

ასეთი მოულოდნელი ემოციურობით დაიწყო ჩვენთვის კორსიკული შემოდგომის ეს ულამაზესი საღამო.

ოროველას შემდეგ ორი ქართული სიმღერა თავად კორსიკელებმა იმღერეს, ორი ჩვენც მივამატეთ და სულ ტყუილი გამოდგა ჩვენი წინასაკონცერტო წუწუნი — იმ საღამოს ხუთჯერ აჟღერდა ციტადელზე ქართული სიმღერა.

აი, აქ უნდა შევწყვიტო ფესტივალის დამაგვირგვინებელ კონცერტზე საუბარი, რადგან კარგად ვიცი, იმ სილამაზეზე საუბარი, რომელიც მთელი სხეულითაა შესაგრძნობი, უაზრობაა — ამას არც მახვილი თვალი შველის, არც მახვილი ყური და არც მახვილი კალამი, თუნდაც იგი ზოლინგენის სამართებელივით იყოს ალესილი. ამიტომ ჩვენი პატარა ტერასიდან ახლა უფრო ქვემოთ, ზღვისპირა უზარმაზარ ტერასაზე ჩავინაცვლებთ, სადაც ფესტივალის სხვა მონაწილეებთან ერთად ჩვენც ტრადიციული გამოსამშვიდობებელი ვახშამი გველის.

ფესტივალზე ჩასვლის დღიდანვე ყველა მონაწილე ამ მხიარულ ვახშამს მოუთმენლად ელის, რადგან იგი აუცილებლად ჭეშმარიტი ხალისის ზეიმად იქცევა ხოლმე. ყველა სავალდებულო სიმღერა ნამღერი გვაქვს, საკონცერტო დაძაბულობა მოხსნილი, ყველას იცნობ და ყველა გიცნობს, ამინდი მშვენიერია, განწყობა უკეთესი, ყველა გიღიმის და ყველას ეფერები, ყველა მღერის და თუ შენც სიმღერა მოგინდა, იცი, რომ მხოლოდ შენი და შენი კოლეგების სიამოვნებისთვის მღერი გალაღებული.

აი, ასეთ ვახშამზე ვართ. სალომეც, რაღა თქმა უნდა, ჩვენთანაა. ამოვირჩიეთ თეთრი მაგიდა ტერასის ცენტრში, შემოვუსხედით და ყველანი ვგრძნობთ, თავდავიწყებაც მალე გვესტუმრება.

დროდადრო ტერასის სხვადასხვა კუთხიდან სიმღერა ისმის. ამ დროს ყველა ჩუმდება, მოგწონს თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს, სიმღერას სცემ პატივს. ზედიზედ იმღერეს ჯერ ბულგარელებმა, შემდეგ ამერიკელებმა, ალბანელებმა, კორსიკელებმა... გინდა არ გინდა, აქაც შეფარული პაექრობაა, ერთმანეთზე უკეთესი სიმღერები ეფინება ხმელთაშუა ზღვის ქაფმორეულ ნაპირებს.

სალომე ცმუკავს, თქმით არაფერს ამბობს, მაგრამ ადვილად ვხვდებით, ერთი სული აქვს, ჩვენ როდის გავათავისუფლებთ ყელში გამომწყვდეულ ხმებს. ჩვენ კი განგებ ვაჭიანურებთ, გამოცდილებით ვიცით, რომ სალომეს გარდა მთელი ტერასაც ჩვენს ამღერებას ელოდება და ამ მოლოდინს კიდევ უფრო ვამძაფრებთ. თანაც ბიჭებიც მიმოიფანტნენ, ზოგი სარდებს ჩაუგდიათ ხელში, ზოგი აფრიკელებს და ზოგიც ჟურნალისტებს. თუმცა, ეს არაფერს ნიშნავს, რომ დაუძახო ვინმეს, იქნებ ვერც გააგონო, მაგრამ საკმარისია მაგიდასთან ვინმემ სიმღერა წამოიწყოს, ყველა მაშინვე გამოიქცევა და თუ მოსვლა ვერ მოასწრო, გზიდან შემოგაშველებს ხმას.

როცა სალომემ კიდევ ერთხელ შემოგვხედა მუდარის თვალებით, გოგის აღარ მოუთმინა გულმა და „მრავალჟამიერი“ წამოიწყო. მაშინვე მოჭრით მოწყდა ტერასაზე ხმაური, თითქმის უხმაურო, გამხნევებისა თუ მადლობის ტაშმა გადაიქროლა და მიუხედავად იმისა, რომ სიმღერა ტერასაზე კი არა, ალბათ მთელ ციტადელზეც მშვენივრად ისმოდა, უმრავლესობამ მაინც მიატოვა მაგიდები და ჩვენკენ გადმოინაცვლა. მეორე მუხლი ჯერ მოტრიალებულიც არ გვქონდა, ზანგი გამოვიდა წინ, სკამებზე გვერდიგვერდ მსხდომ გიას და რობერტს უკან დაუდგა, დაიხარა, სახე მათ სახეებს დაუახლოვა და ბანი „შემოგვაშველა“. ჩვენი ხასიათი კარგად მოგეხსენებათ, ჩავამთავრეთ სიმღერა თუ არა, იმ ზანგს მოვეფერეთ, ისე შევაქეთ და გავამხნევეთ, თითქოს „ხასანბეგურას“ ურთულესი ბანი ემღეროს. არადა „მრავალჟამიერის“ გაბმული ბანი, თუ კაცს ოდნავ მაინც გიჭრის ყური, არაა ძნელი სათქმელი, მით უმეტეს აქეთ-იქიდან გია და რობერტი თუ გიმღერის ყურში. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, იმ ზანგს თავგამოდება არ დავუფასო, უბრალოდ, რაც ჩვენი წაქეზების მერე მოხდა, იმან გაგვალიზიანა. ჩვენმა ქებამ გაათამამა თუ თავიდანვე ასეთი თავდაჯერებული იყო, არ ვიცით, მაგრამ მოგვიტრიალდა და გვეუბნება, ეგ რაა, მე მსოფლიოს ნებისმიერი ხალხის ხალხური სიმღერის ერთ ფრაზას რომ მოვისმენ, მეორიდან ნებისმიერ ხმას ვიმღერებო.

იმდენად აბსურდად ჟღერდა მისი ნათქვამი, რომ, თავიდან ვიფიქრეთ, ეტყობა მისი ინგლისური კარგად არ გვესმისო და გოგიმ ბარე სამჯერ გაამეორებინა ერთხელ ნათქვამი. როცა საბოლოოდ დავრწმუნდით, რა სისულელეს როშავდა, გოგი მოგვიტრიალდა და ჩვენ გვითხრა — მგონი გააფრინა ამ საწყალმაო... მერე ზანგს მიუტრიალდა და საკმაოდ დიდხანს უმტკიცებდა, წარმოუდგენელ რამეს იბრალებ, ეგ უბრალოდ შეუძლებელიაო. არ გაჭრა მისმა შეგონებამ. ზანგ მომღერალს მეგობრებიც წამოეშველნენ, ამერიკელი მომღერლები და იმათაც დაადასტურეს — ნებისმიერი ხალხური სიმღერის ნებისმიერ ხმას იმღერებს ერთი მუხლის მოსმენის შემდეგო. ეტყობა, მართლაც იმდენჯერ ჰქონდა ეს უკვე გაკეთებული, არც ერთი მათგანი დაეჭვებითაც კი არ დაეჭვებულა იმ ზანგის შესაძლებლობებში. დიდი აჟიოტაჟი ატყდა. მთელი ტერასა ჩვენ გარშემო იდგა, ზოგი უკვე გარკვეულიყო სიტუაციაში, ზოგიც აქტიურად ცდილობდა გარკვევას. მხოლოდ სალომე იჯდა ჩუმად და თავისი ფიქრიანი თვალებით ხან გოგის შესცქეროდა, ხან ზანგს, იმისდა მიხედვით, იმ მომენტისთვის რომელი აქტიურობდა. გოგიმ უკანასკნელი არგუმენტი მოიშველია — მე სხვა სიმღერებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ქართულ სიმღერაზე თავს დავდებ, არაფერი გამოგივაო. რახან ასეა, მოდი დავნაძლევდეთო, უპასუხა ზანგმა და გაშლილი მარჯვენა წინ წამოსწია. გოგიც მაშინვე დაეთანხმა. ათასგან წამიკითხავს, ამერიკელებს ნაძლევი ძალიან უყვართო, წაკითხულის მაგალითს კი მაშინ პირველად გადავეყარე. ისე გაუხარდათ ეს წინადადება, მაშინვე ჯიბეებზე გაიკრეს ხელი, ათას ფრანკს უცებ მოუყარეს თავი, მაგიდაზე დაგვიდეს და ზემოდან კოკა-კოლას ნახევრად სავსე ბოთლი დაადეს.

სურვილიც რომ გვქონოდა, სიტუაციას ველარ დავუსხლტებოდით უკვე ხელიდან. ჩვენ და ამერიკელები კი არა, მთელი ტერასა აზარტით იყო დანაღმული და სადაცაა აფეთქდებოდა. როგორც ყველგან და ყოველთვის, მოწმეები აქაც ორ ბანაკად გაიყო, უმრავლესობა თითქოს ჩვენს მოგებას ვარაუდობდა, პირიქით მოფიქრალნიც მრავლად იყვნენ.

გოგიმაც ამოიღო ჯიბიდან ფული, ათასი ფრანკი ადვილად გადათვალა, რადგან თითქმის აღარაფერი შერჩა ხელში და კოკა-კოლას ისტორიული ბოთლი უფრო გაამდიდრა. მერე მე და რობერტს მოგვიტრიალდა — რა ვთქვათ, „ჩვენ მშვიდობა?!“ კი ბატონო, იყოს „ჩვენ მშვიდობა“, — დაეთანხმა რობერტი. მე კი უეცრად ვეკითხები — მისმინე, მართლა რომ აგვყვეს ეს შობელძაღლი, რა ვქნათ მერე? გოგიმ ისე შემომხედა, მივხვდი, ჩემი ნათქვამი ხუმრობად მიიღო.

*(დასასრული იხ. გვ.23)*

CMYK

# „ტელევიზორი", სადაც შესაძლებელი იქნება შესვლა...

*კოკა ყანდიაშვილი პირველი არხის ეთერს უბრუნდება. ისევ თქვენი ოჯახების სტუმარი გახდება გადაცემა „რა ხდება". თავად კოკა ახლახან დაბრუნდა კუბიდან, სადაც 25 დღე ისვენებდა და როგორც თავად ამბობს, — იქაური ტემპერამენტით სისხლ და სულაჩუხჩუხებული, სამი წლის უნახავ მაყურებელთან შესახვედრად ემზადება. ახალი პროექტის ეკრანზე ხილვამდე შევეცდებით გავარკვიოთ, მართლაც რა ხდება კომპანია „პრემიერის" სამზარეულოში.*

— გადაცემა „რა ხდება" 45-წუთიანი ქრონომეტრაჟით გავა პირველი არხის ეთერში, 23 საათზე. გადაცემა 3-ბლოკიანია, თანამედროვე, ორიგინალური და ლამაზი ანტურაჟით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს მოსულ სტუმრებს, რომ არ დადონ ლიპი მაგიდაზე და არც მხართეძოზე წამოწვნენ. ვალდებულნი იქნებიან უპასუხონ საზოგადოებას, რომელმაც ისინი დაიქირავა, განურჩევლად იმისა, ვინ იქნებიან: პრეზიდენტი, მინისტრი თუ სხვა.

**— რას ნიშნავს სამბლოკიანი გადაცემა?**

— ასეთი პოლიტიკურ-საინფორმაციო შოუ საქართველოში ჯერ არ გაკეთებულა. იგი შინაარსობრივად საკმაოდ რთულია. მისი სწრაფი ტემპი გაიძულებს ვერ მოწყდე ეკრანს. გადაცემის პირველი ნაწილი ეძღვნება დღის მთავარ თემას, შეიძლება სტუდიაში ერთდროულად ოთხი სტუმარი იყოს და მეხუთე — მეორე სტუდიაში, მეექვსე კი შეგვიძლია ჩავრთოთ კიდევ საიდანღაც. საინტერესოა გადაცემის დასაწყისში კიდევ ერთი „პერსონაჟის" გამოჩენა. ეს იქნება უბრალოდ მოქალაქე, რომელსაც ენდობა საზოგადოება. ის თვალს ადევნებს ჩვენს საუბარს და თავის განსაკუთრებულ აზრს მოგვახსენებს.

**— როგორი იქნება პირველ გადაცემაში მონატრებულ მაყურებელთან შეხვედრა?**

— მივესალმები და ვეტყვი, რომ მართლა ძალიან მომენატრა მაყურებელი... რომ მელის ძალიან მძიმე სამუშაო, რომ შეიცვალა ჩემი ცხოვრების რიტმი, წყობა, რომ ამიერიდან ველარ დავწვები 12-ზე ან პირველის ნახევარზე, რადგან უამრავი სამუშაო მექნება. ველარ დავაძინებ და ველარ გავაღვიძებ შვილებს და მათ, ალბათ, მოაკლდებათ ჩემი ყურადღებაც.

**— გადაცემის მეორე და მესამე ბლოკი რას შემოგვთავაზებს?**

— არა პოლიტიკას, არამედ ნებისმიერი სხვა სფეროს მოვლენებს. მეორე ბლოკში,



ძალიან ხშირად, კვირაში ორჯერ ან სამჯერ, გავა სპეციალური რუბრიკა — „საშუალო ფენა", სადაც ნაჩვენები იქნება დღეს მომუშავე ხალხი. არა აქვს მნიშვნელობა ცოცხებს ყიდის, ზის მიწისქვეშა გადასასვლელში სავაჭროდ, ჟურნალისტია, ექიმია თუ მემანქანე. ვაჩვენებ ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებას დილიდან დაღამებამდე, ანუ ლოგინიდან ლოგინამდე.

**— ამით რა გინდათ უთხრათ მაყურებელს?**

— რომ ტყუილად გვიკიჟინებენ, თითქოს დავიღუპეთ. ჩვენ ვცხოვრობთ, ვშრომობთ და მომავალი შრომითი დღისათვის ვემზადებით. ამ ბლოკშიც გვეყოლება საპატიო სტუმარი, რომელიც კომენტარს გაუკეთებს სიუჟეტს. ამ ბლოკში სხვა ამბებიც იქნება. ყველა გადაცემის ბოლოს, მესამე ბლოკში ყოველდღე, სტუმრად მოვიწვევთ ყველასთვის ცნობილი ადამიანის ოჯახს.

**— ე.ი. შექმნით საოჯახო პორტრეტს?**

— ჩემს წინა გადაცემაში ყველას მოვუწოდებდი, გვიყურეთ ოჯახთან ერთად-მეთქი, ამ რუბრიკასაც „ოჯახთან ერთად" ჰქვია.

**— თუ ვინმემ უარი გითხრათ მასპინძლობაზე?..**

— გოიმობაა, უარი მითხრან სახლის გადაღებაზე. მაგრამ არა მგონია, თუნდაც იმიტომ, რომ ახლოვდება არჩევნები. გარდა ამისა, პრესისთვის სხვა, სასიხარულო, საინტერესო სიუჟეტებიც მექნება.

**— და აპირებთ ყველაფერი ეს 45 წუთში ჩატიოთ?**

— ვაპირებთ. გვყავს ძალიან კარგი გუნდი პირველი არხიდან და კომპანია „პრემიერიდან". ვფიქრობ, ქართულ ოჯახებში შევიტანთ სიწყნარეს, სიმშვიდეს — ეს ჩვენი ჩანაფიქრია.

**— როგორც ამბობენ, სიმშვიდის გამო დაიწუნეს ნუგზარ რუხაძის გადაცემა — „დღის ბოლოს". თურმე მაყურებელს ოპონენტთა შერკინებები უფრო მოსწონს ეთერში.**

— ჩემი თანმიმდევრულობიდან გამომდინარე ვფიქრობ, ჩემს ეთერში ველარ იხილავთ იმას, რასაც ეთერში ჩემი არყოფნის პერიოდში მიეჩვიეთ. ხმაურიანი საუბრები, რა თქმა უნდა, იქნება, მაგრამ მას გავაზავებთ სხვა ეფექტებით, რაზეც უკვე თითქმის ვისაუბრეთ. მინდა მაყურებელს ვუთხრა, რომ ჩვენ არ ვცხოვრობთ პოლიტიკით, არამედ პოლიტიკას თავს გვახვევენ, ჩვენი ცხოვრება კი ამ დროს თავისი დინებით მიდის, ყველა მოწვეულ პოლიტიკოსს შევახსენებ, რომ ის ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულია, ის მოჰყვება, როგორ ასრულებს სამუშაოს, თუ საჭირო იქნება, იქვე მჯდომი მსმენელი ეტყვის, რომ იგი ცრუობს. თუ იჩხუბებენ, იჩხუბონ. ეს არ არის განსაკუთრებული მოვლენა.

**— კოკა, როდის გავა ეთერში თქვენი სატელევიზიო პროექტი „გრძელი ენა"?**

— ალბათ სექტემბრიდან. პირველ არხზე აპრილში გავა ეთერში კიდევ ორი ახალი პროექტი — „კრიმინალური საქართველო" — ყოველდღიური ათწუთიანი გადაცემა და „ეკონომიკური დანაშაული" — ასევე ყოველდღიური და ათწუთიანი. ტელეკომპანია „მზისთვის" კომპანია „პრემიერი" ამზადებს ახალ პროექტს — „სამი ტელევიზორი". ვერ მოვყვები შინაარსს, ეს არის გასართობი სახალხო, მასობრივი პროექტი. ერთს გეტყვით — ქალაქის სამ ცენტრალურ ადგილას დაიდგმება უზარმაზარი ტელევიზორის ფორმის ჯიხური, სადაც შესაძლებელი იქნება შესვლა... (ჯერჯერობით, მეტს ვერაფერს მოგახსენებთ).

**— როცა საუბრობენ ქართულ მედიაზე, ამბობენ, რომ განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— მე ასე არ ვფიქრობ. მასმედია ვითარდება ისე, როგორც ვითარდება ბაზარი. ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობა აჩვენებს, რომ პერსპექტივა შედეგიანი იქნება. აგერ ახლა ორი ახალი ტელეკომპანია იხსნება. რაც თავისთავად საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტია და შეუძლებელია არ მიესალმო, მაგრამ მედია მთლიანად სამწუხაროდ არ არის თავისუფალი. ასლან აბაშიძეს აქვს თავისი ტელევიზია. ბიძინა ივანიშვილს — თავისი, ედუარდ შევარდნაძეს — თავისი, ბადრი პატარკაციშვილს — თავისი და ა.შ. ეს ძალიან არ მომწონს. არასასიამოვნოა, რომ არ არსებობს არც ერთი დამოუკიდებელი მედიის ერთეული, არძინბას და კოკოითსაც თავიანთი ტელევიზია აქვთ. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ არ არიან მეცენატები, ვინც ფულს დამოუკიდებელი ტელევიზიისთვის გაიღებენ.

*ეკა ლომიძე*

16 მარტი კვირა

15 მარტი შაბათი

14 მარტი პარასკევი

13 მარტი ხუთშაბათი

12 მარტი ოთხშაბათი

11 მარტი სამშაბათი

10 მარტი ორშაბათი



# მეშინია „ღამის მოამბე" არ წამომცდეს



*როგორც ჩანს, დასასრულს მიუახლოვდა „ღამის მოამბის" გაუჩინარებული წამყვანის მოლოდინი. მაყურებელი ინგა გრიგოლიას, სავარაუდოდ, უკვე მარტიდან იხილავს ახალი ტელეკომპანიის ეთერში. უცნაურია, მაგრამ გრიგოლიაც და მისი ხელმძღვანელობაც, რატომღაც დღემდე ასაიდუმლოებენ ახალ ტელეარხს. არადა, თითქმის ყველასთვისაა ცნობილი, რომ ინგაც და სხვადასხვა ტელეკომპანიიდან გამქრალი ცნობილი ჟურნალისტები და წამყვანები სულ მალე მოგვევლინებიან ახალი ტელევიზიის, „მზის" ეთერში. მოკლედ, მაყურებელმა უკვე იცის „მზის" შესახებ, მაგრამ არ იცის ინგას ახალი ამპლუის და საერთოდ, მისი ახალი სატელევიზიო პროექტის შესახებ. კარგად „ნადიეტარი", დასვენებული და ეთერს მონატრებული ინგა „საბრძოლველად" ემზადება და არც იმას მალავს, რომ მობეზრდა ღამის კლუბების ერთფეროვანი სიტუაციები და სახეები...*

— სამწუხაროდ, ტექნიკური მიზეზების გამო, ახალი ტელეკომპანიის ეთერში გასვლა შეყოვნდა, თორემ თქვენც ხედავთ, რომ პრაქტიკულად სრული სამუშაო ატმოსფეროა სტუდიებში. ჯერჯერობით უცნობია, რა ერქმევა ახალ ტელეარხს. მხოლოდ ის ვიცი, რომ იგი დაფარავს არა მთლიანად საქართველოს საეთერო სივრცეს, არამედ მხოლოდ თბილისს. ეს იქნება სამაუწყებლო ტელეკომპანია, რომელიც ყოველ საათში ერთხელ მიაწვდის საზოგადოებას ახალ ინფორმაციას.

**— ძალიან ბევრი ნაცნობი სახე იქნება თურმე ახალ ტელეარხზე.**

— მართლაც ასეა — ეკა ბერიძე, სოფო მოსიძე, ირაკლი მაისურაძე და სხვები ამჯერად ჩვენთან არიან. ეკა, სოფო და ირაკლი იმნაიშვილი მონაცვლეობით წაიყვანენ საინფორმაციო პროგრამას მთელი დღის განმავლობაში.

**— შენ რას გააკეთებ?**

— დღემდე მეგონა, რომ ეთერში კვირის ანალიტიკურ პროგრამას წავიყვანდი, თურმე ვცდებოდი. ჩემს სატელევიზიო პროექტს დროებით თაროზე შემოდება მოუხდა. ამჯერად კვლავ საღამოს ეთერში ვიქნები, ისევ შემაჯამებელ საინფორმაციო პროგრამას წავიყვან, განვიხილავ დღის მთავარ თემას.

**— ხომ არ ნიშნავს ეს, რომ „ღამის მოამბეს" უკვე სხვა არხზე წაიყვან?**

— არა, ეს სრულიად სხვა გადაცემა იქნება, ძალიან დინამიკური და სხარტი. საინფორმაციო პროგრამის სახელწოდება იქნება „მზერა". ჩემს გადაცემას ექნება სრულიად განსხვავებული შესავალი, მუსიკა და ქუდი, რომლის შემდეგაც ნამდვილად არ გაგიჩნდებათ ჩვენთან დაშორების სურვილი. ველოსიპედის გამოგონება არ გვიცდია, მაგრამ პროექტი ნამდვილად საინტერესო იქნება.

**— რომელ საეთერო დროში გახვალთ ეკრანზე, კვლავ „პრაიმ-თაიმში"?**

— რა თქმა უნდა. როცა ამასთან დაკავშირებით მკითხეს, მაშინვე განვაცხადე, რომ მხოლოდ ჩემს „ძველ დროში" გავალ ეთერში და სულაც არ მეშინია კონკურენციის.

**— ე. ი. კონკურენციას გაუწევ „ღამის კურიერს" და კოკა ყანდიაშვილის „რა ხდებას".**

— ამაში სავსებით დარწმუნებული ვარ. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ჩემი ჟურნალისტთა გუნდის და ტელეკომპანიის შესაძლებლობები.

**— როგორ ფიქრობ, ეთერში კვლავ ძველი ტექსტის წაკითხვის შემდეგ მიესალმები მაყურებელს? შეიცვლი მეტყველების მანერას, ჟესტიკულაციას?**

— არ მიფიქრია ამაზე, თუმც, ალბათ „გამარჯობას" თავშივე ვიტყვი, „მოამბის" გამეორება რომ არ გამომივიდეს. საერთოდ ძალიან მეშინია, დღის მთავარი თემის დასახელების შემდეგ არ მოვაყოლო, რომ „ეთერშია ღამის მოამბე ინგა გრიგოლიასთან ერთად". იმდენად გამჯდარი მაქვს ეს ფრაზა... რაც შეეხება მეტყველებას და ჟესტიკულაციას, ამის შესაცვლელად ნამდვილად არ მიმუშავია საგანგებოდ და მეეჭვება შევძლო ჟესტიკულაციის კონტროლი გადაცემის წაყვანისას როლში შესულმა. „ბი-ბი-სის" სპეციალისტებთან მუშაობისას, მათ მირჩიეს, რომ იმიჯი არ შევიცვალო. სხვა მხრივ კი ყველაფერს ვიღონებ, რომ მაყურებელი კმაყოფილი დარჩეს.

სტუმრის და მთავარი თემის შერჩევაში მექნება განუსაზღვრელი თავისუფლება. ჩემს გადაწყვეტილებებში ვერავინ ჩაერევა.

**— თუ ჩაერივნენ?**

— არა, ამის გარანტია მიღებული მაქვს. სხვანაირად ვერ ვიმუშავებ. თუ პირველ არხზე მაპატიებდა მაყურებელი ვიღაც სულელი ჩინოვნიკის მასპინძლობას, აქ ეთერის „გაყიდვას", დაკვეთილ თემას არ მაპატიებს და ჩემზეც იმას იფიქრებენ, რასაც მე ვფიქრობ, როცა ზოგჯერ ვხედავ, რომ საინფორმაციო გადაცემა წამყვანს კი არა, სტუმრებს მიჰყავთ. ამ დროს ისტერიკაში ვვარდები და ტელევიზორს მიშტერებული წამყვანს ვუყვირი, — ხმა ამოიღე, ნუთუ არა გრცხვენია-მეთქი.

**— ინგა, ხარ თუ არა აბსოლუტურად დამოუკიდებელი ტელევიზიის ჟურნალისტი, რომლის უკანაც არავითარი პოლიტიკური ძალის ინტერესი არ დგას?**

— ალბათ საქართველოში კი არა, საერთოდ არსად არ არსებობს აბსოლუტურად დამოუკიდებელი ტელევიზია. არ ვიცი, ვინ და რა დგას ახალი ტელეკომპანიის უკან და არც მაინტერესებს. მე ერთზე მქონდა საუბარი უფროსობასთან და შევთანხმდით, რომ არ შემზღუდავენ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ჩვენ არ ვიქნებით არავის ტელეკომპანია და გავხდებით ძლიერი კონკურენტუნარიანები, მით უმეტეს, რომ ამისთვის შესანიშნავი პირობები, ხელფასი და ყველაფერი გვაქვს. თავისუფლების გარეშე ეს ტელევიზია ჩაიძირება.

**— დიდი ხანია ეკრანს მიღმა ხარ, რა ან ვინ გენატრება?**

— ეთერი მენატრება. ელენე თევდორაძე რომ გადაირჩიეს და ნანა ბიჭიაშვილი დანიშნეს მის ადგილზე, მაშინ ვინატრე, ნეტავ, ახლა ეთერში მათქმევინა ჩემი სათქმელი-მეთქი. მომენატრა და გული მწყდება, რომ ველარ მოვიწვევ ვახტანგ ბოჭორიშვილს, რომელიც ძალიან დააკლდა სატელევიზიო სივრცეს.

**— საკმაოდ ცხელი ზაფხული გველის პოლიტიკური თვალსაზრისით. მგონი გაოცებულიც კი ხარ უკვე მიმდინარე ბატალიებით.**

— მართლაც გაოცებული ვარ. მიკვირს, რა უნდათ ერთად სააკაშვილს და პატიაშვილს. როდის ან რით შეხმატკბილდნენ? მიკვირს, როგორ საუბრობს დღეს არჩევნების გაყალბებაზე ის ხალხი, ვინც წინა არჩევნებზე თავად იყო გამყალბებელი. იგივე ჟვანია, იგივე სააკაშვილი და სხვები, შევარდნაძის და მოქკავშირის საარჩევნო შტაბებს არ ხელმძღვანელობდნენ? ეთერიდან მოვუწოდებ მაყურებელს, რომ მომავალ არჩევნებზე მოვიდეს, თავისი პოზიცია დააფიქსიროს და პროტესტი გამოუცხადოს ყოველგვარ უწესრიგობას.

**— „ღამის მოამბის" ეთერში სტუმრებისთვის მიგიცია დაპირისპირების, თითქმის ჩხუბის საშუალება. ამჯერადაც გარედან მაცქერლის პოზიციას დაიჭერ?**

— არამც და არამც არ ჩავერევი მათ ჩხუბში, თუ უნდათ, იჩხუბონ, ეს გაართობს ხალხს. აბა, ვის სჭირდება მათი რაფინირებული ანალიზი? მორალს არავის წავუკითხავ, მაგრამ აუცილებლად გავაკეთებ კომენტარს.

*ეკა ლომიძე*

**V საუკუნე მძიმე აღმოჩნდა საქართველოსთვის. სასანიანთა ირანმა ყურადღება მიაპყრო ამიერკავკასიას და განსაკუთრებით საქართველოს, რომელიც, რატომღაც ყოველთვის „საკუთრად" მიაჩნდა.**

**ირან-ბიზანტიის ხანგრძლივ დაპირისპირებაში საჯილდაო ქვა კვლავ საქართველოა, რომელმაც წინა საუკუნეში უკვე აირჩია სამომავლო პოლიტიკური და იდეოლოგიური ორიენტაცია. მეფე მირიანის დროს ოფიციალურად მიიღო ქრისტიანობა. შემდგომ ზეობდნენ ბაქარი და მირდატ V, საურმაგი და ვარაზ-ბაკური, ფარსმან IV და ბუზმარი. ამათ მოჰყვნენ ვახტანგ გორგასლის პაპა არჩილი და მამა მირდატ VI. სხვათა შორის, ჩამოთვლილი მეფეთა მოღვაწეობის შესახებ მატიანეში ბევრი არაფერია თქმული. თუ არ ჩავთვლით არჩილს, რომელმაც „მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლისმსახურნი საზღვართაგან ქართლისა, მოირთო ძალი საბერძნეთით და წარძღუანებითა ჯუარისათა იწყო ბრძოლად სპარსთა" და მირდატს, რომელიც „მეფობდა, ვითარცა მამა მისი, დიდსა სარწმუნოებასა შინა"...**

# გმირი მეფე ვახტანგ გორგასალი

*ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,*
*ციდან ჩამოესმა რეკა;*
*იალბუზზე ფეხი შედგა, —*
*დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.*
*ხალხური*

## ამბავი მირდატ მეფისა და დედოფალ საგდუხტისა

უფლისწულ მირდატს მოულოდნელი სიყვარული ეწვია იმ მხრიდან, საიდანაც არ ელოდა — მამა-შვილის საძულველი მოწინააღმდეგის, კავკასიის ალბანეთის პროვინციის, ბარდავის გამგებლის, სპარსი პიტიახშის ბარზაბოდის ულამაზესი ასული ჩაუვარდა გულში. საგდუხტიც მოიხიბლა ქართველი უფლისწულით... ღირსეული დედოფლობა გაუწია მან საქართველოს. სამი შვილი მიეცათ: ხვარამზეს, ოთხი წლის შემდგომ, ტახტის მემკვიდრე მოჰყვა, რომელსაც სპარსულად ვარან-ხოსროტანგი, ანუ ქართულად ვახტანგი უწოდეს. შემდეგ კიდევ ერთი ქალიშვილი, მირანდუხტი შეეძინათ. ტრადიციის თანახმად, მეფის შვილებს აღსაზრდელად ღირსეულ პიროვნებებს ანდობდნენ. ასე გახდა ვახტანგის მამამძუძე წარჩინებული სპასპეტი საურმაგი, ხოლო მირანდუხტი აღსაზრდელად კასპის სპასალარმა წაიყვანა.

ეს ის პერიოდია, როცა ირანი ყოველმხრივ ცდილობს ქართლში მაზდეანობა გაავრცელოს. შაჰმა იეზდიგერდ -მ დაიბარა ქტეზიფონში ქართლის, სომხეთის და ალბანეთის მმართველები და კატეგორიულად მოსთხოვა თავიანთ ქვეყნებში მაცხოვრის უარყოფა. ისინიც დასთანხმდნენ ფორმალურად, მაგრამ ვერაგი იყო შაჰი, — მძევლად დაიტოვა ყველაზე გავლენიანი, — არშუშა პიტიახში, ქვემო ქართლის გამგებელი. სამაგიეროდ კი გამოგზავნა შვიდასი მოგვი, გამობრძმედილნი სჯულის პროპაგანდასა და პოლიტიკურ ინტრიგებში.

ასეთ ზეწოლას უბედურებაც დაერთო, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა მირდატი. უფლისწული შვიდი წლისა იყო მხოლოდ. დარჩა საგდუხტი სამი მცირეწლოვანი შვილით. იგი ეახლა მამას და მუდარა-აჯის უძველესი რიტუალი შეასრულა — ფეხებში ჩაუვარდა მშობელს. შეავედრა ვახტანგი: ნურც ქრისტიანობის დატოვებას მომთხოვ და ნურც მამამთილისა და ქმრის საქმეთა გამო ჩემს ოჯახს და უფლისწულ ვახტანგს მოჰკითხავო.

მოულბა მრისხანე ბარზაბოდს გული, „შეიწყალა ასული თვისი". თუმცა სანაცვლოდ მცხეთას გამოგზავნა მოგვები — ხალხმა სურვილით აირჩიოს რჯულიო. მოგვებს თავიანთივე წინამძღვარი ბინქარანი გამოაყოლა. დასახლდნენ ადგილს, რომელსაც „მოგვთა" ეწოდა შემდგომ.

ქრისტიანული სამწყსოს მეთაური, მცხეთის ეპისკოპოსი მობიდანი, ცრუქრისტიანი აღმოჩნდა — წარმოშობით ირანელი, შინაგანად წარმართი და ქართველთმოძულე. არსთა გამრიგემ მიგვიყვანა გამოსავალთან — დაიხოცნენ ბარზაბოდი და ეპისკოპოსი მობიდანი. დედოფალმა გონივრული ნაბიჯი გადადგა და ბიზანტიიდან გამოითხოვა ახალი მთავარეპისკოპოსი მიქაელი — შეუპოვარი და სარწმუნოების დამცველი. მტერი არ ასვენებდა ქართლს. ცხრა წლისა იყო ვახტანგი, როდესაც ჩრდილოელმა მეზობლებმა — ალან-ოვსებმა დაარღვიეს საზღვარი, დაეცნენ კასპს და გაიტაცეს ვახტანგის სამი წლის და მირანდუხტი. დასავლეთიდან ბიზანტიის იმპერატორმა მარკიანემ მოიღო იერიში და ციხე-გოჯამდე მოაღწია.

## 15 წლისა სამეფო ტახტზე

ამასობაში ვახტანგმა თხუთმეტი წელი გაასრულა. სწორედ 15 წლისა ავიდა სამეფო ტახტზე. იდგა 457 წელი ქრისტესშობიდან. მოიწვია წარჩინებულნი, მღვდელთმთავარნი, მხედართუფროსები და უკვე სამეფო ტახტიდან თავისი გეგმები გააცნო დარბაზს — ოვსეთ-ხაზარებისკენ ლაშქრობა შესთავაზა.

სპასპეტმა ჯუანშერმა ხოტბა შეასხა ვახტანგის სიმამაცესა და ნიჭს, მაგრამ „ჯერეთ უსრულო ასაკის" გამო ურჩია, „იყავ შინა და განაგებდი მეფობას", ხოლო სარდლად „გამოარჩიე ერთი ვინმე ჩვენთაგანი" და იმას გავყვებითო. მაგრამ ვახტანგის გადაწყვეტილება ურყევი იყო. მაშინ კი ერთხმად შესძახა დარბაზმა: „ცხოვნდინ, მეფეო, უკუნისამდე! იქმნეს განზრახვა შენი!" ვახტანგი რომ მკლავმაგარი და მამაცი იყო, ყველამ იცოდა, მაგრამ იგი ნამდვილი სტრატეგიც გამოდგა, შეკრიბა ლაშქარი. ბარდავიდანაც მოაშველა დედის ძმამ, ვარაზ ბაკურმა დამხმარე ჯარი გოლიათი ფარსმან ფარუხის მეთაურობით. მეწინავედ, მძიმედ აღჭურვილი ჯაჭვ-ბეგთაროსნები დააყენა. მათ უკან ძირითადი, ქვეითი ლაშქარი მიჰყვებოდა. ქვეითებს უკან მსუბუქად აღჭურვილი და მობილური ცხენოსნები იდგნენ, რასაც მეფის რჩეული მხედრობა აგვირგვინებდა.

## გოლიათებთან მებრძოლი

თიანეთის გზით გაიარეს დარიალი და თერგის ნაპირებს მიადგნენ. შვიდი დღე-ღამე იდგნენ მდინარის აქეთ-იქით ოვს-ხაზარები და ქართველთა მხედრობა. უწინდელ დროში ბრძოლის წესი იყო ასეთი: ერთმანეთის პირისპირ ორთაბრძოლაში გამოდიოდნენ მოწინააღმდეგეთა გოლიათი ფალავნები. გამოვიდა ხაზარი გოლიათი თარხანი, გამოწვევა მიიღო ბარდაველმა ფარსმან ფარუხმა. მაგრამ მას პირველივე იერიშით ხაზარმა „განუპო თავი, ვიდრე ბეჭამდე". მეორე დღეს უფრო გულზვიადად გამოვიდა თარხანი. ქართველთა ლაშქარში ყოყმანი დაიწყო. ამას მტრის აღტაცებული შეძახილებიც დაერთო. მაშინ მოახტა ცხენს ჭაბუკი მეფე. თარხანმა აბუჩად აიგდო უწვერული ვახტანგი, მაგრამ... სტყორცნა ოროლი — სასროლი შუბი მამაცმა მეფემ და იქვე გაათავა თარხანი.

მომდევნო დღეს ოვსი ბაყათარი გამოვიდა, რომელსაც მშვილდიც გოლიათური ჰქონია — 12-მტკავლიანი, 6-მტკავლიანი ისრებით. მშვიდად მოისმინა ვახტანგმა ბაყათარის ტრაბახნარევი მუქარა და ღირსეულად ამხედრდა ფაშატზე. შესძახა ბაყათარს — გამოდი მდინარის აქეთ, რადგანაც შენ მონა ხარ, მე კი მეფეო! დაიწყო გადმოსვლა ბაყათარმა. მეფემ აცალა გადმოსვლა... ფეხი არ ჰქონდა დადგმული ნაპირზე გოლიათს, რომ გამოუშვა ისრების სეტყვა. საოცარი სიმარდით იცილებდა ისრებს ვახტანგი. ისრებს ფარი დაუხვედრა, ვიგრის ტყავმა გაუძლო ისრის სიმძლავრეს (ვიგრი ზღვის ცხოველია, ჯავშანქერცლიანი — ისართაგან და შუბთაგან შეუღწეველი). დაიღალა ცხენ-მხედარი, იმავე სიმარჯვით ველარ აიცილა ისარი და იგი ვახტანგის ცხენს მოხვდა. მეფემ ძირს დაცემამდე მიაგდო ცხენი ბაყათარს, გაიელვა მისმა მახვილმა, მხარიღლივ გაჰკვეთა ოვსთა გოლიათი. მოცელილი დაეცა ბაყათარი და... ვახტანგის ცხენი. თვალის დახამხამებაში მტრის ცხენზე ამხედრდა ჭაბუკი მეფე და გრგვინვით წარუძღვა ლაშქარს ფიცხელ ომში. გულმოცემულმა ქართველებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. გაათავისუფლეს ტყვე ქართველები, მათ შორის ვახტანგის და მირანდუხტი, გაამაგრეს დარიალის გადასასვლელი. ვახტანგის მხედრობამ ბრძოლით მოიარა იმიერკავკასია, განვლო იალბუზის მთისპირეთი, გადავიდა აფხაზეთში, ახლა აქ დაატოვებინა ბერძნებს მრავალი ციხესიმაგრე და აფხაზეთიც გაათავისუფლა.

## უიღბლო ქორწინება

უწვერული ჭაბუკი წავიდა ამ ხანგრძლივ ლაშქრობაში და უკვე ოცი წლის ვაჟკაც მეფეს ეგებებოდა მცხეთა. ირანის შაჰიც, ჰორმიზდ III კმაყოფილი იყო — ჩრდილოეთის გადმოსასვლელები საიმედოდ ჩაიკეტა ქართველთაგან. ასეთ სახელოვან სიძეზე უკეთესს ვისღა ინატრებდა და საკუთარი ქალიშვილი, მშვენიერი ბალენდუხტი მიათხოვა ვახტანგს. მზითვად მისცა „სომხითი და ყოველნი მეფენი კავკასიანი". ხანგრძლივი არ გამოდგა ბალენდუხტთან სარეცელი — ტყუპი ქალ-ვაჟი გააჩინა დედოფალმა და მშობიარობას გადაჰყვა (ვაჟს დაჩი დაარქვეს და ტახტის მემკვიდრედაც გამოაცხადეს). მანამდე კი სიმამრმა სიძეს ბიზანტიის კეისრის ლეონ I-ის წინააღმდეგ ომში დახმარება სთხოვა. ვახტანგსაც ეს უნდოდა. დგებოდა დრო სამხრეთ საქართველოს შემოერთებისა. მრავალი გამარჯვება მოიპოვა ქართველთა ჯარმა და ვახტანგმა. ორთაბრძოლაში შეხვდა გმირი მეფე ცნობილ სარდალს პოლიკარპოსს. კიდევ ერთხელ დაიფარა იგი ვიგრის ფარმა და კიდევ ერთხელ გაჰკვეთა მისმა მახვილმა მტრის სარდალი. მეტად შედეგიანი იყო ქართველთათვის ეს ლაშქრობა: „...უკუმოსცა კეისარმა საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი ზღვითაგან ვიდრე არსიანამდე და ხევნი, რომელნი მოსდგმანან ღადოთა". ამ მხარის ერისთავად ძუძუმტე არტავაზი დაადგინა, რომელსაც ააშენებინა დიდი ციხე არტანუჯისა, ოპიზის მონასტერი და სხვა ციხეები და ეკლესიები. კეისართან კავშირიც დაიდო და მის ასულზე, მშვენიერ ელენეზე იქორწინა.

სპარსელებთან ურთიერთობა კვლავ დაიძაბა. ერთ-ერთი მიზეზი ვახტანგის სიმამრის გარდაცვალება და ტახტზე ახალი შაჰის — პეროზის ასვლაც იყო. კვლავ დაიწყეს ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა. საპასუხოდ ვახტანგმა „ბინქარან მაცთური" დაატყვევა და მოგვები გარეკა. დიდი ჯარით შემოიჭრა პეროზი. ბრძოლები გაიმართა მცხეთასა და თბილისს — ცხენის ტერფსა (დიდუბე) და არმაზს შორის. თბილისი ამ დროს უკვე არსებობდა. ცხადია, არა სისხლსავსე ქალაქი, არამედ ციხე, სოფელი ან სულაც პატარა ქალაქი.

## ამბავი თბილისისა... „ერიდეთ მგლისთავას!"

...თბილისი ხომ პირველ ყოვლისა, ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება. რამდენიმე ლეგენდამ მოაღწია მისი დაარსების შესახებ. ერთი ლეგენდის მიხედვით ვახტანგ გორგასალი თავის ამალასთან ერთად ნადირობდა ულრან ტყეში. მეფის მიმინო გამოედევნა აფრენილ ხოხობს. ორივე ფრინველი თვალს მიეფარა და დაიკარგა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ, დღევანდელი მეტეხის პლატოს პირდაპირ (იქ სადაც გმირი მეფის ძეგლია აღმართული), მტკვარგაღმა, მიწის გულიდან მოჩუხჩუხე ცხელ წყალში ჩავარდნილიყო და ჩაფუფქულიყო ორივე ფრინველი. წყალი აღმოჩნდა სამკურნალო-გოგირდოვანი. ვახტანგმა ამ ადგილს ქალაქის გაშენება ბრძანა და სახელადაც თბილისი დაუდგინა.

პეროზთან ბრძოლაში ვახტანგი შიშის ზარს სცემდა სპარსელებს. საომარი ალკაზმულობაც გამორჩეული ჰქონდა: ვიგრის ტყავის ფარზე ვისაუბრეთ, მუზარადიც განსაკუთრებული ეხურა ქართლის მეფეს — წინა მხარეს მგლის გამოსახულებით. სადაც კი ელვასავით გამოჩნდებოდა მეფე-გოლიათი, მტრის კალო ილეწებოდა. ამიტომ იყო, რომ პანიკურად ეშინოდათ მისი და ღრიანცელს ასტეხდნენ ხოლმე: „დურ აზ გორგასარ"! — „ერიდეთ მგლისთავას"! „მოერიდეთ თავსა მგლისასა"! ასე დაიბადა ზედწოდება — გორგასალი.

**...მუზარადიც განსაკუთრებული ეხურა ქართლის მეფეს — წინა მხარეს მგლის გამოსახულებით. სადაც კი ელვასავით გამოჩნდებოდა მეფე-გოლიათი, მტრის კალო ილეწებოდა. ამიტომ იყო, რომ პანიკურად ეშინოდათ მისი და ღრიანცელს ასტეხდნენ ხოლმე: „დურ აზ გორგასარ"! — „ერიდეთ მგლისთავას"! „მოერიდეთ თავსა მგლისასა"! ასე დაიბადა ლეგენდარული ზედწოდება — გორგასალი.**

ოთხი თვის ბრძოლის შემდეგ ზავი დაიდო კალას ველზე, თბილისში. შაჰმა დიდძალი ძღვენ-საჩუქარიც მიართვა ვახტანგს, ხოლო ვახტანგმა პეროზს ცოლად მისცა უმცროსი და მირანდუხტი (უფროსი ხვარამზე სომხეთის პიტიახშზე იყო გათხოვილი).

ზავისა და ქვეყანაში სიმშვიდის სანაცვლოდ გორგასალს ირანელებთან ერთად ინდოეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში მოუწია ლაშქრობა. ლაშქრობის წინ შეჰყარა ერისთავნი შვიდნი. გამოიყვანა მემკვიდრე თვისი, ხუთი წლის დაჩი და უბრძანა მათ მეფის არყოფნისას ეზრუნათ მეფისწულზე. მათვე დაუბარა აეშენებინათ დაჩისათვის ციხე-ქალაქი უჯარმა. თან კი, ლაშქრობაში ოთხი ერისთავი იახლა.

დიდი ზეიმით შეხვდა სატახტო ქალაქი ქტეზიფონი. აქვე გაიმართა პეროზისა და მირანდუხტის ქორწილი, რომელსაც დედა-დედოფალი საგდუხტი და ხვარამზეც ესწრებოდნენ. ქორწილის შემდეგ მხედრები ვახტანგ გორგასლის მეთაურობით იდუმალ აღმოსავლეთში გაემართნენ ქართველ-ბერძენ-ირანელ-სომეხთა ლაშქრით.

მრავალი ლეგენდით შებურული, სარაინდო ამბავი სდევს ამ ლაშქრობას. ოთხი ერთგული, მამაცი ერისთავიდან: კლარჯეთისა — არტავაზი, წუნდისა — ნასასი, ოძრხისა — ბივრიტიანი და მეფის ეჯიბი საურმაგი, ეს უკანასკნელი ველარ იხილავს მშობლიურ ქვეყანას. იგი ღალატით დაიღუპა — ტრადიციულ ფალავანთა შერკინებისას, სინდთა მფლობელის გეგმით, ერთი ბუმბერაზი გაიწვევდა გორგასალს, მეტოქე გაიტყუებდა უკან დახევით და ჩასაფრებულნი ლაჩრულად მოკლავდნენ. საურმაგს გულმა უგრძნო და სინდთა გამოწვევაზე მეფეს დაასწრო, — მონა ხარ და მონავე შეგებრძოლებიო. მართალია, უკანდახეული მეტოქე ოროლით განგმირა, მაგრამ ჩასაფრებულებმა მოკლეს საურმაგი. გაალმასებული მიეჭრა ვახტანგი სინდთა მეფეს, ოროლით დაჭრა, ფეხით დაითრია და ასე თრევა-თრევით მიუგდო სპარსთა მეფეს. ინდოთა ქვეყნიდან მოკავშირეებმა აბაშეთს გამოილაშქრეს და ასე ბრძოლა-ბრძოლებით რვა წლის განშორების შემდეგ დაბრუნდა ვახტანგი საქართველოში.

## მეფეს ცილს სწამებენ

უებრო მხედართმთავარი გორგასალი ბრძენი მმართველიც იყო. ღრმად სწამდა, რომ ქვეყნის ძლიერება საერო და სასულიერო ცხოვრების ერთობა-სიმტკიცეზე იყო დამოკიდებული. სპარსი ქრისტიანი მობიდანი მოიშორა მთავარეპისკოპოს მიქაელის საშუალებით, მაგრამ როგორც ჩანს, ეს უკანასკნელიც არ იყო ბოლომდე მისი ერთგული. არც ქართული ეკლესია იყო ავტოკეფალიური, — საეკლესიო მწყემსმთავრებს ხან ანტიოქია გვიგზავნიდა და ხან კონსტანტინოპოლი.

მეფე ეკლესიის დამოუკიდებლობისკენ ისწრაფოდა და კათალიკოსადაც ჰყავდა შერჩეული ღირსეული პიროვნება — ეპისკოპოსი პეტრე. ეს, როგორც ჩანს, ცნობილი გახდა მიქაელისათვის და მანაც საუკეთესო გამოსავალი შეტევაში ნახა — ცილი დასწამა ქრისტიანობისათვის მებრძოლ ვახტანგს: ხანგრძლივი ლაშქრობის დროს ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღება დააბრალა. და მოხდა საარაკო ამბავი: მცხეთაში შესულ ვახტანგს დიდი ზარ-ზეიმით დახვდა ერი და ბერი... ცამეტი წლის მემკვიდრე, სიჭაბუკეში შესული დაჩიც მიეახლა მამას მოწიწებით. ერთი მიქაელი იხედებოდა გულბოროტად. ვახტანგი, მართალია, ნაწყენი იყო ცილისწამებით, მაგრამ პატივი სცა მიქაელის ასაკს, საეკლესიო საქმეს და პირველი მიეახლა, მაშინდელი წესის მიხედვით, ფეხზე საამბორებლად. ნაცვლად იმისა, რომ მიქაელს პირჯვარი გარდესახა მუხლმოდრეკილი მეფისათვის, „განძრა ფეხი და მიამთხვა პირსა მეფისასა ფანდაკითა (ქოშის ქუსლით) და შემუსრა კბილი მისი". ვახტანგმა თავი შეიკავა, გაალმასებული მხლებლებიც შეაჩერა და მიმართა მთავარეპისკოპოსს: „იუდა ხარ შენ, ვერცხლის მოყვარე. და აწ მიგავლინო შენ პატრიარქისად კონსტანტინოპოლად და ვითარცა ჯერ იყოს, განგიკითხოს". მართლაც, კონსტანტინოპოლში განკიცხეს მიქაელი და „ექსორია ჰყვეს". აქ კი მაშინვე აკურთხეს კათალიკოსად ქართლისა პეტრე — თვითმწყემსობის ანუ ავტოკეფალიის უფლებით აღჭურვილი, ხოლო ეპისკოპოსად მცხეთისა — მისი თანამოაზრე სამოელი.

## უებრო ხელმწიფე

ქვეყანა აღმშენებლობას განაგრძობდა. გასრულებულიყო უჯარმის ციხე-ქალაქის შენება მემკვიდრის სამყოფლად. აიგო არტანუჯი, ხორნაბუჯი, ჭერემი... აშენდა სვეტიცხოვლის ახალი, ქვითკირის ტაძარი მირიანის დროს აგებული ხის ეკლესიის ადგილზე...

წელგამართული ქვეყანა ველარ მოითმენდა ირანელთა ბატონობას. დადგა აჯანყების ჟამიც. ვახტანგმა შეუტია შაჰის სამსახურში ჩამდგარ მოხელე-პიტიახშებს. მათი წინამძღოლი კი იყო ვარსქენ პიტიახში, ძე ცნობილი არშუშა პიტიახშისა. მამისგან განსხვავებით, ვარსქენმა უარყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი. 482 წელს ვახტანგმა მოაკვლევინა მოღალატე პიტიახში (მკითხველს უთუოდ ახსოვს, როგორ აწამა ვარსქენმა ქრისტიანობისათვის თავდადებული საკუთარი მეუღლე, წმინდა შუშანიკი) და ამით ბრძოლა გამოუცხადა ირანს. დაამარცხა და განდევნა ირანელები. მეორე წელს ირანელებმა უზარმაზარი ლაშქარი გამოგზავნეს, ვახტანგმა სომხეთის მთებისკენ დაიხია, თანაც ჰუნებისგან დამხმარედ მხოლოდ 300-კაციანი რაზმი მოუვიდა. სომხებიც გამოეშურნენ დასახმარებლად ვაჰან მამიკონიანის სარდლობით, მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში მტკვრის პირას, ჭარმანაინის ველზე უღალატეს სომეხმა და ქართველმა დიდაზნაურებმა... ძალების მოსაკრებად, ვახტანგი ეგრისში გადავიდა.

სიცოცხლის ბოლომდე ხმალი არ ჩაუგია ვახტანგ გორგასალს... მაგრამ მაინც ირანელთა მსხვერპლი გახდა სამოც წელს მიღწეული მეფე. სამწუხარო ამბავი სამგორის ბრძოლაში მოხდარა, 502 წელს. ამ ომშიც ვახტანგი სადაც კი გამოჩნდებოდა, შიშის ზარს სცემდა სპარსელებს. გმირი მეფე შინაგამცემლობით მოუკლავთ: „მუნ შინა სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა, და იყო ბრძოლა ვიდრე შუადღემდე". გადმოცემით, მოუსყიდიათ მეფის ყოფილი მონა, რომელსაც სცოდნია, რომ ვახტანგს ჯაჭვის პერანგი იღლიის ქვეშ დაუცველი ჰქონია. და როდესაც შემართა ხმლიანი ხელი, მონაყოფილმა ისრით სასიკვდილოდ დაჭრა. დაჭრილი მაინც დიდხანს იბრძოდა. შემდგომ გაარიდეს ბრძოლის ველს და ციხე-ქალაქ უჯარმაში გადაიყვანეს, სადაც განუტევა სული დევგმირმა მეფემ, უებრო მხედარმა და ბრძენმა მმართველმა.



ვახტანგ გორგასალი. მხატვარი გიორგი გეგეჭკორი

**დაკრძალეს ვახტანგ გორგასალი სვეტიცხოველში, მცხეთას, მისსავე აგებულ ტაძარში და ზედ დაადეს მისივე სიმაღლის ქვა, მეფისავე გამოსახულებით. მისი იარაღ-საჭურველი დიდხანს ინახებოდა საქართველოს მეფეთა საჭურჭლეში. მის შემდგომ სეფედროშას, რომელიც მრავალ სახელოვან ბრძოლაში „მოსპეტაკდებოდა", გორგასლიანი უწოდეს, ხოლო სახელი მისი სამარადისოდ დარჩა ქართველ უპირველეს გმირთა შორის. ქართულმა ეკლესიამ ვახტანგ გორგასალი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 30 ნოემბერი (ახალი სტილით 13 დეკემბერი) დაანესა.**

***ისტორიული წყაროების მიხედვით ვახტანგ გორგასლის ეპოქა მიმოიხილა ნოდარ შოშიტაშვილმა***

# იყო და არა იყო რა...

## 15 წლის წინათ...

თითქმის ორი წელი სდია გელამ ნატოს, მაგრამ გოგონა უარზე იდგა — სხვა მიყვარსო. არ იყო შეჩვეული უარს გელა და სხვა რომ ველარაფერი მოიფიქრა, ისევ „ყოვლისშემძლე" მამას შესჩივლა. წარბი შეიკრა ბატონმა კაკომ — იმ ოჯახის შვილთან სახვეწრად როგორ გაიხადე საქმეო („ის ოჯახი", ანუ ნატოს მშობლები შეძლებულთა რიცხვში არ შედიოდნენ). ბიჭმა კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ან ნატო, ან საერთოდ გადავიკარგები აქედანო. რაღას იზამდა მამა... თავისი კაცები მიუგზავნა ნატოს მშობლებს: თითისტოლა გოგოს ვინ ეკითხება, მთავარია, უფროსები შევთანხმდეთო. შეთანხმდნენ კიდეც: ნატოს მამას, თემურს, სამსახურში ერთი მოქიშპე ჰყავდა, კაკოს მეშვეობით იოლად ჩამოიცილა და დაწინაურდა კიდეც. მადლიერი თემური გელას დაჰპირდა, — უსათუოდ დავითანხმებ ჩემს შვილსო.

თუმცა როგორც სხვები ფიქრობდნენ, არც ისე იოლად გადაწყდა ეს ამბავი. ნატომ ხან თავის მოწამვლა სცადა, ხან ოთახში ჩაიკეტა და შიმშილობა დაიწყო. დედა ეჩხუბა — შე ცინგლიანო ეგოისტო, ვიღაც „მუდრეგში" როგორ ცვლი მამაშენს და ჩვენი ოჯახის კეთილდღეობასო... დაფიქრდა ნატო. ვაჟასთან (თავის შეყვარებულთან) დაკავშირება სცადა. უთხრეს, თბილისში მუშაობა დაიწყოო. მისი გულისთვის თავს ვიკლავ, ის კი, ვითომც არაფერი, თბილისში „არხეინად" დაბრძანდებაო და მშობლებს გამოუცხადა, — თანახმა ვარ, გელას ცოლად გავყვეო...

იჯდა ულამაზესი ნატო გრძელი სუფრის თავში. გელაც და მისიანებიც თავს დასტრიალებდნენ პატარძალს, მაგრამ უკვე ყველაფერი სულერთი იყო.

მერე თვალის დახამხამებაში მოხდა ყველაფერი... საცეკვაო დასცხეს და რკინის ალაყაფი სატვირთომ შემოანგრია. გონს მოსვლა ვერავინ მოასწრო, კაბინიდან ვაჟა გადმოხტა. ნასვამი იყო. ნელი ნაბიჯით წავიდა ნეფე-პატარძლისაკენ. ნატო დაზაფრული ელოდა, რა მოხდებოდა. მაგრამ ყველანი ენაჩავარდნილნი მისჩერებოდნენ ვაჟას. ბიჭი ნატოს წინ გაჩერდა. ცოტა ხანს მდუმარედ უყურა, მერე ხმადაბლა უთხრა: „ნატო, მიყვარხარ"... ამ სიტყვებმა თითქოს გამოაფხიზლა სიძე. „ბიჭო, რას ბედავ, აზრზე მოდი!", — გამოსცრა კბილებში, მაგრამ ვაჟამ დაასწრო, მუსიკოსს მიკროფონი გამოსტაცა ხელიდან და ხმამაღლა ჩასძახა, „ნატო, მიყვარხარ, მოვკვდები უშენოდ, გამომყევი ცოლად!"

ხალხი დაიძაბა. ბატონი კაკოს ძმაკაცები აჩოჩქოლდნენ, რამდენიმემ ვაჟასკენ გაიწია, მაგრამ ახალგაზრდები წინ გადაუდგნენ: — არ გინდათ, ნუ გაამწვავებთ სიტუაციას, ხომ ხედავთ, რა დღეშია. ჩვენ ვაჟას გავაშორებთ აქაურობასო.

ბატონმა კაკომ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა მათ.

აღფრთოვანებული გოგონები თვალებანთებულნი უყურებდნენ ვაჟას, ქალები მალულად იწმენდდნენ ცრემლს.

ვაჟას თანატოლებმა ხელი მოხვიეს და მანქანისაკენ წაიყვანეს. ნატო კი გულში ფიქრობდა, — აი, ახლა ჩაჯდება მანქანაში, წავა და ამით ჩვენი სიყვარული დასრულდება... ახლა წავა და მორჩა, მე მას ველარასოდეს ვნახავო.

ვაჟა „ჟიგულში" ჩასვეს და უცებ ნატოს კივილიც გაისმა: — არ წახვიდე!

პატარძალმა კაბის კალთები აიკეცა, სკამზე შეფრინდა, მაგიდას გადაევლო და ფრიალ-ფრიალით გაქანდა მანქანისაკენ...

მექორწილეებმა მზერა ნელ-ნელა გადაიტანეს ცალად დარჩენილ სიძეზე. გელამ ერთადერთი ისღა მოახერხა, რომ სუფრას ხელი დაავლო და ჭურჭლიან-საჭმელებიან-ტორტიანად დაითრია...

ბატონმა კაკომ ერთ ხანს იბობოქრა, ჯერ ვაჟას დაჭერით იმუქრებოდა, მერე ჩივილს აპირებდა. ბოლოს, სამაგიეროდ იმით გადაუხადა ნატოს მშობლებს, რომ დაწინაურებული თემური კი აღარ ჩამოაქვეითა, საერთოდ გაათავისუფლა სამსახურიდან. ნატოს მშობლებს აღარაფერი უთქვამთ, უარესსაც ელოდნენ და რახან ასე დამთავრდა ყველაფერი (და არა ნატოს სიკვდილით), ღმერთს მადლობას სწირავდნენ.

...გავიდა დრო. ვაჟა და ნატო თბილისში დასახლდნენ. ნატომ პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. ქალ-ვაჟი შეეძინათ. ვაჟაც მუშაობდა და ნატოც. ერთი სიტყვით, თბილი და ბედნიერი კერა ჰქონდათ.



## ახლა...

ალბათ ძალიან გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ნატო და ვაჟა დღეს ერთად აღარ არიან. შეიძლება იფიქროთ, დღევანდელმა მძიმე ყოფამ გაუნელათ დიდი სიყვარული, რომელზეც დღემდე ლაპარაკობენ მათ პატარა ქალაქში, მაგრამ კიდევ უფრო გაოცდებით, თუკი გეტყვით, რომ მათი დაშორების მიზეზი სიდუხჭირე სულაც არ გახლავთ. უბრალოდ, ვაჟას სხვა სიყვარული ესტუმრა. როგორც თვითონ ამბობს, მართალია, პირველი არა, მაგრამ განუმეორებელი, ენით გამოუთქმელი.

როდესაც ნატოს ვთხოვე, ახლანდელ ყოფაზე ეთქვა რაიმე, სევდიანად გაიღიმა, ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე კი მითხრა:

— იცით, როგორ არ მინდა, ის საოცარი სიყვარული ვინმეს თვალში გაფერმკრთალდეს და გაიცრიცოს. ბოლოს და ბოლოს, დღევანდელ ახალგაზრდებს, რომლებსაც ძალიან უყვართ ერთმანეთი, ჩემი „ბოლოთქმით" ცივ წყალს ხომ არ გადავასხამ?

**— იქნებ პირიქით, სჯობდეს კიდეც. სინამდვილე ზოგჯერ მკაცრია, მაგრამ ფაქტს ხომ ვერ გავექცევით? ვერც მხოლოდ რომანტიკული ფერებით ვიცხოვრებთ...**

— ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. ბავშვები მოსწავლეთა სასახლეში დამყავს ცეკვაზე. იმ დღეს ერთ-ერთი ბავშვის მშობელმა შვილის დაბადების დღეზე დაგვპატიჟა რესტორანში. კარგი დრო გავატარეთ. როცა მოსაღამოვდა, თანდათან იწყეს წყვილებმა შემოსვლა. ისის იყო, რესტორნიდან გამოვედით, რომ უცებ ჩემს ქმარს ერთ სანდომიან ქალთან ერთად მოვკარი თვალი. იმდენად გამიკვირდა, რომ ადგილიდან ფეხი ვერ მოვინაცვლე. ჯერ ვიფიქრე, ალბათ სამსახურიდან თანამშრომლები წამოვიდნენ ერთად (რაც არაერთხელ ყოფილა) და რაიმეს აღნიშვნას აპირებენ-მეთქი, მაგრამ რახან არავინ ახლდათ, შევეჭვდი. ცოტა ხანს ჩუმად ვუყურე. ჩემი ქმრის სახეზე ასეთი ბედნიერი ღიმილი კარგა ხანია, არ მენახა. მან დიდი მოწიწებით დასვა ის ქალი სკამზე, თვითონ წინ დაუჯდა და იმდენად აღფრთოვანებული ჩანდა, ირგვლივ ველარავის ამჩნევდა. ახლა, ის წუთები რომ მახსენდება, მეცინება. მათ მაგიდას მივუახლოვდი. იგი ისე იყო მოწყვეტილი იქაურობას, რომ ოფიციანტი ვეგონე და შეკვეთის მოცემა დააპირა. გაღიმებული დავუდექი წინ, მაშინ კი გამოერკვა...

საყვედურიც არ მითქვამს, ესღა ვკითხე — ალბათ გვიან დაბრუნდები-მეთქი. არაო, — მიპასუხა, — ორ საათში მოვალ და ყველაფერს აგიხსნიო.

**— მერე, „აგიხსნათ" ყველაფერი?**

— იმ საღამოს სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. მეორე დღეს, როცა ბავშვები სკოლაში წავიდნენ, დავსხედით სალაპარაკოდ. თავდაპირველად გაუჭირდა სიმართლის თქმა. ათასი რამ მიკიბ-მოკიბა. ჯერ მითხრა, ახალი თანამშრომელია, ბევრი რამ არ იცის ჩვენი სამსახურის სპეციფიკის შესახებ და მე ვაკვალიანებო, მერე მითხრა, ხომ გაგიგია, როგორიცაა კაცის გული, რა გინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც ენატრება სხვისაო... ერთი სიტყვით, კარგა ხანს ლექა. ბოლოს, თავადვე მიხვდა, რომ ღობე-ყორეს ედებოდა. ჩუმად ვუსმენდი. ამ სიჩუმემ რატომღაც გააღიზიანა. რას მაწვალებო, — შემომყვირა და გარეთ გავარდა... ვატყობდი, ეს „უბრალო" გატაცება არ იყო. ვაჟას ხუთი თითივით ვიცნობდი. ჩხუბს ხომ არ დავუწყებდი, — რას ჰქვია, მე აღარ გიყვარვარ-მეთქი.

**— და მაინც, რა გითხრათ, რით იმართლა თავი წასვლისას.**

— ორი თვე დუმილით ვაწამეთ ერთმანეთი. ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ შინ არ მოსულიყო, მაგრამ გვიან ბრუნდებოდა, არც ივახშმებდა, ისე ჩაიძირებოდა თავის ფიქრებში. მის შემხედვარეს გული მიკვდებოდა, იმიტომ კი არა, სხვაზე რომ ფიქრობდა, ასე რომ იტანჯებოდა, მენანებოდა. ბოლოს, ვუთხარი: — შენ ჩემთან არასოდეს გითამაშია. მართალია, ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ყველაფერი ხდება და თავს ნუღარ იტანჯავ, შეგიძლია წახვიდე-მეთქი. ვერც კი წარმოიდგენ, ისე თავისუფლად ამოისუნთქა. სწორედ მაშინ მითხრა, — ასეთი რამ ჯერ არასოდეს განმიცდია. ის ქალი არც გარეგნობით, არც განათლებით არ გჯობს, მაგრამ უცნაური ხიბლი აქვს, რითაც არავის ჰგავსო.

ვერ მოვითმინე — მაშ, ჩვენს სიყვარულს რა ერქვა-მეთქი. ლამაზი ზღაპარიო.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა. ვაჟა ხშირად მოდის ჩვენთან, ბავშვებიც დაჰყავს სასეირნოდ, შინაც მიჰყავს ხოლმე. ჩემს შვილებს არასოდეს წამოსცდენიათ იმ ქალზე რაიმე ცუდი. ეტყობა, მართლაც ღირსეული ადამიანია...

**— გულის სიღრმეში ხომ არ ნანობთ იმ ჩაშლილ ქორწილს?**

— სხვათა შორის, ჩემს მეგობრებსაც არაერთხელ უკითხავთ ეს. უთქვამთ, გელასთან უფრო ბედნიერი იქნებოდიო... როგორ ვიქნებოდი ბედნიერი, როცა ვაჟა მიყვარდა! გელასთან გავიტანჯებოდი, ახლა კი მაინც წელგამართული ვარ, რადგან ჩემი საქციელით სიყვარულს გავამარჯვებინე. მერე რა, რომ დაგვენგრა ოჯახი, მაინც გულის კარნახით ცხოვრება სჯობს. თავიდან რომ ვიწყებდე ცხოვრებას და უკვე ვიცოდე, რა მელოდება მომავალში, მაინც იმავეს გავაკეთებდი.

*მარინა ბაბუნაშვილი*

# რით განვსხვავდებით ერთმანეთისგან?..

- ქალი უფრო ხშირად ნახულობს სიზმარს, ვიდრე მამაკაცი — დაახლოებით წელიწადში 1000-მდე, ღამეში ორ-სამს მაინც.
- ქალის გული წუთში 72-ჯერ სცემს, მამაკაცისა — 65-ჯერ. ქალის ორგანიზმში უფრო აქტიურად მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა, სისხლიც სრულად უახლდება 5 წელიწადში ერთხელ, მამაკაცს კი, ყოველი 7 წლის შემდეგ.
- მამაკაცი ნაკლებად წუწუნაა, ვიდრე ქალი. მაგრამ ქალი იტანს ისეთ ტკივილს, რასაც ჰერაკლეც კი ვერ გაუძლებდა.
- ქალი უფრო მეტს ლაპარაკობს. მამაკაცის მეტყველების ცენტრი მდებარეობს თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში, ქალისა კი ორივეში და უფრო დიდიცაა. ქალი მამაკაცზე ლოგიკურად აზროვნებს და აზრსაც დალაგებულად გადმოსცემს, უპირატესობას ანიჭებს კონფლიქტის სიტყვით მოგვარებას.
- როდესაც მამაკაცი ცრუობს, ის იცავს თავს, და უჭირს აღიაროს თავისი დანაშაული. ქალი კი ნაკლებ პატივმოყვარეა და თუ ტყუის, იმიტომ, რომ ეს სხვას სჭირდება.
- მამაკაცი დასკვნებს აკეთებს ლოგიკური ანალიზის შედეგად, ქალი კი გუმანს უფრო ენდობა.

# ჩემო ფისუნია...

**დილით, შინიდან გამოსული, რას ვიფიქრებდი, რომ საკმაოდ უსიამოვნო სურათს შევესწრებოდი. ერთი სახლის წინ მდგარი ხის ქვეშ ხალხი ჩოჩქოლებდა. მალიმალ მაღლა იყურებოდნენ და რაღაც საგნებს ისროდნენ. რა ხდება-მეთქი, — ვიკითხე. თურმე ვიღაც ნერვებსუსტ ყმაწვილს მეექვსე სართულიდან მოუსროლია ოჯახის საყვარელი, ფუმფულა სპარსული ფისო. საბრალო, მარტს გაეჭირვეულებინა და ოთახიდან ოთახში უნუგეშო კნავილით დაეძებდა „გულის სწორსო".**

**მსგავსი ბარბაროსობისათვის აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში საკმაოდ მკაცრი სასჯელით უსწორდებიან დამნაშავეებს. მოკლედ, ხალხი ფისოს ხიდან ჩამოყვანას ცდილობდა და მის პატრონობასაც ერთმანეთს ეცილებოდა.**

**ნინო (23 წლის):** — ცხოველების და მით უფრო კატის მოყვარული ადამიანი ძალიან თბილი, ერთგული და მშვიდია. ერთ ამბავს მოგიყვებით: მეგობარს ვაჩუქე კნუტი „მიკი", რომელიც მეტად ანცი ვინმე გამოდგა. ერთ დღეს სახლიდან გაიპარა და დაიკარგა. ჩემი მეგობარი მთელი კვირა ეძებდა ფისოს, ეძახდა, — მიკი, მიკიო და ასე ძახილ-ძახილით შემთხვევით გაიცნო მშვენიერი ყმაწვილი მირიანი, რომელსაც შინ თურმე მიკის ეძახდნენ. მოკლედ, ერთად დაეძებდნენ ფისოს, მაგრამ ამაოდ. ალბათ ჩემს მეგობარს გულს დარდი ლოდად დააწვებოდა, რომ არა მისი ახალი ნაცნობი. ეტყობა, მიკი იმიტომ გაუჩინარდა, რომ მის პატრონს გულის სწორი ეპოვა. თაკო და მიკი გაცნობიდან სამ თვეში დაქორწინდნენ.

**გურამი (38 წლის):** — ოჯახში ყოველთვის გვყავდა კატა. ვგიჟდებოდი, ისეთი ალერსიანი იყო. მერე, გოგონების შეყვარება რომ დავიწყე, სულ ერთმანეთს ვადარებდი ქალსა და ფისოს — საოცარი მსგავსებაა, როცა მოსაფერებლად ეძახი, თუ არ უნდა, ზედაც არ შემოგხედავს, მაგრამ თუ თვითონ მოისურვა, ისეთ კრუტუნს და ხახუნს დაგიწყებს, თავგზას აგიბნევს კაცს. სიარულიც ერთნაირი იციან, შთამბეჭდავი, აი, ნაომი რომ მოდის



პოდიუმზე, დიდი შავი კატა მგონია, კლაუდია შიფერი ხომ ნამდვილი სპარსული ფისოა თავისი ფუმფულა თმით. სინდი კროუფორდი ერთბაშად ფისოსაც ჰგავს და ჯიშიან ცხენსაც. მოკლედ, მაგიჟებს კატა და ქალი და რომ შევესწრო, ვინმე მათ რაიმეს უშავებს, ალბათ იმ მოძალადეს მივახრჩობ.

**თამრიკო (32 წლის):** — მე მყავს კატა „გრიშა", რომელიც ზუსტად ისე მაჩუქეს, როგორც ნინელი ჭანკვეტაძეს ფილმში „სანამ წვიმა გადაიღებდეს". მერე მოხდა უცნაური რამ: ერთ საღამოს, ტელევიზორში ვუყურებ ფილმს, თან თვალი მორბენალი სტრიქონისკენ გამირბის. ვკითხულობ: „ვეძებ გოგონას, რომელსაც ზუსტად ისე, როგორც ფილმში, ვაჩუქე კატა. გთხოვთ დამიკავშირდეთ. იქნებ კატა გაუშვით მაშინვე, ან სულაც სხვას აჩუქეთ, მაგრამ მაინც გთხოვთ დამიკავშირდეთ. დამავიწყდა სახელი მეკითხა თქვენთვის. გელოდებით. ცოტნე". დავუკავშირდი და მას შემდეგ ერთად ვართ მე, ცოტნე და გრიშა. კიდევ ორი საკუთარი „კნუტი" გვყავს — ლაშა და ანანო. გრიშასაც ჰყავს შვილები სხვადასხვა „ცოლთან". დამიჯერეთ, კატებს ბედნიერება მოაქვთ.

**თემური (40 წლის):** — ერთხელ, მეუღლე ჩემი „უწესო" საქციელის გამო გვარიანად მეჩხუბა და კარიც გაიჯახუნა. სასოწარკვეთილი ვიწექი დივანზე, ყველაფერი ნერვებს მიშლიდა და კარისკენ მქონდა ყური მიპყრობილი. აშკარად გავიგონე რაღაც ფხაჭუნი. გავაღე და — რას ვხედავ, ფიფქივით ქათქათა კნუტი დგას და მიყურებს. მაცივრიდან არაჟნის კოლოფი გამოვიღე და ფისოს დავუდგი. დახედა და ცხვირი გვერდზე გასწია. მერე ოთახში შემოვიდა და... ორი კვირა ისე გავიდა, ვერც კი ვიგრძენი. „ლინა" დავარქვი. სამსახურიდან შინ გამოვრბოდი მასთან, კატაც ბედნიერი იყო ჩემი ალერსით. ერთ საღამოს ტელევიზორის მაგიდის თაროდან რაღაც ბლოკნოტი გამოათრია. გადავშალე. ჩემი მეუღლის წერილები იყო, რომელიც ჩემს უსასრულო მოლოდინში, მონატრებით სავსეს დაეწერა მარტოობასთან საბრძოლველად. ყველა წერილი უზომო სიყვარულით იყო სავსე.

ყურმილი ავიღე და დავურეკე. მოკლედ, ლინამ შეგვარიგა. მას მერე კარგა ხანი გავიდა. ჩვენი ფისო კი დაბერდა. მაგრამ სიყვარულს ძველებურად კუდის აწევით და ხახუნით გვიხსნის.

*ეკა ლომიძე*

# დიასახლისთათვის

**დღეიდან, 10 მარტიდან, იწყება უფლისა ჩვენის, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის მარხვა. ყოველი მართლმორწმუნე ქრისტიანი ამ დროისთვის სულიერად და ხორციელად ემზადება. გთავაზობთ რამდენიმე სამარხვო კერძის დამზადების წესს:**

## მაკარონისა და ლობიოს სალათა



მოხარშეთ ცალ-ცალკე 200-200გ მაკარონი და ლობიო. გაწურეთ. გახეხეთ მსხვილად 1 ც სტაფილო, დაკეპეთ 100 გ ქინძი და კამა, 50 გ უკურკო ზეთისხილი, 2 ც დაჭრილი პომიდორი. ყველაფერი ფრთხილად აურიეთ ერთმანეთში, მოაფრქვიეთ მარილი და შავი პილპილი გემოვნებით, მოასხით 1 ს/კ ზეითუნის ზეთი და ნახევარი ლიმონის წვენი.

## ბარდიანი და სოკოიანი კარტოფილი

500 გ კარტოფილი ასანთისებურად დაჭერით, მოაყარეთ მარილი და შებრაწეთ ბლომად ზეთში. ცალ-ცალკე შეწვით 100 გ წვრილი ხახვი მთლიანად, მოშუშეთ 1 ქილა მწვანე ბარდა, ქამა სოკო და ყველაფერი დაუმატეთ კარტოფილს, მოაყარეთ დაკეპილი კამა. მოასხით ტომატი და 5 წუთით დადგით ქურაზე.








„გოია, ანუ შემეცნების ავბედითი გზა“ (ავტ.)
პატარა ტყე მინდორში
მე-9-10 ბლოკების მთავარი ნაწილი
მოწონების გამომხატველი თითი
უმა...
ბიზეს ოპერა
გერმანული ფოტო-ფირმა
ღვთაებრივი მხსნელი
ხელისუფლების მანიშნებელი საგანი
ზოდიაქოს ნიშანი
აუქციონზე გატანილი საქონელი
ადამიანის საცხოვრებელი სადგომი
მემკვიდრეობითობის მატარებელი
ტვირთმზიდი ცხენის ჯიში
ლენონის მეუღლე
„უდიპლომო სასიძოს“ სასიმამრო
მტაცებელი ფრინველი
სამკუთხედის ნაირსახეობა
ყველასთვის ცნობილი X-სხივები
მომხიბლავი, მომაჯადოებელი სანახაობა
ხალხი, მთელი ქვეყანა
საათის ნაწილი
... მაჰმადხანი
ფარული დაცინვა
ზღვრული ნორმა
ღვინის საცავი საქართველოში
ხილი
ხანმოკლე სტუმრობა
თათქარიძეთა სალოცავი ეკლესია
დაიმლერის კომპანიონი
ალიგატორი
მოუსვენარი, ცელქი
სხეულის ნაწილი
თქმულება ღმერთებზე
მამა-შვილი ამერიკელი მსახიობები
ჩიპის მეგობარი (მულტფილმი)
სტენდალის გვარი
აკვარიუმის თევზი
მთვარის დამპყრობი ამერიკელი




შოკოლადის ნაკრები
საუკეთესო ხარისხის ქაშაყი
წყვილი ერთიანი კამათელზე
იემენის დედაქალაქი
მოწითალო თმა
რომანოვების დინასტიის დაუძინებელი მტერი
... მღვიმელი
ფრანგი მწერალი
ურიელ ...
დადებითი ემოცია
დღის დასასრული
„ქალი და მამაკაცი“ მსახიობი
ხის განშტოების ნაწილი
იტალიელი ვეტერანი ფეხბურთელი
რუსული ავტომობილი
კაზინოების ქალაქი აშშ-ში
სავარჯიშო პოზა იოგაში
პურის საცხობი
რომის გადამრჩენი
ღვინით მოვაჭრე
ბაზედოვის დაავადება






**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. შაური; 2. ტალიკი; 3. ჰუმბოლდტი; 4. როსკიპი; 5. მზე; 6. დონი; 7. ამონი; 8. ბელმონდო; 9. გიბსონი; 10. გონი; 11. ბანგკოკი; 12. გრილი; 13. რილი; 14. გენა; 15. ლიმა; 16. ლარინგიტი; 17. აბული; 18. უდიერი; 19. ივო; 20. აქტი; 21. იერი; 22. ექსტრაქტი; 23. გუგა; 24. გული; 25. პეშვი; 26. მანე; 27. მაკრამე; 28. ერბო; 29. დავა; 30. ვანდავა; 31. ბასტრი; 32. კიბერნეტიკა; 33. სიძე; 34. ძე; 35. პიკაპი; 36. არვე; 37. ბივა; 38. ცანგალა; 39. სკლეროზი; 40. ისტერია; 41. პატერი; 42. უმრა; 43. ამალა; 44. მესა; 45. რხევა; 46. ცეტი; 47. ერი; 48. მალა; 49. ლანცეტი; 50. მწერი; 51. გალა; 52. რევიუ; 53. ქლორი; 54. კეფა; 55. ცოლქმრობა; 56. „ზინგერი“; 57. იანუსი; 58. ირი.

1. შეგირდი; 2. მომავლის კომპიუტერი; 3. პინგვინებმაც კი ისწავლეს; 4. მოსვირინგებული; 5. მხურვალე სალამი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანია**




თემურ ჭკუასელი

ფრაგმენტი წიგნიდან „წინ, წინაპრებისაკენ!“

# გამარჯობა, მამა!

(დასაწყისი იხ. გვ. 17)

— არ ვხუმრობ, ვთქვათ და მართლა აგვყვა, მერე?

გოგის თვალები გაუფართოვდა.

— რა დაგემართა, შენც ხომ არ გააფრინე?!

— არა, ეჭვიც არ მეპარება, რომ ვერ იმღერებს, მაგრამ მაინც... ცოტაა ამ ქვეყანაზე შერეკილი? — ჩემსას არ ვიშლი.

— შერეკილი ცოტა არაა, მაგრამ ვინცაა, ყველა საქართველოშია, ამათ ვინ მისცა ამის შნო! შერეკილის გარდა ამ სიმღერას ვინ იმღერებდა? სამი თვე ვსწავლობდი! — მერე მე თავი დამანება და ამერიკელებს ჰკითხა: — დავიწყოთო?

— ო, კეი! ო, კეი-ო! — და გოგიმაც თავი ოდნავ უკან გადასწია, თვალები მილულა და ღიღინით დაიწყო. ჯერ მე შევაპარე და მერე რობერტიც ასევე ღიღინით შემოგვიერთდა. გოგი ახვევს, მე ცოტა სადად ვემღერები, რობერტი კი ისე აგორავებს ბანს, ბგერის დაფიქსირებასაც ვერ ასწრებ. ჩავათავეთ ერთი მუხლი, შემოვატრიალეთ სიმღერა და აშკარად გავლაღდით, თანაც ცოტა ნასვამები ვართ, ჰამლეტის ხმაც ჯერ ისევ ყურში გვიჟღერს და გვამხნევებს. აღარც ტერასა გვახსოვს, აღარც ხალხი, აღარც ამერიკელები, აღარც ნაძლევი და თქვენ წარმოიდგინეთ, სალომეც კი დაგვავიწყდა, რადგან სიმღერის დემონმა მოგვიტაცა სამივე და სხვები ვერ ამჩნევდნენ, თორემ ჩვენ იმ ტერასაზე კარგა ხანია უკვე აღარ ვიყავით. ისიც კი დაგვავიწყდა, ზანგი რომ უნდა აგვყოლოდა და სიმღერის დროს დროს მისკენ თვალიც არ გაგვიპარებია.

როცა სიმღერა ჩავათავეთ, როცა დავუბრუნდით ტერასას, როცა ალყაშემორტყმული განწირული მეციხოვნეებივით ვიდექით ამდენი ცნობისმოყვარე ადამიანის წინ და მათ აღფრთოვანებულ ყიჟინას ვისმენდით დაბნეულები, როცა გახარებული სალომე კიდევ ერთხელ ჩაგვეხვია სამივეს, მერეღა ვკითხეთ ბიჭებს, რას შვრებოდა ჩვენი ზანგი, სცადა მაინც რამე თუ არაო. ბიჭებს გაეცინათ, სცადა კი არა, შეხედეთ, რას ჰგავს! სიმღერა რომ დაიწყეთ, ჯერ ღიმილით უსმენდა, მერე თანდათან შეეცვალა სახე, თვალები გაუფართოვდა და მგონი ახლაც გაოგნებულიაო. მართლაც ასე იყო, წესით და კანონით ნაძლევი უკვე მოგებული გვქონდა, მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ, ამერიკელები არ აპირებდნენ ასე ადვილად დანებებას, აგვიხირდნენ, ჩვენ ფოლკლორზე დავდეთ ნაძლევი, დაამტკიცეთ, რომ ეს სიმღერა ხალხურია და არა ვინმე ვირტუოზის მიერ საგანგებოდ და საცირკოდ შექმნილი ნომერიო. წარმოუდგენელია ასეთი რამ ხალხმა შექმნას, აგერ ამდენი მომღერალია, ამათაც ვკითხოთ, ეჭვიც არ გვეპარება, რომ ყველა ამავე აზრისააო. წამოვენთეთ, მაგრამ მართლა როგორ გინდა დაამტკიცო? ლექციას ხომ არ ჩავატარებდით ქართული ტრადიციული სიმღერის გენეზისზე?

ჩვენ საქმის ამგვარ შემოტრიალებაზე არც გვიფიქრია. ურთიერთნდობას თავისთავად ვგულისხმობდით და როცა ეს ნდობა გაქრა და ჩვენს პატიოსნებაში ეჭვი შეიტანეს, ბუნებრივია, გავღიზიანდით. ვინ იცის, სადამდე შეტოპავდა ჩვენი კამათი, უეცრად ვილიამ კიისერი რომ არ ჩარეულიყო საქმეში. ხომ გაგახსენდათ, ფესტივალის დახურვის ცერემონიალის დაწყებამდე მისი გასაოცარი დაკვირვებების თარგმანს რომ ვკითხულობდი.

— მომისმინეთ, გათაყვა, — ამერიკელებს მიმართა ვილიამმა, — მე ინგლისელი ვარ, მაგრამ თავიდანვე ვიცოდი, რომ განწირული იყავით. მომავლისთვის დაიმახსოვრეთ, ქართველებთან ნაძლევის დადება არ შეიძლება, ისინი ყოველთვის მოიგებენ, მართლები არიან და იმიტომ. მე პირადად, მათთან სანაძლეოს დადებას ვერასოდეს გავრისკავ. მე ისიც ვიცი, რომ მათთან სოფლებში ხანდაზმული მომღერლები გასაოცრად მღერიან, უფრო გასაოცრად, ვიდრე ესენი, მაგრამ ეს ხალხი მათ კი არ ენაძლევება, მოწიწებით ექცევა და სიმღერებს სწავლობს მათგან. უნდა ხვდებოდეთ, რომ როცა თქვენ მათ არ უჯერებთ, ისინი შეურაცხყოფილნი არიან, რადგან სამი ათასი წელია ასეთ სიმღერებს მღერიან. სამი ათასი წელი რომ სიმღერა იქმნება, მკრეხელობაა ათ წუთში მისი მღერა მოინდომო. მე ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თქვენ ჯერ ინგლისურად საუბარი უნდა ისწავლოთ, მერე ხალხის პატივისცემა და მხოლოდ მერე იმღეროთ. ახლა ეს თავხედური ნაძლევი. იგი თქვენ პირწმინდად წააგეთ. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ რადგან ამას ვერ იჯერებთ და დამარცხებას ვერ ეგუებით, მე ვთხოვ ქართველებს, კიდევ იმღერონ რამე, საბოლოოდ რომ დაგარწმუნონ თქვენი თავდაჯერებულობის აბსურდულობაში. ისინი მეფეები არიან და ვიცი, ამას გააკეთებენ — მეფეებს მიმტევებლობა სჩვევიათ და თუ ამ სიმღერასაც ვერ აჰყვებით, მინდა დავიჯერო, რომ ქართველებს გამარჯვებას პირველნი თქვენ მიულოცავთ, ო, კეი! ჯერ ამერიკელებს გაუღიმა ვილიამმა, მერე ჩვენ გადმოგვხედა ეშმაკური, მაგრამ წარმოუდგენლად სანდო ღიმილით.

ამერიკელებმა, ყურადღებით რომ უსმენდნენ ვილიამსს, ჯერ ერთმანეთს გადაულაპარაკეს, მერე ზანგი მოტრიალდა და ჩვენთვის კი არა, ყველას გააგონად, უფრო კი ვილიამის საპასუხოდ თქვა — ქართველებს შეუძლიათ აღარ იმღერონ, ჩვენ წავაგეთ, ძალიან ვწუხვართ, რომ თავიდანვე ასე არ მოვიქეცითო...

აბა, ჩვენს ჭანჭიკმოშვებულ გრძნობებს მეტი რაღა უნდოდა, ეტყობა იმდენადა ვართ ბოდიშის მოსმენას გადაჩვეულნი, რომ ავღელდით და წუთის წინ მოსაკლავად თუ არა, გასალახად აშკარად გამეტებულ ამერიკელებს იქით დავუწყეთ დამშვიდება, არ გეწყინოთ, ბიჭებო, ყველაფერი ხდება, წაგება და მოგება ხომ ძმებიაო, ვილიამის თხოვნას კი მაინც შევასრულებთ, იმიტომ კი არა, თქვენ დაგიმტკიცოთ რამე, უბრალოდ, ჩვენი მეგობარიაო...

და ალი-ფაშა დავიწყეთ!

„ოიდა, ალი-ფაშამ გვიღალატა“... ხმელთაშუა ზღვას გადაეკიდა შვილდის საბელიდან ასხლეტილი ქართული სიმღერა. და როცა შურისძიება კიდევ ერთხელ შედგა, როცა ალი-ფაშას კივილმა სუფსის გაღმა ბაილეთელი გურულები კი არა, ხმელთაშუა ზღვის გაღმა პირქუში სიცილიელები შეძრა, როცა ტერასაზე ხალხის ხელახალი ყიჟინაც დაცხრა, უეცრად სალომე, ჩვენი პატარა ქალბატონი, წამოდგა, კოკა-კოლას ბოთლის ქვეშიდან ყველასგან დავიწყებული ფული გამოაძრო, ათასი ფრანკი ნერვიულად გადათვალა, მიუტრიალდა იმ ჯერ კიდევ საგონებელში ჩავარდნილ ზანგს, ფული პერანგის ჯიბეში ჩაუჩურთა, მერე ისე, რომ ხელი უკან აღარც წამოუღია, თითი მიაბჯინა მკერდზე და უცნაური სიამაყით უთხრა: — კარგად მოისმინე და სამუდამოდ დაიმახსოვრე, შენ რომ ასე იმღერო, ჩემნაირი სისხლი უნდა გედგას ძარღვებშიო...

მოტრიალდა მერე, სათითაოდ შეგვათვალიერა, უეცრად მკლავი მიიფარა თვალებზე და ისტერიულად ატირდა.

მაშინვე ვეცით, ვეფერებით, გულში ვიხუტებთ, ვამშვიდებთ, ვაწყნარებთ, ინგლისური ვიღას ახსოვდა, ქართულად ვემუდარებით — სალომე, ჩვენო კარგო, ჩვენო მშვენიერო, ჩვენო სიყვარულო, ჩვენო პატარა ქალბატონო, კარგი, დაწყნარდი, აბა, შემოგვხედე, ჩვენა ვართ, შენი მამიკოები, ხომ დედა ვუტირეთ ამერიკელებს, ხომ გაგიხარდა, ჰოდა, აღარ გინდა, ნუ ტირი, გაიცინე ახლა, შენი ღიმილი დაგვანახვე, აბა, ზევით აიხედე, ხედავ, რამდენი ვარსკვლავია! თუ არ გინდა, ნუ შეხედავ, ოღონდ დამშვიდდი, თუ გინდა წამო, ზღვას გადავხედოთ, თუ დამშვიდდები, კიდევ გიმღერებთ და მოგეფერებით, საქართველოშიაც წაგიყვანთ — ვერც ერთი ვერ ვაფიქსირებდით, რომ სალომეს ისევე არ ესმოდა ჩვენი, როგორც ღვიძლი მამის სიკვდილისწინა ქართული. კინაღამ გული ამოაყოლა ცრემლებს, უმატებდა და უმატებდა, თან აშკარად რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ ბაგეებს მომდგარ სიტყვებს ზღვად მომსკდარი ცრემლები ახრჩობდა. კარგა ხანს იწვალა, სანამ მოახერხა და სლუკუნს ამოაყოლა: გამარჯობა, მამა! გამარჯობა, მამა! გამარჯობა, მამა!

მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი დანამდვილებით, ჩემი თვალით ვხედავდი და იმიტომ — სალომეს ძარღვებში მხოლოდ მეოთხედი სისხლი ერია ქართული, მაგრამ როცა ატირდა, მეოთხედი ცრემლით ნაღდად არ უტირია.

*თბილისი, 1999*



# „ძვლებიც კი ჰფიქრობს საქართველოზე“...

*„მითხარ შენდობა და ჩემს მხარესა,*
*როცა უამბობ ამბებს მწარესა,*
*სთქვი, რომ იხილე წარწერა ლოდზე:*
*„ძვლებიც კი ჰფიქრობს საქართველოზე.“*

***კოკი დადიანის საფლავის ეპიტაფია***

ამას წინათ ერთ ქალბატონთან საუბრისას თითქოს გაცვეთილ, მაგრამ კაცობრიობის ყოფის უმთავრეს თემაზე — კეთილისა და ბოროტის ბრძოლაზეც ვთქვით... მომეწონა ცხოვრების ავკარგის მცოდნე ქალბატონის ნათქვამი — სიძულვილისა და ბოროტების მომაკვდინებელ სენს როგორ შევარყევინებ ჯანმრთელობასო და საუბარი სიკეთეზე, მადლზე გადავიტანეთ. სანთელ-საკმეველი გზას არასოდეს კარგავსო, — მითხრა ქალბატონმა და ილიას ნათქვამს ამბავი მოაყოლა:

ორ თბილისელ მეგობარს ობოლი ქურთი მეზობელი ჰყოლია — აზიზა. ბიჭს გვერდიდან არ იცილებდნენ თურმე, ობოლს ლუკმას უყოფდნენ, უბანშიც ისინი იყვნენ აზიზას ქომაგნი... დრო გავიდა, დაიზარდნენ. აზიზა თურქეთში წავიდა საცხოვრებლად. იქ ბიზნესი წამოიწყო და კარგადაც წაუვიდა საქმე...

მისი ერთი თბილისელი მეგობრის ბიძა თურქეთში იყო დაკრძალული. დიდხანს ეძებეს ჭირისუფლებმა საფლავი, მაგრამ ამაოდ. აზიზამ მოჰკიდა ხელი ძიებას და როგორც იქნა, იპოვა ბერძნულ, „მეტამორფოზას“ სასაფლაოზე „SANDRO MENAGAROGLU“ — სანდრო მენაღარიშვილის საფლავი...

სანდრო მენაღარიშვილი, შემდგომში სანდრო მენაღარად წოდებული, ნოე ჟორდანიას უერთგულესი თანამებრძოლი, 1959 წელს აღესრულა სტამბოლში, იმავე დღეს საქართველოში გარდაიცვალა დედამისი — ქრისტინე გუგუშვილი...

სანდრო მენაღარიშვილს ბოლო დრომდე არ იცნობდა ჩვენი საზოგადოება, სამაგიეროდ, როგორც გაირკვა, საბჭოთა სპეცსამსახურები კარგადაც იცნობდნენ და თვალყურსაც გაფაციცებით ადევნებდნენ. ამ ღირსეული კაცის სახელის დაბრუნება მართლაც განგების ნებით მოხდა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს რამაზ ხუროძის ინიციატივით, ლევილში, ქართველ ემიგრანტთა ფრანგულ მამულში საქმიანი მივლინების დროს, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის ანალიზური ცენტრის თანამშრომლები ერთ-ერთ სარდაფში უკვე გასანადგურებლად განწირულ „მაკულატურაში“ წააწყდნენ უნიკალურ ხელნაწერებს, მათ შორის სანდრო მენაღარის წერილებიც იყო.

## ფესვები

ლანჩხუთში, ჯამლეთ მენაღარიშვილის სახლის შორიახლოს, საყორნიის ანუ „ფიქრის გორაზე“, დაბის ჭკუის საკითხავი ხალხი იკრიბებოდა, მათ შორის იყო ჯამლეთის ვაჟი სანდრო (სარდიონ) მენაღარიშვილი. კამათობდნენ რუსეთის იმპერიაში მიმდინარე მოვლენებზე, საქართველოს აწმყოსა და მომავალზე. აქაურობას ხშირად სტუმრობდნენ ნოე ჟორდანია და სხვა სოციალისტები, რომლებიც თავიანთ სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს ამოწმებდნენ აქ, ამ ენაკვიმატ აუდიტორიასთან კამათში, რომელმაც „ყოლიფერი“ იცოდა, ისიც კი, რომ „აი აბდალი მთავრობა აფერ ხეირს არ დააყრიდათ“...

სანდრომ 1918 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია უნივერსიტეტში ჩაბარების უფლებით, მაგრამ საუნივერსიტეტოდ ველარ მოიცალა — ჯერ სახელმწიფო საქმეები იყო მისახედი. დაუახლოვდა ნოე რამიშვილს, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში „ძალიან აქტიური კაცის“ სახელიც დაიმკვიდრა, 1918-21 წლებში დაევალა მიწის რეფორმის განხორციელება დასავლეთ საქართველოში...

1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველო დაიპყრო. ამ მარცხის მთავარ მიზეზთაგანი იყო ისიც, რომ მაშინ ბევრი ვერ ხედავდა წითელი რუსეთის საფრთხეს. „საღელავი რაა, ერთი სოციალისტური პარტია მიდის, მეორე მოდის“, — ბრძანა დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა... სანდრო ასე არ ფიქრობდა და ემიგრირებული მთავრობის დავალებით, საქართველოში დარჩა განმათავისუფლებელი ბრძოლის გასაგრძელებლად. სანდროს ცოლად ჰყავდა ბაბი ყიფიანი. ყიფიანები აზნაურიშვილები იყვნენ და თავიდან თითქოს სწუნობდნენ სასიძოს, თუმცა... „თავადიშვილი არ არის, ბოშო, მაგრამ სახელმწიფო გლეხია და თანაც ფეხზე მაგრად დამდგარი“, — უთქვამს სასიდედროს...

სანდროს და ბაბის ორი შვილი ეყოლათ — მუზა და ელგუჯა. შემდგომში მათაც იწვნიეს საბჭოთა რეპრესიების სიმწარე.

...მამულიშვილები იბრძვიან საქართველოს გასათავისუფლებლად. სანდრო დამოუკიდებლობის კომიტეტის (დამკომის) წევრია. დამკომის მთავარი შტაბი აჯანყების თარიღს ასახელებს — 29 აგვისტო...

აჯანყება სასტიკად დამარცხდა...

სანდრო მენაღარიშვილი იძულებული გახდა, საქართველო დაეტოვებინა...

## ემიგრაციაში

სანდრომ სტამბოლიდან კაცი გამოგზავნა ცოლ-შვილის წასაყვანად, მაგრამ დედამისმა — წვერწითელა თურქს რაფერ ვანდობ რძალს და შვილიშვილებსო და რძალს ურჩია, ქმარს გაშორდიო. ეტყობა, მიხვდა, უცხოეთში გაქცეული კაცის ოჯახი უთუოდ გახდებოდა კომუნისტების საკბილო. ბაბიც დაჰყვა დედამთილის ნებას, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე ქმრის ოჯახში ცხოვრობდა და უმამობას არ აგრძნობინებდა შვილებს...

სანდრო მენაღარიშვილი პარიზს ჩავიდა და ემიგრანტულ მთავრობაში გააგრძელა მუშაობა. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე მას საქმის წარმოებას ავალებს და ფინანსებსაც ანდობს.

ამ დროს საფრანგეთში სასწავლებლად ჩავიდნენ ახალგაზრდა მხატვრები. ერთ-ერთ მათგანს, დავით კაკაბაძეს, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ საარსებოდ სამასი ფრანკი დაუნიშნა. ამ თანხიდან 50 ფრანკს სანდრო მენაღარიშვილი საკუთარი ჯიბიდან იხდიდა.

„კაგებე“-ს ინფორმაციით, ემიგრანტულ მთავრობაში სამი პიროვნება იღებს გადაწყვეტილებებს — ნოე ჟორდანია, სანდრო და კიდევ „მესამე“.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს „მესამე“ სუკის აგენტი იყო, მისი ვინაობა სუკის არქივებში არ ჩანს — მას უბრალოდ აგენტ №59-ად იხსენიებენ. აგენტი №59 ამიერკავკასიის სეიმის წევრიც ყოფილა. მონაწილეობდა რამდენიმე ცნობილ მოლაპარაკებაში და ცხადია, ინფორმაციასაც აწვდიდა იქ, სადაც ჯერ არს. დოკუმენტურად უცნობია, გაშიფრული იყო თუ არა აგენტი №59 ემიგრანტული მთავრობისათვის, მაგრამ ნოე ჟორდანია და სანდრო მენაღარი ხშირად მისი თანდასწრებით განგებ ჰყვებიან ისეთ ამბებს, რომელთა მიტანა სურთ საბჭოთა უშიშროების ყურამდე. მეორე მსოფლიო ომამდე მენაღარიშვილმა შეიტყო, რომ მტერი ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის დაბომბვას აპირებდა. წესით, საქართველოს ემიგრანტული მთავრობა დაპირისპირებული უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირთან და არც კავკასიის დაბომბვისათვის შეეშალა ხელი, მაგრამ ნოე ჟორდანიამ აგენტ №59-ს დაავალა, „როგორმე“ დაჰკავშირებოდა სტალინს ან ბერიას და ეს ცნობა მათთვის გადაეცა. ჩანს, „კაგებე“-ს საქართველოს ემიგრანტულ მთავრობაში რამდენიმე პიროვნება განსაკუთრებით არ მოსდიოდა თვალში და მათი თავიდან მოცილება გადაწყვიტა. 1930 წლის 6 დეკემბერს, როდესაც ნოე რამიშვილი და სანდრო მენაღარი პარტიის კრებაზე მიიჩქაროდნენ, თავს დაესხათ მოსყიდული მკვლელი, ქართველი, გვარად ჭანუყვაძე, რომელმაც ორჯერ ესროლა ნოე რამიშვილს, ამ დროს მას სანდრო დაეძგერა. ჭანუყვაძემ მასაც ესროლა. ტყვიამ სანდროს მხოლოდ საფეთქელი გაუკაწრა. თავდამსხმელი დაიჭირეს, მაგრამ ნოე რამიშვილი ცოცხალი აღარ იყო... მოგვიანებით სუკ-მა რამდენჯერმე კიდევ სცადა მენაღარიშვილის მოკვლა...

## რეპრესიები

რაკი სუკ-მა სანდროს ვერაფერი დააკლო, საქართველოში დარჩენილ მისი ოჯახის წევრებს დაერია. სანდროს ერთი ძმა, ნიკოლოზი, ჯერ კიდევ 1927 წელს დააპატიმრეს, სამი წლის შემდეგ გაათავისუფლეს, მაგრამ 1937 წელს კვლავ დაატუსაღეს და უგზო-უკვლოდ გააქრეს.

მალე სანდროს ვაჟსაც მისწვდნენ. 1943 წელს ელგუჯას, ახალგაზრდათა კონტრრევოლუციურ ჯგუფში მონაწილეობისთვის, დახვრეტა მიუსაჯეს, რაც შემდეგ 7-წლიანი პატიმრობით შეუცვალეს.

1951 წელს ყაზახეთში გადაასახლეს სანდროს მოხუცი დედა, ძმა — ათინოგენი და ვაჟიშვილი — ოჯახებით.

საკვირველია, როგორ არჩევდა სუკ-ი რეპრესირებულთა წრეს. ხელი არ ახლეს ქალიშვილს, რომლის ქმარი სამხედრო ექიმი იყო და არც მეუღლეს, ვინაიდან იმ დროისთვის მას უკვე განქორწინების მოწმობა ჰქონდა ხელთ...

ათინოგენი 1947 წელს დაქორწინდა. მის მეუღლეს, ეკატერინე ჯორბენაძეს, იმჟამად ახალგაზრდა მეცნიერს, რომელიც დღე-დღეზე ლენინგრადში აპირებდა გამგზავრებას სადოქტორო დისერტაციის მოსამზადებლად, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ვინ იყო სარდიონი (სანდრო მენაღარი), მაგრამ ათინოგენი ხომ „ხალხის მტრის“ ძმა იყო! მაშასადამე, მტერი იყო მთელი მისი ოჯახიც — მეუღლე და ჩვილი ბავშვები.

ქალბატონი ეკატერინეს მოგონებიდან: ***„მანანა მაშინ 3 წლისა იყო, ირაკლი — 7 თვის. საბარგო ვაგონში შეგვყარეს. ბავშვებისათვის საჭმელი არ მქონდა. ირაკლის წყალში დამბალ შავ პურს ვაჭმევდი. ცუდად გახდა. რუსი სალდათი თავზე დამადგა — ბავშვი მკვდარია და მატარებლიდან უნდა გადავაგდოო (მატარებელს არ აჩერებდნენ). შვილი გულში ჩავიკარი, არ დავანებე. რომ გავუძალიანდი, სულ გაცოფდა და შემომიტია. მოვიფიქრე, ქორწინების ბეჭედი ბავშვს პირთან მივუტანე. დაიორთქლა. ბეჭედი ვაჩვენე, — ხედავ, ცოცხალია-მეთქი. დამიჯერა და გამეცალა.“***

*რეპრესირებულნი ყაზახეთში* გაამწესეს. 1954 წელს, როდესაც გადასახლების ვადა იწურებოდა, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა სანდროს ვაჟი ელგუჯა — ტრამალზე ავტოკატასტროფაში მოჰყვა. არავინ იცის, რამდენად „შემთხვევითი“ იყო ეს ავტოკატასტროფა, ვინაიდან კარგა ხნით ადრე, „კაგებე“-ს საინფორმაციო წერილში ელგუჯა უკვე აღარ მოიხსენიება ცოცხალთა შორის.



## თითქოს დღევანდელი ნათქვამია...

სანდრო მენაღარიშვილის ერთადერთი „დანაშაული“ ის იყო, რომ უფლებააყრილი სამშობლოს თავისუფლებისთვის იბრძოდა. მის ნაფიქრსა და ნაოცნებარს ყველაზე უფრო პირადი წერილები გამოხატავს. აი, რას წერდა ევგენი გეგეჭკორს:

***„ძვირფასო ბატონო ევგენი!***

***...თუ ბედი ჩვენ, ახალგაზრდებს, გვცდის, გვგრეხავს, გვასხვაფერებს და ხანდახან ხასიათსაც კი გვიფუჭებს, ეს არ უნდა ემართებოდეს ძველ თაობას. პირიქით, კიდევ თქვენშია ჩვენი მოქმედების გეგმა მოკალათებული... ამიტომ მიუხედავად „ქვის სროლისა“, უნდა ათრიოთ ეგ თქვენ მიერ და ხალხის მიერ ზურგზე აკიდებული მძიმე ჯვარი...***

***გული მიკვდება, როდესაც სკდება ქართველების ერთიანობა. ამის ჯგუფი! იმის ჯგუფი!.. თითქოს ეს ჯგუფები საჭირო იყოს მარქსის თეორიის გადასარჩენად და არა საქართველოს ფეხზე დასაყენებლად. ერთმა მსახიობმა სთქვა: ხალხნო! გემსახურებოდით მუდამ თქვენ და გემსახურებით მუდამ სიკვდილამდე, თუმც მძაგს თქვენი ქასიო. ეს თქმა განვინაღდე პარიზში. ვისაც კი წავეკარე, ვიგრძენი შხამი, რამაც უთუოდ დამკოდა.***

***საქართველო დღეს არსებობს ისე, როგორც არსებობდა უწინ. მას ჰქონდა მისი ისტორია, იყო ეს თამარის ხანა, ერეკლეს ხანა... ეს ხანები უნდა იქნეს წმინდად შენახული. ჩვენ კი! ჰმ! ხომ ფურცლები ვართ დიდი ხისა. ჩვენ დავცვივდებით, მაგრამ გაზაფხულზე კი... ასევე ახლები აღმოცენდებიან... იქნებ ისინი იქნენ უფრო გამძლე და გამტანნი... და იქნებ***



აზიზა (მარცხნიდან პირველი) სანდრო მენაღარიშვილის საფლავთან

***გახდნენ ერთგვარი „პერპეტუუმ-მობილე“.***

***ეს არის ჩემი აზრი, ქართული აზროვნება და ამისთვის ნუ გამკიცხავს ნურავინ, თუ ქართულ საზოგადოებას მე უთითებდე საქართველოს საზღვრებს და იქ დაბრუნებას. კმარა, მგონი დეზერტირობა და გადაშენება... 11.03.47 წ.“***

მეორე მსოფლიო ომის დროს სანდრო მენაღარიშვილი სოციალ-დემოკრატობის გამო დააპატიმრეს გერმანელებმა, მაგრამ მოახერხა, მათ ხელიდან დასხლტომოდა და ინგლისში გაიქცა, იქიდან კი თურქეთში ჩავიდა და ბრძოლა გააგრძელა კომუნისტური რეჟიმისგან საქართველოს გასათავისუფლებლად. სანდრო მენაღარიშვილი თურქეთის მთავრობას დაუკავშირდა. ხვდება და ურთიერთობა აქვს აშშ-ის წარმომადგენლებთან. როგორც ჩანს, ის შეწუხებულია ამერიკის პასიურობით საქართველოსადმი, თუმცა 1954 წელს მამია ბერიშვილისადმი გაგზავნილ წერილში თითქოს წინასწარ ჭვრეტს ამერიკის სამომავლო პოზიციას: ***„ამერიკული კომიტეტი გვერდს ვერ აუვლის ნაციონალურ ორგანიზაციებს და საერთო ენა გამოინახება დღეს თუ არა ხვალ მაინც“.***

უფრო ადრე კი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი პარტიების ყრილობაზე მენაღარი იტყვის: ***„დღეს ამ ასპარეზზე მოქმედებს ორი პოლიტიკა; პოლიტიკა ამერიკის და პოლიტიკა ამისი ხელის შემშლელი. ჩვენი შინაური განსხვავებაც აქედან მოდის. ამერიკულმა კომიტეტმა შეცდომით დაიწყო საქმიანობა, მან მოინდომა შერიგება შეურიგებელის — რუსეთისა და დაპყრობილი ერების. ეს ორი ძალა ერთი-მეორეს რიცხავს. მათი ინტერესი ანტაგონისტურია. რუსები ვისბადენში მოვიდნენ შტუტგარტის პროგრამით. მათ იქ დახვდა ჩვენი კომიტეტი, რომლის ეროვნული პოზიცია გარკვეული იყო, რის შედეგად რუსების პოზიცია დაინგრა, მოიხსნა. ეს არის დიდი დამსახურება. ამერიკული კომიტეტის შეცდომა ის არის, რომ მან იმთავითვე არ მოინდომა მიზნობრივი გაერთიანება რეჟიმის დასანგრევად, რაც ყველას გვაინტერესებს... შესაძლებელია საერთო ენის გამონახვა და ყველა ძალების დარაზმვა. ადვილად დავითანხმებთ ამერიკულ კომიტეტსაც. ერების ფრონტზე კომიტეტის პირველი ამოცანა უნდა იყოს მათ გაერთიანებაზე ზრუნვა. უნდა დავიწყოთ კავკასიელ ერებით. საქართველოს დამოუკიდებლობა გულისხმობს კავკასიის დამოუკიდებლობას და პირიქით... კავკასიის მთლიანობაზე უნდა აიგოს ყველა დაპყრობილ ერთა მებრძოლი ფრონტი“.***

თითქოს დღევანდელი ნათქვამია...

## საქართველოსთვის...

სუკ-მა სანდრო მენაღარიშვილი ვერც საქართველოში მოიხელთა და ვერც საფრანგეთში, ამიტომ გადაწყვიტა, ჩანაფიქრი თურქეთში განეხორციელებინა. ჯერ უახლოესი ნათესავების გადაბირება სცადეს სანდროს საქართველოში ჩამოსაყვანად. ვინც ვერ დაიყოლიეს, გადაასახლეს ან გააქრეს — ერთ-ერთი ნათესავი შახტში დაიღუპა უარის თქმიდან რამდენიმე კვირაში. ბოლოს, ერთი მაინც აცდუნეს და საგანგებო დავალებით სტამბოლს გაგზავნეს, მის ოჯახს კი ხელფასი — 600 მანეთი დაუნიშნეს. ის კაცი საქართველოში აღარ დაბრუნებულა, მისი კვალი არც თურქეთში ჩანს. ერთ-ერთი ვერსიით, ის და სანდრო ერთად დაიღუპნენ ავტოკატასტროფაში...

სიცოცხლის მიწურულს ნოე ჟორდანიამ კვლავ პარიზში იხმო სანდრო — მე მოვხუცდი, ჩამოდი და საქართველოს მთავრობას შენ ჩაუდექი სათავეშიო.

...სანდრო მენაღარიშვილმა ვერ შეუსრულა ჟორდანიას თხოვნა, მას იმ დროისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საქმეები ჰქონდა — შექმნა ამიერკავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია, რომელშიც აზერბაიჯანის, სომხეთის, კავკასიის მთიელთა და საქართველოს წარმომადგენლები შევიდნენ.

მისი მცდელობით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქართველი ემიგრანტები მოიპოვებდნენ ინფორმაციას საქართველოში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. აანალიზებდნენ ამ ინფორმაციას და ემიგრანტულ პრესაში ააშკარავებდნენ თითქოსდა თავისუფალი საბჭოეთის დიქტატორული რეჟიმის იდეოლოგიურ პოსტულატებს.

საჭირო იყო სხვაგვარი მოქმედებაც. ხშირად სუკ-ი თითხნიდა საქმეებს, თითქოსდა ემიგრანტული სოციალ-დემოკრატიული პარტია კვლავ ამზადებდა აჯანყებას. ამ მიზნით საქართველოში სუკ-ი ქმნიდა ფსევდობიუროებს, რომლებიც მოსახლეობაში არიგებდნენ მოწმობებს ჟორდანიას გაყალბებული ხელმოწერით. საჭირო შეიქნა საგანგებო მაცნეს გამოგზავნა, რომელსაც ევალებოდა ამ ცრუორგანიზაციების დაშლა უდანაშაულო ხალხის გადასარჩენად.

სანდროს თაოსნობით გაიბა კავშირი საქართველოსთან. ზღვიდან და აჭარის მთების გავლით განდობილნი აჭარის სოფელ ზოტიყელში, ხის ფუღუროში ტოვებდნენ წერილებს მეკავშირეებისთვის. ეს წერილები „კაგებე“-ს რომ ჩავარდნოდა ხელთ, ბევრს ვერაფერს გაიგებდა, რადგან წერილში ნახსენები „სერაპიონი“ კაცს კი არა, სპარსეთს გულისხმობდა, „ბართლომე“ — ბათუმს, „სერგო“ — სანდროს და ა.შ.

გარდა ამისა, სანდრო ქართულ ემიგრაციას ეხმარებოდა ფინანსურად — არალეგალური საქმიანობის შესანიღბად თურქეთში ჩასულს თანამებრძოლებმა ფერმა დაახვედრეს. გარეგნულად სარდიონ მენაღარიშვილი ბიზნესმენი და საკმაოდ დიდი ქონების პატრონია, ფაქტობრივად კი, გრძელდება სანდრო მენაღარის ფარული ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

სანდრო მენაღარიშვილს უცხოეთში ოჯახი არ შეუქმნია და არც მისი ქონების კვალი ჩანს სადმე. სიცოცხლის ბოლო წლებში მას ფერიკოის ქართულ კათოლიკურ მონასტერთან ჰქონდა ურთიერთობა. სავარაუდოა, ამ მონასტერს შესწირა ქონებაც და მისი არქივიც აქ ინახება. სანდრო სიცოცხლის ბოლოს გულს უჩიოდა. კიბეზე ასვლა მიჭირსო, — სწერს მეგობრებს. ზოგიერთს მისი ავადმყოფობის მიზეზი „კაგებე“-ს „დამსახურება“ ჰგონია, რადგან სანდრო უეცრად მოტყდა...

ეპიგრაფად გამოტანილი ასევე სასიქადულო მამულიშვილის, კოკი დადიანის საფლავის ეპიტაფია ჭეშმარიტად მიესადაგება სანდრო მენაღარიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას...

P.S. ორი თბილისელი ბიჭი კი, რომელიც წერილის დასაწყისში ვახსენეთ, გახლავთ დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი (დაორთქლილმა ბეჭედმა რომ გადაარჩინა მატარებლიდან გადაგდებას) და პარლამენტარი ვაჟა ლორთქიფანიძე...

***იზო რიკაძე***

CMYK

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ჩემს 5 წლის გოგონას ხშირად აქვს თვალიდან ჩირქიანი გამონადენი. რით აღარ ვუმკურნალეთ, მაგრამ ბოლომდე ვერ განვკურნეთ. როგორ მოვიქცეთ?**

**ა.ა.**

მკურნალობა უშედეგო იქნება, თუ არ ჩაგიტარებიათ ბავშვის კომპლექსური გამოკვლევა დიაგნოზის დასადგენად. რადგან ასეთი გამონადენი შესაძლოა მრავალი მიზეზის გამო გაჩნდეს. კერძოდ, ვირუსული, ბაქტერიული, სოკოვანი, პარაზიტული ინფექციების შედეგად. არ არის გამორიცხული, რომ დაქვეითებულია საცრემლე არხის გამავლობა, რაც ხელს უწყობს ინფექციის კერის განვითარებას. მიმართეთ თვალის სპეციალიზებულ კლინიკას, სადაც ჩატარდება ნაცხის ანალიზი და სხვა საჭირო გამოკვლევები, რის შემდეგაც დაგენიშნებათ კომპეტენტური მკურნალობა, რომელიც უკვე შედეგიანი აღმოჩნდება.

**რა საშუალებებით შეიძლება ვუმკურნალოთ კოლიტს?**

***მანანა ვასაძე***

კოლიტი — მსხვილი ნაწლავის ანთება — შეიძლება გამოვლინდეს ფაღარათით ან ყაბზობით. თუმცა, უპირატესად სწორედ ყაბზობა აღინიშნება, ხოლო ფაღარათი უფრო მაშინ აქვთ, როცა ანთებითი პროცესი წვრილნაწლავებზე ვრცელდება. ყაბზობით გამოხატული ქრონიკული კოლიტის მკურნალობა გულისხმობს ნაწლავთა პერისტალტიკის (მოტორიკა) აღდგენას, ნაწლავური ფლორის მოწესრიგებას; საჭიროა დიეტოთერაპია (ვიტამინებითა და ცილებით მდიდარი საკვები). პერისტალტიკას აძლიერებს ბოსტნეული, ხილი, მწვანილეული, მცენარე სენაზე დამზადებული პრეპარატები. ნაწლავურ ფლორას აწესრიგებს ბიოლოგიური პრეპარატები (ბაქტისუბტილი, ლინექსი) ხშირად ყაბზობა დაკავშირებულია ნაღვლის ბუშტის ქრონიკულ ანთებასთან (ქოლეცისტიტთან). აუცილებლად უნდა ჩაიტაროთ მკურნალობის კურსიც.

**მყავს 4,5 წლის ბიჭი. არის ძალზე ფერმკრთალი და ჯირკვლებიანი. ანალიზები ნორმალური აქვს. რა საშუალებებით შეიძლება ვუმკურნალო?**

***ნატა ჩომახიძე***

თუ ბავშვს ჩაუტარდა სამედიცინო გამოკვლევა და სიფერმკრთალისა და ჯირკვლიანობის სერიოზული მიზეზი არ არსებობს, მაშინ ყველაფერი დაკავშირებული უნდა იყოს მინერალებისა (კალციუმის, რკინის) და ვიტამინების ნაკლებობასთან, იმუნური სისტემის აქტიურობის დაქვეითებასთან. გირჩევთ, მისცეთ ბავშვს კალციუმის პრეპარატები და პოლივიტამინები. მით უმეტეს, რომ ახლა გაზაფხულის პერიოდია და მსგავსი პროფილაქტიკური კურსის ჩატარება არავისათვის იქნება ზედმეტი.

## გამოცდილება

**მინდა ჩემი გამოცდილებაც გაგიზიაროთ: წლების განმავლობაში მაწუხებდა თირკმლები. შარდის ანალიზში მქონდა მარილები და ლეიკოციტები. ექიმმა დამინიშნა მკურნალობა, მაგრამ მდგომარეობა პერიოდულად მიუარესდებოდა.**

**ერთმა ნაცნობმა მასწავლა ხალხური რეცეპტი: ერთ ჩაის კოვზ სელის თესლს დაასხით ერთი ჭიქა წყალი და ადუღეთ 10-15 წუთი. ნახევარ-ნახევარი ჩ/ჭ ნახარში უნდა სვათ ორ საათში ერთხელ, ორი დღის განმავლობაში. ნაყენი ბლანტი იქნება, ამიტომ მიღების წინ წყალში უნდა გააზავოთ. თუ უგემური მოგეჩვენებათ, შეგიძლიათ ლიმონის წვენი დაამატოთ. ორდღიანი მკურნალობის შემდეგ შევატყვე, რომ შარდი დაიწმინდა, წელის ტკივილმა მიკლო. შარდის ანალიზი აღარ გამიკეთებია, მაგრამ ვგრძნობ, რომ უკეთ ვარ. როცა წელის არეში უსიამოვნო შეგრძნება მეწყება ხოლმე, მაშინვე ვიწყებ სელის ნაყენით მკურნალობას და მდგომარეობაც მიუმჯობესდება.**

***პატივისცემით ლილი სხულუხია***

**ექიმის კომენტარი:** სელი ფარმაკოპეაში შეტანილია, როგორც კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სამკურნალო საშუალება. სელის თესლი შეიცავს დიდი რაოდენობით ლორწოს, რომელიც მცენარის ნახარშში გამოიყოფა და მისი მიღებისას კუჭის, საყლაპავის, ნაწლავების ლორწოვანი გარსის ზედაპირი ლორწოს თხელი ფენით იფარება და ამგვარად დაცულია გამღიზიანებლისაგან. ამიტომ, სელის ნახარშს ძირითადად იყენებენ კუჭის, ნაწლავების, საყლაპავის ანთებითი და წყლულოვანი დაავადებების დროს. გარდა ამისა, სელის ზეთს აქვს ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო მოქმედება. იგი ამცირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში.

რაც შეეხება მკითხველის მიერ მოწოდებულ რეცეპტს, ფარმაკოპეაში ამ მცენარის თირკმლების სამკურნალოდ გამოყენების შესახებ არაფერია ნათქვამი თუმცა, მსგავს რეცეპტებს ვხვდებით რუსული ხალხური მედიცინის წყაროებში.

რასთან არის დაკავშირებული სელის ნახარშის დადებითი ეფექტი თირკმელ-კენჭოვანი დაავადებებისა და პიელონეფრიტის დროს, ცნობილი არ არის.

სავარაუდოა, რომ ნახარშში შემავალი ლორწო დადებითად მოქმედებს შარდსადენი გზების შიგა ზედაპირზეც და ხელს უწყობს მარილთა კრისტალებისაგან დაზიანებული ეპითელიუმის აღდგენას.

## მკითხველი — მკითხველს

**მაწუხებს ღვიძლი. რამდენიმე წლის წინ დამისვეს ღვიძლის ქრონიკული ანთების დიაგნოზი, თუმცა B და C ჰეპატიტები გამოვრიცხეთ. იქნებ მომაწოდოთ ღვიძლის დაავადებების ეფექტიანი მცენარეული სამკურნალო საშუალებები. ქიმიური წამლები უფრო მიღიზიანებს ღვიძლს, ამიტომ ვერიდები მათ მიღებას.**

***ღრმა პატივისცემით ომის ვეტერანი ბ. ლალიაშვილი***

*ძვირფასო მკითხველო! იმის გამო, რომ შეკითხვების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ჩვენი რუბრიკა ყოველთვის ვერ იტევს ყველა მათგანს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ზოგიერთ კითხვაზე პასუხი ჟურნალ „ოჯახის მკურნალის“ ფურცლებზე მოგაწოდოთ. ეს ჟურნალი უკვე „კვირის პალიტრის“ დამატებას წარმოადგენს და 12 დეკემბრიდან განახლებული სახით გამოდის.*

**რა ითვლება ადამიანისთვის იდეალურ წონად? როგორ გამოვითვალოთ ის?**

***მაია შიშნიაშვილი, თბილისი***

## თქვენი იდეალური წონა...

ცნება, „იდეალური წონა“, პირობითია და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დროზე, მოდასა და ტრადიციებზე. არსებობს მოსაზრება — „იდეალური“ წონაა ის, რომელიც ადამიანს 20-25 წლის ასაკში აქვს, რადგან ამ დროისთვის სიმაღლეში ზრდა დასრულებულია.

„იდეალური წონის“ გამოსათვლელ სტანდარტად სიმაღლეს (სმ) აკლებდნენ 100-110 სმ-ს და მიღებულ მონაცემს მიიჩნევდნენ კგ-ებად. იდეალური წონა (კგ) = სიმაღლე (სმ-ში) —100. მაგრამ ეს მონაცემები შეფარდებითია.

ნორმალური წონა ითვალისწინებს სქესს, წლოვანებას, სხეულის აგებულების თავისებურებას და კუნთების ტრენირების ხარისხს. არსებობს ფორმულა მის გამოსათვლელად:

$$\text{წონა(კგ)} = 50 + 0{,}75 \times (\text{სიმაღლე — სმ} — 150) + \frac{\text{ასაკი}-20}{4}$$

მიუხედავად იმისა, რომ ფორმულა ითვალისწინებს ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებს, ისიც მხოლოდ დაახლოებით მაჩვენებელს იძლევა წონაზე.

ახლა ჩვეულებრივად გამოითვლება სხეულის მასის ინდექსი (სმი) — ეს ინდექსი არის წონისა და სიმაღლის შეფარდება. ის გამოითვლება შემდეგი ფორმულით.

სმი=წონა (კგ-ში): სიმაღლე$^2$ (მეტრში).

ამის შემდეგ საჭიროა ანალიზი:

40-ზე ზემოთ — თქვენ ძლიერი გაცხიმოვნება გაქვთ და საჭიროა სასწრაფოდ გახდეთ.

31-დან 39-მდე — თქვენ შესამჩნევად ჭარბი წონა გაქვთ, მიზანშეწონილია ჭარბი კილოგრამების მოკლება.

26-დან 30-მდე — მამაკაცები — თქვენ უმნიშვნელო ჭარბი წონა გაქვთ.

25-დან 30-მდე — ქალები — თქვენი წონა ნორმას შეეფერება.

20-25 — მამაკაცები — თქვენი წონა ნორმას შეეფერება.

19-24 — ქალები

19 (ქალები 18 წლამდე)

19 (მოზრდილები) — წონის თვალნათელი ნაკლებობა.

წონა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, მაგრამ მაინც არამთავარი მაჩვენებელია. თუკი მას ესთეტიკური თვალსაზრისით მივუდგებით, პროპორციული, მსუბუქად სრული (პუტკუნა) ადამიანი ბევრად უფრო მიმზიდველად გამოიყურება, ვიდრე ისინი, ვისი რეალური წონაც ემთხვევა იდეალურ და ნორმალურ წონას.

სხეულის წონა შედგება ცხიმის, ძვლების, კუნთების, მყესებისგან და სხვა. აქედან გამომდინარე, ერთი და იმავე წონის დროს ადამიანებს შეუძლიათ ჰქონდეთ აბსოლუტურად განსხვავებული ფიგურები: ერთს უფრო მძიმე ძვალი აქვს, მეორეს განვითარებული კუნთები, მესამის წონა კი ძირითადად განისაზღვრება ორგანიზმში ცხიმის რაოდენობით.

ჯანმრთელობის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არის ცხიმოვანი და კუნთოვანი ქსოვილის შეფარდება. ცხიმი, რომელიც არის უშუალოდ კანის ქვეშ არ არის ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო, რადგანაც ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციას — იცავს სახსრებსა და შინაგან ორგანოებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას და შიმშილობის პერიოდებში გამოიყენება ენერგიის შიდაწყაროდ.



ჯანმრთელობისთვის საზიანო ცხიმი არის შინაგანი ორგანოების გარშემო დაგროვილი ცხიმი. ეს არის ერთ-ერთი რისკ-ფაქტორი დიაბეტის, ჰიპერტონიის, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ფუნქციონირების დარღვევის განვითარებისთვის. ასევე ამ დროს ირღვევა ძილი, ვითარდება სხვადასხვა ქრონიკული პათოლოგია.

შინაგანი ორგანოების გარშემო დაგროვილი ცხიმის „კრიტიკული დონის“ დადგენა ვერ ხერხდება გარეგნული იერითა და წონით. უფრო მეტიც, ორი ადამიანის გამოკვლევისას ზოგჯერ აღმოჩნდება ხოლმე, რომ ერთს, რომელიც უფრო ზორბა ჩანს ორგანიზმში ცხიმოვანი ქსოვილი ნორმალურად აქვს განვითარებული, მაშინ, როდესაც მეორეს (ვიზუალურად უფრო ტანწერწეტა) უფრო მეტი ცხიმოვანი ქსოვილი აქვს (შინაგანი განვითარების წყალობით). აქედან გამომდინარე, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკი მეორე შემთხვევაში უფრო მაღალია.

ზოგჯერ ადამიანის მცდელობისა და წონის კლების მიუხედავად, ცხიმის რაოდენობა ორგანიზმში მნიშვნელოვნად არ იცვლება.

თუკი სპორტს მისდევთ ან დიეტით ხდებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იცოდეთ, რის ხარჯზე და როგორ იცვლება თქვენი წონა. არსებობს შემდეგი ვარიანტები:

— წონა კლებულობს, კლებულობს ცხიმოვანი ქსოვილის პროცენტული რაოდენობა ორგანიზმში.

ეს საუკეთესო ვარიანტია, რადგანაც წონის შემცირება ხდება ცხიმების წვის შედეგად. თქვენ დასახულ მიზანს წარმატებით აღწევთ!

— წონა იზრდება, მცირდება ცხიმოვანი ქსოვილის პროცენტი.

ფიზიკური დატვირთვა თქვენთვის სარგებლის მომტანია, თქვენი კუნთოვანი ქსოვილი განვითარდა. ცხიმოვანი ქსოვილი ჩანაცვლდა კუნთოვანით, რომელიც ბევრად უფრო მძიმეა.

— წონა იკლებს, იზრდება ცხიმოვანი ქსოვილის პროცენტული მაჩვენებელი.

სიხარული ნაადრევია — წონის კლება ხდება ორგანიზმიდან წყლის გამოდევნის ხარჯზე და კუნთებში კალორიების წვით.

— წონა მატულობს, იზრდება ცხიმოვანი ქსოვილის პროცენტული მაჩვენებელი.

შედეგი ცუდია! როგორც ჩანს, შოკოლადისა და ტკბილეულის შემცველი დიეტა არ არის თქვენთვის სასარგებლო; ჯობია მიირთვათ ხილი და ბოსტნეული. ეცადეთ, ნაკლებად იმოძრაოთ ტრანსპორტით, მეტი იარეთ ფეხით. წონის კონტროლისთვის ძალზე მნიშვნელოვანია სასწორი.

***მაია მუხიგული***

## რას მკურნალობენ კარტოფილით?

კარტოფილი კალორიულობით პირველ ადგილზეა (მეორეზეა ჩაშუშული საქონლის ხორცი). თუ დღეში 1-1,5 კგ მოხარშულ ან შემწვარ კარტოფილს მიირთმევთ და დაამატებთ 1 აბ C ვიტამინს, შიმშილი, კანკალი, თავის ტკივილი არ შეგაწუხებთ, რასაც ხშირად იწვევს ხილის, ბოსტნეულისა და რძის მონოდიეტები.

კარტოფილის 3-დღიანი დიეტით (უმარილო, უცხიმო) დაიკლებთ 3 კგ-ს. ეს დიეტა სასარგებლოა მათთვის, ვისაც აწუხებს სახსრების ანთება, ართრიტი, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი. მათ შეუძლიათ კარტოფილი დღეში 2-3 კგ-ც კი მიირთვან. მონოდიეტის ნაცვლად ყოველდღე დალიონ 0,5 ჩ/ჭ უმი კარტოფილის წვენი ჩალის ღერით — რადგან აზიანებს კბილის მინანქარს, დალევის შემდეგ პირი გამოირეცხონ. სახსრების ტკივილის დროს გაიკეთეთ გახეხილი კარტოფილის კომპრესი და გაიჩერეთ მთელი ღამე. ექიმბაშები სთავაზობენ კარტოფილის რეცეპტს ვენების გაგანიერების და კანის ანთების დროსაც. რამდენიმე ფენა მარლაზე დადეთ გახეხილი კარტოფილი და დაიფინეთ მტკივან ადგილზე, შეიხვიეთ და გაიჩერეთ 1-2 სთ, შემდეგ საფენი გამოცვალეთ. ღამით წაისვით რომელიმე მალამო, დღისით განაახლეთ აპლიკაცია.

უმი კარტოფილის წვენი შველის ფიბრომულ საშვილოსნოს. ერთი თვის მანძილზე უზმოზე სვით 0,5 ჩ/ჭ წვენი. შემდეგ შეისვენეთ 7-10 დღე და მკურნალობა განაახლეთ.

საჭიროა სამი კურსის ჩატარება.

***მეგაპოლის ექსპრესი №6***

**ავსტრიის ქ. ლინცის კარდიოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი ჰანეს მიულერი ა.წ. 17-დან 23 მარტის ჩათვლით ჩაატარებს გულისა და სისხლძარღვების ქირურგიულ ოპერაციებს.**

ავადმყოფთა კონსულტაცია (კორონაროგრაფია) და შერჩევა იწარმოებს ქავთარაძის № 16-ში მდებარე სამკურნალო კომბინატის („ლეჩკომბინატის“) კარდიოლოგიურ კლინიკაში.

**კლინიკის ხელმძღვანელი მერაბ მამაცაშვილი**

**მიღება 11-დან 16 მარტის ჩათვლით, ყოველდღე 11-16სთ.**

**პასუხისმგებელი პირი შალვა თვალჭრელიძე**



**აშშ**

## კლინტონის ერთი სიტყვა 1000 დოლარი ღირს

აშშ-ის ექსპრეზიდენტმა ბილ კლინტონმა მილიონიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ამერიკის ტელეკომპანია „სი-ბი-ეს“-თან. იგი იქნება პოპულარული პროგრამა „60 წუთის“ კომენტატორი. მისთვის განკუთვნილ 45 წამში კლინტონი 90 სიტყვის თქმას მოასწრებს. ჟურნალისტებმა უკვე გამოიანგარიშეს, რომ კლინტონის თითოეული სიტყვა დაახლოებით 1000 დოლარი ეღირება, „სი-ბი-ეს“-ის ეთერში მისი ყოველი გამოჩენა კი — 100 ათასი დოლარი. დიდ ჰონორარს მიიღებს კლინტონის ყოფილი პოლიტიკური მეტოქე, ბობ დოული. კლინტონი და დოული ეთერში ათ პაექრობას გამართავენ, რაც სატელევიზიო სეზონის დამთავრებამდე, ანუ მაისამდე გაგრძელდება. მაგრამ თუ გადაცემა წარმატებული აღმოჩნდა, მომავალ სეზონშიც განახლდება.

*ნიუს რუ.კომი*

**ჩეხეთი**

## კლაუსი კომუნისტების წყალობით გაპრეზიდენტდა

ჩეხეთის პოლიტიკურ სცენაზე კვლავ გამოვიდნენ კომუნისტები. ქვეყნის პრეზიდენტი სწორედ მათი ხელშეწყობით გახდა ყოფილი პრემიერი, პროფესორი ვაცლავ კლაუსი. კლაუსი შემტევია, თავისას მიაღწევს, თუმცა სიჯიუტე ხშირად უშლის ხელს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. უყვარს დისციპლინა, მარგარეტ ტეტჩერი და ჩოგბურთი. ვერ იტანს ეკოლოგებს, ქვეყნის ახლანდელ პრემიერს ვლ. შპიდლეს (არც მას ამოსდის მზე და მთვარე კლაუსზე), ჟურნალისტებზე ცუდი აზრისაა, მათ „კაცობრიობის მტრებად“ მიიჩნევს.

ვაცლავ კლაუსი ილაშქრებს ომის წინააღმდეგ, თუმცა პაციფისტიაო, ვერ იტყვი. პრეზიდენტად არჩევისთანავე ერაყ-



ში სამხედრო ოპერაციის წინააღმდეგ გამოვიდა და ყოფილი პრეზიდენტი ჰაველი გააკრიტიკა აშშ-ის პოლიტიკის მხარდაჭერისათვის. მას ევროსკეპტიკოსად თვლიან, თავად კი თავს ევრორეალისტს უწოდებს.

მას მერე, რაც ახლანდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე (პარლამენტი ირჩევს) ვერც პირველმა და ვერც მეორე ტურმა ლიდერი ვერ გამოავლინა, ჩეხეთისა და მორავიის კომპარტიის თავმჯდომარემ მიროსლავ გრებენჩიკმა ისტორიული ფრაზა წარმოთქვა, — ვისაც ჩვენი ხმები სურს, ჩვენთან მოვიდესო. კლაუსი მივიდა. კომპარტიის წევრებს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის, 3 წუთზე მეტხანს არც დაყოვნებულა, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რადგან კომპარტიის წევრებს სხვა არავინ მიჰკარებია. კომუნისტების გარდა, კლაუსს ხმა მისცეს მმართველი პარტიის დეპუტატებმა.

ჩეხეთის პრეზიდენტს, კონსტიტუციით შეზღუდული უფლებამოსილების მიუხედავად, ყველა პირობა აქვს, რომ გავლენიანი ფიგურა გახდეს, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს 17 წევრიდან 9, მათ შორის თავმჯდომარე, მან უნდა დანიშნოს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩეხეთის სახალხო ბანკის საბჭოს 5 წევრიდან ოთხს, მათ შორის დირექტორსაც, ახალი პრეზიდენტი დანიშნავს.

*იზვესტია №39*

## რა უნდოდა პრიმაკოვს ერაყში?

ევგენი პრიმაკოვის ერაყში მისიის დეტალები საიდუმლოებითაა მოცული, მაგრამ რუსი პოლიტიკოსის ვიზიტის შესახებ ინფორმაციამ მაინც გაჟონა ისრაელის მასმედიაში. ამ ინფორმაციის თანახმად, ევგენი პრიმაკოვმა 10 საათი დაჰყო სადამ ჰუსეინის რეზიდენციაში, მაგრამ სადამისგან მაინც ვერ მიიღო კონკრეტული პასუხი რუსეთის პრეზიდენტის შეთავაზებაზე.

პუტინი, რუსეთისა და თავისი ევროპელი მოკავშირეების სახელით, ჰუსეინს სთავაზობდა — ნებაყოფლობით დათმე ძალაუფლება და სანაცვლოდ რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთი ამერიკას დაითანხმებენ, უომრად გაათაოს საქმეო. რუსეთის გეგმის თანახმად, ჰუსეინს ქვეყნის დატოვების წინ სამი პუნქტი უნდა შეესრულებინა: 1. გაენადგურებინა ყველა სახის ქიმიური იარაღი; 2. განადგურების პროცესში შეექმნა გარდამავალი მთავრობა, რომელშიც არ შევიდოდნენ მმართველი პარტიის წევრები. გარდამავალ მთავრობას უნდა მოემზადებინა ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტი და ჩაეტარებინა საყოველთაო არჩევნები; 3. არჩევნების შემდეგ ჰუსეინი უნდა გადამდგარიყო და მისთვის და მისი ოჯახისათვის უნდა მიეცათ ხელშეუხებლობის გარანტია როგორც ერაყში, ასევე მის საზღვრებგარეთ.

შეთავაზებული გეგმის საპასუხოდ ჰუსეინი ტელევიზიით გამოვიდა და ქვეშევრდომებს მოუწოდა — სამშობლოს დასაცავად მოემზადოთო. ამ გამოსვლით რუსეთს მიანიშნა, რომ რუსეთის გეგმას ერაყის მბრძანებელი ჩირადაც არ აგდებს.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №45*



1975 წელი, პარიზი პრემიერ-მინისტრი ჟაკ შირაკი და სადამ ჰუსეინი



70-იან წლებში ჰუსეინს ხშირად ხედავდნენ იარაღის ბაზრობებზე

**შტრიხები პორტრეტისათვის**

**შესაძლო ომმა დასავლეთი „მტრედებად“ და „ქორებად“ გაყო. არავის სურს ომი, მაგრამ ის თითქმის გარდაუვალი ჩანს. ვინ არის ამაში დამნაშავე — აშშ-ის პოლიტიკა, თუ სადამ ჰუსეინი?**

## აზერბაიჯანი შესაძლოა აშშ-ის მოკავშირე გახდეს

რუსეთის თავდაცვის მინისტრის, სერგეი ივანოვის ვიზიტი ბაქოში „შაჰიდების ხეივანში“ გვირგვინის მიტანით დაიწყო. შაჰიდებს აზერბაიჯანში „ისლამის მებრძოლებად“ კი არა, „უდანაშაულო მსხვერპლად“ მიიჩნევენ.

ივანოვის ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე „შაჰიდების ხეივანს“ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ვლ. რუშაილოც ეწვია. ამიტომაც აზერბაიჯანელებს სრულიად ბუნებრივად დაებადათ კითხვა — რა ხდება, რფ-ის ძალოვანი სტრუქტურების თავკაცებმა რატომ მოუხშირეს ვიზიტებსო.

იქნებ უბრალო დამთხვევაც იყოს — თავდაცვის მინისტრის ვიზიტი კარგა ხნის წინ დაიგეგმა იარაღის შესაძლო მიყიდვის ხელშეკრულების მოსამზადებლად. ხელშეკრულებას მართლაც მოაწერეს ხელი ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა. სერგეი ივანოვი აზერბაიჯანის პრეზიდენტსაც უნდა შეხვედროდა, მაგრამ ეს უკანასკნელი აშშში ბუშთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა. ივანოვის ვარაუდით, ერაყთან ომის შემთხვევაში ამერიკამ შესაძლოა აზერბაიჯანის აეროდრომები გამოიყენოს.

რას მიიღებს აზერბაიჯანი სანაცვლოდ, რომლის მთავარი სატკივარი ყარაბაღია? ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა აბიევმა ივანოვთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა, — ალბათ აზერბაიჯანი იძულებული იქნება, ყარაბაღი ძალისმიერი გზით დაიბრუნოსო. „ჩვენ ვიცით, რომ ყარაბაღსა და სომხეთში ბოევიკებს ამზადებენ, აიარაღებენ და სხვა ქვეყნებში გზავნიან ტერაქტების განსახორციელებლად. ეს რუსეთსაც უნდა აღელვებდეს. ანტიერაყული ამერიკულ-აზერბაიჯანული თანამშრომლობა რუსეთს, რა თქმა უნდა, აღელვებს, მით უმეტეს, რომ ეს უსათუოდ იმოქმედებს ყარაბაღის პრობლემის მოგვარებაზე.“

*ნოვაია გაზეტა №16*

## სამურაის დაბრუნება



იაპონიამ შესაძლოა უარი თქვას თავდაცვით პოლიტიკაზე, რომელსაც 1945 წელს ხელმოწერილი კაპიტულაციის შემდეგ ატარებდა. ეს წინადადება ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განიხილეს. ძნელი სათქმელია, რა უფრო მეტია იაპონიის ხელისუფალთა განცხადებაში — პოპულიზმი თუ კონსტიტუციის მე-9 მუხლის (რომელიც იაპონიას უკრძალავს სრულფასოვანი ჯარის ყოლას) შეცვლის რეალური სურვილი.

სადღეისოდ იაპონიას უფლება აქვს, თავი დაიცვას მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე. პრემიერი ძიუნტირო კოძიუმი დარწმუნებულია, რომ იაპონიამ უსათუოდ უნდა აღიდგინოს სამხედრო ძლიერება.

ამჟამად იაპონიის არმია 300.000 ჯარისკაცს ითვლის. მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, იგი კარგად გაწვრთნილი და საუკეთესოდ შეიარაღებულიცაა. რაც შეეხება აშშ-ს, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში დაახლოებით 50 ათასი ჯარისკაცი ჰყავს, იაპონიის განცხადებაზე — მხოლოდ ამერიკის იმედად ვერ ვიქნებითო, წარბი არ შეუხრია. ახლა ბუშს იაპონიისთვის არ სცალია, მაგრამ თუ ქვეყანა გააძლიერებს თავის შეიარაღებულ ძალებს, რეგიონში აშშ-ის გავლენა შემცირდება, რაც, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევს აშშ-ს.

*იტოგი №9*

## ჰალიდ შეიხ მოჰამედი ციხიდანაც იმუქრება



ჰალიდ შეიხ მოჰამედმა, რომელსაც ამერიკის სპეცსამსახურები 11 სექტემბრის ტერაქტის ორგანიზებაში ადანაშაულებენ, პაკისტანის დაზვერვის თანამშრომლებს განუცხადა — ჩემი დაპატიმრება არ შეასუსტებს ისლამისათვის მებრძოლთა აქტიურობას. უსიამოვნო ახალ ამბებს ელოდეთ საუდის არაბეთიდან, კატარიდან და ქუვეითიდანო.

37 წლის ჰალიდ შეიხ მოჰამედი, რომლის თავი აშშ-მა 25 მლნ დოლარად შეაფასა, თავად ბინ ლადენისა და აიმან ალ-ზავაჰირის შემდეგ, მესამე კაცად ითვლება. წარმოშობით ქუვეითელია, პაკისტანშიც ჰყავს ნათესავები, რამდენიმე ენაზე ლაპარაკობს, დამთავრებული აქვს ჩრდილოეთ კაროლინის შტატის პოლიტექნიკური კოლეჯი. გუანტანამოს ტყვე თალიბთა თქმით, სწორედ მას ეკუთვნის აშშ-ისთვის დარტყმის იდეა. მოჰამედთანაა დაკავშირებული საზარელი ამბები. გამომძიებლები ირწმუნებიან, ყარაჩში მოტაცებულ ამერიკელ ჟურნალისტს, დენიელ პერლს ტელეკამერების წინ მან გამოსჭრა ყელიო.

მოჰამედს დიდხანს დასდევდნენ, მაგრამ იგი ყოველთვის ხელიდან უსხლტებოდა. რამდენიმე ხნის წინ კი ჯორჯ ბუშის მრჩეველს უშიშროების დარგში, კონდოლიზა რაისს შუაღამისას დაურეკა ცსს-ს დირექტორმა ჯორჯ ტენეტმა და მიახარა — ჰალიდ შეიხ მოჰამედი დაპატიმრებულიაო. პაკისტანის პრეზიდენტის ფარვეზ მუშარაფის გარემოცვაც ზეიმობს — ჩვენმა სპეცსამსახურებმა აიყვანეს საშინელი ბოროტმოქმედიო.

*ლენტა რუ*

## მოკლედ

**სომხეთის** საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ქვეყნის ამჟამინდელმა ლიდერმა, რობერტ ქოჩარიანმა გაიმარჯვა. ოპოზიცია არ ეთანხმება არჩევნების შედეგებს და მოითხოვს, იგი არაკანონიერად ჩაითვალოს.

უცნობმა პირებმა **ინდოეთის** ასამას შტატის მსხვილ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას ტყვიამფრქვევის ცეცხლი გაუხსნეს. ქარხანაში აალდა რამდენიმე მილიონი ლიტრი ნავთობი. მსხვერპლის რაოდენობას ჯერ არ აცხადებენ. ვარაუდობენ, რომ ტერაქტი ადგილობრივი ამბოხებული შეიარაღებული ჯგუფის საქმეა.

**11 სექტემბრის** ტერაქტების შედეგად დანგრეული მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აღსადგენად გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა არქიტექტორმა დანიელ ლიბესკინდმა. არქიტექტურული ანსამბლის შუაგულში დატოვებულ ცარიელ ადგილზე თითქოსდა აფეთქებით ჩამონგრეული შენობა ადამიანებს 11 სექტემბრის ტრაგედიას გაახსენებს.

**ომანის** სასულთნოს ისტორიაში მინისტრის სავარძელი პირველად დაიკავა ქალმა აიშე ბენ ხალფან ბენ ჯამილ ალ-საიაბიამ. იგი ხელოსნობის განვითარებას ჩაუდგება სათავეში. ომანში ეს ძალიან მნიშვნელოვანი პოსტია, 30 წლის ქალბატონი უშუალოდ სულთნის გამგებლობაში იქნება. სპარსეთის ყურის არც ერთ ქვეყანაში არ აქვს ქალს მინდობილი ასეთი საპასუხისმგებლო სახელმწიფო საქმე.

**დიდი ბრიტანეთისა** და **ირლანდიის** პრემიერ-მინისტრებმა ტონი ბლერმა და ბერტი აჰერნიმ წარმოადგინეს ერთობლივი დეკლარაციის პროექტი, რომლის მიზანია ჩრდილოეთ ირლანდიაში პოლიტიკური მოწესრიგების პროცესის თავიდან დაწყება.

**აშშ-მა უზბეკეთი** მწვავედ გააკრიტიკა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დევნისთვის. სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივნის რიჩარდ ბაუჩერის თქმით, ბოლო დროს უზბეკეთის ხელისუფლებამ სხვადასხვა ბრალდებით რამდენიმე ჟურნალისტი დააკავა.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

600–750 მმ. დიამეტრის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების გაკეთება
სიღრმე (0–25)მ.
ავარიული სახლებისათვის ფუნდამენტების გამაგრება.
☎ 899-16-09-10
69-83-38 (საღამოს)

შპს „გეოკორი“

აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

გსურთ ზიანის ფულადი ანაზღაურება?
კავშირი „თქვენი ადვოკატი“ გთავაზობთ უფასო იურიდიულ მომსახურებას თუ:
- თქვენს მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე;
- გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი;
- გამომძიებელი და პროკურორი არღვევენ თქვენს უფლებებს.

თქვენ გაქვთ უფლება სახელმწიფოს მოსთხოვოთ მიყენებული ზიანის ანაზღაურება და რეაბილიტაცია (უფლებების აღდგენა).
მის: თაბუკაშვილის ქ. №37 ☎ 92-21-57

ნავთობი, — ეს სიტყვა ბევრ რამეს იტევს. მის ირგვლივ დღეს უდიდესი აჟიოტაჟია ატეხილი. უმეტესობის აზრით, სწორედ ეს წიაღისეულია ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის ესკალაციის მიზეზი. საქართველოშიც ნავთობთანაა დაკავშირებული სამომავლო გეგმები. დღეს ბავშვმაც კი იცის, რას ნიშნავს ბაქო-ჯეიჰანი. თუმცა თვით „შავი ოქროსა“ და ნავთობსადენების შესახებ ინფორმაცია ბევრს არ მოეპოვება. ჩვენი გაზეთის საშუალებით შევეცდებით მოგაწოდოთ მოკლე ცნობები ნავთობის მოპოვების ისტორიის, მისი ტრანსპორტირებისა და საწარმოო მნიშვნელობის შესახებ.



# მსოფლიოში მოპოვებული ნავთობის 90% კვამლად იქცევა!

## რა არის ნავთობი

მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ ნავთობის მოპოვება საწარმოო მიზნებისთვის დაიწყო, იგი მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უმთავრეს მამოძრავებელ ძალად იქცა. ნავთობმომპოვებელი ინდუსტრია საერთაშორისო პოლიტიკური დაპირისპირებების, კონკურენციისა და გავლენათა სფეროების გადანაწილების მიზეზი არაერთგზის გამხდარა. ეს არც არის გასაკვირი, დღესდღეობით ნავთობი სწორედ ის ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ერების კეთილდღეობას. მასზეა დამოკიდებული წარმოების ყველა სფერო, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის დაუბრკოლებელი მუშაობა. ნავთობი დღეს თითქმის უალტერნატივო ენერგომატარებელია და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მისი მსოფლიო მარაგი შეუქცევადად კლებულობს და აღდგენას არ ექვემდებარება, ნავთობის ღირებულება მით უფრო გასაგები ხდება. ნავთობის დამუშავების სქემა შემდეგნაირად გამოიყურება: გამოხდის შედეგად მიიღება ბენზინი (საავტომობილო და საავიაციო), რეაქტიული საწვავი, ნავთი, დიზელის საწვავი და მაზუთი. მაზუთს იყენებენ როგორც საქვაბე საწვავად, ასევე პარაფინის, ზეთებისა და ბიტუმის მისაღებად. ნავთობის გამოხდის შედეგად დარჩენილ კონცენტრატს — გუდრონს წარმატებით მოიხმარენ გზების მშენებლობასა და ნაგებობების გადახურვისთვის. არსებობს ნავთობის გადამუშავების სხვა ხერხიც: მის სტრუქტურას ცვლიან და აზოტის, ქლორის, ჟანგბადისა და სხვა ქიმიური ელემენტების დამატებით იღებენ ისეთ ნივთიერებებს, როგორიცაა სინთეტიკური ბოჭკოები, სინთეტიკური კაუჩუკი, პლასტმასი, სხვადასხვა სარეცხი საშუალება და საღებავი. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად დიდი საწარმოო მნიშვნელობისა, მოპოვებული ნავთობის მხოლოდ 10% გადამუშავდება ამ სახით, დანარჩენი 90% კი სხვადასხვა საწვავის სახით გამოიყენება, ანუ საბოლოოდ, კვამლად იქცევა(!). ოციოდე წლის წინ ანალიტიკოსები ნავთობის მსოფლიო მარაგის ამოწურვას სულ რაღაც 40-50 წელიწადში ვარაუდობდნენ. XX საუკუნის დამდეგს ნავთობის ფაქტობრივი მსოფლიო მარაგი 1 ტრილიონ 46 მილიარდ ბარელს შეადგენდა. თუმცა დღეს მისი მოპოვება არ შემცირებულა და, ფაქტობრივად, XX საუკუნის უკანასკნელი წლების მონაცემების ფარგლებშია.

## როდის დაიწყო...

ნავთობს უძველესი დროიდან მოიპოვებენ, მაგრამ მას მხოლოდ სამკურნალო დანიშნულებით იყენებდნენ. სამეწარმეო მიზნით მისი მოპოვება XX საუკუნიდან დაიწყო. ჩრდილოეთ კავკასიაში, მოზდოკში, ნავთობის ამოღება პირველად 1823 წელს დაიწყეს, ბაქოს ნავთობი კი იმავე საუკუნის შუახანებში აღმოაჩინეს. XX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერია ნავთობის მსოფლიო მოპოვების 30%-ს ფლობდა. პირველი სპეციალური სანავთობე ჭაბურღილი 1859 წელს აშშ-ის შტატ პენსილვანიაში აიგო. სწორედ აქედან იღებს სათავეს მასშტაბური ნავთობმოპოვება.

## ვინ, სად, რამდენი

მსოფლიოს ნავთობის ძირითადი მარაგი რამდენიმე რეგიონშია, ესენია: სპარსეთისა და მექსიკის ყურეები, მალაის არქიპელაგის კუნძულები, ახალი გვინეა, დასავლეთ ციმბირი, ჩრდილოეთ ალასკა და (ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი) შუა აზია. ყველაზე მდიდარი კი სპარსეთის ყურის აუზია, სწორედ ამით აიხსნება უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ამ რეგიონში მიმდინარე პროცესები. დღეს ნავთობმოპოვებას მსოფლიოს 95 ქვეყანა აწარმოებს. ამასთან მთელი რაოდენობის 85% მომპოვებლების ძირითად ათეულზე მოდის. ნავთობმოპოვების სწორი პოლიტიკის წარსამართავად და ნავთობის მსოფლიო ფასების გასაკონტროლებლად მსხვილმა მომპოვებლებმა 1960 წელს შექმნეს ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია OPEC, რომლის შტაბბინა ვენაშია განლაგებული. ამ ორგანიზაციის წევრები არიან: საუდის არაბეთი, ქუვეითი, ერაყი, ირანი, ვენესუელა, ალჟირი, ინდონეზია, ეკვადორი, გაბონი, ლიბია, ნიგერია, კატარი და არაბთა გაერთიანებული საამიროები. ორგანიზაციის მიერ მოპოვებული ნავთობი საერთო რაოდენობის 40%-ს აღემატება.

## ნავთობსადენები

მას შემდეგ, რაც მოპოვებულ ნავთობს თანმყოლი გაზის, წყლისა და დანარჩენი მინარევებისგან გაწმენდენ, საჭიროა მისი ნავთობგადამამუშავებელი საწარმოებისთვის მიწოდება. ადრე ნავთობის გადატანა საავტომობილო და რკინიგზის საშუალებით ხდებოდა. უკანასკნელ ათწლეულებში კი ნავთობის ტრანსპორტირება, ძირითადად, ნავთობსადენებითა და საზღვაო ტანკერებით ხორციელდება.

ნავთობსადენი სხვადასხვა სახის ნაგებობათა რთული კომპლექსია. ის მოიცავს მიწისზედა, მიწისქვეშა და წყალქვეშა მილსადენებს, სათავო და შუალედურ ნავთობგადასატუმბ სადგურებს, უზარმაზარ საცავებს და სხვა უამრავ დამხმარე ნაგებობას. არსებობს ორი ძირითადი სახის ნავთობსადენი: მიმყვანი და მაგისტრალური. მიმყვანი ნავთობსადენის სიგრძე ათობით კილომეტრამდეა. მისი დანიშნულებაა ნავთობის სარეწიდან ნავთობგადამამუშავებელ ქარხნამდე და შემდეგ იქიდან მაგისტრალურ ნავთობსადენამდე ტრანსპორტირება. მაგისტრალური ნავთობსადენი განკუთვნილია ნივთიერების დიდ მანძილზე ტრანსპორტირებისთვის. მისი მილსადენის დიამეტრი 200-დან 1200 მმ-მდე მერყეობს. სიგრძე კი განუსაზღვრელად დიდი შეიძლება იყოს. მაგალითისთვის, 5000-კილომეტრიანი ნავთობსადენი „დრუჟბაც“ კმარა, მისი საშუალებით სსრკ მთელ სოციალისტურ ევროპას ამარაგებდა საბჭოთა ნავთობით. მსოფლიოს პირველი ნავთობსადენი აშშ-ში აიგო, მისი სიგრძე 6 კილომეტრს არ აღემატებოდა. XX საუკუნის დასაწყისში ყველაზე გრძელ ნავთობსადენად ინჟინერ შუხოვის პროექტით 1907 წელს აგებული ბაქო-ბათუმის მაგისტრალი (სიგრძე — 835 კმ; დიამეტრი — 200მმ) ითვლებოდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ნავთობსადენი დღესაც მოქმედებს.

## ტანკერები

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ წყალქვეშა მილსადენი ბევრად უფრო ძვირად ღირებული და საექსპლუატაციოდ რთულია, ვიდრე ნებისმიერი სხვა. ამიტომ მაგისტრალური ნავთობსადენები ნავთობს დიდ პორტებამდე ექაჩებიან, იქ კი საქმეში უზარმაზარი ტანკერები ჩაერთვებიან. „ტანკ“ ინგლისურად „რეზერვუარს“, „ცისტერნას“ ნიშნავს. ტანკერები არა მხოლოდ ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს ეზიდებიან, არსებობს სხვა ტვირთისთვის გამიზნული გემებიც, თუმცა ნავთობტანკერები ყველაზე დიდი გემებია. რაც უფრო დიდია ხომალდი, მით უფრო იაფი ჯდება ტვირთის გადაზიდვა, ამიტომ ზოგიერთი ტანკერის ტვირთამწეობა 500.000 ტონამდე აღწევს. პირველი დიდი ტვირთამწეობის ტანკერი „გლუკაუფი“ (3000ტ) 1886 წელს, ინგლისში აიგო. მართალია, მანამდე რუსეთის ფლოტში იყო მსგავსი ტიპის გემი, მაგრამ მისი ტრიუმები მხოლოდ 670 ტონას იტევდა. XX საუკუნის დასასრულს სატანკერო ნავთობგადაზიდვები მსოფლიოს სამოქალაქო საზღვაო გადაზიდვების ნახევარს შეადგენდა.

## ეკოლოგია

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ნავთობის მოპოვება, ტრანსპორტირება და გამოყენება დიდი ეკოლოგიურ რისკთან არის დაკავშირებული. მილსადენის ან ტანკერის დაზიანება ეკოლოგიურ კატასტროფას იწვევს. საზღვაო კატასტროფის შემთხვევაში, ნავთობის თხელი ფენა გადაეფარება წყალს და ჟანგბადის მიწოდებას უბრკოლებს წყლის ბინადართ, რაც მათ სრულ განადგურებას იწვევს, ხშირია საზღვაო ხანძრების შემთხვევებიც. სახმელეთო ვარიანტი კიდევ უფრო შემზარავია. ნავთობი ნიადაგში ჟონავს და წამლავს როგორც მცენარეულობას, ასევე მიწის საფარს, გრუნტის წყლებსა და მდინარეებს. ხანძარი ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივი მოვლენაა, რაც თავისთავად ატმოსფეროში მომწამლავი აირების დაგროვებას იწვევს.

## Baku-Tbilisi-Ceyhan

რაც შეეხება ნავთობსადენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანს: BTC-ის საპროექტო ღირებულება 2,9 მილიარდი დოლარია, მილსადენის სიგრძე — 1.760 კილომეტრი. მშენებლობა უნდა დაიწყოს 2003 წლის პირველ ნახევარში და დასრულდეს 2005 წელს. მილსადენის საპროექტო სიმძლავრეა მილიონი ბარელი დღეში.

წილობრივი მონაწილეობა პროექტში: BP (38.60%), SOCAR (25.00%), Unocal (8.90%), Statoil (8.71%), TPAO (6.53%), Agip (5.00%), TFE (5.00%), Itochu (3.40%), Inpex (2.50%), Delta Hess (2.36%).

***გიორგი ჟორჟოლიანი***


გაერთიანებული ქართული ბანკის
ინკასაციის სამსახური

T მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება
T თითოეული კლიენტის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა
T მინიმალური ტარიფები
T ტრანსპორტირებისას ფასეულობის უსაფრთხოებისა და დაცულობის გარანტია



გთავაზობთ:
T ბანკიდან დანიშნულების ადგილზე თანხის მიტანას;
T მომსახურე ბანკიდან თანხის გატანისას მოლარის გაცილებას;
T თქვენი ობიექტიდან ამონაგები (ნავაჭრი) თანხის ინკასირებას.

ინკასაციის სამსახური დაკომპლექტებულია სპეციალურად მომზადებული და შეიარაღებული თანამშრომლებით, უზრუნველყოფილია ჯავშნიანი ავტოტრანსპორტით, აღჭურვილია ჯავშანჟილეტებით და მობილური კავშირით.



ქ. თბილისი, უზნაძის ქ.№37
ტელ.: 99-88-01, 95-62-95.


რას წერენ ჩვენზე

# შევარდნაძე ევროპისკენ იყურება, უფრო სწორად, მის ჯიბეში...

**საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსების გაკონტროლება და ნაკლებად აღელვებს ის, რომ ეს ეწინააღმდეგება მსოფლიო სტანდარტებს.**

არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობით და მათი გრანტებით უკვე კარგა ხანია დაინტერესდა ედუარდ შევარდნაძე — ზოგი ორგანიზაცია მოხუცებზე ზრუნვისთვის ფულს იღებს დასავლეთიდან, მერე კი მიღებული გრანტებით ტერაქტს მიწყობსო. პრეზიდენტმა ეს აზრი დონორი სახელმწიფოების წარმომადგენლებსაც გაუზიარა და ურჩია, საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად გრანტები არ უნდა გაანაწილოთო. მერე, ეშხში შესულმა, დასძინა, თუ აღარ იცით, ფული სად წაიღოთ, მთავრობას უამრავი ფონდის შექმნა შეუძლია და იქ ჩადეთო...

გაოგნებულმა უცხოელმა დიპლომატებმა სცადეს, კორექტულად აეხსნათ პრეზიდენტისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების არსი, მაგრამ ვერ შეძლეს მისი დარწმუნება — ჰუმანიტარული ფულის გაკონტროლების იდეა, რომელიც ჩინოსნების ჯიბეებს ასცდა, მტკიცედ ჩაუჯდა თავში. სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ შეიმუშავა კანონი არასამთავრობო ორგანიზაციების შემოსავლების შესახებ. სახელმწიფომ დიახაც უნდა შეამოწმოს და დაარეგულიროს ქვეყანაში შემოსული ყველანაირი ფინანსებიო, — იკატუნებენ თავს, თორემ მშვენივრად იციან, რომ „ფინანსების კონტროლი და რეგულირება“ ნიშნავს „გამიყავი“-ს. თუ ამ კანონპროექტს მიიღებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ პარლამენტში საშემოდგომო არჩევნების წინ ქანჩის მოჭერა გადაწყვიტა...

***მოსკოვსკი კომსომოლეცი***

# ქვეყანა — წესების გარეშე



რა ცვლილებები ელის დსთ-ს, ვინ შეცვლის დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურებს და რას ელის რუსეთი ამ ცვლილებებიდან?

ამ საკითხებზე საუბრობს დსთ-ის ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორი **კონსტანტინ ზატულინი:** — დსთ-ის სახელმწიფოების ახალი ეროვნული ელიტა ხალხს ჩასჩიჩინებდა, — თავი უნდა დავიხსნათ რუსეთისა და საბჭოთა სატუსაღოდანო. თვითონ კი ამ „ხალხთა სატუსაღოს“ პოლიტბიუროს წევრები იყვნენ. მაგ. დამოუკიდებელი საქართველო, გამსახურდიას თუ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, რომელიც მოსკოვიდან ჩავიდა თბილისში, რუსეთს მტრულად უყურებს, მაგრამ არა მგონია, რომ შევარდნაძის წასვლის შემდეგ რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი პიროვნება გამეფდეს თბილისში. ხელისუფლების სათავეში შევარდნაძეზე უფრო პროდასავლურად განწყობილი და ბიოგრაფიით რუსეთთან ნაკლებად დაკავშირებული ხალხი მოექცევა. ასეთები შეიძლება იყვნენ ახალი რეფორმატორები — სააკაშვილი, ჟვანია. მაგრამ ვის უხელმძღვანელებენ ისინი? მათი მმართველობის დროს იქნება კი საქართველო ერთიანი? აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ფაქტობრივად ხომ გამოყოფილნი არიან. ამ თვალსზრისით, უფრო მნიშვნელოვანია, საქმე ვიქონიოთ ქართველ ხალხთან და საქართველოს რეგიონებთან.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 8 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1690 |
| ევრო | 2,3898 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4802 |
| რუსული რუბლი | 0,0687 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3472 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## გულმავიწყობა



ერთხელ, ბიძაჩემს შვილმა სთხოვა, რომ ტელეკომის ოფისში მისულიყო და ტელეფონზე ნალაპარაკევის თანხა გადაეხადა. იქ მისულს ტელეფონის ნომრის ბოლო ციფრი დაავიწყდა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა, გადაერეკა თავის დამახსოვრებულ ნომერზე და შეემოწმებინა, ხომ არ ცდებოდა. მართლაც, გადარეკა სალაპარაკოდან და თავის ნომერზე მოხვდა. შვილის ხმა გაიგონა და ეუბნება: — ჩვენი ტელეფონი რა ნომერია, ჩამაწერინეო.

დიდხანს ვხალისობდით ამ შემთხვევის შემდეგ. ბიძაჩემი კი თავს იმართლებდა — „ტელეფონისტი" იქ იჯდა და რაღაც ხომ უნდა მეთქვაო.

*ნ. გრიგალაშვილი, ხაშური*

## ნუგზარის გასაჭირი

კურიოზულ სიტუაციაში აღმოჩნდა ნუგზარ თავბერიძე — ქვედასაზანოელი, პატიოსნებით გამორჩეული კაცი.

ერთი დღეა და ნუგზარი, — დაგვიანების შიშით, — ავტობუსისკენ ჩქარი ნაბიჯით მიდის. ბაზრობის მიმდებარე ქუჩაზე, სადაც უთავბოლოდ მიმოდიან სხვადასხვა საქონლით გარემოვაჭრეები, ნუგზარს ზიგზაგით გავლა და გვერდის აქცევა უხდება. მოულოდნელად რომელიღაც ქალბატონს მხარი გაჰკრა და ერთი ნაბიჯიც არ ექნებოდა გადადგმული, რომ ქალი პირქვე დაეცა. ნუგზარი სწრაფად შემობრუნდა და ბოდიშის მოსახდელად მივარდა წაქცეულს. ქალის გაყვითლებული სახე და ხელები რომ დაინახა, გაიფიქრა, მოვკალიო და გულიც წაუვიდა.

გონს რომ მოვიდა, მის გარშემო მოფუსფუსე ხალხიდან ერთ-ერთს ეკითხება ხმაწართმეული:

— როგორ არის?



— ნუ გეშინია, ძმაო, — ამშვიდებენ ნუგზარს, — შენ იყავი კარგად და მაგ თუ გატყდება, რამენაირად შევაწებებთ.

ნუგზარი მიხვდა, რომ უნებურად, ტროტუარზე გამოდგმულ მანეკენს დაჯახებია, რომელიც ხელზე მოვაჭრეში შეეშალა...

*დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი*

## საოცამარტო სიახლეები



### დაწესდა მშობლის დღე

დედაქალაქის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში წესად შემოიღეს „მშობლის დღის" მოწყობა მარტის შვიდ რიცხვში. პირველმა შეხვედრამ შესანიშნავად ჩაიარა. განსაკუთრებით კმაყოფილნი დარჩნენ პედაგოგი ქალები, რომლებმაც უდავიდარაბოდ გაიყვეს მშობლების მიერ მორთმეული საჩუქრები...

### ჯენტლმენი ავტოინსპექტორი

ქალთა სადღესასწაულო დღეს ავტოინსპექტორი რაინდი გმირაძე ჯენტლმენურად მოეპყრო საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევ ავტომოყვარულ მანდილოსანს — ოქმი შეადგინა წინა დღის, შვიდი მარტის რიცხვით.

*შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი*





მიხო და მიტო აჩერებენ ტაქსის. მიტო ეკითხება მძღოლს:

— საბურთალოზე მინდა. რამდენს გამომართმევ?

— ხუთ ლარს.

— მიხოც რომ ჩემთან ერთად წამოვიდეს?

— მაინც ხუთ ლარს.

მიტო მიუბრუნდა მიხოს:

— მიხო, ხომ გითხარი კაპიკია-მეთქი შენი ფასი!

*თემურ ტუღუში, ლანჩხუთი*




**ორიგინალური კითხვა-პასუხი:**

— რა სარგებლობა მოაქვს „ეი-ი-ეს თელასს"?

— გამოთქმით გინებას გვასწავლის!

*თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი*

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. [illegible]*

# პაროდიის კუთხე

## საქმიანი ინტერვიუ თავდაცვის მინისტრთან



— ბატონო დავით! — დიდი ხანია მინდოდა თქვენთან შეხვედრა, მაგრამ ისე შემაშინეს, საჯარისო ნაწილებში ტილი და მუნია მოდებულიო, მართალი გითხრათ, ძლივს გავბედე მოსვლა.

— ჯერ ერთი, რომ ტილების რაოდენობა საკმაოდ შევამცირეთ, ერთ კაცზე საშუალოდ 7 ტილი მოდის და რაც მთავარია, მას აქვს სტრატეგიული დანიშნულება: ჯარისკაცები მთელი ღამე იფხანენ და ფხიზლად დგანან სამშობლოს სადარაჯოზე. თანაც მოგეხსენებათ, ტილი წნევას არეგულირებს.

— თქვენ პროფესიით ფილოსოფოსი ბრძანდებით, საოცარია, სად მიიღეთ იმდენი სამხედრო გამოცდილება, რომ მთელი ქვეყნის თავდაცვას ხელმძღვანელობთ.

— მახარაშვილისა არ იყოს: „მოი ატეც ვაევალ, ივო ატეც ვაევალ, ივო, ივო, ივო ატეც ტოჟე ვაევალ" და მე რა გამონაკლისი მნახეთ?

— როგორც ფილოსოფოსს, უარყოფის კანონი, ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, შეიარაღება რომ მოგიძველდათ, იმაზე თუ გიფიქრიათ?! — რუსების დატოვებული ტექნიკა, დაახლოებით პეტრე I-ის დროინდელია და როგორც ამბობენ: „თუნდ მუგუზალი დაადე, მაინც არ გავარდებაო".

— სისულელეა, მაგ შეიარაღებით არ დაანგრიეს თბილისი კიტოვანმა და ყარყარაშვილმა? ამას წინათ, საწვრთნელი სროლების დროს, ჩვენი ჰაუბიცა გამოვცადეთ, „ლახანკას" ვესროლეთ და დედა უტირა, ისე დაგლიჯა, წყალი რომ ჩავასხით, სამ ადგილზე გაუვიდა. რაც შეეხება საზენიტო არტილერიას, საუკეთესოა, ოღონდ ეგ არის, რომ მფრინავს საფეთქელში უნდა გაარტყა.

— ამბობენ, რომ ჩეხეთიდან შემოტანილმა ავტომატებმა არ ივარგესო, მართალია?!

— თქვენ მაგის დარდი ნუ გაქვთ, გიორგი სააკაძეს არც ავტომატი ჰქონდა და არც ტყვიამფრქვევი, მაგრამ, შიშის ზარს სცემდა მტერს, განსაკუთრებით შინაურს.

— ახალი ტექნიკის შემოტანას თუ აპირებთ საზღვარგარეთიდან?!

— სამხედრო საიდუმლოებაა, მაგრამ, როგორც ქართველ კაცს, გაგიმხელთ, შევქმენით სპეცდანიშნულების დივიზია, სახელწოდებით: „ივანე კოტორაშვილი", რომლისთვისაც შეკვეთილი გვაქვს 60 000 კომბალი. ახლა იქმნება განსაკუთრებული პოლკი „რობინ ჰუდი". ესეც — სპეცდანიშნულების პოლკია, როგორც იტყვიან, ყარაულის უხმაუროდ „მოსაყუჩებლად". მათთვისაც შემოგვაქვს მშვილდ-ისრები.

— მართალია, რომ ამბობენ, ჯარისკაცებს საჭმელი არ ჰყოფნითო?!

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, სალდათებს გოგლი-მოგლით და კარაქიანი პურით დავდევთ, ისე მოვაბეზრეთ თავი, რომ ნახევარი ჯარი სახლებში გაიქცა. ნიგვზიანს არ ჭამენ, ხორცს ჩვენ არ ვაჭმევთ, როგორც ცნობილია, ხორცი აბერებს ადამიანს და ჯარისკაცი თუ დაბერდა, რაღად გინდა მერე?!

— ტანსაცმელ-ფეხსაცმლის საქმე როგორა გაქვთ? — ამბობენ, რომ ყველაფერი შემოაცვდათ და დახეულ-დაფლეთილები აცვიათო.

— ეგ არაფერი, მასაების ტომი, ფეხშიშველები და ნახევრად ტიტვლები დარბიან, მაგრამ მსოფლიოში ცნობილი მეომრები არიან.

— ბატონო დავით! სურვილი მაქვს დავესწრო საწვრთნელ ვარჯიშებს, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით.

— კი, ბატონო!

გენერლის ბრძანებით, ჯარისკაცებმა ის სამ ადგილზე გახვრეტილი „ლახანკა" 50 მეტრის დაშორებით დადეს, ფსკერით ჩვენკენ და პირდაპირ დამიზნებით ზარბაზანი ესროლეს. მართალია, ვერ მოარტყეს, მაგრამ ხმის ეფექტი ისეთი დიდი იყო, რომ გამეღვიძა. გამეღვიძა შეშინებულს, არა ზარბაზნის ხმის, არამედ ჩვენი ჯარის მდგომარეობის გამო.

*სიზმარში ჩაიწერა ნიკოლოზ იოსებიძემ*

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



სვანი „ოცი ათასში":
დუტა ეკითხება:
— გინდათ მოიგოთ 20 000?
— დარბაზს შევეკითხოთ!

*ბადრი ხელაძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი*

დილაა. თბილისის ერთ-ერთ სასაუზმეში ორნი სხედან. ერთი ბოთლი არაყი უკვე დაუცლიათ, მეორეს სადაცაა ბოლოში ჩაიყვანენ... მშვენიერ ხასიათზე არიან და თან ერთმანეთს ესაუბრებიან:

— შენ რა გქვია!

— მიტო!

— სადაური ხარ, მიტო?

— გურჯაანელი!

— ვაა, მეცა!

— რომელი სკოლა დაამთავრე?

— პირველი!

— ვაა, მეც მანდა ვსწავლობდი!

— მამაშენს რა ჰქვია?

— მიხო.

— ვაა, მამაჩემსაც!..



დარბაზში შემოდის სასაუზმის დირექტორი და მებუფეტეს ესალმება:

— გამარჯობა, კაკო, რა არის ახალი?

— არაფერი, უფროსო. აგე, ეს კახელი ძმები ისევ გაგლეჯილი მთვრალები არიან...

*ვანო შავდათაშვილი, თბილისი*

## პრობლემები პირადობის მოწმობის აღებისას

— 1989 წლიდან ვცხოვრობ თბილისში. აქვე ავიღე პასპორტი. დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი, ვმუშაობ. ვარ ბინის მფლობელი. ადგილობრივმა საპასპორტო განყოფილებამ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემაზე უარი განმიცხადა იმ მიზეზით, რომ ჩემ მიერ წარდგენილ საბჭოურ პასპორტში არ არის ჩაწერის აღმნიშვნელი შტამპი. მთავაზობენ ან იუსტიციის სამინისტროდან მოვიტანო რაღაც ქაღალდი, რომელიც სამი თვის განმავლობაში 85 ლარამდე დამიჯდება, ან იქვე გამიკეთებენ ერთ თვეში, მაგრამ... გთხოვთ მიპასუხოთ, როგორ მოვიქცე?

*ზურაბ ჩხიკვაძე*

კითხვაზე უპასუხებს **ეკა ნანდაშვილი**, იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეგისტრაციისა და ემიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის მრჩეველი.

— ალბათ, პიროვნებას პასპორტში არა აქვს ჩაწერა-ამოწერის შტემპელი. ამიტომ ასეთმა მოქალაქეებმა უნდა მოგვმართონ იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეგისტრაციისა და ემიგრაციის საკითხთა დეპარტამენტს — მოქალაქეობის დასადგენად. გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი: სად დაიბადა პიროვნება, როდის, სად მიიღო განათლება, მუშაობდა თუ არა საქართველოში, მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღებამდე სად ცხოვრობდა და რამდენი წლის განმავლობაში. იმყოფება თუ არა საქართველოს მოქალაქესთან ქორწინებაში და სხვა.

1993 წლის 25 მარტს მიღებულ კანონში „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" უშუალოდ მითითებულია, რომ მოქალაქეს, რომელიც კანონის მიღების დღისათვის ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და არანაკლებ 5 წლის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოში, არავითარი პრობლემა არ შეექმნება. ამ კონკრეტულ შემთხვევას რაც შეეხება, იგი შესასწავლია, რისთვისაც პიროვნებამ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობები: მაგალითად, დაბადების მოწმობის, ატესტატის, დიპლომის, ქორწინების მოწმობის, შრომის წიგნაკის ასლები, 2 ცალი ფოტოსურათი. თუ საუბარია მხოლოდ მოქალაქეობის დადგენაზე, ჩვენი შესაბამისი სამსახური დაახლოებით ერთი თვის ვადაში შეისწავლის საბუთებს და გასცემს ცნობას დაინტერესებული პირის მოქალაქეობის დადგენის შესახებ. შესაბამისი მომსახურების ღირებულება 30 ლარს შეადგენს. თანაც ეს თანხა გახლავთ სახელმწიფო ბაჟი, რომელიც პიროვნებამ ბანკში ჩვენ მიერ მითითებულ ანგარიშზე უნდა გადაიხადოს. მაგრამ თუ საუბარია მოქალაქეობის მიღებაზე, მაშინ ამ პროცედურას ერთწლიანი ვადა ესაჭიროება და საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს საქართველოს პრეზიდენტი.

## ინგლისელები ფრანგების «საწინააღმდეგოდ» მოძრაობენ...

— ევროპის ქვეყნებში, ისევე როგორც ჩვენთან, ავტომანქანები გზის მარჯვენა მხარეს მოძრაობენ, ინგლისში კი — მარცხენა მხარეს. მაინტერესებს რატომ? კიდევ რომელ ქვეყანაშია მოძრაობის ასეთივე წესი და რამ განაპირობა აღნიშნული?

*გიორგი გაბუნია*

— ავტომანქანების მოძრაობის გზის მარჯვენა და მარცხენა ზოლის დამკვიდრების ტრადიცია ისტორიულმა მოვლენებმა თუ კონკრეტულმა პიროვნებებმა განაპირობეს. მაგალითად, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში რაინდები ერთმანეთთან შეხვედრისას ცდილობდნენ დაეკავებინათ გზის მარცხენა მხარე, რათა კარგად დაენახათ შემხვედრის მარჯვენა ხელი (შესაბამისად, იარაღი მის ხელში). ევროპაში პირველად გამოჩენილი კარეტები მოძრაობისას ცდილობდნენ გზის მარცხენა მხარე დაეკავებინათ. ეს იმით აიხსნება, რომ მეეტლე ყოველთვის მარჯვენა მხარეს იჯდა და ასეთ შემთხვევაში ხედვის დიდი არეალი ექნებოდა. მოგვიანებით, საფრანგეთის რევოლუციამ ყველაფერი არია. ხელისუფლებაში მოსული ნაპოლეონი ცდილობდა დაემკვიდრებინა მარჯვენა მხარეს მოძრაობა. შესაძლოა ნაწილობრივ იმის გამო, რომ იგი ცაცია იყო. ნაპოლეონმა პირველმა დაადგინა ოფიციალურად ქუჩის მარჯვენა მხარეს მოძრაობა და ეს წესი სავალდებულო გახადა ყველა დაპყრობილ ქვეყანაში.

ამერიკაში თავდაპირველად მარცხენა მხარეს მოძრაობდნენ, მაგრამ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისას ისინი ფრანგმა ლიბერალურად განწყობილმა გენერალმა ლაფაიეტმა გზის მეორე მხარეს „გადაიბირა". რაც შეეხება ინგლისელებსა და მათ მიერ არჩეულ გზის მარცხენა ზოლს, ეს ალბათ ფრანგებისადმი მათმა ანტაგონისტურმა განწყობამ განაპირობა. მოგვიანებით, იაპონია, რომელიც ინგლისის გავლენის ქვეშ მოექცა, ამ ტრადიციის მიმდევარი გახდა. ამჟამად გზის მარცხენა მონაკვეთზე ინგლისისა და იაპონიის გარდა მოძრაობენ ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და კიდევ რამდენიმე სახელმწიფოში.

## კევი ჩვენი, ქართული (ანუ ნაძვის ფისის სიკეთე)

— ძალიან მიყვარს ფიჭვის კევი, რომელიც მზადდება ფიჭვის ხეზე გამოსული ფისისგან. არსებობს ვერსია, რომ ეს კევი მავნებელია, რადგანაც შეიცავს მწარე ნივთიერებას. იქნებ დაინტერესდეთ მოგვითხროთ ფიჭვის კევის შესახებ.

*გიზო კალანდაძე*



კითხვაზე უპასუხებს **ნიკოლოზ ოისეიძე**, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ფიტოთერაპევტი.

— არა, მე იმის პრეტენზიას ვერ განვაცხადებ, რომ ნაძვის (და არა ფიჭვის, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ) კევს, მხოლოდ საქართველოში ღეჭავდნენ, ან ღეჭავენ. დარწმუნებული ვარ, თითქმის ყველას გაუსინჯავს (განსაკუთრებით, ბავშვობაში) ამ უგემრიელესი კევის გემო. აღმოსავლეთ საქართველოში ნაძვის კევს (რა თქმა უნდა კუსტარულად) ამზადებდნენ და ბაზარზე გაჰქონდათ გასაყიდად, ხოლო დასავლეთში ბიჭვინთის მიდამოებში მცხოვრებნი ამარაგებდნენ დამსვენებლებს.

ნაძვი, ნაკლებად, მაგრამ მაინც იზრდება ჩვენი ქალაქების და დაბების ბაღ-პარკებში, მაგრამ იქ შეგროვილი კევი გამოუსადეგარია. მიზეზი ყველას მოგეხსენებათ, ნამწვი აირები და მისი კატასტროფული ზრდა!

ნაძვის კევის ნედლეულის შეგროვება, წლის ნებისმიერ დროს შეიძლება, საავტომობილო ტრასიდან 250-300 მეტრით დაცილებულ ნაძვნარში. კევის ნედლეული ორგვარია: მონაცრისფრო-მოიისფრო, რომელსაც მცირე ზომის კონუსის ფორმა აქვს და საკმაოდ მკვრივია, ხალხში მას ჭუპუკუს უწოდებენ და ყოველგვარი დამუშავების გარეშე, ადგილზევე ღეჭავენ. თუმცა, დამუშავებული უფრო სუფთაა და ნაკლებად მწარე. მეორე სახის ნედლეული წარმოადგენს ფისის თავზე შემხმარ მოყვითალო ფერის მასას, რომელიც დამუშავების გარეშე სალეჭად უვარგისია სიმწარის გამო. ნედლეული გროვდება დანით, ოღონდ ისე უნდა მოცილდეს ხის შტამბს, რომ ქერქი არ გაჰყვეს. არც ძალიან თხელი ფისი ვარგა ნედლეულად, მასში სიმწარე მეტად იგრძნობა. მასალა უმჯობესია შეგროვდეს მინის ქილებში.

გასადნობად ნედლეულს ვათავსებთ ალუმინის ქვაბში, ვდგამთ ნელ ცეცხლზე, ვაჯოვრებთ სრულ გადნობამდე და ვწურავთ ორმაგ დოლბანდში, ცხლად. გამდნარი მასა ჩაედინება წინასწარ გამზადებულ თბილწყლიან ქვაბში. თბილწყლიანში იმიტომ, რომ შემდეგ მიეცეს სასურველი ფორმა.

ცნობილია, რომ ნაძვის და ფიჭვის თითქმის ყველა ნაწილი (მათ შორის ფისიც) შეიცავს ანტიმიკრობულ და ანტისეპტიკურ ნივთიერებებს, რაც თავისთავად მეტყველებს ნაძვის კევის სასარგებლო თვისებებზე. ნაძვის კევი პირის ღრუსთვის სასარგებლოა, როგორც დეზოდორანტი. აქედან დასკვნა, თუ საერთოდ საჭიროა კევი, ჩემი აზრით, ამ უკანასკნელს უნდა მიეცეს უპირატესობა.

## მაკა ასათიანი – მოდელიერიც და ბიზნესმენიც

— პრესითა და ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მაკა ასათიანი სამოდელო კარიერას ტოვებს და აპირებს ოჯახურ ბიზნესს ჩაუდგეს სათავეში. მართალია თუ არა ეს?

*მანანა ანთაძე*



კითხვაზე უპასუხებს **მაკა ასათიანი**.

— არა, სამოდელო ასპარეზს არ ვტოვებ. უბრალოდ, ვაპირებ ხელი მოვკიდო მამაჩემის უპატრონოდ დარჩენილ საქმეს, სადაც ბევრი რამაა გასაკეთებელი. ჩემს საქმიანობას მოდის სფეროში კვლავაც გავაგრძელებ, თუმცა პარალელურად ვაპირებ შევითავსო ოჯახური ბიზნესი. ამ დღეებში გერმანიაში გახლდით, სადაც „მერსედესის" ფირმასთან მქონდა მოლაპარაკებები. მამაჩემი ხომ ამ ფირმის წარმომადგენელი იყო საქართველოში. ერთობლივად დავსახეთ 5-წლიანი გეგმა, თუმცა ამაზე წინასწარ არ მსურს საუბარი. გარდა ამისა, მქონდა სხვადასხვა საქმიანი შეხვედრა, რომლის გახმაურებასაც ჯერჯერობით არ ვაპირებ. გერმანიიდან ჩამოვიტანე ქსოვილებიც. ერთი სიტყვით, ვაპირებ ორივე საქმეს სერიოზულად წარვუძღვე...

## ეკა ბერიძე ბავშვს ელოდება...

— მართალია თუ არა, რომ ეკა ბერიძე გათხოვდა და ამის გამო მიანება ტელევიზიაში მუშაობას თავი.

*მარიამ გულბანი*

კითხვაზე უპასუხებს **ეკა ბერიძე**.

— მართლა გავთხოვდი, მაგრამ ამ გარემოებას ჩემს ტელეეკრანებიდან გაუჩინარებაში არავითარი როლი არ უთამაშია. პირველი არხიდან წამოვედი იმიტომ, რომ შემომთავაზეს თანამშრომლობა ახალ ტელეკომპანიაში, სადაც წავიყვან მთავარ საინფორმაციო გადაცემას.

*მოარული ხმების გათვალისწინებით, ეკას მისი ფეხმძიმობის შესახებაც ვკითხეთ და დავინტერესდით, თუ მიატოვებს ამის გამო მუშაობას.*

— ბავშვს მართლა ველოდები, უკვე მეოთხე თვეში ვარ. ჯერჯერობით, სქესი არ ვიცი. მიუხედავად ფეხმძიმობისა, მუშაობის გაგრძელებას მაინც ვაპირებ მანამ, სანამ შევძლებ. თუმცა, არა მგონია დიდი ხნით მივატოვო საყვარელი საქმე. ალბათ ხანმოკლე შვებულების შემდეგ კვლავ დავუბრუნდები ეკრანს...

## «ვარსკვლავთხეივნის» მკვიდრნი

— რომელ წელს დაიწყეს ჰოლივუდში გამოჩენილ ადამიანთა ვარსკვლავების გახსნის ცერემონიის გამართვა? ვინ იყო პირველი მერცხალი და არის თუ არა ვარსკვლავთა შორის ინგლისური როკ-ჯგუფის Quenn-ის ოქროს ვარსკვლავი?

*მიხეილ ფირცხალავა*



— გამოჩენილ ადამიანთა ვარსკვლავთხეივნის ტრადიცია სათავეს იღებს 1960 წლიდან. ჰოლივუდში, ამ ხეივანში პირველი ვარსკვლავი დაისაკუთრა მსახიობმა ქალმა ჯოან ვუდვორდმა. ამ პირველ მერცხალს სულ რაღაც 16 თვეში 1558 პოპულარული ადამიანის სახელობის ვარსკვლავი დაემატა. სწორედ ამის შემდეგ დამკვიდრდა შოუბიზნესში წარმატებულ მოღვაწეთა სახელობის ოქროს ვარსკვლავის გახსნის ტრადიცია უკვე ცნობილ ხეივანში. თუმცა ეს მაღალი ჯილდო ყველასთვის ხელმისაწვდომი როდია. ვარსკვლავის მფლობელები ხდებიან კინოს, ტელევიზიის, რადიოსა და მუსიკის სფეროდან. ყოველწლიურად ჰოლივუდის მართვის პალატაში 300-მდე განაცხადი ან მოთხოვნა შედის სახელგანთქმულ ადამიანთა სახელობის ვარსკვლავის გახსნის შესახებ. მაგრამ ეს პატივი ყოველწლიურად მხოლოდ 15-20 კაცს ერგება ხოლმე. ასე რომ, ყოველთვიურად ერთი ან ორი ოქროს ვარსკვლავის სადღესასწაულო გახსნის ცერემონია იმართება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვარსკვლავის მფლობელები თავად ფარავენ ცერემონიის ხარჯებს. ჰოლივუდში ოქროს ვარსკვლავის გახსნა სულ მცირე 11 ათასი აშშ დოლარი ღირს.

რაც შეეხება Quenn-ის ვარსკვლავს, იგი არც ისე დიდი ხნის წინ გაიხსნა ვარსკვლავთხეივანში — შარშან, ოქტომბერში, ინგლისური როკ-ჯგუფის ვარსკვლავი რიგით 2207-ე იყო. Beatles-ის მაგვარად ეს უიშვიათესი გამონაკლისია, რადგანაც ამერიკელ ვარსკვლავებს შორის, ამ ხეივანში არც ისე ხშირად შეხვდებით უცხოელ ცნობილ ხელოვანთა ვარსკვლავებს. ცერემონიას ესწრებოდნენ ჯგუფის წევრები: ბრაიან მეი და როჯერ ტეილორი. ჯგუფი და მისი სოლისტი ფრედი მერკური (გარდაიცვალა 1991 წელს) დღესაც ინარჩუნებენ წამყვან პოზიციებს ამერიკის ჩარტებში.

## «ჩემი მშვენიერი ლედი» ისევ ეთერში...

— მაინტერესებს, რატომ აღარ გადის პირველი არხის ეთერში გადაცემა „ჩემი მშვენიერი ლედი" და სად „დაიკარგა" ია ფარულავა. რატომღაც ამ ბოლო დროს სერიალ „ძილის წინ"-შიც არ მონაწილეობს.

*მიშიკო ლაცაბიძე*



კითხვაზე უპასუხებს **ია ფარულავა**.

— „ჩემი მშვენიერი ლედი" ეთერში არ გადიოდა, რადგანაც „აუდიენციასა" და I-ელ არხს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა. ბიზნეს-შეთანხმება რამდენიმე გადაცემის შეკვეთით დასრულდა. ეთერში დარჩა რამდენიმე გადაცემა, მათ შორის „ჩემი მშვენიერი ლედი" და სერიალი „ძილის წინ". ასე რომ, ყველაფერი გაირკვა. სერიალის გადაღებებშიც ვღებულობ მონაწილეობას და 16 მარტს გადაცემაც გავა ეთერში. ძალიან ვწუხვარ, რომ 2-თვიანი პაუზა გვქონდა, რადგანაც ვიცი, მაყურებელი ამ გადაცემას ელოდება და უყვარს, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუცხადებ. გარდა ამისა, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და განვუმარტო მკითხველს, რომ „ჩემი მშვენიერი ლედის" გადაღებებში ჩაწყობითა და ნაცნობობით არ ხდება მოხვედრა. ეს ჭორია და მეტი არაფერი. ნებისმიერ ქალბატონს შეუძლია მასში მონაწილეობის მიღება. დაგვირეკონ და თავად დარწმუნდებიან. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა პოპულარულია, ყოველ კვირა ეთერში ვერ გავა, რადგანაც მისი ჩაწერა საკმაოდ რთული და შრომატევადია, ასევე, დიდ თანხებს მოითხოვს.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე" ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

## მილოცვა



ჩემს უსაყვარლეს შვილთაშვილს (ბადიშს), ჩემს სამი წლის „ეშმაკუნას“ – **თათა ბადრის ასულ კურცხალიძეს** ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიხარულს, პატარა დიკო ნინიკოსთან და მთელ ოჯახთან ერთად.

*ღმერთს ვთხოვ, თათა, ყველა ნატვრა აგიხდინოს, გენაცვალე.*

*დაბადების დღეს გილოცავ და გკოცნი ლამაზ თვალებში.*

*შენი დიდი ბებო – ლამარა*

**ირაკლი თამაზის ძე შარაშენიძეს** ვულოცავ დაბადების დღეს!



*დაბადების დღეს გილოცავ, ირა, შენ გენაცვალოს შენი ბებია,*
*ყველა მიზანი შეგისრულებოდეს, რაც ტკბილ ოცნებით გიოცნებია!*
*მინდა გისურვო ყველა სიკეთე, რაც ბუნებისგან ნაბოძებია,*
*დაგლოცოს ღმერთმა, საქართველომ, მეც გულით გლოცავ შენი ბებია!*
*იყავ ღვთის ქმნილი, ხვედრის, დარდი შენს გულს ნუ შეეკარება,*
*სულ ფრთაგაშლილი დაფრინავდე, შენ გენაცვალოს შენი ბებია.*

*გკოცნის შენი ლელა ბებო*

**ჟუჟუნა ვარდიშვილს!**

გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიხარულს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

*ირმა ბეგიაშვილი*

**ვლადიმერ პავლეს ძე ჩიჩინაძეს!**

მოვიდა ლამაზი მარტი, შენი დაბადების თვე, ჩემო საყვარელო მამიკო. სულით და გულით გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ჩემს და ჩემი და-ძმების იმედად. ამ გაზეთის ფურცლებით მოგესურვები და მოგილოცავ ამ თარიღს საქართველოდან, ჩემთვის ყველაზე ძვირფასო და საყვარელო ადამიანო, ჩემო მშობელო მამა.

*ნათია ჩიჩინაძე*

**ბატონ გელას!**

გილოცავ დაბადების დღეს. აბა, შენ იცი!

**სანდრო გოგოლაძეს!**

გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს.

*შენი რეზიკო ბიძია*

**ზურაბ მოდებაძეს, ნინო ჩიტიშვილს!**

ბაბუას და შვილიშვილს – ზურიკოს და ნინოს, ვულოცავთ დაბადების დღეებს – 14 და 11 მარტს.

გკოცნით გეხუტებით, მრავალ დაბადების დღეს დაესწარით.

*ელისო, ვაჟა, გია, თემო, პატარა ანი*

## ბინები

იყიდება საკუთარი, I-სართულიანი სახლი, საცხოვრებელი ფართით – 100 კვმ, ეზო-ბაღით – 210 კვმ, სარდაფით, კაპიტალური გარაჟით – 32 კვმ, ავტონომიური გათბობით, სხვა დამხმარე სათავსოებით, ტელეფონით. ფასი: $38.000. ტელ: 34-52-33; 38-91-96. ქეთი

## გთავაზობთ სამუშაოს

ყურადღება!!! ახალ მაღალპროფილიან კორპორაციას ესაჭიროება 21 მენეჯერი შესაძლებლობა სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება[illegible]. ანაზღაურება – მაღალი. გვიანტერესებს წარმომადგენლები რეგიონებიდანაც. ინფორმაცია უფასოა. ტელ. 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვჭირდება განათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო საოფისეა, კონტრაქტით. საუკეთესო თანამშრომლებს, წელიწადში 2-ჯერ ეძლევათ შანსი, სტაჟირება გაიარონ მსოფლიოს ქვეყნებში. ანაზღაურება მხარდა – თვეში 300-600 ლარიდან. მიღება – შერჩევით. მენეჯერი ბინო მიხეილი. მის. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94 (საღამოს); 899 90-54-78

## მომსახურება

ჭარბთმიანობის სამუდამო განკურნება უმოკლეს დროში და უმტკივნეულოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემჩნევა შკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ეპილაცია ელექტროს ნემსით და ანესთეზიით, მოთრმის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დინის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები“! კარგად გაკეთებული ეპილაცია სამუდამოდ მოარჩენს ნაწარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

სილამაზის სალონი „სტილი“ – ეპილაცია ინდივიდუალური პლატინის ნემსით, ანესთეზიით; თმის მოცილება მცენარეული დეპილატორით, სახესა და ტანზე; სახის გაწმენდა; თმის მოცილების შეკრა – 5 ლარი; დაგარცხნაგასწორება – 5 ლარი. აგრეთვე არსებობს კოსმეტიკისა და საპარიკმახერო, მასაჟის კურსები. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი ზინა. მის: აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

> ეპილაცია ელექტროს ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყოჩიბე მის: მ. „300 არაგველი“, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ეპილაცია ელექტროს ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განკურნებით უმოკლეს ვადაში, შემეჩნევისა და გაღიზიანების გარეშე არ დატოვებთ არც ერთ ნაწიბურს. შედეგი პირველივე სეანსზე. სახის გაწმენდა საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის №66. მ-2 სად. VIII სართ. ბინა 46. ტ: 37-74-22. მანანა

გსურთ, შეიტყოთ თქვენი ბედნიერების ან გაუმართლებლობის მიზეზი? გსურთ წარსულის, აწმყოსა და მომავლის დეტალური მიმოხილვა? გსურთ უტყუარი რჩევები წარმატებისა და ბედნიერების მისაღწევად? – მაშინ მობრძანდით ტაროს და მის მარკეტს, დარწმუნდით მის სიძლიერეში თქვენი შედეგებით! ტელ: 37-86-06 (11-17 სთ)

ექიმი-ფსიქოლოგი (ფსიქოთერაპევტი) გთავაზობთ კონსულტაციებსა და ფსიქოლოგიურ დახმარებას: შიში, აგრესია, აკვიატება, ნევროზი, ეჭვიანობა, უძილობა, დეპრესია, უიმედობა, ცოლქმრული კონფლიქტები, მშობლებისა და შვილთა კონფლიქტები, სიყვარული და ტრანსპერული პრობლემები, ფსიქოსომატიკური და სქესობრივი პრობლემები, ბავშვთა ფსიქოკორექცია. ტელ: 37-86-06 (11-17 სთ)

ფირმა „პროფესიონ“ გთავაზობთ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს, მანსარდების, თუნუქის გადახურვებს, შიდარემონტს – შეკვეთის შესაბამისად, იაფად, საჭირო მასალების ჩათვლით. ტელ: 95-05-56; 893 33-42-11

ტელევიზორების, მაცივრების, სარეცხი მანქანების ხარისხიანი შეკეთება, როგორც დამკვეთის ბინაზე, ისე სახელოსნოში, რომელიც განთავსებულია „რუსთავი-2“-ის პირველ სართულზე, მეტრო „დელისთან“. ტელ: 37-60-45

## მკურნალობა

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, მეტყველების ცენტრის, 23-ე საყავშმოდოდო კლინიკური ექიმ-ლოგოპედი, ფსიქოლოგი – [illegible] ყველა ასაკის, მოკლე დროში, უმტკივნეულოდ, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟით და ლაზერით აპარატებით ახდენს [illegible] ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას – ჭაბუკობის, ნევროზის, პარეზის და სხვა დარღვევების. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

[illegible]

[illegible] ტ. 96-62-58; 899 14-64-95

[illegible] ქ. №18. [illegible] 877 468-253; 91-18-33

[illegible] 10-16 სთ. ტ. 899 97-58-77; 39-58-77 (ნინა)

[illegible] ტელ: 893 39-04-87

[illegible] ქ. №10. ტელ: 61-61-18. [illegible]

[illegible] ქ №18. ტ. 91-18-33

## გაცვლა

[illegible] ქ. №1 [illegible] ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

[illegible] ფასი $25. ტ: 37-38-10; 893 26-70-98.

[illegible] ტელ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89

[illegible] ტელ: 62-11-85 (18 საათის შემდეგ); 899 26-87-29; 899 11-06-25

## იყიდება

[illegible] ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 საათის შემდეგ)

VW Passat, 20. [illegible] 1991 წლის გამოშვება [illegible] $3600. ტელ: 95-63-08. [illegible]

> [illegible] ტელ: 94-27-15; 94-26-47

## შეიძენს

[illegible] 12-17 სთ [illegible]

## ხსოვნა

**ზურა ლალიაშვილის მონატრება**



[illegible]

*შენი ოჯახი*

**ჩვენო საყვარელო ალეკო!**



[illegible]

**გია იოსელიანის ხსოვნას!**



[illegible]

*შენი ოჯახი*

**თალიკო ჩიჩუას ხსოვნას!**



[illegible]

**ლამარა კაკაბაძის მონატრება**



[illegible]

**ქეთინო მოდებაძის მონატრება**



8 მარტს პირველად მოვიდა შენი დაბადების დღე უშენოდ, ტკივილითა და მონატრებით სავსე. 35 წლის უნდა გამხდარიყავი. დაბადების დღეც ლამაზ დღეს გქონდა და მარადისობაშიც ლამაზ დღეს, 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის ბრწყინვალე დღესასწაულს გადაინაცვლე. წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი, სევდა და დიდი მონატრება.

ძალიან გვიჭირს უშენობა. ვერ ვეგუებით, რომ აღარ ხარ, რომ აღარასოდეს გავიგონებ სითბოთი და სიყვარულით წარმოთქმულ შენს სიტყვებს: „ლამაზო გოგო“, „შენ გაიხარე“. ვერ ვეგუებით იმაზე ფიქრს, რომ ასეთ კაფანდარა, ერთი ბეწო გოგოს რამხელა ტკივილისა და დარდის დატევა შეგძლებია; თურმე რა ძლიერი ყოფილხარ, რა მომთმენი... ღიმილიანი სახით სხვას არასოდეს არაფერს აგრძნობინებდი, ყველას დიდ სითბოსა და სიყვარულს უნაწილებდი.

როგორი სპეტაკი სულის, უანგარო, კეთილი, ალალი და უღალატო იყავი, შეგეძლო ყველაფრის უშურველად გაცემა, სანაცვლოდ კი არაფერს ითხოვდი. როგორ გინდოდა სიცოცხლე, რამდენი აუხდენელი ოცნება დაგრჩა გულში, როგორ გიყვარდა შენი ქმარ-შვილი, ვერ ძლებდი მათ გარეშე. 12 წლის ასაკში დედით დაობლებულმა კი, ობლობისათვის გაიმეტე შენი შვილები – გია და თამუნა და სამუდამოდ დატოვე ვახანიების ოჯახი.

თითქოს რაღაცას წინასწარ გრძნობდი, სულ ამბობდი: რომ მოვკვდები სოფელში დედაჩემის გვერდით დამმარხეთო. შეგისრულეს დანაბარები შენმა მამიკომ, ძმამ – ტარიელმა და მეუღლემ ზაზამ, დედის გვერდით დაივანე გიორგეთში სამუდამო ბინა.

მამაშენი ბეჟანი ვერ ეგუება უშენობას, ცრემლი არ შეშრობია მამაშენს, გუგულის, შენს და-ძმას, შენს ოჯახს. მანანა და ტარიელი ვერ ეგუებიან იმ აზრს, რომ აღარასოდეს შეაღებ მამისეული სახლის კარს. ტკივილით და ცრემლით გიგონებენ შენი ბიძაშვილ-მამიდაშვილები.

შენს მაყვალა მამიდას უჭირს უშენობა, ვერ ეგუება, საღამოს რომ არ რეკავ და აღარ კითხულობ: ჩემი ლამაზი გოგო როგორ არისო?

ქეთინო, ძალიან გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი, დაგვიტოვე შენი სურათები და თბილი და ტკბილი მოგონებები.

ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, სპეტაკი და ნაადრევად წასული სული. გვჯერა, რომ შენი სული სამოთხეშია. ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა კი გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*მამიდა – მაყვალა მოდებაძე, ქმარ-შვილით*

**ზურა სირაძის გახსენება**

ჩვენო ზურა!

*ოცდამეოთხე გაზაფხულის ცხოვრების კიბე უეცრად ჩატყდა, ჩვენთან ყოფნა აღარ დაგცალდა,*



*ამ წუთისოფლის უღმერთობის მახვრალმა ხელმა ლამაზ სიცოცხლეს უცაბედად გამოგასალმა.*

*უშენოდ დადგა გაზაფხული ოცდამეხუთე, სევდით ჩამოვა მარტი – შენი დაბადების დღე.*

*შენთვის ვილოცებთ შენი სკოლის პედაგოგები, ზეციურ დასთან ერთად უფალს ევედრებოდე.*

*რით ვანუგეშოთ დედაშენი, სულ ამას ვფიქრობთ, რადგან განგებამ თქვენი ყოფნა ასე ინება,*

*ჩვენ შორის მუდამ იტრიალებს შენი სახელი, სასუფეველში კი ნათელი მოგეფინება.*

*თბილისის 189-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივი*

**ნაზო (ნუკრი) მარკოზაშვილის გახსენება**



14 მარტს ერთი წელი გახდება, ნაზო, რაც სამარადისო სასუფეველში დაიდე ბინა და ტოლ-ამხანაგებს გამოგვაკლდი. გწამდეს, რომ ჩვენს გულებში მარად იცოცხლებ...

*არ მოკვდი, მხოლოდ გარდაიცვალე, უკვდავი ქვეყნად არავინ არის.*

*შენი სპეტაკი სული მიწაზე, არ დაეცემა არასდროს მკვდარი.*

*შენ ცოცხალი ხარ, ხალხის გულებში და არ მოკვდები, არასდროს, ნაზო!*

*თუ დაილევა მთელი სამყარო, მკვდარად თავი მაშინ ჩათვალე მარტო.*

*თამარ კახნიაშვილი*

**კახა კაპანაძეს!**



ერთი წელია, რაც ჩვენთან აღარ ხარ. 40 წლისა წახვედი ამ ქვეყნიდან, მხოლოდ 40-ის. ერთი წელია, რაც შენს ლამაზ სულს თვალცრემლიანნი ვუნთებთ წმინდა სანთლებს.

წახვედი და უნუგეშოდ დატოვე უსაზღვროდ დამწუხრებული ჭაღარა დედა, ოჯახი, ახლობლები. ძნელია უშენოდ ყოფნა, შენი თბილი ღიმილისა და თვალების დავიწყება. ძალიან კეთილი, თავმდაბალი, ალალმართალი, ყველასათვის საოცრად საყვარელი იყავი.

გჯეროდეს, ჩვენთვის მუდამ ლამაზ მოგონებად, მოუშუშებელ ჭრილობად და დიდ მოგონებად დარჩები.

*შენი ოჯახი და ნათესავები*

**იური კობახიძის ხსოვნას!**



ჩვენო იური, კარგო მეუღლევ, ძვირფასო მამავ და ბაბუავ, 14 მარტს ორმოცი დღე ხდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ენატრები მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, ნათესავებს, მეგობრებს. შენს სურათს ყოველ დილით ესალმებიან შვილიშვილები და ლოცვებს კითხულობენ. ყველას გვიჭირს უშენობა, უცრემლოდ არ გაგვიხსენები, დღემდე ვერ გაგვირკვევია, ჯანმრთელ კაცს, რატომ გერგო ასეთი მძიმე ხვედრი, შენ ხომ ძლიერი იყავი, დაუღალავი და ენერგიით სავსე.

ვილოცებთ შენთვის და ისღა დაგვრჩენია, რომ კელაპტრად წაგიძღვეს შენი სიკეთე, სითბო და სიყვარული.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ნათელი სული.

*შენი საყვარელი ოჯახი*

**გოგი როსტიაშვილს!**



ჩვენო გოგი, ჩვენო უღალატო მეგობარო, კაცურო კაცო, სიკეთითა და დიდსულოვნებით გამორჩეულო, ყველასათვის კეთილო და ბავშვივით მიამიტო, ჩვენი შეკრება ყოველთვის შენით იწყება და შენით მთავრდება. ფეხზე ადგომით, თვალცრემლიანები გადღეგრძელებთ და კარისკენ გაგვირბის თვალი – გვგონია, რომ კიდევ შემოხვალ შენებურად, ვაჟკაცურად, ღიმილით, სიხარულითა და სიყვარულით სავსე გულით. რა დასანანია, რომ ასეთმა კაცმა არ დატოვა შთამომავლობა, ბედმა თუ იღბალმა არ გაგიმართლა.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული, ჩვენო ერთგულო მეგობარო.

*შენი სამმო კასპიდან: ვახო, გია, კოსტა*

**გოგი როსტიაშვილის ხსოვნას!**

სულით სპეტაკო, გულთბილო და სიცოცხლით სავსე, ჩემო დარდო და დიდო ტკივილო, ძმაო გოგი! რა მწარეა და გაუსაძლისია ჩემი სიცოცხლე უშენოდ. რა მოულოდნელად დამტოვე, დარდით და უთქმელობით გასივებული გული გაგიხეთქა მტკვარმა.

გული სითბოთი და სიამაყით გევსებოდა, როცა შენი დისშვილი – ზვიადი ლამაზად გაშლიდა მკლავებს და შენგან ნასწავლ ცეკვებს ცეკვავდა.

გჯეროდეს გოგი, ვიდრე ცოცხალი ვარ, შენით გამოწვეული სევდა არ გამივლის და გულში დანთებული ცეცხლი არ ჩაქრება. შენს სიკეთეს, ვიცი მანდაც არ დაიშლი, ბავშვებს მანდაც მოეფერები, შენს პატარა მარინესაც სათუთად მიხედავ.

ღმერთმა ნათელი დაადგას შენს სულს!

*შენი და ციური*

**ხათუნა ავთანდილის ასული ფოლადაშვილი-გამხუაშვილის ხსოვნას!**



12 მარტი შენი დაბადების დღეა, ხათუნა! 28 წლის გახდებოდი. მეხუთე დაბადების დღეს ვხვდებით, შვილო, უშენოდ, ტკივილითა და ცრემლით. რა ბედნიერები ვყოფილვართ, შვილო, შენთან ერთად და რა უბედურები ვართ უშენოდ. შენი შვილები – ანი და ნიკა გილოცავენ დაბადების დღეს. ვაი, რომ დედას ვერავის დაუძახებენ. შენი ანი უკვე მესამე კლასშია და დაბადების დღეზე თავის ფრიადებს გიძღვნის. შენი ნიკა კი, წელს შეაღებს სკოლის კარს. გვენატრები, ჩვენო საყვარელო შვილო და ღმერთს შევთხოვთ, სასუფეველი დაგიმკვიდროს ცათა შინა.

*მშობლები*

**თინა ნაკაიძის მონატრება**



მძიმე იყო გასული გაზაფხული ჩვენთვის. ძნელია შენზე წარსულში საუბარი, მაგრამ უკვე წელიწადი გავიდა უშენოდ, ჩვენო საყვარელო დედიკო! ძალიან გვაკლია შენი ვაჟკაცური სიტყვა, მხარში ამოდგომა, ოპტიმიზმი, სითბო და სიყვარული.

ძალიან დააკლდათ შენი მზრუნველი ხელი შენს შვილიშვილებს, ძმებს, რძლებს, შენს ყველა კოლეგას და პაციენტს. შენ მთელ აჭარას დააკლდი!

დედის დღეს და 8 მარტს გილოცავთ, ჩვენო საყვარელო დედიკო! ძალიან გვენატრები. ასე შორიდან გეფერებით და გესიყვარულებით. ღმერთმა განათლოს შენი ლამაზი სული და დაგიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი.

*შენი შვილები: რამაზი, ჯემალი, ნათია*

**მიშა ანთელავას მოსაგონარი**



ჩვენო საყვარელო მიშა, დრო ულმობელი სისწრაფით გარბის! 13 მარტი შენი ავტოკატასტროფაში ტრაგიკული დაღუპვიდან მეორმოცე დღეა. სულ რამდენიმე თვე იმუშავე ჩვენს კოლექტივში, მაგრამ თითოეული ჩვენთაგანის გულში სამუდამოდ დაიმკვიდრე ადგილი. ცრემლნარევი ღიმილით ვიგონებთ შენთან გატარებულ დღეებს. ვინაიდან ეს ის მოგონებებია, სადაც შენ ცოცხლობ, მიშა, ჩვენო მოსიყვარულე თავზიანო, მუდამ მოღიმარო, სიცოცხლით აღსავსე ბიჭო.

შენმა წასვლამ სულიერად გაგვანადგურა და ყოველ დღეს უსაზღვრო ტკივილი მოაქვს. ამ ტკივილს ის უფრო ამძაფრებს, რომ შენ, ქართველთა და აფხაზთა ღირსეულ შთამომავალს, მშობლიური სოხუმიდან შორს შემოგიღამდა შენი ცხოვრების ოცდამეშვიდე წელიწადი.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს მიშა ანთელავას სული. ამქვეყნად კი, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

*აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს თანამშრომლები*

**კახას მონატრება**



ჩემო კახა! იყო ჩემთვის ბედნიერი, სიხარულის, ტანჯვის და სიყვარულის დღე – 1969 წლის 13 მარტი, – შენი დაბადების დღე. მას შემდეგ 32-მა წელმა გაიელვა. ბედნიერი ვიყავი 2001 წლის 14 დეკემბრამდე, როცა შენ დატოვე ამქვეყნიური წუთისოფელი და გადახვედი მარადიულში. მას შემდეგ დამრჩა მწუხარების დღეები – შენ გალმა დარჩი, ჩვენ გამოღმა. შენ, ბავშვობიდანვე ქრისტესმიერი ანგელოზი იყავი და დარჩი სიკვდილითაც. 32 წლის აღესრულე, თანაც პარასკევს, ყველას სიყვარულში. მე უფალს ცოცხლად ჩავაბარე შენი თავი, მაგრამ ჩემთვის დიდი მწუხარებაა, რომ ეგ კარი, რომელიც ჩემთვის იყო ღია, სიჩქარით შენ შემასწარი...

ვიმედოვნებ, რომ შენ ყოველთვის გესმის უფლის ხმა: „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ დასაბამითგან სოფლისათ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი“.

ამ მონატრებით გილოცავთ დაბადების დღეს – 16 მარტს, შენ 34 წლის გახდი. ილოცე შვილო ჩემო, შენი ობლებისათვის, რომ გაიზარდონ ისეთები, როგორიც შენ იყავი, მაგრამ დედა მოგიკვდეს, შენ ვერ მოესწრები.

*შენი უბედური მშობლები*

**ელგუჯა გაბუნიას გახსენება**



ერთი წელი გავიდა 12 მარტს, შენი ამქვეყნიდან წასვლიდან, ელგუჯა, როცა ერთი დღითაც ვერ ვძლებდით უშენოდ. ერთი წელი – სიცოცხლის ტანჯვის, ტკივილის და ცრემლის წელი. უშენობამ საშინელი დარდი დაგვიტოვა, წარსულის მონატრება და იმედი, რომელსაც შენთან მოვყავართ.

შენ ხომ თავად სიკეთე და სათნოება იყავი, შენ გარშემო სხვანაირი სითბო, ალერსი და სიმშვიდე იფრქვეოდა. ამიტომაც გვჯერა, რომ შენი სული ანგელოზებმა სამოთხეში დაამკვიდრეს. ჩვენ კი ტკივილი და მოუშუშებელი ჭრილობა დაგვიტოვე, რომლის განკურნება არანაირად არ შეიძლება.

შენ ხომ ჩვენი ოჯახის იმედი და სიყვარული იყავი. ვაი, რომ ამ სიყვარულმა ვერ მოგვიარა, ვერ დაგაკავა ჩვენთან, მაგრამ ყოველთვის ჩვენი საფიცარი მეუღლე, მამა, ბაბუა, სიმამრი იქნები. ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ ვართ შტო იმ ვაჟკაცისა, რომელმაც კაცურკაცობით იცხოვრა ამ ქვეყანაზე. გწამდეს, სანამ ვარსებობთ, სანთელ-საკმეველი არ მოაკლდება ამქვეყნიური ცხოვრებიდან წასულ კაცს, რომელსაც ელგუჯა ვლადიმერის ძე გაბუნია ერქვა. მართალთა თანა განუსვენე უფალო, წუთისოფლის ბოლომდე კაცად შერჩენილ ელგუჯა ვლადიმერის ძე გაბუნიას.

*ოჯახი*

**ამირან ნიკოლოზის ძე გურგენიძის ხსოვნას!**



ჩვენო ამირან! რომ არა შენი ნაადრევი სიკვდილი, 65 წელი შესრულდებოდა ჩვენი ძმური, ხალასი მეგობრობისა. შენსავით აკურატული, მუდმივად მოწესრიგებული, თავმდაბალი ადამიანი დიდხანს უნდა ცოცხლობდეს, შენ კი მხოლოდ 80 წელი შეგისრულდა. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

*მეგობრები: გოგი, ნიკუშა*

**ბორის მიხეილის ძე რეხვიაშვილის მონატრება**



ძვირფასო მამა, ჩვენო დიდო სიამაყე, რა წყნარად და მოულოდნელად წახვედი, დააკლდი შენს საყვარელ მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, დედმამიშვილებსა და სოფელს. შენ ხომ დიდის კარგი მეუღლეცა და კარგი მეგობარიც იყავი.

მეამაყებოდი ყოველთვის. შენს გაზრდილ შვილებს ერთმანეთი რომ გვიყვარებოდა, ბავშვობიდან გვასწავლიდი. შენმა წასვლამ კიდევ უფრო გამიღრმავა დისადმი სიყვარული. მარინა თავისი ოჯახით ძმასავით მიდგას გვერდში და ორივენი შეძლებისდაგვარად ვცდილობთ ვანუგეშოთ მწუხარე დედა.

წელს 67 წელი შეგისრულდებოდა. პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს, 15 მარტს. ენატრები უსაზღვროდ შენს საყვარელ ცოლ-შვილს, შვილიშვილებს, დედმამიშვილებს, ყველა იმ ადამიანს, ვინც გიცნობდა.

საოცრად კეთილი და უანგარო იყავი ყველასთვის, ამიტომაც გაგყვა უკანასკნელ გზაზე დიდი სიყვარული და ცრემლი.

ღმერთმა დაგიმკვიდროს სამუდამო სასუფეველი და ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩემო მამა.

*მამუკა რეხვიაშვილი ოჯახით*

**გულადი ახობაძის ხსოვნას!**



გულისტკივილით გიხსენებთ, საყვარელო მამა. წელიწადი გავიდა, დარდითა და ცრემლით. უსაზღვროდ გვენატრები. გვენატრება შენი სითბო და ალერსი. მუდამ გვეყვარები და გვეხსომები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*მეუღლე ნათელა; შვილები: მარიკა და აკაკი*

> მეუღლე ვალიკო ცანკაშვილი; შვილები: ნინო, პაატა; და ეთერი; ძმა კარლო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
>
> **ნათელა ალექსანდრეს ასული კობერიძე**
>
> *პანაშვიდი:* 9, 10 მარტს, 16 საათზე;
> *დაკრძალვა:* 11 მარტს, 15 საათზე, თბილისში.
> *მისამართი:* ბუდაპეშტის ქ. №12, III სადარბაზო.

> მეუღლე ზოია გალდავა; შვილები: დათო, თამუნა; სიძე ზაალ სანაძე; შვილიშვილი მამუკა სანაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
>
> 
>
> **ლონგინოზ ათანასის ძე თოდუა**
>
> *დაკრძალვა:* 11 მარტს.
> *მისამართი:* მარტვილი, 9 აპრილის ქ. №9

> თსუ-ს ეკონომიური ფაკულტეტის 1966 წლის გამოშვების ყოფილი სტუდენტები იუწყებიან თანაკურსელის
>
> **ავთანდილ (ავთო) ვლადიმერის ძე ახალკაცის**
>
> გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# „გოლგოთის“ გველი

## ცოდვაბრალიანი ამბავი

შვილიშვილის დაბადებამ სიხარული ელდად გადაუქცია ანო ბაბოს. აღარ იცოდა, რით ენუგეშებინა ქალიშვილი და სიძე. თუმცა ნუგეში ვეღარაფერს შეცვლიდა. ჩვილს ქვედა კიდურები მენჯებზე ჰქონდა შეზრდილი... დაზაფრული ცოლ-ქმარი სიყრმის შვილს დაჰკანკალებდა. წამოიზარდა ბიჭი, — თვალხატულა, გონიერებით გამორჩეული. მისი მშვენიერი ზედატანი კი მტკაველა ფეხებზე დარჩა. 10-12 წლის მერე კიდევ მიეცათ შვილი. ამჯერად გოგონა — მარცხენა ხელის მტევანი პირდაპირ იდაყვზე ჰქონდა გამობმული. უძლური აღმოჩნდა მედიცინა.

— მე დამსაჯა ბუნებამ, გაუმხელელ ცოდვას საფლავში ვერ წავიღებ, მინდა გული გადაგიშალოო, — მითხრა ანო ბაბომ, — ადრე დავობლდი. ძალოჩემმა გამზარდა. ბიჭი ჰყავდა ჩემი კბილა — თედო. ორივეს გვაწოვებდა ძუძუს. ჩემი სურვილით გამათხოვა. სიკეთით სავსე ოჯახში მოვხვდი. ერთი პური რომ გვესესხა, დედამთილი ორს გამატანდა ხოლმე პატრონთან — სესხსაც უნდა უხაროდესო. ომი რომ დაიწყო, ოთხი თვის ფეხმძიმე დავრჩი. ჩემი ქმარი შვილის ნახვას ვერ მოესწრო. დედამთილ-მამამთილი დარდს გადაჰყვა. ბედმა ახლა მე მარგუნა ობლის გაზრდა. ჩემი ბიძაშვილი დაჭრილი დაბრუნდა, მალე დაწვრილშვილდა, მაგრამ მეც ძმასავით გამომიწოდა ხელი. სახლი გადამიხურა. ვენახები გვქონდა გვერდიგვერდ — მიჯნაზე სათიბი დამიტოვა. მამულები ივრის პირას, სოფლიდან 5-6 კილომეტრით იყო დაშორებული და ფეხით სიარული ჭირდა. თედოს ცხენის ორთვალა ჰქონდა გამართული. ჩამოივლიდნენ დილაადრიან ჩემი რძალი და ბიძაშვილი, გადმომძახებდნენ — ანოო და მიწაზე ფეხს არ დამადგმევინებდნენ ვენახამდე. ვცხოვრობდით ასე — სიამტკბილობით. ჩვენი სარჩო-საბადებელი ის მამულები იყო, იქ ვათენ-ვაღამებდით,ნაირნაირი ხეხილი გვედგა — ძალოჩემის დამყნობილი და გადარგული. მეტი რაღა შავი ქვა მინდოდა მე ბედკრულსა და უმადურს. მაინც მაცდუნა ეშმაკმა. პირველად ატმებზე წამიცდა ხელი. ორი-სამი კალათი გავავსე და ბაზარზე გავიტანე. ვარდისფრად ღადღადებდა. ხელად დაიტაცეს. იმ ფულით ლამარას საკაბე ვუყიდე და შინ გახარებული წამოვედი. ცოდვიან სულს ხშირად გარეგანი თვალსატყუარობის ნიღაბი აფარია, შვილო, — კუს ჯავშანივით გამძლე. თუ ერთხელ გამაგრდა, გაუხეშდა, ვეღარ გააფაქიზებ. ჩვეულება კი მართლა რჯულზე უმტკიცესი ყოფილა. ხელმრუდობა ისე ჩამეკირა ძვალ-ხორცში, რომ ვიხსენებ, ეკალს მაყრის ტანზე. ჰოდა, დავდექი ამ უბედურ გზაზე. აბა, ჩემზე ცუდს ვინ იფიქრებდა, მე კი... გავიგულებდი თუ არა ჩემს ბიძაშვილს, შევიპარებოდი იმის ვენახში, ხან გარგარით სავსე კალათები მიმქონდა ბაზარში, ხან ბლით, ყურძნით და რა ვიცი, რაც თვალში მომხვდებოდა. კიტრიც ბევრჯერ დამიკრეფია, პამიდორიც, წიწაკაც... ერთხელ მწიფე ალუჩა დავკრიფე და ისეთი საწებელი გავაკეთე, თითებს ჩაიკვნეტდი. იმჟამად ვენახს ჭრაქი მოედო. ჩავედი და შეწამლული დამხვდა. დავეცი მიწაზე, ვიტირე, ვიბღავლე, თავში ვიცემე, თმა ვიგლიჯე... რას ჩავდივარ, მე ვპარავ, ის ასეთ სიკეთეს მიკეთებს. იმას ექვსი შვილი ჰყავს, მე ერთი — პირიდან ლუკმას როგორ ვაცლი-მეთქი. დავიფიცე დაკარგული ქმარი და კარგა ხანს ხელი აღარაფრისთვის მიხლია. დავდიოდი მსუბუქად, თითქოს წისქვილის ქვასავით მძიმე ლოდი მომეხსნა ზურგიდან.

დადგა შემოდგომა. ისევ გაიღვიძა ეშმაკმა, ისევ წამიცდა ხელი. ისევ გავავსე წითელი ვაშლებით კალათები — ძლივს მივათრევდი ნაქურდალს. თედო წამომეწია ცხენის ურმით. ბარგი ჩამომართვა, მეც ზედ დამსვა და შინამდე მიმაცილა. არ უნდა გამხეთქოდა მიწა? არ უნდა მეყვირა? მაგრამ ხმა გავიკმინდე, დავმუნჯდი.

ჩემი ბიძაშვილი კარგი მონადირე იყო. თოფი მუდამ თან დაჰქონდა. ერთხელაც, მზე რომ გადაიწვერა, ვენახებიდან ყველა გაიკრიფა. მეც გადმომძახეს — ანო, არ მოდიხარო? — ჯერ არა-მეთქი, ავითრიე ფეხი. ცოტა ხანში თედოს ქოხში შევიხედე. ისიც აბარგებულიყო. დრო ვიხელთე და ნაყოფით დახუნძლული ვაშლის ტოტი დავიწოდე. გავავსე ერთი კალათა, მეორე და უცნაური კნატუნი შემომესმა. გოჭი მეგონა, მაგრამ იქ გოჭს რა უნდოდა. ისევ „საქმეს“ შევუდექი. უცებ ფეხებთან რაღაცამ გაიშლიგინა. დავიხედე, კვამლსადენის სისქე, ჭრელი უხსენებელი დავლანდე. „გველი“, — ამოვილუღლუღე და მოცელილი დავეცი წყეულს. გონს სატვირთო მანქანაში მოვედი. კაბინის კიბეზე თედო იდგა თოფაკიდებული და ცალი ხელით მე მაკავებდა. ფეხებთან კალათები ჩაეწყოთ. ბინდი გადამეფარა თვალისჩინზე. მაინც ვხედავდი: ვაშლებიდან გველები ამოდიოდნენ და ფეხებზე მეხვეოდნენ... შინ ცოცხალმკვდარი მიმიტანეს. ძალოჩემის წამლების გარდა, არაფერმა მიშველა. მოსახვევი რომ მოვიხადე, ჩემი შავი ნაწნავები თეთრად ჩამოიშალა...



გვიანღა გავიგე: თედო იქვე ყოფილა ვაზებს ამოფარებული. ალბათ აინტერესებდა, ვინ ჰპარავდა მოსავალს. ხელში მე შევრჩი. კრინტი არსად დაუძრავს. გველი თოფის ლულით ამაგლიჯა თურმე. განზე გადაისროლა და ტყვია დაახალა. ვენაცვალე იმის სულს, ნეტა მე მოვეკალ, ან იმ წყეულს მოვეხრჩვე, ცოდვილი რად დამტოვა დედამიწაზე. სოფელში ხმა დაირხა — თედოს „გოლგოთის“ გველი მოუკლავსო. გოლგოთას ყორულის ნაკრძალთან, დაცემულ მინდორზე ამოზიდულ ბორცვს ეძახდნენ. მოედებოდა ზაფხულობით შალაფა, აიქოჩრებოდა და მიუდგომელი ხდებოდა. დედაკაცი დავბერდი და დღემდე არ ვიცი, რად ერქვა ამ ადგილს გოლგოთა. გამვლელ-გამომვლელი გვერდს უქცევდა. იქა ბუდობდა წყეულთა ოჯახი. მე თავმკვდარი თედოს თვალს ვეღარ ვუსწორებდი. ის მაინც ძველებურად მეხმარებოდა.

...ფეხზე ღია ჭრილობა გაუღიზიანდა. მუცლის ტკივილი დაეწყო. ეგონათ, ბრმა ნაწლავი გაუსკდაო და პროფესორი მოიკითხეს. მოსკოვში მიფრინავსო, — თქვა ვიღაცამ. ვიქირავე ტაქსი, გავვარდი აეროპორტში. გასასვლელთან მივუსწარი პროფესორს. დავუჩოქე, მუხლებზე მოვეხვიე — ერთი ძმა მყავს, მიკვდება, მიშველეთ-მეთქი. გამომყვა ის დალოცვილი. მთელი ღამე საოპერაციოდან არ გამოსულა. განგრენა მოსდებოდა ნაწლავებზე თედოს. შევედი. მინდოდა პატიება მეთხოვა. შემომცინა: „არჩილი მოვიდა და გულზე მარწყვით სავსე კალათა დამადგაო“. ჩემი ქმარი იყო არჩილი. იქნებ ის სთხოვდა შენდობას ჩემ მაგიერ... ვინ იცის... მალე გარდაიცვალა. თან წაიღო ჩემი ცუდქალობის საიდუმლო.

მას შემდეგ უფრო დამიმძიმდა ტვირთი. როდემდე უნდა ვზიდო, სიკვდილსაც დავავიწყდი, ვეღარ დამიბნელა მზე... ან რად მომივლინა განგებამ მაინცდამაინც „გოლგოთის“ გველი, არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ ჩემი უცოდველი შვილიშვილების სატკივარი მე დავთესე, ცოცხლად დამიწებულმა.

*თუთი რატიანი*

ჩვენ გვწერენ

# თივა საეჭვოდ გამხმარიყო



ბარდუბნელი ნიკო ქათამაძე იფიცება, — ცხონებული ბაბუაჩემი ესტატე გვიამბობდა, — ამ ჩვენს სოფელ-გარემოში სულები და მოჩვენებები ბინადრობენ, ზოგი გვმფარველობს, ზოგი — ცოდვილთ მტრობსო. ბავშვს, ცხადია, მეშინოდა იმ ჭინკების თუ ანგელოზებისა, მაგრამ კაი შეღერებული ბიჭი ვიყავი, ერთ ღამეს მე თვითონ რომ გადავეყარე ამ სულსო...

თურმე ნიკო ბაბუა ღამით, საბარგო მანქანით ბრუნდებოდა ფერმიდან. ბენზინი გათავებია. გზის პირას გაუჩერებია მანქანა და „კანისტრიდან“ ბაკში ჩაუსხამს საწვავი. უცებ შორიახლო თივის ზვინი დაუნახავს. სულს წაუძლევია — ცოტას ბოჩოლას წავუღებო და ერთი იღლია თივა მოუგლეჯია. იმავ წუთს ზვინიდან გამოსულა ორი მეტრი სიმაღლის, სრულიად გამჭვირვალე კაცი და წინ გადადგომია.

თითქოს დენმა დაარტყაო — ნიკო ბაბუას კანკალი ავარდნია. შეშინებული შევარდნილა მანქანაში და გაუქროლებია.

კარგა მანძილის გავლის შემდეგ უფიქრია, ნამდვილად მომეჩვენა და არანაირი სულიერი თუ ავსული იქ არ ყოფილაო. თან ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა თურმე. გაბრუნებულა, საეჭვო ზვინი გულმოდგინედ დაუთვალიერებია, მაგრამ ვერა კვალი ვერ უნახავს. დაუყრია საბარგულზე თივა და გზას დადგომია.

შინ მისულს საბარგული ცარიელი დახვედრია!

უთუოდ მინდვრის და მოსავლის მფარველი კეთილი სული იყო, არ დამანება სხვისი ნაჭირნახულევის მითვისებაო, — დასძინა ნიკო ბაბუამ.

*ნათელა კლდიაშვილი*

# ქოთანი — აკუმულატორი

ეს უცნაური ნივთი არქეოლოგებმა 1936 წელს აღმოაჩინეს და ძვ. წელთაღრიცხვით III ათასწლეულს მიაკუთვნეს. ის ძალიან ჰგავდა ელექტრონულ აკუმულატორს. ამაზე მეტყველებდა ბოლოდახურული სპილენძის მილი, ლითონის ღერძი, დაფხვნილი ასფალტის თუ ბიტუმის ნატეხები.

ბრიტანეთის მუზეუმის ერთმა მეცნიერმა, ქოთნის დათვალიერების შემდეგ თქვა: — ცოტა მჟავა ან ძმარი რომ დავუმატოთ, მივიღებთ ელექტროდენის წარმომქმნელ ელემენტსო.

ჩატარდა ცდა და დარწმუნდნენ, რომ რამდენიმე ასეთი ელემენტის აკუმულატორთან შეერთება წარმოქმნის საკმარის ენერგიას, რათა დაირეკოს ზარი ან აინთოს პატარა ნათურა. ძმრით ან ლიმონმჟავით ავსებული სპილენძის მილი 18 დღის მანძილზე გამოიმუშავებდა 0,5 ვატის სიმძლავრის დენს.

საკითხავია, რისთვის სჭირდებოდათ ორი ათასი წლის წინ აკუმულატორი? შესაძლოა, მას ბაბილონელი ექიმები იყენებდნენ ადგილობრივი ანესთეზიისათვის, ანდა სპილენძის საიუველირო ნაკეთობების ვერცხლით დასაფარავად. შესაძლოა ამ მოწყობილობას ალქიმიკოსებიც იყენებდნენ, თუმცა უცნობია მიზანი. ძველი ოსტატები მალავდნენ მეცნიერულ მიღწევებს.



*მეგაპოლის ექსპრესი №6*

## „საზალდო–სალაღო“ გვერდის პასუხები

I. 6 თევზი;

II. აბა, გამოიცანი
1) — ბ); 2) — გ); 3) — ა);
4) — ბ); 5) — გ); 6) — ბ);
7) — ა); 8) — ა).

III. 1) — ა); 2) — ბ); 3) — დ);
4) — ე); 5) — გ);

IV. რებუსი
ბოროტებას ბოროტებით ვერ დაამარცხებ.

V. ირემი.



# ᲡᲐᲓᲐᲛᲘ ᲡᲐᲓᲐᲛᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ!



მსოფლიოს წამყვანი სააგენტოები ყოველდღიურად იტყობინებიან, ერაყში საომარი ოპერაცია გარდაუვალიაო. იმავდროულად კი კანადურმა გაზეთმა „უიქლი უორლდ ნიუსმა" სენსაციური სტატია გამოაქვეყნა. მასში ნათქვამია, ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი არ არის, ისევე როგორც აღარ არის ამქვეყნად სადამ ჰუსეინი. ჯერ კიდევ 1991 წელს, ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის" დროს ერაყის პრეზიდენტი დაიღუპა მაშინ, როცა მის სასახლეს ბომბი მოხვდა. სადამის ორეულების არსებობის შესახებ ლაპარაკი დიდი ხანია, რაც დაიწყო. სწორედ ერთ-ერთს შეუცვლია დიქტატორი. ერთი წლის შემდეგ აშშ-მა ზესაიდუმლო ოპერაცია ჩაატარა და ბაღდადში ორეულის ნაცვლად, ამერიკული „ჰუსეინი" დააბინავეს. იგი გფბ-ს თანამშრომელი, წარმოშობით ქუვეითელი ყოფილა.

მაშ, რატომღა აუღარუნებს იარაღს ერაყი? აშშ-ში ეკონომიკური პრობლემების გამო ცხოვრების დონე დაქვეითდა. ომი კი, როგორც ცნობილია, უმუშევრობის პრობლემას აგვარებს. გაზეთი ასევე აღნიშნავს, რომ აშშ-ს სულაც არ აძლევს ხელს ერაყული ნავთობის მსოფლიო ბაზარზე გაბატონება. „შავი ოქროს" ფასი დაეცემა და ეს აშშ-ის ეკონომიკაზეც აისახება. ასე რომ, ათწლეულების მანძილზე ერაყში აშშ-ის მარიონეტი „ეკონომიკური სტაბილიზატორის" ფუნქციას ასრულებს.

*ნიუ ზუიქი*

# ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ




ინგლისის სამეფო ოჯახში საკუთარი მსახიობი გაჩნდა: ჰარი, უელსის პრინცის ჩარლზის უმცროსი ვაჟი, სიამოვნებით გადის რეპეტიციას შექსპირის პიესისთვის, „ურზაური არაფრის გამო". სასკოლო სპექტაკლში ჰარი ასრულებს ლოთი და შფოთისთავი ბორაჩიოს როლს.

ამბობენ, პრინცს იმდენად კარგად გამოსდის ყველაფერი, მამილი სერიოზულად შეფიქრიანდა, საიდან უნდა ჰქონდეს მის ვაჟს ამხელა ცხოვრებისეული გამოცდილება. უელსის პრინცს მხოლოდ ერთი რამ ამშვიდებს: დედოფალი ელისაბედი ნამდვილად ვერ მოიცლის სასკოლო სპექტაკლის სანახავად...

*ობსერვატორი*

# ჩუბინი ღორი



პანამელი ფერმერი დევიდ მონტანო რას წარმოიდგენდა, თუ უბეში „გველს" ზრდიდა!

ერთ მშვენიერ დღეს, ნადირობიდან შინ დაბრუნებულმა დევიდმა იფიქრა, ცოტას წავიძინებბო და მაგიდას მიუჯდა. დატენილი თოფი იქვე, მაგიდის კიდეს მიაყუდა. ამ დროს ოთახში შევარდა მისი საყვარელი ღრუტუნა, იარაღს წამოედო და გასროლაც გაისმა. ღორი დიდი ჩუბინი გამოდგა — ფერმერს ტყვია თავში მოხვდა და იქვე განუტევებდა სულს, სროლის ხმაზე დაფეთებული მეუღლე რომ არ შემოსულიყო.

დევიდი გადარჩა. საავადმყოფოდან შინ მობრუნებულს ღრუტუნა ისეთი სიყვარულით შეხვდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო!

*ოკნა №19*

# შედევრი 12 საათში

გერმანელ მწერალთა 40-კაციანი ჯგუფი წიგნის დაწერის მსოფლიო რეკორდის დამყარებას აპირებს. გერმანელებს სწორედ ამ გზით სურთ აღნიშნონ 23 აპრილი — მსოფლიო წიგნის დღე. ამ დღეს მათ დილადრიან მიეცემათ თემა, რომელსაც დაწერის შემდეგ სასწრაფოდ გადასცემენ სტამბას. საღამოს უკვე გამზადებული წიგნები გერმანიის ათობით წიგნის მაღაზიაში შევა. აქციის ყოველმა მონაწილემ ორი გვერდი მაინც უნდა დაწეროს, წიგნში სულ 86 ფურცელი იქნება. აქციის ორგანიზატორია „მკითხველთა ფონდი". შარშან ფონდმა ეს დღე აღნიშნა ყველაზე დიდი საბავშვო დეტექტივით, რომელსაც 17 ათასი სხვადასხვა დაბოლოება ჰქონდა. მისი ავტორები გერმანელი ბავშვები იყვნენ.

*ოგონიოკი №7*

# მონაზონი იცავს კანონს



19 წლისა მივიდა ანა ჰასკინსი კათოლიკურ დედათა მონასტერში და 14 წლის შემდეგ დატოვა მისი კედლები. 25 წელი სკოლაში ასწავლიდა რელიგიას, მათემატიკასა და ლიტერატურას. ამავე დროს, გულში ფარულად ოცნებობდა, გამხდარიყო... პოლიციელი.

ბოლოს და ბოლოს, მიმართა ქალაქის შერიფს და მისი თანხმობით ეწია საწადელს.

ყოფილი მონაზონი 8 თვე გულმოდგინედ ემზადებოდა გამოცდებისთვის, გადალახა ყველა დაბრკოლება და გამოცდებზე ყველაზე მაღალი ქულები დააგროვა.

ოდესღაც ბიბლიით ხელში წესიერების მქადაგებელი მონაზონი დღეს ღვთის კანონებს ათვაზნიანი პისტოლეტით იცავს.

ქალბატონი ჰასკინსი შერიფის თანაშემწეა.

მონასტერში ვისწავლე თანაგრძნობა, მოძმის სიყვარული. ჩემს ახალ საქმიანობას ბევრი საერთო აქვს ძველთან, მსურს თავი მივუძღვნა ღმერთსა და ვემსახურო ხალხს. ვგრძნობ, რომ სწორედ ამ მისიას ვასრულებო, — ამბობს ახალგამომცხვარი კანონის დარაჯი.

ყოფილი მონაზონი პოლიციელის ნიშანთან ერთად ჯვარსაც ატარებს.

*ჟენსკიე დელა №2*

# ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ



სამეფო გვარის წარმომადგენლები რეკლამისგან შორს არიან. მაგრამ უელსის პრინცმა დაუწერელი წესის დარღვევა გადაწყვიტა. ბრიტანეთს რამდენიმე წლის წინ ძროხის ცოფის ეპიდემიამ დიდი ზარალი მიაყენა. რომელი ერთი უნდა ჩამოითვალოს: ასეულობით დაღუპული ბიფშტექსების მოყვარული, სასწრაფოდ განადგურებული ჯოგები, გაკოტრებული ფერმერები... ერთი სიტყვით, ეს არის ეროვნული უბედურება, რომელსაც პრინცმა ჩარლზმა ბოლო უნდა მოუღოს — მან პირველმა გაუსინჯა გემო იტალიაში საექსპორტოდ გასაგზავნ ხორცს.

ბრიტანელები პრინცის თავდადებით აღფრთოვანებულნი არიან. ისინიც კი, რომლებიც ვირუსის უეჭველი თუ პოტენციური მატარებლები ბრძანდებიან, — არც გასაკვირია, კოლექტიური სიკვდილი უფრო იოლი საქმეა, ვიდრე ინდივიდუალური, ამბობს ზოგიერთი. მით უმეტეს, თუ მათ შორის თვით ტახტის მემკვიდრე იქნება!

*ტაიმი*

# „ᲒᲝᲓᲘᲨᲘ, ᲨᲔᲪᲓᲘᲗ!"

ინდოელმა პრატაპ ნიაკმა ციხეში ზედმეტი რვა წელი იყურყუტა მას შემდეგ, რაც სასამართლომ იგი უდანაშაულოდ ცნო.

1988 წელს მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა სისხლიან გარჩევაში მონაწილეობისთვის. მრავალწლიანი პროცესის შემდეგ სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა, მაგრამ პროცესის მეორე დღეს მისი ადვოკატი გარდაიცვალა და პატიმრისთვის არავის შეუტყობინებია, თავისუფალი ხარო.

*ვესტი*

# მუსიკოსი მშვიდობის დამცველი გახდა



ირლანდიელი როკ-ვარსკვლავი, ჯგუფ U2-ის სოლისტი, ბონო წარდგენილია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულ, ნობელის მშვიდობის პრემიაზე. მუსიკოსი, რომელიც 1980-იან წლებში პანკის სტილით უკრავდა, ახლა ცნობილია, როგორც საზოგადო მოღვაწე. ის აქტიურად იბრძვის ადამიანის უფლებების შელახვის, სიღარიბის, შიდსის, აფრიკაში გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ.

უკანასკნელ წლებში ბონო დიდ დროს ანდომებს მესამე სამყაროს ქვეყნებში საქველმოქმედო მიზნით მოგზაურობას. ამბობენ, რომ ხშირად ხვდება ჯორჯ ბუშს. რომის პაპიც კი ყურს უგდებს მუსიკოსის აზრს იმაზე, თუ როგორ ვებრძოლოთ სიღარიბესა და ავადმყოფობას პლანეტაზე.

ბონოს უკვე მიღებული აქვს რამდენიმე ჯილდო, შარშან ის მსოფლიოს ყველაზე გავლენიან მუსიკოსად აღიარეს.

*მეგაპოლის-ექსპრესი*

# ᲡᲝᲚᲝ... ᲒᲝᲒᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲬᲐᲙᲐᲖᲔ



ლონდონის სამეფო დარბაზში კონცერტი გამართა ვენის... ბოსტნეულის ორკესტრმა. ამ უცნაური ორკესტრის მუსიკოსები ბოსტნეულისგან დამზადებულ ინსტრუმენტებზე უკრავენ. მაგალითად, ორკესტრს აქვს გოგრის დოლი, სტაფილოს ფლეიტა, ბადრიჯნის ციმბალები, წიწაკის სტვირი. ორკესტრში 8 მუსიკოსია, მათ რეპერტუარში კლასიკური ნაწარმოებების გარდა, არის ჯაზური მელოდიები და სპეციალური ნაწარმოები სტაფილოსა და მწვანე ხახვისთვის. თავად მუსიკოსები ამბობენ, ბოსტნეულისგან ინსტრუმენტების გაკეთება რთული სულაც არ არის, სამაგიეროდ, დაკვრაა ძნელიო. კონცერტის ბოლოს მსმენელებს ორკესტრის შეფ-მზარეული გამოყენებულ, მაგრამ ჯერ ისევ „ქორფა" ბოსტნეულისგან დამზადებულ კერძს სთავაზობს, ისინიც სიამოვნებით შეექცევიან.

*ვლასტი №8*

# ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ



ამერიკაში, ნიუ-ჯერსის შტატში ერთი აურზაური ატყდა — მოსწავლე ბიჭებმა ბუნტი მოაწყვეს. ერთ მშვენიერ დღეს სკოლის ადმინისტრაციას გული გადაუქანდა — ბიჭები სკოლაში კაბებით გამოცხადდნენ.

„გოგოებს თუკი შეუძლიათ კაბებით და შარვლებით სიარული, ჩვენ რატომღა არ უნდა ვიაროთ", — განაცხადეს ბიჭებმა ამაყად და დასძინეს, ეს სქესობრივი ნიშნით წმინდა წყლის დისკრიმინაციააო.

*მირორი*

# ᲤᲠᲐᲜᲙᲔᲑᲡ... ᲣᲗᲝᲔᲑᲐᲓ ᲐᲥᲪᲔᲕᲔᲜ



ფრანგები ძალიან განიცდიან, რომ ეროვნული ვალუტა — ფრანკი ევრომ შეცვალა. მხოლოდ ის ანუგეშებთ, რომ მათი ტრადიციული ფული არ გადაიყრება. ფრანგულ მონეტებს გადაადნობენ და უთოებად, ელექტრომოწყობილობის ნაწილებად, საკანალიზაციო მილებად აქცევენ.

საფრანგეთის მთავრობას მეტალურგიულმა კომპანიებმა 2,5 ტონა ფრანკსა და სანტიმში 7 მლნ ევრო გადაუხადეს.

*პარი მატჩი*

# ᲥᲣᲠᲜᲐᲚ „ᲙᲐᲠᲣᲡᲔᲚᲘᲡ" ᲡᲐᲤᲘᲠᲛᲝ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ"



**ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში **ᲘᲝᲖᲔᲤ ᲒᲔᲑᲔᲚᲡᲘᲡ** სიტყვებს ამოიკითხავთ.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | უ | ც | ი | ლ | ე | ბ | ლ | ა | დ | შ | ე | ი | ძ | ი | ნ | ე | ჩ | ვ | ე | ნ | ი | გ | ა | გ | ე | თ | ი |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| შ | ი | ი | ნ | ს | ს | ა | შ | ი | ა | ო | ო | | ი | გ | ო | რ | ძ | ა | | ო | ნ | ბ | გ | ა | | ე | ი |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**ა.** ზღვის წვრილი თევზი, ქაფშია; **უ.** ტრანსპორტი, რომლის გადაბრუნებასაც, ანდაზის მიხედვით, გზის გამოჩენა მოჰყვება ხოლმე; **ც.** რუსეთის მხარე, რომელიც კაზაკთა ატამანმა ერმაკმა დაიპყრო; **ი.** ქალაქ ტროას მეორენაირი სახელწოდება; **ლ.** ამერიკის სექს-სიმბოლოდ აღიარებული მომღერალი ქალი; **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **ბ.** ქალაქის, სიმაგრის ან არმიის გარემოცვა მტრის ჯარების მიერ; **ლ.** უნებლიე შეცდომა; **ა.** თამბაქოს სამშობლო; **დ.** ელჩი; **შ.** უილიამ შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის" ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; **ე.** რაიმე საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **ი.** უცნობი მათემატიკური სიდიდის აღმნიშვნელი ასო; **ძ.** დიდი ფასის მქონე; **ი.** იტალიელი ფეხბურთელი; **ნ.** ინგლისელი ფიზიკოსი; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **ჩ.** საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრების ქართველი კაპიტანი; **ვ.** გერმანიის რესპუბლიკის სახელწოდება 1918-1933 წლებში; **ე.** საჭადრაკო ფიგურა; **ნ.** ხელოვნური ბოჭკო; **ი.** დოდო აბაშიძის პერსონაჟის სახელი მხატვრულ ფილმში „პირველი მერცხალი"; **გ.** ხალხი, რომლის მეფეც იყო ქალაქ რომის ამლები ალარიხი; **ა.** ორგანიზმის მგრძნობიარობის შეცვლა მიკრობების ზემოქმედების მიმართ; **ზ.** ნოდარ წულეისკირის რომანი; **ე.** ატმოსფერული მოვლენა; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ი.** ფაშიზმის სამშობლო.

**ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:**
**ქ.** კაიზერი; **ვ.** ვაგონი; **ი.** ისინდი; **რ.** რიჩარდი; **ი.** იავა; **ს.** სუეცი; **პ.** პანიკა; **ა.** ალიკაპი; **ლ.** ლიდერი; **ი.** იური; **ტ.** ტროსი; **რ.** რეისი; **ა.** აქსიომა; **შ.** შილინგი; **ე.** ესენცია; **ნ.** ნარცისი; **ი.** იუმორი; **გ.** გნომი; **ა.** აზნაური; **ზ.** ზეტი; **ე.** ეზოპე; **თ.** თაველა; **ი.** იდიოტი; **ა.** ანანასი.
**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ᲘᲒᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲚᲔᲠᲛᲝᲜᲢᲝᲕᲘᲐ.**

# საოცარი ბრუკ შილდსი

ბრუკ შილდსი 11 თვის იყო, პირველად კომერციულ სარეკლამო რგოლში რომ გადაიღეს. პოდიუმზე დედასთან — მსახიობსა და მოდელთან, ტერი შილდსთან ერთად გამოვიდა. 3 წლისა — კელვინ კლაინის ჯინსებს უკეთებდა რეკლამას, 12 წლის



ტანკენარი, ეშხიანი გოგონა ტოპ-მოდელი გახდა, რეჟისორმა ლუი მალმაც შეამჩნია და თავის ფილმში, „მშვენიერი ბავშვი" (1978 წ.), მიიწვია. დედამისმა — ოღონდ ჩემი გოგონა კინოვარსკვლავი გახდესო და სულაც არ შეუწუხებია სინდისს იმის გამო, რომ ბრუკს პატარა მეძავის თამაში მოუწევდა. შიშველი შილდსის ნახვამ აღაშფოთა საზოგადოება...

ბრუკი ორი თვის იყო, მამამ რომ ოჯახი მიატოვა. დედამ სმა დაიწყო და ბავშვს ფაქტობრივად ორი ძიძა ზრდიდა — ჰენკი და რიჩარდი, ისინი გეები იყვნენ, გოგონას ორივე ძალიან უყვარდა.

დედა მკაცრად ადევნებდა თვალს შვილის გარეგნობას, ერეოდა მის პირად საქმეებში, საქმიან მხარესაც ის განაგებდა. კიდევ უფრო რომ დაეინტრიგებინა საზოგადოება, ტერიმ ორიგინალურ ხერხს მიმართა — ქალიშვილის უბიწოება დააზღვია და გამოაცხადა, მიუხედავად თავისი სექსუალურობისა და ცუდი რეპუტაციისა, ჩემს შვილს კაცებთან არავითარი კავშირი არა აქვსო. ფილმ „ცისფერი ლაგუნის" გადაღებისას ბრუკს გრძელი თმა ისე ჰქონდა დაწებებული სხეულზე, რომ მკერდი არ გამოსჩენოდა.

16 წლის ბრუკი ფრანკო ძეფირელიმ გადაიღო „უსასრულო სიყვარულში" და ის 80-იანი წლების სიმბოლო გახდა. ბრუკი ბუნებამ არა მარტო სილამაზით, არამედ ჭკუითაც დააჯილდოვა. აღარ მოუნდა დედის კარნახით სიარული და თავის გზას დაადგა — წარმატებით დაამთავრა პრინსტონის პრესტიჟული უნივერსიტეტი, მიიღო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი. 31 წლისას მობეზრდა უმწიკვლოების თამაში და გათხოვება გადაწყვიტა. მას გარს ეხვეოდნენ მონაკოს პრინცი ალბერტი, ინგლისის პრინცი ედუარდი, იორდანიის პრინცი ტალალი, იაპონიის უფლისწული ჰირო ნარუჰიტო. ნუშისთვალება მიმზიდველ ლამაზმანმა ჯონ კენედი-უმცროსის ყურადღებაც მიიპყრო. ბრუკმა ყველას ჩოგბურთელი ანდრე აგასი ამჯობინა. ტერის, რასაკვირველია, არ მოსწონდა გრძელთმიანი, საყურეგარჭობილი, საეჭვო წარმოშობის სპორტსმენი, მაგრამ ვინ დაუჯერა... 1997 წელს ახალგაზრდები დაქორწინდნენ. მაგრამ ძალიან განსხვავებულნი აღმოჩნდნენ. ორი წლის შემდეგ ისინი გაშორდნენ ერთმანეთს. ტერი კი გაიძახოდა — ჩემი შვილი უმწიკვლო ჩაბარდა ქმარსო, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა — ბრუკის პირველი მამაკაცი მისი თანაკურსელი დევიდ ჰანკი იყო.

აგასისთან განქორწინების შემდეგ შილდს უფრო ხშირად იწვევდნენ ფილმებში, მაგრამ მას ოჯახი უნდოდა. მალე მისი ოცნების მამაკაციც გამოჩნდა, კრის ჰენჩი — მწერალი, პროდიუსერი, სცენარისტი. სწორედ მისი სცენარით ფილმის გადაღებისას დაახლოვდნენ. მექსიკაში რომანტიკული მოგზაურობის დროს ჰენჩმა ბრუკს ხელი სთხოვა... შილდსი მაისში ელოდება ბავშვს. მას ქმართან ერთად საინტერესო ტელეპროექტებიც აქვს, მოგონებებიც გამოაქვეყნა — „წიგნი ბრუკზე". ამასთან, დაკავებულია ქველმოქმედებით — ეხმარება ავადმყოფ ბავშვებს და ამაყობს იმით, რომ ყველამ დაინახა მასში არა მარტო მომხიბვლელი ქალი, არამედ ნიჭიერი მსახიობი და მშვენიერი მეუღლე.

*ტვ პარკი №5*

# უცოლოდ დარჩენილი ვარსკვლავი

**სტივენ სიგალზე**



უამრავს წერენ, მაგრამ სხვა ვარსკვლავთაგან განსხვავებით, მას ბევრი საიდუმლო აქვს. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ დაიბადა დეტროიტში, ჩინეთიდან დაბრუნებული აშშ-ის საიდუმლო სამსახურის აგენტის ოჯახში.

სტივენი ბავშვობიდანვე გაიტაცა აღმოსავლეთის კულტურამ და ფილოსოფიამ, შეისწავლა იაპონური და ჩინური ენები, დაეუფლა აიკიდოს ხელოვნებას. კოლეჯი მიატოვა და ორი წლით იაპონიაში გაემგზავრა აიკიდოს საერთაშორისო ცენტრ „აივინაიში". მიიღო ოსტატის წოდება, დარჩა იაპონიაში და კლუბი გახსნა ყველაზე საშიშ უბანში, იაპონური მაფიის ცენტრში.

იაპონელი ოსტატები აღაშფოთა ამერიკელის თავხედობამ. მასთან სამი იაკუძა მივიდა და უბრძანა, ამერიკაში წაეთრიეო. სტივმა სამივეს ცხვირ-პირი ჩაულეწა... მეორე დღეს უკვე ათი ბანდიტი დაადგა თავს, მაგრამ მათაც შავი დღე აყარა. ამის შემდეგ იაკუძას თავკაცებმა სტივენს სთხოვეს, მათი მოწაფეები გაეწვრთნა. სიგალი დათანხმდა. სტივენი მოულოდნელად გაუჩინარდა — ამბობდნენ, ცსს-მ ვიეტნამში გაგზავნა საიდუმლო დავალების შესასრულებლადო.

იაპონიაში კი, ადგილობრივმა პოლიციამ, ამერიკის გფბ-მ და ინტერპოლმა სასტიკი დარტყმა მიაყენეს იაკუძას ორგანიზაციას. დააპატიმრეს ხუთასამდე მაფიოზი, დაიშალა ნარკოტიკების მიწოდების ქსელი ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში. ამბობენ, ეს სიგალის დამსახურება იყოო.

შემდეგ ლათინურ ამერიკაში მუშაობდა, სალვადორის, გვატემალის, ჰონდურასისა და პანამის პრეზიდენტების დაცვის სამსახურს ხელმძღვანელობდა. 1982 წელს აშშ-ში დაბრუნდა და ლოს-ანჯელესში დასახლდა. აღმოსავლური ორთაბრძოლების დიდოსტატმა და ოთხი შავი ქამრის მფლობელმა დააარსა აღმოსავლური კულტურის ცენტრი, აქვე გახსნა აღმოსავლური მედიცინის კლინიკაც.

სიგალმა იაპონელი ცოლი და ორი შვილი მიატოვა და ულამაზესი ტოპ-მოდელი კელი ლებროკი შეირთო. ერთ-ერთ ვახშამზე სტივენს სთხოვა კინოკომპანია „უორნერ ბრაზერსის" პრეზიდენტმა, მაიკ ოვილმა, კინოში ეცადა ბედი. სტივენი დათანხმდა, ოვილის გამოგზავნილი ხუთი სცენარიდან შეარჩია ერთ-ერთი, რომელიც ვიეტნამის ომის გმირ პოლიციელზე მოუთხრობდა მაყურებელს. ეს ფილმი, „ნიკო", ჰიტად იქცა, ხოლო ნიკოს როლის შემსრულებელი სტივენ სიგალი ჰოლივუდის ვარსკვლავად აღიარეს.

კელისა და სტივენის სახლის კარი მუდამ ღია იყო კოლეგებისა და მეგობრებისათვის. მათ უკვე სამი შვილი ჰყავთ, მაგრამ მოულოდნელად შეამჩნიეს, რომ კელის აღარ სიამოვნებდა ვინმეს სტუმრობა. ქუჩაში შავი სათვალით დადიოდა, ნაცნობებს გაურბოდა. თურმე ეჭვიანი სტივენი ცოლს სცემდა, თუმცა თავად მუდამ საყვარლებში ტრიალებდა. კელიმ მასთან განქორწინება გადაწყვიტა, რითაც უფრო გაამხეცა ქმარი.

ბოლო ხანს სიგალი ბუდიზმმა გაიტაცა და საკუთარი გურუც ჰყავს, რომელმაც დაარწმუნა, „შემდეგ ცხოვრებაში" შეიძლება XV საუკუნეში გარდაცვლილი ტიბეტელი ლამას სახით მოხვიდე, მაგრამ ამისთვის საკუთარი კარმა უნდა გაიუმჯობესო, ჩამოშორდე კოლეგებს და ახლობლებს, მიატოვო კინო, დახურო კინოკომპანია „სიგალ-ნასო", აღარასოდეს მიეკარო იარაღს, ჩაიცვა მხოლოდ შავი ტანსაცმელი და უარი თქვა შვილებზეო. სიგალმა გურუს დაუჯერა. ამით განარისხა თავისი კინოკომპანიონი ჯულიუს ნასო.. ნასომ სასამართლოში იჩივლა — მაგის „კარმის გაუმჯობესებამ" ფინანსურად და მორალურად ძალიან დამაზარალა და საზღაურად 60 მლნ დოლარი უნდა გადამიხადოსო. სიგალი გაჯიქდა, არ სურს ამ თანხის გადახდა. ნასომ ყოფილ პარტნიორს მაფიოზები მიუგზავნა. თუკი სიგალი პირობებს არ შეასრულებდა, მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნებოდა. სიგალი არავის ეპუება და საკუთარი თავის დიდი იმედი აქვს.

ვარსკვლავს ნორჩი გოგონებისკენ გაურბის თვალი და ფეხიც არაერთხელ წაიტეხა — ძალადობის გამო — რამდენიმე გოგონამ სასამართლოში უჩივლა...

სიგალი გურუს არ სცილდება და ამჟამად ყველაზე მეტად აინტერესებს, თუ როგორ ახერხებს ბებერი გურუ თავისი ახალგაზრდა მეუღლის სიყვარულის შენარჩუნებას.

*ინტერპოლ-ექსპრესი №3*



# ვაჟა-ფშაველამ გადამარჩინაო...

ალენ დელონი ცოლმა მიატოვაო! ამ ცნობამ ელვის სისწრაფით მოიარა მსოფლიოს პრესა და გააოგნა მილიონობით კინომოყვარული.

ღალატით გულმოკლული მსახიობი კარგა ხანს ვერ მოვიდა გონს.

როზალი ვან ბრეემერმა და ალენ დელონმა 15 წელი იცხოვრეს ერთად, ჰყავთ ქალ-ვაჟი — 12 წლის ანუშკა და 8 წლის ალენ-ფაბიანი.

როზალიმ დელონს მისი უახლოესი მეგობარი, ალენ ალფლელი არჩია...

ალბათ მართალი იყო, ის ძალიან ახალგაზრდაა, მე კი ასაკი მომერიაო, — თქვა მსახიობმა.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ალენ დელონი ქალმა მიატოვა. ეტყობა, ეს უფრო ტანჯავს მსახიობს.

— ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ალბათ ძალიან გამიჭირდებოდა, რომ არა საინტერესო წიგნი. ხელში შემთხვევით ჩამივარდა ერთი უცნობი პოეტის თხზულებანი. მისმა ფილოსოფიურმა ნააზრევმა, სილბომ, სულის სიდიადემ და კეთილშობილებამ მართლაც გადამარჩინა...

სამწუხაროდ, მას თითქმის არავინ იცნობს ევროპაში. ის გახლავთ ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა, — ამბობს ალენ დელონი, — მომხიბლა მისმა თვითმყოფადობამ და სიღრმემ, ეს გახდა მიზეზი ჩემი ქართული ლიტერატურით დაინტერესებისაო.

*იტერნეტი*

# ქმრის მეთოდით იმკურნალა...



ულამაზესი ჰოლივუდელი შავკანიანი მსახიობი ჰოლი ბერი სიკვდილს „სასწაულებრივად" გადაურჩა. ყველაფერი კი ასე დაწყებულა: მას თავის მოკვლა განუზრახავს. განზრახვას საქმე მოაყოლა — ერთი ბოთლი ვისკი გადახუხა, ზედაც ერთი მუჭა საძილე აბები მიაყოლა და საჭეს მიუჯდა იმედით — იქნებ სიკვდილს გზაზე შევეყაროო(!)...

ჰოლი ბერის განზრახულის ასრულება არ დასცალდა — სიცოცხლეზე ხელჩაქნეული ლამაზმანის მანქანა პოლიციამ გააჩერა. მსახიობი საავადმყოფოში მიაბრძანეს, კუჭი ამოურეცხეს და ფსიქოლოგთან მისვლის პირობა დაადებინეს.

ყოველივეს მიზეზი კი კინოვარსკვლავის მეორე ნახევარი, მექალთანე ერიკი ყოფილა. მას არც ჰოლი ბერის დარიგებებმა და არც სპეციალურ კლინიკაში ჰიპერსექსუალურობის საწინააღმდეგო მკურნალობამ უშველა და სანამ ბერი გადაღებებზე მუხლჩაუხრელად შრომობდა, რამდენიმე ქალი „გააიმასქნა", მათ შორის ცოლის დაქალიც იყო თურმე. ჰოდა, ჰოლიმ ეს რომ გაიგო, თავის მოკვლაც იმიტომ გადაწყვიტა. თუმცა არ გამოუვიდა — ფსიქოანალიტიკოსთან მიაბრძანეს. ისიც ბედს დაემორჩილა. ვიზიტი საბედისწერო გამოდგა — ფსიქოანალიტიკოსის მისაღებში იგი ცნობილ ჰოლივუდელ დონჟუანს, უორენ ბიტის შეხვდა. უორენმა სეანსის შემდეგ ვახშმად დაპატიჟა, რომელიც ხავერდოვნად გადაიზარდა საუზმეში. როცა მეორე დღეს ბედნიერი ჰოლი ფსიქოანალიტიკოსთან მივიდა, ძლივსღა იცნეს. თავისივე ქმრის „მეთოდით" ნამკურნალევი შესანიშნავად გამოიყურებოდა.

*ბუნტე*




# ლომაია „არსენალში“ — ილუზია თუ რეალობა?

3 მარტს ცნობილმა ინგლისურმა სააგენტოებმა „ტრიფალფოოტბალმა“, „ფოოტბალ 365“-მა, „სკაისპორტმა“ და ბი-ბი-სი-მ სენსაციური ინფორმაცია გაავრცელეს, თითქოს ინგლისის ჩემპიონი, ლონდონის „არსენალი“ თბილისის „ლოკომოტივისა“ და საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაიათი დაინტერესდა.

იმ დროს, როდესაც საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა მეკარეებს უცხოეთში ეძებს, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ეს ინფორმაცია.

ახლა უფრო კონკრეტულად, „სკაისპორტის“ ინტერნეტ-საიტზე წერია: „ინგლისის ჩემპიონები დაუკავშირდნენ გიორგი ლომაიას მენეჯერს. ეს 22 წლის მეკარე თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშობს აქამდე ოთხჯერ მოირგო ეროვნული ნაკრების მაისური და უკვე მოიპოვა ამ პატარა ქვეყნის საუკეთესო მეკარის სახელი. „არსენალის“ მიერ ქართველი მეკარისადმი გამოჩენილი ინტერესი ამ გუნდისთვის სამწუხარო ფაქტმა განაპირობა. დაშავებულია ძირითადი მეკარე დევიდ სიმენი, რომელიც ისედაც ასაკოვანია და არსენ ვენგერი მის შემცვლელს მანამდეც ეძებდა. სიმენის კვალდაკვალ მისი ორი შემცვლელიც დაშავდა და ვენგერს სადარდებელი მიეცა“.



გიორგი ლომაია

ინფორმაცია კი „ლოკომოტივის“ მენეჯერმა, გოჩა თამაზაშვილმა გაავრცელა: „რამდენიმე დღის წინ არსენ ვენგერი ლომაიას მონაცემებსა და მისი შეხვედრების ვიდეოჩანაწერს გაეცნო. ნამდვილად ვიცი, რომ „არსენალის“ მწვრთნელს ჩვენს მეკარეზე კარგი შთაბეჭდილება დარჩა. ერთადერთ პრობლემას ლომაიას სტატისტიკა უქმნის. ინგლისში სათამაშოდ მას ეროვნულ ნაკრებში ბოლო ორი წლის მანძილზე შეხვედრათა 75 პროცენტში მონაწილეობა სჭირდება.

სხვაგვარად, მოთამაშეს ბრიტანეთის შრომის ვიზას არ გაუფორმებენ. თუმცა, გიორგი უკვე ისე მყარად დამკვიდრდა ეროვნულ ნაკრებში, რომ წარმოუდგენელია ამ პრობლემას არ მოევლოს“.

როგორც გავარკვიეთ, გიორგის ტრანსფერზე მუშაობს მენეჯერი, ვინმე ბეკერი, რომლის კლიენტებიც არიან ცნობილი გერმანელი ფეხბურთელები, ბალაკი და კლოზე. ასეთი პიროვნებისგან „არსენალთან“ დაკავშირება მოულოდნელი არ ჩანს, თუმცა არის კი მზად ქართველი მეკარე, ზიდოს სიმენის მემკვიდრის ტვირთი?

„ლოკომოტივის“ კულისებში ამ დაუჯერებელი ტრანსფერის რეალობაზე მსჯელობენ. 29 მარტს შვეიცარიასთან შეხვედრას საგანგებოდ არსენ ვენგერის წარმომადგენელი დაესწრება და გიორგის უშუალოდ დააკვირდება. თუმცა, საპირისპირო ინფორმაციაც გავრცელდა. „ფოოტბალ 365“-ის მტკიცებით, გიორგი ლომაია მხოლოდ ერთ-ერთი კანდიდატია იმ 42 მეკარიდან, რომელთაც ახლა ლონდონელი მეთოფეები აკვირდებიან. ქართული მხარე უფრო ოპტიმისტურია. თურმე, სიმენის ყველაზე სასურველ მემკვიდრედ პრაღის „სპარტას“ 23 წლის მეკარე, პეტერ კოუმა მოიაზრებოდა, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ჩეხებმა ინგლისელებს იმედი გაუცრუეს, ლომაიას კი — გზა გაუხსნეს.



არსენ ვენგერი

თავად გიორგი ამ აჟიოტაჟის შემდეგაც სიმშვიდეს ინარჩუნებს და ცდილობს ყურადღება მთლიანად ტრანსფერზე არ გადაიტანოს:

— რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა ასეთი ცნობილი კლუბის დაინტერესება, მაგრამ არანაირი სურვილი არ გამაჩნია, რომ ძილშიც „არსენალზე“ ვიფიქრო. ამან შესაძლოა, ფორმიდან ამომაგდოს.

**— რეალურად მართლაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები?**

— ყოველ შემთხვევაში, მე ვიცი, რომ ამ ტრანსფერზე ბალაკისა და კლოზეს მენეჯერი მუშაობს და ჩემი მონაცემები პირადად გადასცა ვენგერს.

**— და მას მართლა მოეწონე?**

— ვერაფერს გეტყვით. ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, რომ ამხელა აჟიოტაჟი ტყუილად ამტყდარიყო, თუმცა, რა დასამალია და მეც მიჭირს თავი სიმენის ადგილზე, „არსენალის“ მაისურით წარმოვიდგინო.

**— ვთქვათ მართლაც აგიყვანეს.**

— ჯერ ამიყვანონ და მერე ვილაპარაკოთ ჩემს განცდებზე. ახლა კი რუსებთან შეხვედრას ველი.

**— ზაფხულში მოსკოვის „დინამოში“ ვარჯიშობდი, მაგრამ ვერ ჩაირიცხე, რა იყო ამის მიზეზი?**

— რუსები მტოვებდნენ იმის იმედად, რომ ძირითად მეკარეს, ბერეზოვსკის უცხოეთში გაუშვებდნენ. ასე არ მოხდა, ბერეზოვსკი გუნდში დარჩა და მეორე მეკარის სტატუსი ნამდვილად არ მხიბლავდა. ამიტომაც უკან გამოვბრუნდი.

**— მართალია, თითქოს მსურველთა შორის არიან „კოტბუსი“ და კიევის „დინამოც“?**

— გერმანიაში თამაზაშვილი მუშაობს, კიევის „დინამომ“ კი მენეჯერი გამოუშვა, თუმცა ჩემთვის არ უთქვამთ, როგორ დასრულდა მისი შეხვედრა „ლოკომოტივის“ პრეზიდენტთან.

**— ქართველ მეკარეებზე იმდენი კრიტიკული სტატია დაიწერა, ამის შემდეგ „არსენალის“ დაინტერესება დაუჯერებლად ჩანს.**

— გეთანხმებით, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მეკარემდე მეტოქემ ნახევარდაცვა და დაცვა რომ უნდა გადალახოს, რატომღაც ჩვენში ბევრს ავიწყდება. მეკარეების ისეთი საშინელი ანტირეკლამა მიდის, ამის შემდეგ მიკვირს უცხოური კლუბის დაინტერესება ჩვენით...

არსენ ვენგერი აქამდე ორჯერ აკვირდებოდა ქართველებს — 1997 წელს ბათუმში საქართველო-მოლდოვას მატჩზე ნემსაძისა და ჯამარაულის შესაძლებლობის შესამოწმებლად სელექციონერი გამოაგზავნა. 2000 წელს იმავე „ლოკომოტივს“ კონკრეტულად დაელაპარაკა ზურაბ ხიზანიშვილის ტრანსფერზე, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელებმა ბრიტანელებს ზღაპრული თანხა, 7 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოსთხოვეს, რის გამოც მოლაპარაკება ჩაიშალა. თუმცა, ბოლოს კურიოზული ვითარება გამოაშკარავდა: თურმე, ხიზანიშვილს კლუბთან კონტრაქტი საერთოდ არ აკავშირებდა(?!).

არ ვიცი, ვინ, როდის და რასთან დაკავშირებით თქვა, მესამე და სამართალიო, მაგრამ ახლა რომ ქართველი ქომაგები ლომაიას „არსენალში“ გადასვლას ზღაპრის ახდენასავით ელიან, ესეც ფაქტია. არსენ ვენგერმა მესამედ დაადგა ქართველ ფეხბურთელს თვალი და იმედია, ახლა მაინც დაგვდებს პატივს.

# სკანდალური კვირა

ორიოდე დღის წინ საქართველო ორმა საფეხბურთო სკანდალმა გამოაფხიზლა: ერთი ქვეყნის შიგნით მოხდა, მეორე კი — უცხოეთში.

თბილისური კლუბები, „ლოკომოტივი“ და „მერანი-ოლიმპი“ ერთმანეთს მძაფრად დაუპირისპირდნენ. მართალია, დაპირისპირება ბოლოდროინდელი ტრადიციის შესაბამისად სროლით და ოფისის დარბევით არ დასრულებულა, მაგრამ კლუბებს შორის ასეთი მძაფრი შეხლა-შემოხლა დიდი ხანია არ ყოფილა.

ხომ იცით, ოქრო რომ გამოჩნდება, მის დაპატრონებას მრავალი შეეცდება. საქმე 23 წლის ნახევარმცველს, თორნიკე აფციაურს ეხება, რომელიც თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელის, მამუკა აფციაურის ძმაა. თავად მამუკა აფციაური თავის დროზე დიდ იმედს იძლეოდა და 16 წლისამ ძირითად შემადგენლობაშიც ითამაშა, თუმცა შემდეგ ვერ გაამართლა და ვარსკვლავობას ვინ ჩივის, სამწუხაროდ, თავი ციხეში ამოყო. გვიან დაადგა უნიჭიერესი კაცი სწორ გზას — ვაგონმა ჩაიქროლა.

თორნიკეც ნიჭით გამოირჩეოდა, სხვადასხვა ასაკის ნაკრებშიც უთამაშია, თბილისის „დინამოში“ რეზო არველაძემაც გასაქანი მისცა, მაგრამ თარგამაძისა და კომპანიის მოსვლის შემდეგ გუნდში აფციაურის ადგილი არ მოიძებნა. თორნიკეც თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

სრულიად შეთხვევით მოხვდა თორნიკე „მერანი-ოლიმპში“. თურმე კუს ტბაზე მანქანით მიმავალმა ამ კლუბის მწვრთნელმა თორნიკე დაინახა, მარტო ვარჯიშობდა იგი. მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი გახლდათ, 17 წლამდელთა ნაკრების თავკაცი. თავის დროზე 17 წლის გიორგი ქინქლაძეც ასევე უგუნდოდ იყო დარჩენილი და ჟორჟიკაშვილმა დაუდო სათავე მის ფეხბურთელობას — „მრეტებში“ მიიყვანა.

აფციაურის დიდ ფეხბურთში მიყვანაც კობა ჟორჟიკაშვილის დამსახურებაა. 19 წლის ბიჭი „ლოკომოტივში“ აიყვანა, მაგრამ თორნიკე მაშინაც გუნდში განხორციელებულ ცვლილებებს ემსხვერპლა.

ერთი სიტყვით, ყველასგან დავიწყებული ნახევარმცველი ჟორჟიკაშვილთან ისე კარგად ათამაშდა, რომ ყველამ აღნიშნა მისი საოცარი პროგრესი — აფციაურს ასეთ დონეზე არც „ლოკომოტივში“ უთამაშია და არც „დინამოში“. სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ასეთი პროგრესის გაგრძელების შემთხვევაში, თორნიკეს არც ევროპულ კლუბებში მოხვედრა გაუჭირდება. ვისაც მისი გვარი არ გსმენიათ, არ გაგეცინოთ — ასეთი კი არა, უფრო წარმოუდგენელი ამბებიც გვახსოვს: 22 წლამდე რივალდოს არავინ წყალობდა და გუნდში არ აჰყავდათ. 26 წლის შემდეგ გახდნენ დიდი ფეხბურთელები პაპენი და ბასლერი.

მოკლედ, აფციაურის პროგრესი „ლოკომოტივის“ ბერძენმა მწვრთნელმა ლუის ცაკარიასმაც შენიშნა და ფეხბურთელის გადაბირება განიზრახა. ეტყობა, ცაკარიასი ჯერაც ვერ გარკვეულა ქართულ რეალობაში და დროულად ვერ მიხვდა, რომ „მერანი-ოლიმპი“ ფინანსურად ძლიერი და გავლენიანი ადამიანების ხელში იყო. ტოტალიზატორის, კაზინოს და სასტუმრო „აჭარის“, აგრეთვე „აჭარა მიუზიკლ-ჰოლის“ მეპატრონეები ის ადამიანები არ არიან, ფეხბურთელები თუნდაც დიდი შემოსავლის მქონე რკინიგზის გუნდს ტყუილად დაუთმონ. წლეულს ზამთარში „მერანის“ ყიდვის შემდეგ მათ დიდი მიზნები დაისახეს — 2008 წლისთვის საქართველოს ჩემპიონობა და შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა.

მართალია, აფციაურზე ცაკარიასმა გუნდის ხელმძღვანელთაგან უარი მიიღო, მაგრამ ვერ მოისვენა, ფეხბურთელს ცალკე დაელაპარაკა და სკანდალმაც იფეთქა.

ნიკო დოლიძე, „მერანი-ოლიმპის“ პრეზიდენტი: „ცაკარიასმა უკადრებელი იკადრა. მას ჰგონია, რომ საქართველოში ყველაფრის უფლებას მისცემენ. იგი ფეხბურთელთან მოლაპარაკების გაბმას მაშინ შეეცადა, როდესაც ჩვენ ერთმანეთთან სათასო შეხვედრა უნდა ჩაგვეტარებინა. ეს არის უზნეო კაცის საქციელი. ფეხბურთელს „ლოკომოტივს“ რატომ დავუთმობთ, როდესაც თავად ვაპირებთ ჩემპიონობისათვის ბრძოლას? ასეთი ქმედება, წესით, კანონით უნდა ისჯებოდეს“.

მართალია, თავად ცაკარიასი უარყოფს ფეხბურთელთან მოლაპარაკების მცდელობას, მაგრამ აფციაურმა ყოველივე დაადასტურა.

მეორე სკანდალი რუსულ კლუბებს შორის მოხდა და საქმე ამჯერადაც მოთამაშის გადაბირებას ეხება: საქართველოს ნაკრებისა და რიგის „სკონტოს“ ნახევარმცველმა, ალეკო რეხვიაშვილმა იანვარში მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, სამშაბათს კი გუნდის ოფიციალურ განაცხადშიც აღმოჩნდა.

მოულოდნელობაც ამის შემდეგ მოხდა: ალეკო რეხვიაშვილი „სპარტაკ-ალანიას“ ბაზაზე აღმოჩნდა და ოსური კლუბის მაისურით საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა.

მოსკოველების განრისხებას საზღვარი არ ჰქონდა. თავდაპირველად ისინი რეხვიაშვილის დისკვალიფიკაციაზე ალაპარაკდნენ. რეხვიაშვილის თქმით, იგი რუსებმა ფსიქოლოგიურ სტრესამდე მიიყვანეს: „ორი თვე შეიძლება გუნდში ირიცხებოდე და მაინც ვერ გაერკვე შენსა და კლუბს შორის რა ურთიერთობა არსებობს? კონტრაქტი გავაფორმე და ხელფასს არ მიხდიდნენ. ამას ვინ ჩივის, ვალები ავიღე და შეკრებებზე ჩემი ფულით დავფრინავდი. ყოველივე ამას ჩემი მისამართით შეხვედრების შემდეგ უმიზეზოდ გამოთქმული პრეტენზიები ერთვოდა და მეც ადამიანი ვარ, ყელში ამომივიდა გაურკვევლობა და გუნდი დავტოვე. თანაც, „სპარტაკ-ალანიამ“ გაცილებით უკეთესი პირობები შემომთავაზა და მათთან გადასვლა ვამჯობინე“.

რუსულმა მედიამ იჩქარა — მათი ვარაუდით, რეხვიაშვილის გამო ატეხილი სკანდალი სიჩოვისა და ვაშჩუკის რია-რიაზე ნაკლებ ხმაურს არ გამოიწვევდა, მაგრამ შეცდნენ — მოსკოველები მიხვდნენ, რომ სკანდალით თავად დარჩებოდნენ წაგებულნი, მოლაპარაკებას დათანხმდნენ და ბოლოს ისიც კი თქვეს, რომ კომპენსაციის საფასურად, რეხვიაშვილს ოსებს დაუთმობდნენ. თუმცა, „ტორპედო-მეტალურგის“ გენერალური მენეჯერი, იური ბელოუსი აცხადებს: „თუკი საკომპენსაციო თანხა არ დაგვაკმაყოფილებს, რეხვიაშვილს ჩვენთან დაბრუნება მოუწევს, საერთოდ, კი ძალიან მაოცებს „სპარტაკ-ალანიას“ პოზიცია. ეს კოლეგიალობას ნამდვილად არ ჰგავს“.

აღსანიშნავია, რომ ეს გუნდებს შორის წარმოქმნილი პირველი სადავო საკითხი არ გახლავთ. მოვუსმინოთ მიხეილ აშვეთიას: „დეკემბერში „ალანიას“ ხელმძღვანელობა „კოპენჰაგენს“ (ამ კლუბს აშვეთია დღემდე ეკუთვნის) ჩემი არენდის კიდევ ერთი წლით გაგრძელებაზე მოელაპარაკა. მეც ოსეთში დარჩენას დავთანხმდი და დამატებითი კონტრაქტიც გავაფორმე. სწორედ ამ დროს დამიკავშირდა „ტორპედოს“ ხელმძღვანელობა, მათი მწვრთნელი, ალეინიკოვი და გადასვლა შემომთავაზა. რასაც თვითონ აპირებდნენ, იგივე გაუკეთეს და რატომ უკვირთ ვერ გამიგია“.



ალეკო რეხვიაშვილი

„ტორპედო-მეტალურგის“ ხელმძღვანელობამ მხოლოდ ერთი „პატარა“ შეცდომა დაუშვა: ერთ-ერთ შეკრებაზე ოსურ კლუბთან ერთად დაბინავდნენ. ეტყობა, რეზო ძოძუაშვილს, რომელიც ამჟამად „ალანიას“ მწვრთნელია, დიდ რუსეთში დღემდე არ იცნობენ და მანაც ვითარებით ისარგებლა.

*გვერდი მოამზადა ზვიად კალანდაძე*

# ვლადიმირ კლიჩკო სამარცხვინოდ დამარცხდა



უდიდესი სენსაციით დასრულდა გერმანიის ქალაქ ჰანოვერში ვლადიმირ კლიჩკოსა და სამხრეთაფრიკელი კორი სანდერსის ბრძოლა, რომელსაც WBO-ს ვერსიით, მსოფლიო ჩემპიონი უნდა გამოევლინა სუპერმძიმეწონოსან მოკრივეთა შორის. უკრაინელმა, რომელიც აშკარა ფავორიტად ითვლებოდა, გამხეცებულ სამხრეთაფრიკელს მხოლოდ ერთი რაუნდი გაუძლო. პირველ რაუნდში კლიჩკო სამჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში. მეორე რუნდის დაწყებიდან 27 წამში კი იგი ნოკაუტში ჩავარდა.

ვლადიმირ კლიჩკომ 42 ბრძოლა გამართა პროფესიონალურ რინგზე და მხოლოდ მეორეჯერ დამარცხდა, მაგრამ მარცხიც არის და მარცხიც. უკრაინელმა მოკრივემ ერთი დარტყმაც კი ვერ მიაყენა მეტოქეს. კლიჩკო 10 000-მა მაყურებელმა გამაყრუებელი სტვენით გააცილა რინგიდან. გამარჯვებული კორი სანდერსი 37 წლისაა. ეს ბრძოლა კი მისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ბოლო შანსი იყო რაიმე მნიშვნელოვანი ტიტულის მოპოვებისა.

## №9 (335) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

**„პირველ რიგში რას ითხოვენ ქართველი მამაკაცები ცოლებისაგან?“** — ამ კითხვას 707 მკითხველი გამოეხმაურა. 3 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 251 ქალისა და 453 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი მონაწილეობდა.

ცოლების მიმართ ქართველი კაცების მოთხოვნებს სათავეში **7,46** საშუალო ქულით „ერთგულება“ უდგას. რესპონდენტთა 77,4%-მა შეაფასა ერთგულება მაქსიმალური — 8 ქულით. 1,6%-მა კი მინიმალური ქულა მიაკუთვნა მას.

შემდეგ ადგილზე 5,71 საშუალო ქულით „ალერსი/სიყვარულია“, სულ მცირე სხვაობით ჩამორჩება მას „გაგება/ანგარიშის გაწევა“. საშუალო ქულაა 5,66. რესპონდენტთა 5,6%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით.

ჩვენი მკითხველების აზრით, კაცებისათვის ერთობ მნიშვნელოვანია მეუღლის არაპრეტენზიულობაც.

როგორც ვხედავთ, შედეგებმაც მშვენივრად დაადასტურა საეჭვოდ მოარული ფრაზის ჭეშმარიტება კაცების გულების შესახებ — მათკენ მიმავალი გზა კუჭზე აუცილებლად გაივლის. მაქსიმალური ქულით „გემრიელი სადილი“ 5,4%-მა შეაფასა და ამ ნიშნით მან უკან ჩამოიტოვა „არაპრეტენზიულობა“.

როგორც ჩანს, არაეკონომიურობა, მოუწესრიგებელი ტანსაცმელი და არეული სახლი, სულაც არ უშლით ქმრებს ნერვებს.

ეს ქალებისა და მამაკაცების შეხედულებების სინთეზია. საინტერესოა, რას ფიქრობენ თავად კაცები, რა არის მათთვის მთავარი. მათ მიერ დაწინაურებული სამეული ასეთია: 1. ერთგულება; 2. გაგება/ანგარიშის გაწევა; 3. ალერსი/სიყვარული. ქალები კი რატომღაც თვლიან (ალბათ უფრო ასე აწყობთ და იმიტომ), რომ ანგარიშის გაწევაზე მეტად, კაცებს სიყვარული უნდათ. ეკონომიურობას კი წესრიგში მოყვანილი ტანსაცმელი ურჩევნიათ. საინტერესოა, კაცები, რომლებიც პირველ რიგში ერთგულებას ითხოვენ ცოლებისაგან, არიან თუ არა დედამიწის ზურგზე ყველაზე კარგი თვისების ღირსეული დამფასებელნი.




საპრიზოს ზუსტად 7 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 45 წლის **ჯემალ ადეიშვილი,** რომელმაც ორი ბარათით გაიმარჯვა (აღსანიშნავია, რომ ბატონმა ჯემალმა სულ 30 ბარათი გამოაგზავნა), 29 წლის **მიხეილ ნადიბაიძე,** 43 წლის **ჯულიეტა ხახუტაშვილი,** 53 წლის **ლეილა სუმბათაშვილი;** 47 წლის სოხუმელი **ლალი ფილიპია** და 21 წლის ხაშურელი (ჩუმათელეთი) **ირაკლი კურტანიძე.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 12 მარტს, 17 საათზე.

## №10 (336) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას.

**№10 (336) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 12 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 13 მარტის 13 საათამდე.**

© თბილისი

ყურადღება! საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათები ისევე მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათები.

თემა №10 (336) — ქართველი ქალები
**თქვენი აზრით, პირველ რიგში რას ითხოვენ ქართველი ქალები ქმრებისაგან** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№10(336) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ერთგულება | |
| 2 | არაპრეტენზიულობა | |
| 3 | ფინანსური უზრუნველყოფა | |
| 4 | ბაზარში სიარული | |
| 5 | ალერსი/სიყვარული | |
| 6 | მოწესრიგებული საოჯახო ნივთები (სანტექნიკა, ელექტრობა...) | |
| 7 | გაგება/ანგარიშის გაწევა | |
| 8 | ნდობა | |

**დამატებითი კითხვა**

როგორ აფასებთ გაერთიანებული დემოკრატების ინიციატივას სახელფასო მინიმუმის გაზრდის შესახებ?

| წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი | ზრუნვა მოსახლეობაზე | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

**ქართველი პოლიტიკოსებიდან რომელი იმსახურებს თქვენს რისხვას ყველაზე მეტად, ანუ ვისი ცემა გსურთ?**



| | | |
|---|---|---|
| 1. | ვახტანგ რჩეულიშვილი | 23,2% |
| 2. | ვიტალი ხაზარაძე | 14,9% |
| 3. | ედუარდ შევარდნაძე | 11,6% |
| 4. | ლევან მამალაძე | 6,0% |
| 5. | მიხეილ სააკაშვილი | 3,7% |
| 6. | ზურაბ ჟვანია | 3,3% |
| 7. | ასლან აბაშიძე | 1,7% |
| 8. | ავთანდილ ჯორბენაძე | 1,5% |
| 9. | გურამ შარაძე | 1,4% |
| 10-11. | ბორის კაკუბავა | 1,2% |
| 10-11. | ჯემალ გოგიტიძე | 1,2% |

როგორც ვხედავთ, ჩვენი მკითხველები ძირითადად პარლამენტარებს „ემტერებიან“, თუმცა მათ რისხვას ვერც პრეზიდენტი, სახმინისტრი და აჭარისა და ქვემო ქართლის ლიდერები გადაურჩნენ.

კითხვაზე პასუხის გაცემა 2,5%-ს გაუჭირდა; თითქმის ყველა პოლიტიკოსს დაატეხავდა თავს რისხვას რესპონდენტთა 10,8%; 5,8%-ის აზრით კი, რისხვას ძალიან ბევრი იმსახურებს, მაგრამ ცემა არაქრისტიანული და არაკეთილშობილური საქციელია. დანარჩენმა — 11,2%-მა სხვა პოლიტიკოსები დაასახელა. ზოგმა „საცემი პოლიტიკოსების“ პატარა ჩამონათვალი გააკეთა, ერთმა რესპონდენტმა კი დანანებით განაცხადა — „სამწუხაროა, რომ ჩვენი სურვილები არ ემთხვევა ჩვენს შესაძლებლობებს“.

***მკითხველის რეიტინგში 537 რესპონდენტი მონაწილეობდა.***

## ფოტოანტიკვარი © · ფოტოპალიტრა ·




**ე.შ.** — სად დაკარგე, ბიჭო, ულვაში?! სად დაკარგე, ბიჭო, ნამუსი?!

**ზ.ჟ.** — ეგ ხომ სმკ-ის პირველ არჩევნებს გადავაყოლე!

***ნანა ახალკაციშვილი, თბილისი***

**ე.შ.** — ზურა, მართალი მითხარი, შენ გახდები პრეზიდენტი თუ მიშა?

**ზ.ჟ.** — თუ ჩემს ჰალსტუხს ხელს არ გაუშვებ — მიშა.

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**ე.შ.** — აბა, ზურიკო, გააღე პირი და თქვი — ა, ა, ა..?

**ზ.ჟ.** — ვაი, მე, ბატო ელდარ, მე და მიშიკოს ჯორბენაძემ მოქკავშირიდან გაფრენისათვის უკვე ბროწეულის ოყნა გამოგვიწერა.

(კ/ფ „შერეკილები“)

***ზურაბ ხუნწელი, ქუთაისი***

**ე.შ.** — შე, გალსტუკიანო პეპელა, იცი თუ არა, რომ მე რეჟისორი ვიყავი თბილისის ომამდე.

***ნიკო გავაშელი, ზესტაფონი***

**ზ.ჟ.** — რა იყო ელდარ, რა გიხარია?

**ე.შ.** — პარლამენტში ნამდვილ შერეკილებზე ვაპირებ ფილმის გადაღებას და შენც გამომადგები.

***რეზო სვანიძე, თბილისი***



ელდარ შენგელაია, ზურაბ ჟვანია

**ე.შ.** — ყველაფერი გამიგია... ფეხბურთი გამიგია, წყალბურთი გამიგია, ცხენბურთი, მოტობურთიც კი გამიგია, მაგრამ პოპბურთი ნაღდად არ გამიგია, ზურაჯან...

***გოგი რატიანი, თბილისი***

**ე.შ.** — ისევ მთვრალი ხარ ბიჭო? შეეშვი ლოთობას და ამბროსიჩთან სახელმწიფო მინისტრობას გაგიჩალიჩებ.

**ზ.ჟ.** — სახელმწიფო მინისტრობა რა ჯანდაბად მინდა?! როცა მთვრალი ვარ, თავი პრეზიდენტი მგონია!

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

## ფოტო განწყობისთვის



– დედიკოს რომ ჩოკოკადი ვაჩუქე, შემომეჭამა...

## წინა ნომრის საკანვორდის პასუხები



11/III
პირველი მეოთხედი
მაგნიტური დღეებია:
12/III 7-დან 9 საათამდე
14/III 22-დან 24 საათამდე

# ნიკოლას კეიჯი ხისთავიანი ყოფილა



ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სკოლაში შედგა კურსდამთავრებულთა ტრადიციული შეხვედრა, სადაც გაიხსენეს ოდესღაც ონავარი და ახლა დიდ წარმატებას მიღწეული თანაკლასელები. განსაკუთრებული ყურადღების საგანი ნიკოლას კეიჯი გახლდათ. „ნიკი, ნამდვილი ხისთავიანი იყო. ერთადერთი, რასაც მართლა კარგად აკეთებდა, ტუჩების წკლაპუნი იყო სკოლის სპექტაკლებში. ძალიან უყვარდა ტრაბახი, სულ თავის ცნობილ ბიძას — რეჟისორს, ფრენსის ფორდ კოპოლას ახსენებდა. მაგრამ ეგეთი მაგარი ნათესავები თითქმის ყველა ჩვენგანს ჰყავდა, ამიტომ ნიკის ყურადღებას არავინ აქცევდა. არც სპორტში ვარგოდა, არც სწავლაში. ახლა კი, ეს ყოფილი „ბატონი არავინ“ თითო ფილმში სულ ცოტა 20-30 მილიონს იჯიბავს“, — აღნიშნეს კეიჯის თანაკლასელებმა.



ოსი პოლიციაში რეკავს და ყურმილში ყვირის:

— ვიღაცამ ჩემი მანქანა გაქურდა! ყველაფერი მომპარეს: საჭე, პედლები, აქსელერატორი.

ოპერატორი:

— დამშვიდდით, პატრულს გამოგიგზავნით.

ერთი წუთის შემდეგ ოსი კვლავ რეკავს პოლიციაში:

— არ მჭირდება პატრული, უკანა სკამზე დავმჯდარვარ, სენი წირიმე...


ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50




**თარაზულად:** 1. ხორბლის ფქვილის ნამცხვარი; 4. პარტიის დასაწყისი ჭადრაკში; 6. ქალის სამკაული; 7. წითელი ბუნებრივი საღებავი; 8. მამალი ცხენი; 9. პრესტიჟული კოლეჯი, რომელიც ბრიტანელი პრემიერ-მინისტრების უმრავლესობას აქვს დამთავრებული; 10. მგალობელი ჩიტი; 13. სპეციალური ბეჭდით ჩაჭყლეტილი ტყვიის ან პლასტმასის ნაჭერი, რომელსაც ნიშნად ადებენ საქონელს; 16. თეატრისა და კინოს პოლონელი რეჟისორი; 18. შეგირდის აღმზრდელი; 19. მუცელგანიერი სამკურნალო ქილა; 20. ადვილად მოსაშინაურებელი მტაცებელი ცხოველი; 22. ხმელეთის ერთ-ერთი ძირითადი ზოოგეოგრაფიული ზონა; 23. მოჩვენება უდაბნოში; 27. საკონდიტრო ნაწარმი; 28. მდინარე ლონდონში; 29. ბრაზილიური ქათამი; 30. ფირმა, რომელმაც უკვდავყო თავისი სახელი; 31. „მცირე ფორმების“ ხელოვნება, რომლის ძირითადი სახეა სხვადასხვა ნომრისგან შედგენილი კონცერტი.

**შვეულად:** 1. საზეიმო ვითარებაში ხელოვნების ამა თუ იმ დარგის მიღწევათა ჩვენება-დათვალიერება; 2. ხიდი, წყალსადენი მილით; 3. სპარტაკის ამპლუა; 4. ბანკში შეტანილი თანხა კრედიტორისათვის გადასაცემად; 5. მიმართულება ფილოსოფიაში; 11. მზის, მთვარის მოხაზულობა, სიმრგვალე; 12. ფრანგი მსახიობი ფილმებში: „შინაბერა“, „ძველი თოფი“, 14. 1000კუბსმ. 15. ფეხსაცმელი; 16. ცნობილი მსახიობი ბალტიისპირეთიდან — ...არტმანე; 17. „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ — ...მორჩილაძე; 21. ცის ჩრდილო ნახევარსფეროს თანავარსკვლავედი, სპირალური გალაქტიკა; 22. რეჟისორი ფრიდრიხ მურნაუ — „...საშინელებათა სიმფონია“; 24. გრძნობების გამომხატველი წარმოთქმის მანერა; 25. მასობრივი სცენების მონაწილე მსახიობი; 26. სიტურფე, მშვენიერება.

შეადგინა რამაზ ალანია






ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## (10) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№10 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 13 მარტის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები
ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი ℂ518
„კვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა „კოლორში“.